

ბაზილიკა სანკაჯი

ბიონტი
სანკაჯი

სანკაჯი

Handwritten text in a stylized, cursive script, possibly representing a name or title.

Handwritten text in a stylized, cursive script, possibly representing a name or title.

IV

Handwritten text in a stylized, cursive script, possibly representing a name or title.

Г1+ГФ
899.962.1—1+398.21(47.922)
ბ 209

სარედაქციო კოლეგია:

სუტა ბერულავა, ელენე ვირსალაძე, ქსენია სიხარულიძე,
ალექსანდრე ღლონტი, მისეილ ჩიქოვანი

ტომი შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო
პროფ. ქსენია სიხარულიძემ

მხატვრობა ელგუჯა ამაშუკელი სა



„ხალხური სიბრძნის“ მეოთხე ტომში შესული ლექსები წვეთია ქართული ხალხური პოეზიის უძირო ზღვაში. ტექსტების შერჩევას ართულებდა შემეცნებითი და მხატვრული ღირებულების მქონე მასალათა სიუხვე.

რაზე არ უმღერია ქართველ კაცს, რაზე არ უთქვამს მას შთაგონებული ლექსი. ადამიანის ღზინი თუ ჭირი, სიხარული თუ სევდა, იმედი თუ უიმედობა, ბრძოლა არსებობისა და თავისუფლებისათვის, მისი მორალი და ეთიკა ყოველთვის იყო საგანი უშუალო წარმოსახვისა, წრფელი და საოცრად სადა პოეტური განზოგადებისა. ამიტომ არის ასე უწყვეტი, ვრცელი და უღვევი ხალხური პოეზია. ამიტომ არის ასე მდიდარი ქართული ხალხური პოეზიის თემატიკა და ნაირფეროვანი მისი ფორმა.

ქართველი კაცის ნაფიქრს შორეული წარსულიდან დღემდე, მის შეხედულებას ცხოვრებაზე, წუთისოფელზე, მის თავისებურ ფილოსოფიას, იდეალს გმირობისა, მეგობრობისა და სიყვარულისა, გვაცნობენ კრებულში შეტანილი უპრეტენზიო, მაგრამ მომხიბვლელად გულმართალი ლექსები.

ამ ლექსების დიდი ნაწილი ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშველას, იაკობ გოგებაშვილის, თედო რაზიკაშვილის, პეტრე უმიკაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, ალექსანდრე ხახანაშვილის, ეკატერინე გაბაშვილის და სხვათა უშუალო ჩანაწერებია. ეს ფაქტი ბევრის მთქმელია. გასული საუკუნის დიდ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შეუნელებელი ინტერესი ხალხური საუნჯისადმი, მისი შემეცნებითი, მხატვრული და ისტორიული ღირებულებით განისაზღვრა. აქვეა ჩანაწერები ჩვენი თანამედროვე გამოჩენილი მეცნიერების და საზოგადო მოღვაწეების — აკაკი შანიძის, ვახტანგ

კოტეტიშვილის და გიორგი ნათაძისა. კრებულში საკმაო რაოდენობით არის წარმოდგენილი ქართველ ფოლკლორისტთა და ენათმეცნიერთა ჩანაწერები.

ეს ლექსები თანაბრად ხნოვანი არ არის. ისინი წარმოდგენენ ცხოვრებაზე ადამიანის შეხედულების სხვადასხვა საფეხურს და ამდენად — პოეტური აზროვნების ისტორიასაც. სხვადასხვა ხნისაა თვით პოეტური ჟანრებიც. სამეურნეო (მონადირული, შრომის, მწყემსური) და საწესო პოეზიის ფესვები უფრო შორეულ წარსულშია, ვიდრე მაგალითად — საისტორიო ან სოციალური ლექსებისა. მასალათა კლასიფიკაციისა და თანმიმდევრობისას ამ გარემოებას ვითვალისწინებდით. ამას გარდა, გვსურდა მკითხველებისათვის მიგვეწოდებინა ყველა ჟანრის პოეზია მისი მნიშვნელობისა და მოცულობის შესაბამისად. ბუნებრივია, რომ უფრო დიდი რაოდენობით წამყვანი ჟანრებია წარმოდგენილი.

როდესაც ხალხურ პოეტურ ჟანრთა ხნოვანობაზე ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ თვითეულ ჟანრში ყველა ნიმუში ერთი ხნის არ არის. ასე მაგალითად, მეურნეობის ერთ ყველაზე უძველეს ფორმასთან — ნადირობასთან დაკავშირებული ლექსები სხვადასხვა დროს არის შექმნილი. ამაზე მიგვანიშნებს ამ ლექსების რეალიები. „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“ და „ჯიხვო, გუნებით მძიმეო“ წარმომოშობით უფრო ძველია, ვიდრე — „შვიდთ ძმათა, მერვე ბიძასა“ და „ირემო, რქებით მშვენარო“. პირველ ორში უძველესი სანადირო იარაღი — მშვილდ-ისარი იხსენიება, მეორეში კი — ახალი, თოფი.

კრებულში შევიტანეთ ხალხური პოეზიის ისეთი ნიმუშები, რომელთაც აღმზრდელობითი ღირებულება აქვთ. ეს ლექსები იყო ერთგვარი დიდი სკოლა, დაუწერელი, მაგრამ ქართველი კაცის გულის ფიცარზე აღბეჭდილი და სულში ჩაღვრილი სახელმძღვანელო. ეს იყო საზნებო ზეპირი წიგნი, ჭკუის სასწავლებელი, გამამხნეველი და სულის ამმაღლებელი. ბევრი ამ ლექსთაგან დღესაც ინარჩუნებს ამგვარ მნიშვნელობას. ტექსტების უმრავლესობას გააჩნია, როგორც მხატვრული, ისევე შემეცნებითი და ისტორიული ღირებულება. ზოგ ტექსტს შეიძლება ერთად არ ჰქონდეს სამივე ეს თვისება, მაგრამ მხატვრულობასთან ერთად აქვს ან შემეცნებითი ან კიდევ ისტორიული მნიშვნელობა.

კრებულში საკმაო რაოდენობით არის წარმოდგენილი მრავალფეროვანი სამეურნეო ლექსები. ეს ლექსები მრავალმხრივ არის საინტერესო. მეურნეობის ადრინდელ ფორმასთან დაკავშირებული მონადირული ლექსები გარდა იმისა, რომ აღძრავენ ხალხური შემოქმედების წარმოშობის, განვითარების გზებისა და სხვა მრავალ თეორიულ საკითხს, გამოირჩევიან მაღალმხატვრულობითა და მეტად მდიდარი თემატიკით. გარემოს ბრწყინვალედ წარმოსახვა, უტყუარი გრძობა ბუნებისა, ნადირობის წესების აღწერა, იდეალი მონადირისა და, რაც მთავარია, ამდღეობული ჰუმანიზმი ღრმა შინაარსს აძლევენ სამეურნეო პოეზიის ამ ჯგუფის ლექსებს. მონადირის მძიმე ხვედრს, მისი სიცოცხლის ტრაგიკულ დასასრულს მძაფრად განგვაცდევინებს მონადირული პოეზიის ისეთი ნიმუშები, როგორცაა კომპოზიციურად მტკიცედ შეკრული ბალადები: „ავთანდილ გადინადირა“, „არ ეშობიან ღრუბელნი“, „ჯარჯო“ და სხვ. მონადირეთა მარცხის დიდი სირცხვილის გრძობას უშუალოდ გვაგრძობინებს მშვენიერი ლექსი „შვიდთ ძმათა, მერვე ბიძასა“. ღრმად ჰუმანურია ნადირობის მსხვერპლისადმი სინანულის გრძობის გამომხატველი ლექსები: „მთაში მაგალო ირემო“ და „ირემო, რქებით მშვენარო“. ჰუმანიზმის მაღალი გრძობის გამომხატვით მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლია „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“. შეუძლებელია გულგრილად მოსმენა ან წაკითხვა ვეფხვის კლანჭებით დაფლეთილი მოყმის დედის მოთქმისა.

ქართველი ხალხი ძველთაგანვე მისდევს მიწათმოქმედებას. ბუნებრივია, რომ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში სახეობრივი მრვალფეროვნებით, თემატიკის სიმდიდრითა და განცდის უშუალოდ გამოირჩევა მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ლექსები. ეს ლექსები მკითხველს გააცნობს გლეხკაცის ფიქრებსა და განცდებს, მის სევდასა და ოცნებას უკეთესა მომავალზე. მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ შრომის სიმღერათა სახეებია: გუთნური, თოხნური ანუ ნადური, სამკალი, კალოური და სავენახო.

გლეხკაცის სიყვარული სამუშაო იარაღისა და მუშა საქონლისადმი, გუთანზე მომუშავის მძიმე ხვედრი და მისი იმედი გამომხატულია გავრცელებულ სიმღერებში: „შენი ჭირი მე, გუთანო“, „სახნისმა თქვა“, „ორშაბათობით აშენდა“, „ღამის

მეხრე ვარ“, „ხარმა იცვალა მხარია“ და კრებულში შეტანილ სხვა ლექსებში.

თემატიკის მრავალფეროვნებით ხასიათდება განსაკუთრებით ხალისიანი თოხნური და სამკალი სიმღერები. ეს სიმღერები გამოირჩევიან ტექსტის დინამიურობით, განწყობილების სილადითა და ტემპის სიჩქარით. ყველაფერი ეს განსაზღვრულია თოხითა და ნამგლით მუშაობის ხასიათით. ამ სიმღერების შინაარსი გვაცნობს თოხნისა და მკის კოლექტიურ ხასიათსა და მომუშავეთა გამასპინძლების ჩვეულებას. ამგვარი სიმღერებისთვის დამახასიათებელია შესრულების მუხლობრივი ხასიათი. წიგნში შეტანილ ლექსებს: „ვთოხნოთ და ვთოხნოთ“, „პატივი მუშას“, „ნამგლური“, „ყანაო ფათალიანო“ და სხვ. მიზნადველ ფორმასთან ერთად აქვთ ღრმა სოციალური შინაარსი.

კალოურ და სავენახო სიმღერებში, ისევე როგორც გუთნურ, თოხნურ და სამკალ სიმღერებში, იგრძნობა წარსულში ბუნების ტყვეობაში მყოფი მშრომელის დამოკიდებულება ამინდზე. ამით აიხსნება ის, რომ თითოეული ამ სახის შრომის სიმღერათა დასაწყისი ხშირ შემთხვევაში მზისადმი ვედრებას წარმოადგენს. ამის ნიმუშია კალოური „მზეო“. აღსანიშნავია ისიც, რომ ხალხურ პოეზიაში მთელი ციკლია ლექსებისა ამინდზე.

შინაარსის, პოეტური ფორმის და შესრულების წესის მიხედვით დიდ ინტერესს იწვევს მესაქონლეობასთან დაკავშირებული მთიბლური სიმღერები. შრომის სიმღერების ეს სახე, როგორც აღნიშნა აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ, განსაკუთრებით საინტერესოა ქართული ლექსის ისტორიისათვის. მთიბლური სიმღერები შეიცავენ ურთიმო ლექსებს, რაც დამახასიათებელი იყო უძველესი პოეზიისათვის. მშრომელთა ძნელბედობას წარსულში გვაცნობენ ნაღვლიანი ურმული სიმღერები. შრომის სიმღერის ამ სახის ხასიათი და დიდი ფუნქცია მშვენივრად არის დახასიათებული ილია ჭავჭავაძის დაუვიწყარი სტრიქონებით პოემაში „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“.

წარმოშობით ძველია მეტიური სიმღერები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოში სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებასთანაა დაკავშირებული. ქალთა პოეზიაა ძირითადად მშვენიერი ტექსტები საფეიქრო და წყლის

მოსატანი სიმღერებისა. ისინი მეტწილად ქალთა საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

ღრმა სოციალური შინაარსის მწყემსური სიმღერები მართლად წარმოსახავს წარსულში მშრომელთა ძნელბედობას. ამავე დროს ისინი გვაცნობენ მათ დიდ ფიზიკურ ამტანობას და საოცარ გამძლეობას. მთლიანად სამეურნეო პოეზია ძვირფასი მასალაა წარსულში მშრომელთა ყოფის გასათვალისწინებლად.

განსაკუთრებული აღმზრდელობითი მნიშვნელობისა არის საუკუნეთა მანძილზე ქართველი ხალხის მიერ შემუშავებული გმირის იდეალის გამომხატველი, პოეტურად გამართული, მოხდენილი ლექსები. საგმირო ლექსები კრებულში საკმაო რაოდენობით არის წარმოდგენილი. ამგვარ ლექსებს დიდი სოციალური ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. საგმირო სიმღერებზე იზრდებოდნენ სამშობლოსათვის თავდადებული გმირები. საგმირო ლექსებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველ ვაჟკაცთა რკინისებური ხასიათის გამოწრთობასა და სულის ამაღლებაში. საგმირო ლექსები იმღერებოდა სახალხო თუ საოჯახო დღესასწაულებზე, სალაშქროდ მზადებისას თუ გამგზავრებისას. საგმირო სიმღერები სრულდებოდა ლაშქრობიდან დაბრუნებისას. საგმირო ლექსებს მღეროდნენ ახალგაზრდებიც და მოხუცებიც, ქალებიც და მამაკაცებიც. აღსანიშნავია, რომ სალაშქროდ გამგზავრებისას ან ლაშქრობიდან გამარჯვებით დაბრუნებისას ამგვარ ლექსებს ახალგაზრდა ქალები უმღეროდნენ სამშობლოს დამცველ ვაჟკაცებს. საგმირო პოეზიაში გამოირჩევა აფორიზმები — უსიუჟეტო, ოთხ ან ექვს სტრიქონიანი ლექსები. ამ ლექსებში მოცემულია ერთგვარი კოდექსი ვაჟკაცობისა.

სიუჟეტისანი ლექსების თემატიკა მრავალფეროვანია. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია საქართველოში მოთარეშე უცხო ტომთა წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველი ლექსები. მრავალ ვარიანტად არის ცნობილი ბალადის ჟანრის ლექსები: „გიგა და გიორგი“, „გიგაის ცოლი“, „შატილს გადიდდა ხოხობი“ და სხვ. საკმაო რაოდენობით არის ლექსები შინაურ შუღლზედაც. ხალხი გმობდა წარსულის დამახასიათებელ ამ მავნე მოვლენას. ამის გამომხატველია ლექსი „ფხოველი და შავანელი“. ღრმად მგრძნობიარე ლექსებია შექმნილი გმირის სიკვდილზე. ეს ლექსები თავისი ხასიათითა და განწყობილებით ახლოს არის გლოვის ლექსებთან. ასეთებია: „ლომო, შე

ლომის მოკლულს“, „ავად არს ღაჭაურაი“ და პოეტურად სრულქმნილი სხვა მრავალი ნიმუში ხალხური პოეზიისა.

კრებულში სათანადო ადგილი ეთმობა საისტორიო ლექსებს. ეს ლექსები შექმნილია ჩვენი ქვეყნის გმირულსა და მდიდარ წარსულზე, თავისუფლებისა და მშვიდობისათვის მებრძოლ წინაპრებზე. ეს არის ჩვენი ქვეყნის შეუფერავი, თავისებური ზეპირი ისტორია. ამიტომ არის მათი სოციალური შინაარსი მდიდარი და ღრმა, მხატვრული ფორმა მიმზიდველი. ხალხური საისტორიო ლექსების ძირითადი ნაწილი საგმირო ხასიათისაა და მათი საზოგადოებრივი ფუნქციაც ისეთივეა, როგორც საგმირო პოეზიისა. საისტორიო ლექსების მდიდარი ციკლებიდან კრებულში შეტანილია დამახასიათებელი ნიმუშები. არ დავერიდეთ კრებულში ისეთი ლექსის შეტანასაც, რომელიც წარმოშობით წიგნური უნდა იყოს. ასეთია დავით აღმაშენებლის სახელთან დაკავშირებული ლექსი „გიაშობისი ფრიადესა“. ლექსი დღემდე ზეპირად იციან და ჩაწერილია ვარიანტებად.

საისტორიო ლექსების დიდი ნაწილი სასიმღეროა, ბევრი მათგანი — საფერხულოც. სახალხო დღესასწაულებზე დიდი შთაგონებით მღეროდნენ ლექსებს ეროვნულ და სახალხო გმირებზე. სვანეთში, მთის რაჭაში, ფშავში, ხევსურეთში, კახეთსა და საქართველოს სხვა კუთხეებში დღემდე საფერხულო სიმღერებია ლექსები ვახტანგ გორგასლის, თამარ მეფის, შალვა ახალციხელის და სხვათა შესახებ. საქართველოს მთიანეთში ახლაც დასძახიან ფანდურზე ზეზვა გაფრინდაულის, მამუკა ქალუნდაურის; სადარა არაბულის, მამუკა გოგოჭურის და სხვათა, კახეთში კი — მიხა ჭუჭულაშვილის გმირობის ამბებს. გურიისი დღესაც ფართოდ გავრცელებულია საჩონგურო სიმღერები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი გმირების — დათიკო შევარდნაძის, სისონა დარჩიას, სიმონა დოლიძისა და სხვათა შესახებ. მესტირეთა რეპერტუარი იყო არსენას ლექსი და სხვა მრავალი.

მესტირეები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ავრცელებდნენ სიმღერებს სოციალური ბოროტებისა და უცხო დამპყრობელთა წინააღმდეგ მებრძოლ გმირებზე. ამიტომაც არის, რომ მჭადიჯვრელ გმირ დედაბერ ქრისტინეზე შექმნილი ლექსი ახლაც იციან მთის რაჭაში, იქ, სადაც განსაკუთრებით ძლიერი იყო მესტირეობის ტრადიცია. საისტორიო ლექსები, ისე-

ვე როგორც საგმირო, თავისუფლებისა და სიმართლისათვის მებრძოლი გმირებისადმი ხალხის დიდი სიყვარულის გამო-მხატველია.

მშვენიერი საძეობო-სასიმღერო ლექსი „მზე-შინა“ თავისი ფუნქციით საწესოა, მაგრამ რაკი იგი ბავშვის დაბადებით გამოწვეულ სიხარულს უშუალოდ განგვაცდევინებს, ამიტომ წინ წავუძღვარეთ საყმაწვილო ლექსების განყოფილებას. ეს განყოფილება შეიცავს, როგორც უფროსების შესასრულებელ აკვნისა და სალალაო სიმღერებს, ისევე — ბავშვების რეპერტუარში შესულ ლექსებს, როგორცაა: „თხა და ვენახი“ და სხვ. აქვეა წარმოდგენილი ცოცხალი ტყუილის ნიმუშებიც: „სანთლის გუთანს“, „ეს რა ვნახე“ და სხვ. ეს უკანასკნელი მოვლენათა შეუძლებელ ვითარებაში წარმოსახვით ამდიდრებენ ბავშვის დაკვირვებებს სამყაროზე და ანვითარებენ მასში ასოციაციის უნარს.

კრებულში გარდასულ დროთა დამახასიათებელი საწესო საგალობლებიც შევიტანეთ. ამას ის გამართლება აქვს, რომ მკითხველი ერთი მხრივ სისრულით გაეცნობა ქართულ ხალხურ პოეტურ ჟანრთა მრავალფეროვნებას, და მეორეს მხრივ, რაც ძირითადია და არსებითი, დარწმუნდება, რომ სარიტუალო ლექს-სიმღერებში მთავარი იყო ყოფის სურათები და გამოხატვა მშრომელთა ოცნებისა და იმედისა. საახალწლო მშვენიერი ლექსები, ალილო, ჭონა თუ სადღეობო სიმღერები, საქორწილო და სამგლოვიარო პოეზია გვაცნობს ხალხის დაუსრულებელ ლტოლვას თავისუფალი, ბედნიერი, ხალისიანი ცხოვრებისაკენ. ამ ლექსებშიც, ისევე როგორც სხვა ჟანრის პოეზიაშიც, ვეცნობით ხალხის იდეალსა და მორალს. საწესო პოეზიის, ისევე როგორც მთლიანად ზეპირსიტყვიერების, ძირითადი სოციალური შინაარსია დაპირისპირება კეთილისა და ბოროტის. ეს არის მთავარი ისეთი მითიური ელფერით მოსილ საფერხულოებშიც კი, როგორცაა „იახსარი და კოპალა“ და „იახსარი“. ამ საფერხულოებში დევებთან მებრძოლი გმირები წარმოდგენილია ზებუნებრივ ძალებად — სალოცავ ღვთაება-ხატებად.

სოციალური ლექსების მდიდარი განყოფილება გვაცნობს ხალხის დიდ სიძულვილს უსამართლობისადმი, — მშრომელთა ლტოლვას თავისუფლებისა და მშვიდობისაკენ. ლექსები: „ორმოში ფეტვი ჩავყარე“, „ამდენმა აღმართ-დაღმართმა“,

„დასაქცევეი მებატონე“ და სხვა მრავალი, შეუფერავი ისტორიაა ბატონყმობისა. „ბატონყმობა გადავარდა“, „აქამდე აზნაურები“ და სხვა ამგვარი ლექსები ახლაც განგვაცდევინებენ ბატონყმობის გაუქმებით გამოწვეულ უსაზღვრო სიხარულს ყმა-გლეხებისას. ლექსების მდიდარი ციკლია შექმნილი მეფის რუსეთის მოხელეთა თავაშვებულებასა და უზნეობაზე. ასეთებია, მაგალითად, კრებულში შეტანილი ლექსები: „ბეჩაო მამასახლისო“ და „კაი დრო კი გაქვს, ნაცვალო“.

ფორმის სრულყოფით, პოეტურ სახეთა მრავალფეროვნებითა და ამალღებული გრძნობის უშუალო გადმოცემით გამოირჩევა სატრფიალო ლირიკის მდიდარი განყოფილება. ერთი ჯგუფი ამ განყოფილების ლექსებისა ხასიათდება შედარებების, ეპითეტებისა და სიმბოლიკის სიუხვით. ასეთებია: „დილით ცისკარზე გნახეო“, „შენ ჩემო დიდო იმედო“, „ზეცას შენ შექურვარსკვლავო“ და სხვ. ზოგი ლექსი კი სიყვარულის დიდ გრძნობას მეტად თავისებურად, პოეტურ სახეთა ძუნწად გამოყენებით გამოხატავს. ეს ლექსებიც ისევე ძლიერია მხატვრულად, როგორც პირველი ჯგუფისა. სანიმუშოა ამ მხრივ მშვენიერი ლექსი „შირაქის გზაზე მივდივარ“. პეპელას ნაზი ფრთების მსუბუქი რხევა, ამ ფრთების წითელი ფერი სატრფოს სამოსის ასოციაციას იწვევს. ლექსში სხვა არაფერია ნათქვამი სიყვარულის გრძნობაზე, მაგრამ ვისმენტ თუ ვკითხულობთ მას, განვიცდით ამ დიდ გრძნობას და გვხიბლავს მისი გამოსახვის უშუალობა. მთლიანად სატრფიალო ლექსების მდიდარი ციკლი ერთი უწყვეტი სიმღერაა ფაქისა და ამალღებულ სიყვარულზე.

ქართულ ხალხურ პოეზიაში საყოფაცხოვრებო ლექსებს თემატიკის სიმდიდრით ერთი პირველი ადგილი უკავია. პოეზიის ძალა და მნიშვნელობა, ცოდნა გარე სამყაროსი, სამშობლოს სიყვარული, ოჯახის სიწმინდე, ერთგულება და მეგობრობა, გამრჯეობა, სტუმართმოყვარეობა, ქალის კდემა საყოფაცხოვრებო ლექსების წამყვანი თემებია.

ადამიანის შეხედულება ცხოვრებაზე, მის სიავკარგეზე, მორალზე — ამალღებულსა და მდაბალზე, დიდი დაკვირვება სიკვდილ-სიცოცხლეზე, მოცემულია ფილოსოფიური ლირიკის სახელწოდებით წარმოდგენილ მაღალპოეტური ლექსების ციკლში. წუთისოფელი ასე შეარქვა ქართველმა კაცმა მის არსებობას, ყოფნას ამქვეყნად. ამ ღრმა ფილოსოფიური ში-

ნაარსის შემცველი სიტყვით მოხდენილად არის განსაზღვრული სიცოცხლის სწრაფმავლობა. სიცოცხლის სწრაფმავლობაზეა შექმნილი ხალხური პოეზიის ისეთი შედეგები, როგორცაა „ბინდის ფერია სოფელი“ და „წუთისოფელი რა არი“. ხალხი ყოველთვის გმობდა გულგატეხილობას, რაც კარგად არის გადმოცემული მშვენიერი ლექსებით „თავსა სევდასა ნუ მისცემ“ და „არ ვარგა ჭირში გატეხა“.

ფილოსოფიური ლექსების დიდი ნაწილი მოწოდებაა ჰუმანიზმისაკენ — კაცთმოყვარეობისა და თავმდაბლობისაკენ. ამის ნიმუშებია: „რა კარგია კაი კაცი“, „ნეტავი ჩემი სასახლე“, „კარგი ვარ, ამას ნუ იტყვი“, „წუთისოფლის სტუმრები ვართ“. და კრებულის ამ განყოფილებაში შეტანილი ბევრი სხვა ლექსი. ლექსების ციკლებია შექმნილი სიბერესა და სიკვდილის საშინელებაზე.

თანამედროვე ლექსები — ჩვენი მჩქეფარე ცხოვრების ამსახველი პოეზია — კრებულში მცირედ არის წარმოდგენილი. მკითხველს არ უნდა გაუკვირდეს ამგვარი შეფარდება თანამედროვე და რევოლუციამდელი პოეზიისა. თანამედროვე ხალხური პოეზია დროის მცირე მონაკვეთშია შექმნილი, იგი მხოლოდ ოთხი ათეული წლისაა. რევოლუციამდელი პოეზია კი მრავალი საუკუნის უთვალავი წლის პროდუქტია. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ კრებულისათვის საბჭოთა ხალხური პოეზიის მხოლოდ ისეთი ნიმუშები შევარჩიეთ, რომელნიც ზეპირ ბრუნვაშია, აქვთ ვარიანტები და ახასიათებთ ხალხური — კოლექტიური შემოქმედების ყველა თვისება. კრებულში შეტანილი ლექსები წარმოადგენენ ახალსა და თავისებურ საფეხურს ქართული ხალხური პოეზიის განვითარებაში. ამ ლექსების ძირითადი თემებია: ოქტომბრის რევოლუცია, მშრომელთა გათავისუფლება საუკუნეობრივი ჩაგვრისაგან, კოლექტიური შრომის დიდება, ინდუსტრიის ზრდა-განვითარება, კულტურული რევოლუცია, დიდი სამამულო ომი, საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვება ამ ომში, ომის შემდგომი მშვიდობიანი მშენებლობა, მშვიდობისათვის ბრძოლა, ვ. ი. ლენინის სახე და სახეები რიგითი ადამიანებისა. თანამედროვე ხალხური პოეზია გამოხატავს თავისუფალ მშრომელთა ლალ განწყობილებას, საბჭოთა ადამიანის მაღალ მორალს, ღრმა ჰუმანიზმს, სამშობლოს უანგარო სიყვარულს, თავდადებას კომუნიზმის შენებასა და მშვიდობისათვის ბრძოლაში.

კრებულში წარმოდგენილი მასალა იმის მაჩვენებელია, რომ მოლექსეობას ადრიდანვე ძლიერი ტრადიცია აქვს საქართველოში. აღსანიშნავია ისიც, რომ კრებულში შეტანილი ლექსების მეტი წილი სასიმღეროა. ზოგ ლექსს საკუთარი მელოდიაც გააჩნია. ეს ლექსები იმდერებოდა ხალხური საკრავების თანხლებითა და მის გარეშეც — სხვადასხვა გარემოში, სხვადასხვა დანიშნულებით. მიუხედავად ამისა, ამ სიმღერებს ჰქონდა ერთი საერთო მიზანი — ადამიანის შთაგონება და სულიერად ამაღლება. ამ ლექსების შესრულებით ქართველი მთქმელები — მესტვირენი, მეჩონგურენი, მეფანდურენი თუ ჭიანურზე დამკვრელნი მსმენელებში აღვივებდნენ წარსულისადმი პატივისცემას, აწმყოს გაუმჯობესების იმედს და მომავლის რწმენას. სახელოვანი ტრადიცია ქართული ხალხური პოეზიისა იყო და არის მისი განვითარება-აყვავებისა და უჭკნობი მშვენიერების დაუშრობელი წყარო.



ლექსი ვეფხვისა და მოყმისა

მოყმემ თქვა პირშიშველამა,
შიბნ გავიარენ კლდისანი,
მოვინადირენ, დავლაბენ,
ბილიკნი კიუხისანი.
შამამხედეს კლდისა თავზედა
ხორონი ჯიხვებისანი,
ჯიხვსა თოფ დავკარ ბერხენსა,
კალას ჯახნ იქნეს რქისანი.
შავევარდი ვეფხვსა ნაწოლსა,
დრონ იყვნეს შულამისანი,
ვეფხვი რო წამამიფრინდა,
თვალნი მარისხნა ხთისანი.

შიბნეს ვეფხვი, მოყმეი,
მაშინ დაიძრნეს მიწანი,
კლდეები ჩამაინგრიენეს,
შტონ დაილეწნეს ტყისანი,
დრო აღარ დარჩა მოყმესა,
ხანი რო ჰქონტეს ცდისანი.

ფარსა უფარებს, ვერ ჰფარავს,
ვეფხვი ჩქარია კლდისანი,
გაზით გაართვნა კალთანი,
ჯაჭვისა ჯავშანისანი.
მოყმემაც ხელში იყარნა
ვადანი თავის ხმლისანი.
ძაშინ გაუჭრა ფრანგულმა,
ღრონ იყვნეს წაქცევისანი.
ვეფხვი კლდით გადმეკიდა,
ჩამააწითნა ქვიშანი.
თაოდ კლდის თავზე შამაწვა
მოყმე სულ ამამდინარი,
ქვიშას მაჰღებავს წითლადა
სისხლი ზედ ჩამამდინარი.
ვინ ეტყვის მაგის დედასა,
კარს უსხედს ქადაგ-მკითხავენი.
უერთოდ კი არ იხარჯნეს
ჩვენ მონადირნის ისარნი.

იარებოდა დედაი
ტირილით თვალცრემლიანი,
ჩემ შვილს გზად ვეფხვი შაჰყრია
გაჯავრებული, ტიალი,
ჩემს შვილს — ხმლით, იმას — ტოტითა
დღე დაუღამდათ მზიანი.
არც ვეფხვი იყო ჯაბანი,
არც ჩემ შვილ შახვდა ჰკვიანი,
მათ დაუხოცავ ერთურთი,
არ დარჩენ სირცხვილიანნი.
ტირილით წყლულებს უხვევდა
ვეფხვის კლანჭებით დაჰკრილსა,
შვილო, არ მახკვდი, შენ გძინავ,
დაქანცული ხარ ჯაფითა,
ეგ შენი ჯაჭვის კალთები
ტიალმა როგორ დაფლითა?
შენც იმას საფერ ჰყოფილხარ,
ხმალი ქნევაში გაგიცვდა.
არც იმან მოგცა მეტი ღრო,

ალარც შენ დააცალია,
ველარც შენ დაიფარიე
შენ ხელთ ნაჭერი ფარია,
ველარცა ვეფხვმა ტოტები,
ხმალმა დაკუწა ძვალია.
მაგის მეტს ალარ გიტირებ,
შენ არ ხარ სატირალია.
მშვიდობით, ჯვარი გეწეროს,
ეგეც სამარის კარია,
ერთ შვილ ხო მაინც გაგზარდე
ვეფხვებთან მეომარია.

ხან ვეფხვი, ხან თავის შვილი
ელანდებოდის მძინარსა,
ხან ვეფხვი ვითომ იმის შვილს
ტანზეითა ჰყრის რკინასა,
ხან კიდენ იმისი შვილი
ვეფხვს გადაავლევს ყირასა.
აი, ამ სიზმრებს ხედავდის,
გამაელვიძის მტირალსა.
ხან იფიქრებდა, უდედოდ
გაზდა ვინა თქვა შვილისა,
იქნება ვეფხვის დედაი
ჩემზე მწარედა სტირისა.
წავიდე, მეც იქ მივიდე,
სამძიმარ უთხრა ჳირისა,
ისიც მიაშობს ამბებსა,
მეც უთხრა ჩემის შვილისა,
იმასაც ბრალი ექნების
უწყალოდ ხმლით დაჭრილისა!

ავთანდილ გადინადირა

ავთანდილ გადინადირა
ქედი მაღალი, ტყიანი,
ვერც მოჰკლა ხარი, ვერც ფური,
ვერცა ირემი რქიანი.

შველსა ჰკრა გამოფრენილსა
ისარი ორბის ფრთიანი,
ცხენის ტახტაზე დაჰკიდა
ტყავგაუხდელი, მთლიანი.
ჩამოხტა ტყისა პირადა,
ცეცხლი დაანთო ძლიარი,
დაჯდა, დათალა შამფური,
მწვადი ააგო ცვრიანი.

სანამ მწვადი შეიწოდა,
ცხენსა მისცა საძოვარი.
ცხენმა კაცი დაინახა
შორი გზიდან მომავალი,
შეხტა ლურჯა, შესქიხვინა,
რომ ეს კაცი ავი არი.

მეგინიბეს დაუძახა:

— ლურჯა მომგვარე ჩქარადა!

გავაზე ხელი გადუსვა,
ზედ წამოახტა მარდადა,
გზაწვრილი გაარბენინა,
მინდორი უფრო ჩქარადა.

უკუ იხედა, მოსდევდნენ
ის ურჯულონი ჯარადა.

ასი ჰკლა, ასი დაჰკოდა,
ერთი გადურჩა შავადა.

ერთი იმანაც ესროლა,
სისხლი წავიდა ღვარადა,

მუხასა ბეჭი მიანდო,
შტო დაიწია ფარადა,

დაჯდა და წიგნი დასწერა,
მტრედსა შეაბა მხარადა:

— ეს დედაჩემსა მიმირთვი,
ველარ მოგივალ ჩქარადა,

გიყვარდა თეთრი მანდილი,
ჩემზე შელღებე შავადა,

ეგ ჩემი ჩოხა-ნაბადი
კარზე დაჰკიდე ფარადა,

ეგ ჩემი ქამარ-ხანჯალი
ღვდელს მიეც საწირავადა,
ეგ ჩემი ცოლი პატარა
არ გაათხოვო ჩქარადა,
თუ მისცემ — ისეთ კაცს მიე,
მე მჯობდეს თვალად-ტანადა,
ეგ ჩემი ციხე-დარბაზი
თან გაატანე მზითვადა.

თოვლი თოვს ჰიუხის თავსა

თოვლი თოვს ჰიუხის თავსა,
ქარი ჰქრის დაუდგომარე;
ზედა დგას სინდიურაი,
სუ მუდამ ჩამუხდომარე;
ესვრის, გადმაჰყრის ჯიხეებსა,
ხელ-მუხლზე ჩამუჯდომარე.
— ჩამოხე, სინდიურაო,
კლდე ნუ აავსე მძორითა,
გვაყრუებს მონადირეთა
ყეფა მაგ შავის ყორნისა.

არ ეშობიან ღრუბელნი

არ ეშობიან ღრუბელნი
მალღის ჰიუხის წვერსაო;
ჰიუხის კუჭულაზედა
სინდიურისძე² წევსაო;
ჯიხეების მუქარაზედა
ღამეს ათენებს ბნელსაო.
ჯიხვთა რაი ქნეს შამდგართა,
ან იმ ვეფხვს რა იქერსაო?
ჯიხვნი ჩივიან ჰიუხში:
იველარ შეუღით კლდესაო,

^{1 2} განთქმული ხევსური მონადირე ყოფილა. ჰიუხის ერთ-ერთ მიუდგომელ წვერზე აპყოლია ხარ-ჯიხვს. უკან ველარ ჩამოსულა და იქ დარჩენილა.

ჩვენ გადასავალს სარტყელში
 ვეფხვი მწკლიანი წევსაო“.
 ჯიხენ შაშჩივიან ჭიუხთა,
 ჭიუხნი კალმის წვერსაო.
 კალამი დასწერს ქალაღლდა,
 მისცემს არაგვი ხევსაო.
 შიბუთ მაუა პასუხნი,
 წყალი შამაყრის პერსაო¹.
 კაცს იკლებს სინდიურისძე
 ნახოცის ჩამამთვლელსაო,
 თექვსმეტ ჯიხეშიით ნარჩევსა,
 კლდეზეით ჩამომწვდელსაო.
 ამაგ სიმღერის მათქვამი
 ჯვართხორხაის თავ წევსაო.
 წინ აძლევდიან პატივსა
 კარგის სიმღერის მთქმელსაო;
 წინ აწევდიან სტუმარსა,
 ხელს უკიდებდეს ხელსაო;
 ამაგის მალექსებელმა
 ვუთხარ ფანდურის ყელსაო.

ჯ ა რ ჯ ო

კლდე, ჯიხეთა გადანაფრენი,
 რო ნახო, გაგიკვირდება,
 იმათ ნაწოლსა, ნადგომსა
 თოლი არ მაეკიდება.
 ფეხ რო მაუსხლტეს ტიალსა,
 კლდეზე რქით დაეკიდება,
 იმათ მიმყოლსა ვაჟკაცსა
 რა კარგი წაეკიდება.
 ჯარჯო ჩაჰხედავს ჯიხეებსა,
 რა მშვენიერნი წვანანო,
 რქა რქაზე გადაუხვევავ,
 ანგელოზებსა ღვანანო.
 ჯარჯოვ: ნუ მისდევ ჯიხეებსა,

¹ ქაფი.

მოგინელებენ ტიალნი!
 არ დაიჯერა ჯარჯომა,
 სხეაც ბევრ მამცდარა ჭკვიანი.
 ჩამაუქადლა ვაეკაცმა
 ხირიმი სპილოს ძვლიანი,
 წინ ჯიხვთა, უკან ჯარჯომა
 კლდეზე გადილეს გრიალი.
 არხალოს ჭალას ჩაცვიდნენ,
 არხალოს პერანგიანი.
 ჩაბანოს ჭალას გავარდა
 მოყმე ფეხწრიაპიანი.
 ამიტანეს მამკვდარი,
 ტირის ქალი და ზალია,
 შამააწვინეს კარხედა
 კლდის დაფლეთილი ტანია,
 გადაგლეჩილი თავ-პირი,
 ყორნის დათხრილნი თვალნია.
 სახსოვრად ჯარჯოს საფლავეზე
 დააკრნეს ჯიხვის რქანია;
 ერთ გვერდზე თოფი სიათა,
 მეორე გვერდზე ხმალია,
 ზედ დააწერეს წერილი:
 ჯარჯო ჯიხვთავან მკვდარია.

ლაბერდის ეხი

ლაბერდის ეხო, კლდის ფეხში
 ჯიხვების სისხლით მასკრილო,
 მაგიედ მენადირეი,
 ჯიხვის ბარგმ ზურგი მატკიენო.
 ორ მარხედ¹ პურმამშეული,
 ახლა უნდ შავწვა მწვადები,
 დადგი-ლ, ხორცო, შამფურზე!
 შენ რასა-ლ ცეცხლში ღვარდები?

¹ ვარ ძალზე...

შვილთ ძმათა, მერვე ბიძასა.

შვილთ ძმათა, მერვე ბიძასა
ვეფხვი მთით გამოგვეყიდა;
შვილთავ ვესროლეთ შვილ-შვიდი,
ვეფხვს ერთიც ვერ მოეყიდა;
მერვემ ესროლა ბიძამა,
ვეფხვი ბწყლით ჩამოეყიდა.
შვილნივამც ქალად გვაქცივნა,
ცუდაიმც ქმარად აგვეყიდა,
ეს ჩვენი თოფ-იარაღი
ქალას მურყანზე დაჰყიდა,
ანამც ხუცესად გვაქცივა,
ყელზე ოლრები ჩაგვეყიდა!

ქალსა ვისმეს

ქალსა ვისმეს ერქვა შუშანა,
ხუთსა თითსა ეცვა ბეჭედი,
ბეჭდის თვალსა სანთელი ენთო,
სანთლის თავსა ბოსტანი იყო.
ბოსტანსა მოლი მოსულა,
მოლს შუა ნაძვი ასულა.
ნაძვისა წვერსა ქორს ბუდე ედგარ
ბუდე ჰქონდა აბრეშუმისა,
კვერცხი ჰქონდა იაგუნდისა,
შვილი ჰყავდა მარგალიტისა.
ბუდისა ქვეშა ლომს ლეკვი ჰყავდა,
ის ლომი ქორსა ექეზებოდა,
ექეზებოდა, ეზერებოდა.
ღმერთო, ერთი ჩემთვის გაზარდე,
გაზარდე და კარგად მიმყოფე,
სანადიროთა გზა გაუწალდე.
წყაროს თავსა ვინადირე,
ვინადირე, ვისადილე,
ნასადილევს მოვკალ ირემი,
მოვიკიდე, შინ მოვიტანე.

— ჩემო ცოლო, ხოხობ დაკრილო,
მაგ ირემსა ბეწვი წაგლიჯე.
შენ მაგისი ჩოხა დამირთე,
ნაგულალარი წინდა-პაქიჭი.
— ჩემო ქმარო, ლომო და გმირო,
ალვის ხეს ქვეშა უდგიხარ,
შეჰკარ ხელი, შტონი მოტეხე.
შენ მაგისი სახლი დამიდგი,
ნაფოტისა — წისქვილ-ბელელი.

ია მთაზედა

ია მთაზედა, თოვლიანზედა,
ია დავთესე, ვარდი მოსულა.
ია კოჭამდე, ვარდი მუხლამდე,
ირმისა ჯოგი შემოჩვეულა.
ნეტამც ეძოვნათ, არ გაექელათ,
სიძე-სიძამარი მთას წამოსულან,
შეხვდათ ირემი ქორბუდიანი;
სტყორცნა სასიძომ — მოჰკლა ირემი,
სტყორცნა სიძამრმა — მოჰკლა სასიძო.
— შვილო ბარბარე, მე რა გახარო,
საქმრო მოგიკალ, თავს ნუ მოიკლავ.
— შენ, მამაჩემო, დარბაისელო,
შენ ჩემი ცოდვით არ მოისვენო,
როცა გითხარი, არ გამათხოვე,
ახლა მათხოვებ — მომიკალ ქმარი.

სად მიხვალ, ხარო ირემო

— სად მიხვალ, ხარო ირემო,
ქორბუდიანო, ჩხიანო!
— რას მომდევე, ცხენო ქურანო,
შე ფეხებდღუშაყიანო,
თავს გაძე დიდი ლაგამი,
საძუე უნაგრიანო.

— მაშინ დამცინე, ირემო,
ნალები მოგიწკრიალო,
დავწიო ჩემი პატრონი,
მშვილდ-ისარ მოგიტრიალო,
სანამ შენ გაგატყავებდნენ,
მინდორი აგიტიალო.

მონადირე ხარირამზე

გაზაფხულ იყო მაშინა,
ახლად ყოოდენ იანი,
ეწვდება მწვანე ბალახსა,
ხარი ირემი რქიანი.
პირდაპირ მოყმე ჩამაპყვა,
პირქუში, მშვილდ-ისრიანი
გაიგო ხარმა ირემმა,
რქებმა წაილო ზრიალი,
გაქცეულს გამააყოლა,
დიდხანს ვერ ივლის ტიალი,
მკერდს მაპხვდა, გულზე უწია,
თვალეები დასჩა წყლიანი.
— შე უღმერთოო, რად მამკალ,
შენთვის რა მიქნავ ზიანი?
შენაც ჩემსავით მაპყვდები,
ველზე შაგჰამენ ჭიანი.

ი რ ე მ ი

— მთაში მავალო, ირემო,
რად იარები ბარადა?
— მეუღლე ვინამ მამიკლა,
დავიარები ცალადა!

დილაზე დილაობითა

დილაზე დილაობითა
ხარირემს დავკარ ისარი,
სად რა რა გადაიარა,
გადააწითნა ქვიშანი,
სად რა რა დარჩა ოხერი,
რქანი სად რა სხენ მისანი.

ირემო, რქებით მშვენარო

ირემო, რქებით მშვენარო,
ყურებით ლამაზიანო,
ნუ იარები ველადა,
თავი არ დააზიანო,
არ გაახარო მეთოფე,
თოფი არ გაახშიანო!

ბ ე რ დ ი ა

მთაში ნუ ღგდიხარ, ირემო,
ბარად ჩამოდი ნისლითა,
შინ როდი არი ბერდია,
ხორცთა ნუ დახყრი შიშითა!

მ ო ნ ა ღ ი რ ე

დილაზე თოფი გავარდა,
ქვევით ლასეკოს ტყეშია,
დალუჰდა¹ ორი ყორანი,
ჩაცვივდენ ულრანს ხევშია.
— ვინ რა რა მოკლა ირემი,
ვინ იღმინება წვერშია?
— ჩვენი ნამგალა იქნება,
მაგის ბინაზე ლეშია.

¹ დაწვეილა.

ეგ იქნებოდა მაჩურო¹;
ეგ იქნებოდა ტყეშია.
ან იქნებოდა ქავთარა,
ამოჩანგლული² წელშია.
უტური ვერას მაჰკლავდა,
თოფს ლიშან უკლავს წვერშია³.

ირემმა ირემს ახარა

ირემმა ირემს ახარა:
— პამპრაძე ავად გამხდარა,
თოფის ხმა აღარსად ისმის,
იქნება კიდევ მამკვდარა.
გამოსტყვერა თოფი ამ ღროსა,
ირემმა ტლინკი აყარა:
— თუ კი პამპრაძე მამკვდარა,
მაშ თოფი ვილამ გვახალა?

მამასა შენსა ხყვანდიან

მამასა შენსა ხყვანდიან
ვეფხვნი და ლომნი ნადირად-
იმისი შვილი შენა ხარ,
ირმებს მოიყვან წადინად.
მიეწეოდი, მახკლავდი,
რა მალე უზამ, ადვილად!

ჯ ი ხ ვ ს

ჯიხვო, გუნებით მძიმეო,
კლდიდან რამ გამაგიყვანა?
ვაჟკაცმა პირშიშეელამა
სათავე წამაგიარა;

¹ კაცის სახელია.

² მოხრილი.

³ იმის თოფს სამიზნე არა აქვსო.

მშვილდმა მაგ შენი რქისამა
დაგქება, დაგათხრიალა;
ისარმა კილო-წითელმა
ილლია გამაგარაა;
გულს მაგზვდა, მუხლსა გიწივა,
მუხლ დადგა, ველარ იარა.

თოვლი თოვს

თოვლი თოვს, ჯიხვი ფებს უცემს,
გული გკლავს, მონადირეო.
— ჯიხვო, ვერ მოგკალ, ტიალო,
სისხლი ვერ გაგადინეო;
ვერ გადაგადე კლდეზედა,
რქაზე ვერ დაგაბჯინეო;
ვერ დავიკვებე სწორებში,
გული ვერ გაგაცინეო.

კარგის ყმის დედას დავნატრი

კარგის ყმის დედას დავნატრი,
ვინც ნათქომს გააცხადებსო,
წავალის სანადიროსა,
ჯიხვს მახკლავს, მააქანებსო,
დააძლებს ამხანაგებსა
და ჯალაბთ გაახარებსო.

ვაჰ, დედას თქვენსა, ჯიხვეგო

ვაჰ, დედას თქვენსა, ჯიხვეგო,
დავბერდი, მიკლეს თვალთაო,
ფეხდაფეხ ველარ მოგყვებით,
მუხლები დამეხლართაო.
კიდევ სად გაყურებინებთ
ჩემი ხირიმის ხმასაო,
ქიუხში შავაბერტყინებთ,
ციცკრის ხანს ქუჩის ნამსაო.

ცეცხლო, რა ლამაზ ინთები

ცეცხლო, რა ლამაზ ინთები,
ალო, არ ამოხვალაია.
ჯიხვო, ცალარქა ირემო,
ძოვნად არ გამოხვალაია?

ფ ა ნ დ უ რ ი

რამ შამოგთვალა, ფანდურო,
ძახილი მაუწყინარი,
სხვას ყველას საქმეს შევმსწრაღვარ,
წყალი დადგება მდინარი.
არაფერია ქალები,
მაგათ მიმყოლ კაც ვინ არი?
თოფი და ხმალი ვაეებსა,
იმას ჰყვარობდენ წინანი,
ხელზე საფუხარ ჩაეცენეს,
ფეხზე დაეკრნეს რკინანი.
გაჰხედეთ, სერებს გავიდეს
ჯიხვნი რქაჯანგებიანნი,
თან მონადირე მისდევდა
ჯღანზე ფეხწრიაპიანი;
ესროლა, ეერას გამაპრჩა,
დაბრუნდა გულჯავრიანი,
დაჯდა და ბევრი იტირა,
შინ მივა თვალკრემლიანი.

ჯიხვო, საჯიხვეს გორჯედა

ჯიხვო, საჯიხვეს გორჯედა
გასწიე, თორო თენდება,
გზას გიზის მენადირეი,
სიცივისაგან ხერდება,
ჯერ ვერ ას გათენებული,
ნისლის კოტორი ედება,

მოშორდა ნისლის კოტორი,
 ცეცხლის გირკალი ედება.
 ამახე, მთვარის ნალევო,
 ამანათე კლდესაო,
 ჯიხვთ რო გაიგან მწვენილი,
 დღისით სიმაგრეს წევსაო.
 გზას უკრავს მენადირეი,
 ღამეს გაატანს ბნელსაო,
 საგათენებოდ შაუკრავს
 გადასახედსა წვერსაო.
 ჯიხვნი საწოლთკე წასვლასა
 იგებენ ცისკრის შუქითა,
 ქუჩის სძოვენ თვირთვილიანსა,
 მიდიან წყნარის ბიჯითა.
 როსაც წვერს დაეჭრებიან,
 გული უცხროობთ შიშითა:
 გზას კი არ გვეჯდას მოყმეი,
 ქვიშა შავღებათ სისხლითა.
 გაძრივლდა დილის ნიავი,
 ჩამახუიყინებს კლდესაო,
 შაგიტყო, მენადირეო,
 ჭყიტინებს, უცემა ფეხსაო.
 გასწივა სალის კლდისაკედ,
 აღარ ენდობის წვერსაო,
 ჩახენა მენადირემა,
 ჩამაიჭენჯა გულიო,
 სიცივისაგან გავხერდი
 ჯიხვების მაცადურიო.
 გიშველა დილის ნიავემა,
 ახლა ცალია ვბრუნაო¹,
 კიდე ჩამოხოლ ლიხზედა²,
 ეგრ კი ვერ წახოლ სრულაო,
 გული გახქონდას ტყვიასა,
 სულს ღლევედა, ამაშქუნაო.
 სისხლით ძღებოდან ყვარნები,

¹ ხელცარიელი ვბრუნდები.

² საძოვარზე.

ხყედდან სიკვდილის ხმაზეო,
პირიქით ვეთელებოდი
სხეას მენადირეს გზაზეო.
მოყმესა პირშიშველასა
მოვხყევი თოფის ხმაზეო.
ჯიხვო, ყინვაში გაზრდილო,
შამაგყოლია კვალზეო.
საწყალო მენადირეო,
წვალეზა ვის აქვ შენია,
შახდომა გინდა, რას იქამ,
სადაც ყინვრიან წვერია.
გამათხრა თავის ლოგინსა,
ლამე რო იყვას ბნელია,
კლდის ძირში გიგავ ლოგინი,
კლდის ნაწვეთ ჩამაგდენია.
ძილს გიკრთობს ქვიშის წკრიალი,
გულში დარდი გაქვს მტრისაო,
გვერდს გიძევ შენი ბერდანა,
რკინას გულს იხვევ გრილსაო,
ხელი გიკიდავ ჩახმახსა,
იმედ გაქვ როგორც ძმისაო.
საგათენებო მასკვლავი
გორის პირ გარდახრილიო,
მისდევს ქვიშაზე სარტყელი,
ჯიხვების გარდაჭრილიო;
წადი, შასწუხდა დედაი,
გმინს გააყოლა გმინიო.
— რაა სწუხდები, დედაო?
თაოდაც უფერ ჭირიო,
ომი რო ნახას თვალითა,
პირში დარჩების ღმინიო.
ფეხით ვერ წავა ცოცხალი
მტერ გზაში შამაყრილიო.
მელექსეს თუ რას იკითხავთ,
გრანჯაის გამოთქმულიო.

მონადირე და არწივი

მწადიან, შუაუბნელო,
ლექსები დაგიბარაო.
ქაუხ ქორები დაგკივის,
ჩიხვების წყემსო ქალაო:
ახლოს გყავ მენადირეი,
ხელი არ შაუშალაო!
ქარათზე წადგა ხარ-ლადი,
რა კონტად გაიზარაო,
წამაიგძელა კისერი,
რქებ ზურგზე გადიყარაო,
ქვიშაში რქათა ნაგრილი,
მშვილდივით მაიხარაო.
დაბლიდან მენადირემა
ლიშანზე აიყვანაო,
თოფ გატყვრა, ტყვიამ იწივლა,
ჩიხვო. წაგართვა ძალაო,
მალლა წვერებზე გაზდილო,
დაბლა გაჩვენა ქალაო.
შიბშიგით გამაიშალა,
კენესის შურთხების ფარაო;
ფრთა შეკრა მხარკვერიანმა,
რო ელდა დაეტანაო,
შურთხს დაჰკრა, ქალას ჩაგზავნა,
ქვასავით ჩაეფარაო.
ამას შახენა ვაშკაცმა,
შაუქა მკლავის ჯანაო,
უთხრა: „მე და შენ, არწივო,
ღმერთმ ეგრე შამაგვთვალაო,
მოდო. წაილი ნაწილი,
მე მეტს არ წავიტანაო“.
შააზრიალა კლდეები
მოყმის სიმღერის ხმამაო.
ამ ორში ერთი ალლოი
ვერც ერთმ ვერ მაიშალაო,
ორივე საქებარია,
ქებას მეც იმით ვთვალაო.

თავის სოფელთ

ლექს იტყვის იწროხეველი,
ლარს გართავს ჩონგურისასა,
თავის სამშობლოს ალექსებს,
თავს დაბლა დამხრელს მტრისასა.

ვენაცვლე ჩვენებს ბერებსა,
უფროსებს დიდის ხნისასა,
რო დასხდებიან, გვაცნობენ
ამბავსა წინაემისასა.

თავადაც სიჭეილეში
იმედს არ იყენეს სხვისასა.
მემრ ჩვენებ ახალგაზღვები
მფრინავს შალგვანან ცისასა;
რო წავლენ ნადირობადა,
სისხლით მასვრიან ბისნასა¹,
წითლად შალგვანან კლდეებსა
ბისნისას, ჩორეხისასა².

სულმოუთქმელად ისრევენ,
ტყვია რო ხიდად იდვასა,
არ სცილდებოდას ნასრევი,
ტყვია ტყვიაში სთხრიდასა.
აატირებენ დედასა
იმ ჯიხვთა პატრონისასა,
არჩევენ დიდ-დიდ ჯიხვებსა,
თორმეტ-ცამეტის წლისასა,
ჩვენის ხთიშვილის კარზედა
ყონდს³ დასდგმენ ჯიხვთა რქისასა.

ვენაცვლე მაგათ გამზდელსა
ჩვენ სოფელ გიორწმინდასა.
წელზე ორპირებს შაიბმენ,
ძვალს რო მბილივით ჭრიდასა.

მე ვიტყვი: ეგეთ ვაყებსა
კაცმ შორით უნდა ღრიდასა⁴, —

¹ ა). საჯიხვევებია ხევსურეთში.

² გროვა, ზვინი.

⁴ უნდა მოერიდოს.

ან მაეპრების ხელ-ფეხი,¹
ან კარ გაეღებ მიწასა.
ეგ თქვენის გამარჯვებისა,
ვინაც რო ხფიქრობთ ცდისასა.

ჯიხვეზა გადმოაგდეს

ჯიხვთა ნუ ჩასდევ, კვირიკავ,
კურდღელაშვილო, კლდისასა,
გაგიმალლებენ ეშმაკსა,
ნაქარს² დაგცემენ ცისასა,
თანაც შენ ჩაგიყოლებენ,
ჯარს შაგიყრიან რქისასა.
თოფსა ნუ სწირავ, კვირიკავ,
მწყენელსა ბევრის მტრისასა!
ჯერ მტერთა გაუხარდება,
მემრ ჯიხვთა ბანდუხისასა³.
გაიგებს მითხოვლები,
ბეგარს დაგვლებენ ცხვრისასა.

კლდეში ჯიხვს თოფი მიარტყა

კლდეში ჯიხვს თოფი მიარტყა,
კალას ჭახნ იქნეს რქისანი.
დაღამდა, ნისლი დაეცა,
შიბნ ვერ დახელნა კლდისანი,
თვითანაც ჯიხვსა თან ჩაჰყვა,
ჩააჩხრიალნა ქვიშანი.
ქარაფის თავზე შამოსხდენ
ყორანნი მალღის მთისანი,
ესროლა თოფი, გულს დაჰკრა,
აწითებინნა ქვიშანი,
კალაში თოფმა გაჰხვივლა,
ხმან იცნეს სიათისანი.

¹ მოქნეულს ვერ მოზომავს და ან ხელი მოეპრეანება ან ფეხი.

² ნამქერს

³ კლდის სახელია.

მიველ და ქვაბში შავკივლე:
— „რქან მამაწვადენ ჭიხვთანი!“

მეგრელათ ფუნჯია

„ნუ მაჰკლავ, დამბადებელო,
მეგრელათ ფუნჯიასაო,
ჭიხვების პარებაშია
კლდისას ჩაჰჭრია ფხასაო.
სად მიხვალ, შაო ყორანო,
სად მიიხულავ მხარსაო?
ვაჟაკს ნუ გააჯულურებ¹,
წვერ შამამდინარს ყმასაო!
მინდვრით მოსულო ღრუბელო,
ნუ დაუთოვნი მთასაო!
ნუ გაუყინავ, მყინვარო,
ფეხზე ნაცვამსა ჯღანსაო!
ნუ ჩაუხდები, მთვარეო,
ნუ ჩაუბნელებ გზასაო!
ნუ აუტირებ დედასა,
გასათხოვარსა დასაო!

მებრალვი, მენადირეო

მებრალვი, მენადირეო,
დამრჩალო წვეროთ ძირსაო.
თოფიან-ჰოგრიტიანო,
ლამეს ათენებ გრილსაო;
ტოტით გამასთხრი ქვიშასა,
ლოგინს დაიგებ ცივსაო,
პურ ორო გშიოდეს, ვერა სჭამ,
შიგ თვირთვილ გამოდისაო.

¹ ღამაზინჯებ, გასჯიჯენი.

ბ. ი. ზ. ო.

გიგო რომ ნადირობ წაევა,
შინ მივა გაცინებული,
ტყვიანი ვისლა გინახავთ,
გიგოსგან გაციებული.

მ. მ. ჯ. ო. ზ. ი. ე. ნ. ი.

კლექს უნდა უთხრა ახალი,
ვისადაც შესადარია,
მენადირეებს ვალექსებ,
მუხლად ჩაყარნეს გზანია;
ერთურთის მუქარაზედა
წრიაპ არ უძლებს, ჯღანია,
ისრევ რბოლისგან ჯიხვებსა
კლდეში ბჯენისგან რქანია.
დასხედით, ახალგაზღანო!
რო დაისვენათ, ხანია,
აენია მაჰმადიანნი,
თუ ვის შაგაგდესთ თვალნია;
მაში ძნელია, ვაჟებო,
თოფმ რა კლდეს უთხრას ბანია,
ხილად ისხმოდან ტყვიანი,
ჟღერებლო ჭებდას დარია.
ბევრას ანატრეს ვაშკაცსა
მასატოლებნა¹ ქვანია,
ბევრა აბლუნეს ტოტითა,
ბევრას ანატრეს წყალია;
ბევრას კი დაშჩა მძებნელი,
მაგრა გაბანდა ჯღანია;
ერთაის მაკვლომაზედა
ბევრამ შასწირა სამია,
მაგრამ რას იქამს ძებნაი,
ვინ ამამდგარა მკვდარია?
ეგ თქვენდ ას, ახალგაზღანო,

¹ მოსაფარად.

აწ წინავე ნაუბარია.
 წინათ უყვარდა ხირიმი,
 ყონდაყზე სპილოს ძვალთა;
 ბევრჯერ იძინეს ტოტითა¹
 ნარღვევთ გორისას გზანთა;
 ბევრამ კი შასვა დილითა
 კალატის წვერზე წყალთა;
 ჭაუხნ აძლევდეს ნიავსა,
 ოფლი სდის გულ-მდუღარითა;
 ბევრჯერ ახყარეს ლაშქარი,
 საფარში ჩამამსხდარითა,
 ჯერც იქავ ხქვიან სახელი
 სახარეს ნაომარითა.
 ბევრგან კი სწერავ სალ კლდესა
 ხირიმის ნატყვიარითა.
 მინდიავე, ზომიზურათ,
 ღმერთმა გაცხონათ მკვდარნითა!
 ერთთუთის მემჯობისა²
 შეეხოცენით ძმანთა.

მონადირის სიზმართი

ოხერო ჩვენო ტერლათ,
 მიჯნათ ქისტებისათ,
 წინიღვე³ ძალით ნაჭერო
 ჩვენების ვაყებისათ!
 შიბ-წვერო გასახედათ,
 მაგლილო ჯიხვებისათ!
 პირ-იქითისკე შავ-წყალთ⁴,
 ფერი გქე სიმაგრისათ.
 გარმადის არხოტივნიბი,
 სანადიროო სხვისათ.
 შამაგიარეს, შავ-წყალთ,
 ბოლოო გორებისათ.

¹ ე. ი. ბნელ ღამეში ბევრჯერ უძებნიათ ხელის ფათურით გზა

² ჯობნაზე.

³ ძველი ღროიდან მოყოლებული.

⁴ საჯიხვეა ქისტეთის მხარეს.

გიგიამა და ადუამ
ფერი დაიდევს მგლისაო...
მაგაწიოკნესთ, ჯიხვებო,
არ დაგიფარესთ სხვისაო.
ჩემსამც მაუვა დამწყევსა
ხიფათი ეშმაკისაო!
ამხანაგს თოფი მოუხვდა,
დღე დადგა ცოდო-ბრლისაო.
მარტიათი ადუა
დასანანები მტრისაო.
ნადირ კი არ მალგონდების,
აგდებს გულისგან გმინსაო.
ოდინათასა გიგიას
გული სდებიყო ქვისაო, —
იქავ თოფევედა ნადირთა,
ვითამ სრუ არა სკირსაო.
მამრჩალან რა-ხელს ალაგსა,
შავ-წყალ, ი წვერის ძირსაო.
ზედ ესწრებოდა ღამეი,
ხანია ბნელობისაო.
ეგრე ითრევენ ერთურთსა
დღედა რო თავის შვილსაო.
მამრჩალან ველი-ველადა,
ეხ¹ ვერ უპოვნავ კლდისაო.
გათენებს ტალიკანაი,
დიდო ღამეო, სთვლისაო.
ამახე, ნულარ ლგვიანობ,
ცისკარო თენებისაო!
მაგივას ცის-პირ-ძვრისადა,
სოფელო ქისტებისაო.

ამაგის მალექსებელი
საბოსლოს კარში ზისაო,
ხელში უჭირავ ფანდური,
ლექსებს ადვილად თვლისაო...

¹ გამოქვაბული.

მონაღირე.

ბიჭი ვარ გოგიტაული,
თოფი მაგდია მხრიანი,
აწყვერში დავიარები,
როგორც ირემი რქიანი,
ნადირსა ვწყვიტამ, მუსრს ვავლებ.
არ გადმირჩება ფხიანი,
ვეფხვი, ფოცხვერი, მგელ-კაცა,
პირგაბლეშკილი, ღიანი.
ერთ დღეს დათვს თოფი ვესროლემ,
დაიწყო დიდი ღრიალი,
მომვარდა, ტოტი შემომკრა,
ქოჩორზე შევექენ ტრიალი,
ზედ შემჯდა, ბეჭი მომტეხა
დამიწყო ტანმა ჟრიალი,
სატევარს ხელი გავიკარ,
ღლიას ვჰკარ, შექმნა წიალი.
იმან მე ჩემი დამმართა,
არ ვებრალევი ბევრსაო,
დათვსაც ვაი დაეყარა,
გარდაკვდა იმავე დღესაო;
ქალებსა გახარებოდათ,
დათვი მოგვიკლა ტყისაო,
ალარც მოგვიჭამს ჟოლოსა,
არც მოცხარს, არცა თხილსაო.

დათვმა თქვა

დათვმა თქვა ბაბურშანელმა:
— ჭალა შავქამე სხლიანი,
გავხედე, შამოვიდოდა
ბატარა მშვილდ-ისრიანი;
ტოტით მე, ისრით იმანა
დღე დავალამეთ მზიანი;
დაღამდა, დავინარჩუნე,
გალო¹ გამოვხარ წვნიანი.

¹ მთლიანი ფეხი.

დათვის სიზმარი

დათვა თქვა: სიზმარი ვნახე,
რაც რო თავ გადამხდებოდა,
სიმინდი ბევრი შავქამე,
ესვლიძე, ვინ მიმიხვდებოდა?
შელორის ტყეში წაველი,
იქ ღორი მეგულეობდა,
ერთი ბურვაკი შავქამე,
ვიცოდი, არ შამრჩებოდა.
სოფლი ბოლოს რო ჩამოველ,
სოფელი ჩოჩქოლდებოდა,
ლამაზ-ლამაზი მწევრები
ფეხის ფრჩხილებზე დგებოდნ,
ლამაზ-ლამაზი ბიჭები
თოფ-იარაღში სხდებოდა.
გამიგდეს ისეთ მინდორზე,
თვალის ვერ გაუწვდებოდა,
ჩამაგდეს ისეთ ხეხუფში,
ქორიც ვერ ჩაფრინდებოდა,
დამაზილეს ბევრი ტყვია,
სიკვდილიც მამწყურდებოდა,
შიგ დადგა სისხლის მორევი,
ზედ ნავი მოცურდებოდა.
მოფრინდა ყვავი-ყორანი,
სვამდენ და არ ილეოდა,
ორბებმა გამინაწილეს,
სვავი ძვალ-ძულით ძლებოდა.

მელიას ჩივილი

ესო, მესო,
მელა ჩიოდესო:
— გამიგდეს და გამომიგდეს,
სოროს შემაგდესო,
შემომიბოლესო,
შიგ გამომადრჩვესო,

კავი შემოყვესო,
გამომათრიესო,
შინ ამიტანესო,
მალლა დამკიდესო,
ჩამომატყავესო,
ურემს დამიდესო,
ამატარეს, ჩამატარეს,
ფასი ძლივს დამდესო,
წვრილად დამკუწესო,
ქათიბს დამიდესო!

თოფა თქვა

თოფმა თქვა: ჩემსა პატრონსა
ჩემს უკეთესი რა ჰქონდა,
ზედ მესხა ვერცხლის ჩახმახი
და ოქრო უბით დამქონდა;
ჩემი ნახოცი ნადირი
ყვავსა და ყორანს გაჰქონდა;
ერთი ისეთი თხა მოვკალ,
შვიდი მტკაველი რქა ჰქონდა!

მოყმეთ

მოყმეთ რად გეხალისებისტ
მალლა გამავლა მთებისა,
ჩახოცა შუნ-ჯიხვებისა,
გირჯად ჩაწყობა რქებისა?

მონადირის თოფი

აბეჩავ, ჩემო ხირიმო,
თოფო, ხარ მეტად ხმიანი,
ბევრა გიხოცავ ჯიხვები,
მანძილა რქაჯანგიანი!

ბევრგან კი ხყრია შიბუსა,
ხირიმო, შენნი ტყვიანი!
ბევრაის ჯიხვის დამცემო,
ხარ მუდამ სახელიანი.

ხ ი რ ი მ ო ს ა ნ ს

შენი კარიმე, შენიო,
აბრეშუმს გიგავ წვერიო;
მთაში გიხოცავ ნადირი,
ქალაის პირსა შველიო;
კარგის დედაის შვილი ხარ,
იმისი გაძე ფერიო;
ხელში გიჭეკრავ ხირიმი,
თავით ბოლომდე კრელიო.

პ ა ტ რ ო ნ ი ლ ა თ ო ფ ი

პ ა ტ რ ო ნ ი

თოფო, გემდური, სიათავ,
უხორცოდ დაგდებისათვის,
უნდა მჭედელთან წაგილო,
სახნისზე დადებისათვის!

თ ო ფ ი

ეს ერთი დანაშაული
მეც მაპატიე ღვთისათვის,
წამალი გამომიცვალე,
წამილე ნადირისათვის,
იმდენს დაგიხოც ნადირსა,
ჰლონობდე წალეებისათვის!

ნ ა დ ი რ ი, მ ე ნ ა დ ი რ ე ო

ნადირი, მენადირეო,
გან თუ სრუ გებედებისა:

ახლა ვერ მახკალ, კვლავ მახკლავ,
აუგ არ დაგედღებისა.

რას დასდევ ნადირობასა

რას დასდევ ნადირობასა?
გამოგიხტება შველია,
გაცრუებული წამოხვალ,
გაწუწული და სველია.

ქალო, რას გამოგადგება

ქალო, რას გამოგადგება
მონადირისა ცოლობა:
გაეშო თბილი ლოგინი,
ნისლიან მთასა სწოლოდა.

ლექსობა უნდა დავიწყა

ლექსობა უნდა დავიწყა,
რა.კა დაგვიდგა ზამთარი,
სამ-სამთა მენადირეთა
ხელში აიღეს აბჯარი,
სრუ ყველა კარგა გავიგი
თქვენი ვაჟურა ნაქნარი:
სრუ მირგვლივ შამოგივლავისთ
ბისნა, ჩორეხი, შავწყალი.
შორით იჭერენ ნადირსა,
ახლოს არ მოდის ჭაქანი.
ერთმანეთს ეუბნებიან:
წვერიმც არ იყვა მალალი,
არცაით მისავალი გვაქვ,
აჩინდეს ჯიხვის თავ-რქანი.
ბეწიწიას დვირბინსა
კარგა არ უქრის ცალთვალი,
წილთ ყრიან მეთოფეები,

გიგოლისად ას ნარგალი¹.
 ამაში ერთიც ვეყოფით,
 რად უნდან ორ-ორ, სამ-სამნი.
 ბურძგლა ტერლის კარ ჩაუჭდა,
 გულისგან გააქვ კანკალი;
 ოჯახის სათიბეთანა
 ბეწიწია ხყავ ჩამჭდარი,
 ყურს აძლევს ბეწიწიაი,
 რო მავლენ თოფის რახვანი.
 გიგოლის თოფიც გავარდა
 ერცხვას² დაასკდა მთა-ბარი,
 ხმამაღალ კივილ დაიწყო:
 ჭიხვო, კინალაც მაგკალი!
 ტყვიას ნადირსთან რა უნდა,
 სხვას გორზე იყო ნათხარი,
 მაგოდენ მიღმარობასა
 კიდევ გათავდა საგზალი.
 ჭალაში შეიყრებიან,
 გადაერივნეს ჟამკარი,
 დვირბინის თვალში ჩახედეს,
 არხოტის მხარეც აქ არი.
 ამჟორიტისკე წამოვლენ,
 მზეი წყალს იყო გამხდარი,
 ნანუკა მეეგებების,
 გულკეთილია საწყალი.
 შაშჩივლეს დაღონებაი:
 გვაკლიყო სადილ-სამხარი. -
 იქავ დაბრუნვაი ღკულავ,
 — მოგვეცი პური, სატანი³,
 საჩქარო უნდა წავიდათ,
 დავკერი ორ-ორ, სამ-სამი.
 სამთავ ფეხებზე დაიკრეს
 თავის წრიაპის ნაჯღანი.
 მეორედ შამააკლდების
 საგზალი წამანატანი,
 ღიღღოსკე დაბრუნდებიან,

¹ ე. ი. გიგოლას ერგო წილი.

² ერთიმეორეს.

³ ყველი.

აღარაია საქნარი.
დუქეში მეზოსლეებსა
კაცი ესტუმრა სამ-სამი,
იქ ხყვანდა დილღელის ქალები,
იმასთან ნადირ რა არი.
მეორეს დილას შინისკე
გამაიტანეს წანწალი,
დაღნანდა, ტირილ დაიწყეს,
პური ტყუილა ნაჭამი.
მე იმას გირჩევთ, შინ დასხდეთ,
გასცვითეთ ფეხის ქალმანი.
მელექსეს ვერას გაიგებთ,
ხად ვისგან არი ნათქვამი.



გ უ თ ნ უ რ ი

გ უ თ ა ნ ო

შენი ჰირიმე, გუთანო,
მაგ შენი მრულე ყელისა,
წამოუწვები გვერდზედა,
აღება იცი ველისა.
შენა ხარ პურის მომყვანი,
დამძველებელი ქერისა!

შენი ჰირიმე, გუთანო

შენი ჰირიმე, გუთანო,
პური მაჭამე მუდამო.

შენი მიყოლა

გუთანო, შენი ჰირიმე!
შენი მიყოლა ძნელია,

ვინც შენ მოგყვება, გუთანო,
პური აქვს ძველისძველია.

შენ აჭმევ პურსა

შენი ჭირიბე, გუთანო,
გათლილო სუფთა ხისაო,
შენ აჭმევ პურსა ცოცხალსა,
დამმარხველი ხარ მკედრისაო.

დილა აღრიან გამოველ

დილა აღრიან გამოველ,
ცას გადავაველე თვალია,
მიველ და საქმეს დავადექ,
ცულს დავუჭირე ტარია.
გუთან გავმართე, შევაბი
შვიდი უღელი ხარია,
ოროველა დავიძახე,
მოეხანი ნაფუზვარია,
პური ბევრი მომივიდა,
მტერს დაუბრმავდეს თვალია.

მადლიანია გუთანი

მადლიანია გუთანი,
ფეხდაფეხ დასდევს უფალი,
კაცის გამფუჭებელია
ის სატიאלო დუქიანი.

ჩვენ ხელთ არი

ღმერთმა მოგვცა მიწა-წყალი,
გუთნისდედა, მეხრე, ხარი,
პური, ქერი, ფეტვ-სიმინდი,
მათი თესვა ჩვენ ხელთ არი.

სალამიო გუთან მიყვარს

სალამიო გუთან მიყვარს,
ზედ დაჯდომა, მეხრეობა.
ასეთ ნაჩხატს¹ მოუკიდე,
ბუსნარში² არ ირჩეოდა;
გუთნისდედას გაუჭირდა,
ხელკუდს³ მალლა ეწეოდა:
ქეჩიანი ყოფილიყო,
საკვეთლის წვერს ეხვეოდა.

სახნისმა თქვა

სახნისმა თქვა: ქვესკნელს დავალ,
მზისა შუქი მენატრება;
საკვეთელმა გაიგონა:
— ჩემზე მეტი შენ რა გხვდება?
მეტისმეტი წინძლოლითა
წინა კბილი არა მრჩება.
ეს ჯამბარამ გაიგონა:
— ჩემზე მეტი თქვენ რა გხვდებათ?
ავდარია, მე დავლბები,
დარი ცეცხლად მომედება.
ეს ხარებმა გაიგონეს:
— ჩვენზე მეტი თქვენ რა გხვდებათ?

¹ უხნავი მიწა; ტყის გაჩეხვიან შედეგად გაკეთებული სახნავი, ახო.

² ბალახიანი კორდი.

³ გუთნის ნაწილი.

დაგვადებენ მძიმე უღელს,
ზედაც მებრე დაგვიჯდება,
ჩაგვიყრიან შინდის ტაბიკს,
არ გასწიო, არ იქნება.
ის ურჯულო გუთნისდედა
ქვეშ-ქვეშ გამოიყურება,
იმას არ ეტყვის მებრესა,
უღივრობა არ იქნება.

ორხელა და გუთანი

ორ ხ ე ლ ა

ორხელამ! შემოგითვალა:
გუთანო, პური მშიანო,
თუ გქონდეს, გამომიგზავნე,
გადახდა შემიძლიანო.

გ უ თ ა ნ ი

საჭრეთლით დახვრეტილი ხარ,
არ გირევია სატეხე,
მუდამ ნარბილში გაძვრები,
ერთხელ ყამირი გატეხე;
მაშინ სად იყავ, ორხელავ,
მე რომ ძეძენარი გავტეხე?!

ასე ჰგონია ღუშმანსა

ასე ჰგონია ღუშმანსა,
არცა ხენენ, არცა თესვენო,
არცა უბიათ ხარები,
არცა კალოსა ლეწვენო.

¹ გუთნას ერთი სახეობა, სახენელი იარაღი.

ხარმა იცვალა მხარია

ხარმა იცვალა მხარია,
ლმერთო, შენ დაგვეხმარია!
გუთნეულს მიეც ძალია;
მტერს დაუყენე თვალა!
საქორწილო პური ვაცხოთ,
გადავიცილოთ ვალა.

ზედაობითა, გუთანო

ზედაობითა, გუთანო,
კვალი არ გაგიტანია,
გავიდეთ და გამოვიდეთ,
საცაა წასვლის ხანია.

გამარჯვებულმა გუთანმა

გამარჯვებულმა გუთანმა
სამოცდასამი იარა,
ნეტა ან რა ხარმა გასძლო,
და ან რა მეხრემ იარა?!

მე რომ ჩემს ამბავს მოგიყვე

მე რომ ჩემს ამბავს მოგიყვე,
იტყვი: „ვაი, შენი ბრალი!“
მეზობელს გუთანი ება,
შიგ შევუბი ერთი ხარი!
შვიდი დღისა თითონა ხნა,
არ გამივლო ერთი კვალი,
პარასკევს შემატყობინა:
„...შაბათს შენი ალო არი!“
მეხრეები დაარიგა:

„გვიან მოლაღვეით ხარი!“
ერთი დღისა მზრალი მქონდა,
ერთი დღისაც ფეტვი ვხანი,
ჩემ ბედად ღმერთი გამიწყრა,
არ ეღირსა ციდან ნამი.

ადრე და ნელად

თუ რას აგმტერდეს სოფელი,
ხარ ქერხოს¹ შაუტივიდი.
ადრე გააბი გუთანი,
წუხრ ნელა გაუტივიდი².

უნდა შევაბა ხარები

უნდა შევაბა ხარები,
დავძახო ოროველაო,
სადაც კი მინდორი არის,
უნდა გადავხნა ყველაო.

გუთნისდელას რა აცხონებს

გუთნისდელას რა აცხონებს,
რა შეიყვანს საყდარშია,
შავი კამეჩების ცოდო
უხვევია კალთაშია,
კაი დარში თითონა ხნავს,
მეხრეს უხნავს აედარშია.

¹ ხევსურული სახლის ზედა სართული.

² საღამოზე გვიან გაუშვი ხოლმე.

გუთნისდელა და მოღვაში

გუთნისდელა და მოღვაში
დადიან უბან-უბანა:

- უნდა შევებათ გუთანი,
საყვარელია მუღამა.

ახალსა გუთნისდელასა

ახალსა გუთნისდელასა
ხარი დაუღის ნებასა,
ეგრე გავა და გამოვა,
ერთხელ არ ეტყვის „ზედასა“!

მ ე ხ რ ე მ

მეხრეო, ხართა მლაღვო,
ნიადაგ მოუღალავო!

ღამის მეხრე ვარ

ღამის მეხრე ვარ, ტლუ ბიჭი:
ნაბადში გახვეულია,
ორი უღელი ხარი მყავ,
უნდა ვხნა ანეულია.
წაველ და ტყეში დავხანი,
შიგ ამოვწყვიტე ხარია,
დავთესე, აღარ მოვიდა,
გოლვა დამიდგა, დარია.
და იქვე ისევ გავთალე
სამოცი ადლი დარია,
ავდექ და აქეთ მოუგდე,
ალაზანი და მტკვარია.

¹ გუთანი თუ ზედაპირულად ხნავს, გუთნის დელა ეტყვის „ზედა ზედაო“, მეხრე გუთნია მხარს დააწეება ფეხით და გუთანი ღრმა კვალს გაავლებს.

მეორე დილას გავხედე,
ყანას უქნია ტანია.
დავჯექი, გავლესე ნამგალი,
მაგრა დავაგე ტარია.
მესამე დილას გავხედე,
შემოხვეოდა კალია;
მაშინ მოველი გულზედა,
მოვგლიჯე თივის სარია,
შამაუქნეი კალიას,
შემოვაგლიჯე თავია;
მიველ, კბილები ვუშინჯე,
ის მიწადასაყარია.
კბილები ჰქონდა ისეთი,
როგორც ალმასი ხმალია,
ვაიმე, რაზე შემქამდა
ღმერთო, შენ დამიფარია!

მეხრევ, ნუ დაგეძინება

მეხრევ, ნუ დაგეძინება,
მაგ თელის უღელზედაო,
თორემ გოროხი წამოვა,
მოგხვდება ზედი-ზედაო.

ტოროლას მაინც არ მოვკლავ:

ტოროლას მაინც არ მოვკლავ,
ბევრიც რო მქონდეს წამალი,
საწყალი ღამის მეხრისა
ის არის კარგი მამალი.

ხარმა თქვა

ხარმა თქვა: ხარი ვერ მომკლავს,
თუ მეხრე მიდგა ღვთიანი,

ხშირ-ხშირად უნდა დამძახოს
სიმღერა ლაზათიანი.

ხარო, ხარი ვინ დაგარქო

ხარო, ხარი ვინ დაგარქო,
ხარო, სახე მშვენიერო,
ჩვენ ნუგეშად მოვლენილო,
ქედნაკურთხო, ღონიერო!

ხარო, დადგა მაისი

ხარო, დადგა მაისი,
ახლა ხორციტ გაივსი.
წყალია და ბალახი,
გასუქდი და გალალდი.

ნიკორამ უთხრა ლაღასა

ნიკორამ უთხრა ლაღასა:
— ლაღავ, ნუ სჩადი მაგასა;
შაგიტყობს შენი პატრონი,
უღელს გაგითლის მაგარსა;
გაგითლის კაი სახრესა,
ამოგკრავს მაგარ-მაგარსა;
თივა-ქერს აღარ გაღირსებს,
მოგიყრის ნაცარ-ნაგავსა!

პირნათელი

ხარმა თქვა, პირმა ნათელმა:
გამოვათავე ალოო,
ახლა შინისკენ მივდივარ,
უნდა გავმართო კალოო.

ლომა

ხუთ უღელს ხარს და კამეჩში.
გამოგარჩიე, ლომო,
მეუღლემ ვერ გაგიწია,
მე რა ვქნა საბრალომოდ?

ომამო, ხარო

ომამო, ხარო ხთისია,
ჯერ რა დროს დავარდნისია,
შენ გატყობ, უზნავს დამაგდებ,
ჩამაგდებ ჯალაფთ პირშია.
ეს ჩალა ამოდენია,
თივა ნათიბი მთისია.
შენს პატრონს გრილშია სძინავს,
როცა ცხელ თიბა-მკისია.

ორშაბათობით აშენდა

ორშაბათობით აშენდა
ციხე-ქალაქი მთაზედა,
ქვა შემოივლო გალავნად,
ცა დაიხურა თავზედა,
სასახლე, სადარბაზეი
დგას ოქროს ბოძობაზედა.
ადამიანის შენახვა
ვერავინ იღვა თავზედა.
ხენა-თესვა, ფარცხვა და ზიდვა
გაჭირდა მეტად ძალზედა.
ხარმა თქვა პირნათლიერმა,
მე დამაწერეთ რქაზედა.
მოცვივდნენ ანგელოზები,
დაპკოცნეს ორსავ თვალზედა.
ჩამოჰქნეს წყვილი სანთელი,
მიაკრეს ორსავ რქაზედა,

შვიდიც უბოძეს სარტყელი,
გაგზავნეს ქვეყანაზედა.
წადი, ხარო, იმუშავე
ერთგულად მთა და ბარზედა;
შეგაბას შენმა პატრონმა,
გამუშავებდეს ძალზედა,
ექვსი დღე უღელში ები,
მეწვიდეს დაწექ მხარზედა,
კვირა-უქმეს გამოგიშვას,
გაგიშვას საძოვარზედა,
ვინც კვირა უქმეს შეგაბას,
ხელიმც შეახმეს მკლავზედა.
ხარმა შესტირა გამჩენსა
მარგალიტისა ცრემლითა:
— მიშველე, ჩემო გამჩენო,
სისხლი მომადგა ყელშია,
შემაბმენ პირუბანელნი,
სახრეს მიშენენ წელშია.
გუთნისდედისა ხენაშია
სახრე გადმომკრეს თავშია,
დაჩოქილი შემოგბლავი
მალლა მეუფეს ცაშია:
მიყრიან რკინის ტაბიქსა,
მეგრიხებიან ყელზედა,
არ მემართლება, მეუფევ,
ავაგო რქისა წვერზედა?
— აქედან როგორ გიშველო,
მეც მაგინებენ ცაშია.
მე მაშინ მოგეშველები,
რომ მოვლენ სამართალშია.
დავადგამ რკინის უღელსა:
შევგზავნი ჯოჯოხეთშია,
გველსა ტაბიკად უყრიდე,
იკლანჭებოდნენ წელშია,
წინ ეშმაკებს გაუმძღვარებ,
ჩავრეკავ კუპრიელშია.

თ ო ხ ნ უ რ ი

ვთოხნოთ და ვთოხნოთ

ვთოხნოთ და ვთოხნოთ სიმინდი,
მაღლე ყანის მკაც მოვლო,
ჩვენსა იქნება სიმღერა,
მტერთან კი დიდი გლოვო.

დამწკრივებულან ქალები

დამწკრივებულან ქალები
სიმინდის სათოხნელადა,
ლოყები დასწითლებიათ
ბიჭების საკოცნელადა.

დავთოხნოთ, ძმებო, ვენახი

დავთოხნოთ, ძმებო, ვენახი,
ლამაზად შეკაზმულია,
ღრმათაც ჩავეშვათ თოხები,
სიმღერები ვთქვათ ძმურია.

აღალსა, აღალ მუზასა

აღალსა, აღალ მუშასა,
აღალი სული ამოსდის,
ერთი დღის ნამუშევარსა,
ერთი წლის სარჩო გამოსდის.

ბატივი მუზას

ბატონო, შენი სასახლე
შაღგავ¹, ქალაქის ქუჩასა.

¹ ჰგავს.

შენც კარგად მაგეხსეხების,
პატივი უნდა მუშასა.

ს ა მ კ ა ლ ი

გლესავ და გლესავ, ნამგალო

გლესავ და გლესავ, ნამგალო,
ნამგალო, ჩემო რკინაო,
ქასური სალესავითა
ნამგალო, ჩემო რკინაო.
გაგლესავ და მიგაყუდებ,
ნამგალო, ჩემო რკინაო,
აგიღებ და გათამაშებ,
ნამგალო, ჩემო რკინაო,
გასკერ, გამიძებ წინაო,
ნამგალო, ჩემო რკინაო.
ჰარალი-ჰარიალალო,
ნამგალო, ჩემო რკინაო.

გამიძებ, ლეგა ნამგალო

გამიძებ, ლეგა ნამგალო,
ჟანგს შეუჭმიხარ, ტიალო,
თუ ახლა არ მასახელე,
როდისღა დაგატრიალო?

ჩემი ნამგალი

ჩემი ნამგალი ბზინავსო,
შენსა ნამგალსა სძინავსო.

ნ ა მ გ ა ლ ა ს

ნამგალას ბიბინაურსა
პირი მიუგავს ღულოსა,

ორსავე ერთად გამოიტანს,
ხელეურსა და ულოსა.

მაშინ დამძახე

მაშინ დამძახე, გუგულო,
ჰოპუნა დავაგუგუნო.

ჟანაო, ფათალიანო

ჟანაო, ფათალიანო,
ბიჭებიც აქ არიანო,
სიმღერა დავაგუგუნოთ,
ნამგლები აუაღრიალოთ.
ბიჭო, გამოჰკარ მარაგი,
აახმაურე ხელიო,
რკინის უღელი გადასდე,
ჟანას გამოსჰკერ ყელიო.

ჟანას უნდა

ჟანას უნდა ბაგი-ბუგი,
ომი გადასავალია,
ჟანა იყოს მოსამკალი,
თორო ბიჭი მრავალია.

აგერ მოდის

აგერ მოდის თეთრი ცხენი,
იმას უნდა ბეერი ქერი;
ჟანის მკაში ვერ მაჯობებ,
გინდა გეზას რკინის ხელი.

მესვეური გაგვეპარა

მესვეური გაგვეპარა,
ყანას გამოსჭრა ყელით,
გადაუგრიხა კისერი,
დაატყო თავის ხელით.

ქარბაღ ჰრის

წამავე სამთაჩიგოდა,
ყანა არ ვიცი, სად არი,
სათავეს გადამახდინეს:
ქარბაღ ჰრის შენი ნამგალი.

ყანაო, ბარდალიანო

ყანაო, ბარდალიანო,
ბიჭები სად არიანო?
თავსა და ბოლოს წასულან,
ჰოპუნას დასძახიანო.

მომცლარი ყანა

იმ დალეულსა ყანასა
რად უნდა ჩახედულობა?
წამკა უნდა და წამომკა,
ნამგალთა მალესულობა.

ბიჭებო, გარეჯელებო

ბიჭებო, გარეჯელებო,
ხმა თქვენი ჩამოდიოდა,
თქვენი ნამგლების წყრიალი
წყალგაღმა გამოდიოდა.

შირაქში ვიყავ, სწორებო,
მზე წითლად ამოდიოდა,
მე იქ რა დამაყენებდა,
თქვენნი ხმა არ მომდიოდა.

ძირში მოუსვი

ძირში მოუსვი ნამგალი,
თორე თავთავი ცვივაო,
პატარა გოგოს დაეხსენ,
ცრემლები ჩამოსცვივაო.

სამკალშია შევიწიე

სამკალშია შევიწიე
ეს სოფლის გოგო-ქალიო;
ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ,
ძნა დავდგი დიდი ძალიო.
ყველაზე კარგადა მკიდა
ოთარას პატარძალიო,
მაგრამ ჯობნიდა მკაშია
ი გლახის ტურფა ქალიო;
ლოყები დასწითლებოდა,
როგორც რო ნაკვერჩხალიო,
იმან მიჩხვლიტა გულშია,
ზედ დამრჩა ორივ თვალიო,
თუ ცოლად არ წამომყვება,
სხვა ნუ მელირსოს ქალიო.

მოგალნი ქალნი

მზე მივიდა გორის პირსა,
ქალნი მარჩეს ყანის პირა,
„ეს ყანა თუ არ გავმკევით,
დედა არ მიგვიშობს შინა“.

აზამბარელი მომკალი

— აზამბარელი მომკალი
ქალმა შენ მაჰკალ, იამა.
— არცა მე მავეკალ, არც შენა,
მინდორმა მაჰკლა ტიალმა.

სოფლის ბოლოს

სოფლის ბოლოს ყანას ვმკიდი,
ნამგალს გაჰქონდა ჟრიალი,
სამხარი გადმოგვიტანეთ
ეგ'ოხერი და ტიალი.

ვენახსა განაპირასა

ვენახსა განაპირასა
ჩაურიგებენ მანასა,
ვინც ღვინოს დაგვალევინებს,
იმას მოვუმიკით ყანასა.

ჯ ე ჯ ი ლ ო

ჯეჯილო, ნაზად აზრდილო,
გიხდება ულვაშ-წვერია;
მაგრამ თან დაგდევნებია
ყოველი შენი მტერია.
შენ ჩრდილქვეშ გამოგიზრდია
ქიალუა და მწერია;
თეთრად მოსულხარ, მწიფედა,
თავს გადგას ნამგლით მმკელია;
მკლავზე აწყობენ ხელეურს,
თან მოგდევს კონის მკვრელია;
კალოზე რომ მოგიტანენ,
იქ გელის ხმელი კევრია;
ცხენები გამოჰიმული,
ხარი, კამეჩი ბევრია;

არნადით შეგაგროვებენ,
ცოცხით შემგველი ბევრია,
გეხვევა ხალხი მრავალი —
მღვდელი, ბერი და ერია!
პურო, უფლისგან ნაკურთხო,
სუყველა შენი მტერია,
პურო, შენა ხარ ქებული,
გაქვს კაი საძირკველია,
უშენოდ სახლი არ ვარგა,
შენა ხარ მასპინძელია.

ასლი

ასლო, სამკალად ლამაზო,
სახვევედ ბარაქიანო,
ფქვაში წისქვილის მამშლელო,
საქმელად თავლაფიანო!

ქალთური

შენ, დილის მზეო

შენ, დილის მზეო, ლამაზო,
ბრწყინვალეც, სხივებიანო,
კალოზე ყანა გავშალე,
ამო, არ დაიგვიანო.

ზენა ქარო

შენ ამოდი, ზენა ქარო,
უნდა ხვაეი ვახორხარო,
გამოვაცხო თბილი პური,
ყმაწვილები დავახარო.

ორთითი და ფიწალიო

ორთითი და ფიწალიო,
ყოველ საქმეს ვისწავლიო,
ოფლით მქონდეს ტკბილი ლუკმა,
ვიშრომებ და ვისწავლიო.

უღელი ხარი ვიყიდე

უღელი ხარი ვიყიდე,
ყანა ავიზიარეო;
მოეზანი. პური მოვიდა,
კევრი დავაბზიალეო.

ს ა ვ ე ნ ა ხ ი

დიდ ვენახში

დიდ ვენახში მივდიოდი
ბართა და ნიჩაბითა,
ზევით ბაგამ¹ დამიძახა,
აქ მობრძანდი, მე რა გითხრა:
შენ სასუქი მომიშაღე
თითო ჯინი თითო ძირსა,
ისეთ მტევანს გავიკეთებ,
არ ჩავიდეს გოდრის პირსა.
ხანდოხან შემოხვიდოდე,
ღიმი მოგდიოდეს პირსა,
საგაისოდ მომიკითხე
სამამულე ჩემი რქისა,
საწნახელი მომიშაღე,
პირი მოუღესე რძითა.
თალარი კარგი დამიდგი,
იყოს ორმოცი კოკისა,
ისე გაგივსებ ქვევრებსა,

¹ ახალშენი ვენახი.

ცვარი აღარ გედგას სხვისა,
უცხო და უცხო სტუმრები
გორაობდნენ ცეცხლის პირსა,
სულ დაგითრობ მეზობლებსა,
ველარ გადიოდნენ ხიდსა,
ჭირი ბევრი მოგაშორო
და სირცხვილი მეზობლისა.

სიმღერა ბარვის ღროს

გოგოვ, გოგოვ, შავთვალაო — ჰეო,
ნეტა რას იმალებიო — ჰეო,
მაჰანკალთან ნუ წამიყვან — ჰეო,
რატო არ გებრალებიო — ჰეო,
ჩაგაცმევ და გაგახარებ — ჰეო,
არაფერს არ მოგაკლებო — ჰეო,
გულს ცეცხლივით აგენტები — ჰეო,
მალამოდ დაგედებიო — ჰეო,
დედაშენს შეატყობინე — ჰეო,
შენი მზითვევი არ მინდა — ჰეო,
ოლონდ შენი ჩრდილი მომცა — ჰეო,
იმასაც დაეჯერდებიო — ჰეო,
გოგო, გოგოვ, გენაცვალე — ჰეო,
სანთელივით ნუ დამადნე — ჰეო,
თორემ მიწა მომერევა — ჰეო,
ბელტს ველარ გადავაბრუნებ — ჰეო,
ვაზი ღვინოს აღარ მოგვცემს — ჰეო,
გუნება წაგვიხდებაო — ჰეო,
საწნახელი კრუხის ბუდედ — ჰეო,
გადაიქცევააო და — ჰეო,
გოგოვ, კიდევ გენაცვალე — ჰეო.

შენ, ჩემო კარის ვენახო

— შენ, ჩემო კარის ვენახო!
რა დიდი რთველი გდიოდა,
გცემდი და გიბრაგუნებდი,
წვეთი არ გამოგდიოდა!

— არ იცი ბარი, ნიჩაბი,
ნეხვი არ შემომდიოდა,
შენ რომ სტუმარი მოგდევდა,
მე ცხარე ოფლი მდიოდა!

ნარიმან, შენსა ვენახსა

ნარიმან, შენსა ვენახსა
ჭიგო უდგია მსხლისაო,
რაც მისგან ღვინო გამოვა,
ნახევარია სხვისაო.

დამდეგ ენკენისთვისასა

დამდეგ ენკენისთვისასა
ვენახში გორავს კალათა,
დაუთრობელი არ წაველ,
თუ გინდ გამაგდო ძალათა.

ხის წვეროში

ხის წვეროში ჩიტი გჰამდა,
გიდლით ჩამოგიტანეო;
საწნახელში რომ ჩაგყარე,
ფეხით გამოგიყვანეო;
ქვევრები რომ გაგირეცხე,
ჩაფით გამოგიტანეო;
ამდენი შრომა გაეწიე,
მაინც არ გამიტანეო.

შენ, ღვინოვ

შენ, ღვინოვ, ჰაჰანეულო,
უცეცხლოდ წამოდუდღები,
ხანდისხან ჰკუიანი ხარ,
ხანდისხან წამოჩხუბღები.

მ თ ი ბ ლ უ რ ი

თიბვის ლექსი

ახლა დრო არის თიბვისა,
ხალხი დაიწყებს თიბვასა,
მხრეულით შეაპრელებენ
გულ-მკერდსა ხადის მთისასა.
ახმაურდება ცელები,
ნაპირს შემამტვრევს კლდისასა,
ზოგს მამას შვილი გაჰყვება,
ზოგსა — ძმისწული ბიძასა.
თქვენ რაღა გული გაყენებთ,
უმცვრიავ, დედას მტრისასა?
შენს ბექში მაინც გამოდი,
ცელს ნუ შეაჰმევე წიდასა,
კინკარს არ დაელუღვინო¹,
ფეხთ ჩაიცომდე წინდასა.

ც ე ლ ო, მ ო უ ს ვ ი

ცელო, მოუსვი ბალახსა,
განზე გაიტა პირია:
გამოჰკა, გამოიტანე
ნიშა, ნიკორას წილია,
იონჯა, ურო, სამყურა
სათიბად გადახრილია.

ც ე ლ ო, გ ა მ ი ჰ ე რ

ცელო, გამიჰერ, გზისპირია,
ჩამაივლიან და სირცხვილია.

ც ე ლ ო

ცელო, ნალევთი ნალევი ხარ,
ბალახთა ძირის დამლევი ხარ.

¹ დაესუსხვინო.

ჩემო ცელო

გამოთიბე, ჩემო ცელო,
ქადას გამოგიცხობენო.

ცელი და ცოლი

ცელი ვლესე და ვერ გავლესე —
გადალესული ყოფილიყვა,
ცოლი ვწურთნე და ვერ გავწურთნე —
თავში უწურთნი ყოფილიყვა.

ცელ-ლამაზო

ცელ-ცუდაო და ცოლ-ცუდაო,
მთიბელო ველარაისაო,
ცელ-ლამაზო და ცოლ-ლამაზო,
მთიბელჩი ნამხრევე-მშვენიერო.

დათვი

სადილობამდინ დათვიამა
სამი ნამხრევი აიტანა.
სადილობიდგე¹ დათვიამა
კვერსა ნახლეჩი დაატანა,
რო დაცხა, დალბა დათვიანი
უსაპიერო² ცელივითა.

შარვანეული

შარვანეულო შავარდენო,
მთიბელნი გიხარიანლა?
მთიბელ-მომკალი ქერ-იფქლის
წყაროს-კარს გიხვევიანლა?
მთიბელ-მომკალთა სანაყროდ

¹ სადილობის შემდეგ,

² სიცხეში მზეზე რომ არ გამოლბეს ცელი, პირზე ახვევენ ჩვარს, სვამენ ბუდეში, ჩულში, საპიერში.

დუმასა რძეში ხარშავლა?
სტუმართა წამოსასხმელად
ტყავსა ქემხითა ჰკერავლა?
ბევრისა მტრისა გამრიგეს
ენასა ბჭეში გარეველა?
ბევრისა მტრისა გამჭავრებს
ფრანგულსა წელზე იბამლა?

ხ ვ ე წ ნ ა

მთიბელთ თავითა გეხვეწები,
დედაშენისა მანდილითა:
ნამხრევსა ტოტსა ნუ მამიჭრი,
ნუ დამაბრუნებ ტირილითა.
ბალღი ვარ, დამაკლდება გულსაჲ.
შინ ველარ მივალ სირცხვილითა.

მთიბელსა დედა ტიროდაო

მთიბელსა დედა ტიროდაო,
შვილი დამიწვა მზემაო,
სულაც მზეს კი არ დაუწვავსო,
მინდორმა მოკლა გრძელმაო...

დედავ, ნუ მიმცემ ბასალასა

დედავ, ნუ მიმცემ ბასალასა,
ცელის ტარზედა ელყეოდა,
თუ მიმცემ, მიმეც ბაჩანასა,
მთიბელთ თავზედა ევლებოდა.

უ რ მ უ ლ ი

ურემო, ფერსომალალო

ურემო, ფერსომალალო,
ხუნდი გიყრია გიშრისა,
გადადი, გადაამტვრიე,
რომელი სოლიც გიშლისა.

უ რ ე მ ო

ურემო, ფერსომალალო,
ღერძი გიყრია გიშრისა,
ხარი, კამეჩი კარგი გყავს,
მაგრამ ტალახი გიშლისა.

კ ა მ ე ჩ ი ლ ო ნ ი ე რ ი ა

კამეჩი ლონიერია,
ულელსა ზიდავს ხისასა,
გაუჭირდება, წაიღებს,
თავისასა და სხვისასა.

შ ა ვ ო კ ა მ ე ჩ ო

გენაცვა, შავო კამეჩო,
ნიკორა ზაქის დედაო,
შენი დაზრდილი ზაქები
მიმიდის მარილზედაო.

ჩ ე მ ი მ ა რ ი ლ ზ ე წ ა ს ვ ლ ა ი

ჩემი მარილზე წასვლავი
არ არი დიდი ხანია.
ცამ დაიხვია ღრუბელი,
როდეს მოძველდა მთვარეა,
გუმბრის ბოლოს რომ მივედი,
ავალ გამიხდა ხარია,
ზიჰებმა აღარ ილხინეს:
იმ ლამეს ხარი მკვდარია.
— ნინიკა, შენ გეუბნები,
შენ გამიტყაო ხარია,
არ დამიკარგო ყანწები,
თითო არშინი რქანია.
წავალ, დავწეები ხარებში,

სამძიმარს ვეტყვი გნოლასა,
 კაი მეუღლე მოგიკვდა,
 მართო ნუ შეიქმ ბრძოლასა.
 ვეცდები გამოგიყვანო,
 გაღმა ხარი ჰყავ მოლასა.
 კაპეჩმა შემომიქშინა:
 — რას ნატრობ ჩემსა ყოლასა?
 ას ფუთსა ისე წაგიღებ,
 სტილი¹ არ აკლდეს წონასა,
 ურემსაც მართო წაგიღებ,
 ზურგზე დავიკრავ დოლასა.

აღზევანს წაველ

აღზევანს წაველ მარილისთვინა,
 მარილს მოვიტან და ჩემი ცხვრისთვინა,
 ჩემი ცხვრისთვინა და თავშავისთვინა:
 დედამ მიშალა და — არ დავიშალე,
 მამამ მიშალა და — არ დავიშალე,
 წაველ და წაველ და — არ დავიშალე,
 უფროსმა რძალმა და — პური ჩამიწყო,
 მისმა მომდევნომ და — შოლტი ხელთ მომცა,
 უმცროსმა რძალმა და — გზა დამიწყევლა.
 მაინცა წაველ და — არ დავიშალე.
 შუა გზას მიველ და — სიზმარი ვნახე,
 ჩემი თავისა და ნიშა ხარისა.
 ჩემს ნიშა ხარსა და — რქა მასტეხოდა,
 პერანგს ვიხევედი და — ისე ვუხევედი.
 წაველ და წაველ და — მარილეთს ჩაველ,
 ორმოცსა ქეასა და — ორიღა მაკლდა,
 მისთვინ მოვბრუნდი და — კლდენი მომექცა,
 კლდენი მომექცა და ქვეშ მომიტანა.
 ფეხის თითებმა და — ბორჯი გაიდგა,
 ხელის თითებმა და — დაიყვავილა,
 წვერმა-ულვაშმა და — ცვინვა დაიწყო.

¹ წონის ერთეული, ნახევარი გირვანქა.

თქვენი ჭირიმეთ და — ამხანაგებო,
ჩემს ნიშა ხარსა და — სახრეს ნუ დაჰკრამთ,
ჩემს ირმა კამეჩს და — ტოლს ნუ დაუდებთ,
ჩემს ბრმა მოზვერს და — შოლტს ნუ მოუქნევთ.
დედას უთხარიო და — დედას, დამწვარსა,
ბევრს ნუ იტირებს და — თვალებს ნუ იტყენს,
ლეღას უთხარიო და — ლეღას, ჩემს დასა,
ინა იყიდოს და — თითნი იღებოს,
მხიარულის წილ და — შავს ნუ ჩაიცვამს.

შენ, ჩემო შავო კამეჩო

შენ, ჩემო შავო კამეჩო,
რა დავაშავე შენზედა?
ზაფხულს გითიბე ბალახი,
ზამთარს დაგაბი ბზეზედა.

კამეჩმა თქვა

კამეჩმა თქვა: სიშავისგან
ტყავი მიმიგავს ბერსაო,
ზამთრის სიცივეს ვერ ვიტან,
ზაფხულში სიციხეს ბევრსაო;
ეს ცუდი ხასიათი მაქვს,
ვერ გავეწყობი კევრსაო!
კევრიდან კი გამომიშვი.
გინდა მაბრძოლე ძელსაო,
მალ-მალე ტყეში გამაგდე,
ნულარ მამკიდებ ხელსაო.
მგელისა არ მეშინიან,
ხროვას არ შეეხვდე ბევრსაო,
ძალიან სქელი ტყავი მაქვს,
თხელი ტყავი აქვს ცხენსაო.

მოკვდა კამეჩი

მოკვდა კამეჩი ბეხია,
გაუშვერია ფეხია.
— წადი, უთხარი ჩემს პატრონს:

დანა გაირჭოს წელშია.
მე მაშინ მოგაგონდები
დიდი აღმართის ყელშია,
შეგებას წვრილი მოზვრები,
იგრინებოდნენ წელშია.

ფ ე ი ქ რ უ ლ ი

ს ა ჩ ე ჩ ე ლ ო

შატყლი არის გასაჩეჩი,
საჩეჩელო, გამიჭერი,
ზამთარია მოსასვლელი,
თოვლი მოგვაყარა ჰერში,
ქმარს წინდები მოვუქსოვო,
ფეხშიშველი ვერ გაივლის,
ეს ზამთარი ცუდი არის,
უსიცივოდ არ ჩაივლის.

ძილის განსაზრთხობი

ძილო, რასა მეძინები,
მე საბრალოსაო,
მე ძილმა ასე მიბრძანა,
მე საბრალოსაო:
დაწექ და დაიძინეო,
მე საბრალოსაო,
ვინაც რო გულით გიყვარდეს,
მე საბრალოსაო,
ისიც გვერდს მოიწვინეო,
მე საბრალოსაო,
ძილო, ნუ დამეძინები,
მე საბრალოსაო,
ქმარს პერანგი არ მიცვია,
მე საბრალოსაო,
დაურთავ და შეუქერავ,

იმ საბრალოსაო.
თითისტარო, კვირისტავო,
მე საბრალოსაო,
ჩქარა დაბრუნდი, დაბრუნდი,
მე საბრალოსაო,
წითელ კაბას შეგიკერავე,
მე საბრალოსაო,
სანატრელსა, ფრიალასა,
მე საბრალოსაო.
ძილო, ნურას მეძინები,
მე საბრალოსაო.

ერთვი, ერთვი, ფარტენაო

ერთვი, ერთვი, ფარტენაო,
ჩაეხვიე ტარზედაო,
ჩემი გულის ნანდაური
კახეთ არის ცხვარზედაო,
წადგება და წამოდგება
კახელების ბანზედაო,
საახალწლოდ მოსვლა მითხრა,
თვალი მაქვის გზაზედაო.
გავხედენ და მოგოგავდა
ლურჯა ცხენი ნალზედაო.
აკვდებოდა თეთრი ჩონხა
წითელ ახალუნზედაო,
უხდებოდა შავი ქუდი
მთვარესავით პირზედაო,
მზევინარიმც ენაცვლება
შაშვენებულს ტანზედაო.

მასრა-მაჟო

ვაი, ჩემო საფეიქრო,
მასრაჟო და მასრა-მაჟო,
იმის ოჯახი დაიქცეს,
ვინც პირველად შენ შეგაქო.

ჯ ა რ ა ვ

ჯარავ, ჯარავ, ბზიო,
ნართი დამირთიო,
დედამთილის საპერანგევ,
ობრად დამირჩიო.

ჩ ა რ ი რ ა მ ა

ჩარირამა შემოვძახოთ,
ჩარირამა, ბეზიო,
აბრეშუმმა გვილალატა,
ბამბა მაინც ბევრიაო.

ბ რ ა რ უ ღ ა რ ე ჯ ა ნ ა ს ა

ბარაუ დარეჯანასა,
გარეთ გამოსდგამს ჯარასა,
შინ რომ ყმაწვილი ტიროდეს,
გარედან ეტყვის ნანასა.

პ ე რ ა ნ გ ი

ამაგვდებ, ამაგახანებ,
პერანგო, ნაჰრელიანო,
წუხად ას შენი პატრონი,
ზედ ცრემლან ჩამაზღიანო.

ს ა ნ ი ს უ შ ა ჯ ი

დაკვეხნებაზე ნუ იყვეს,
ლამფა არ მინდა ქალსაო,
თორპილის სინათლეზედა
დავხკერავ ნაჰრელასაო.

მეტიური

სატივეზე

სატივეზე ტივი შევკარ,
ტივი არი ნაძვის ხისა,
ორთაყვირები მოვასხი,
მოსასმელი არი წყლისა.

ჩემო ტივო

ჩემო ტივო, მაშინ გაქებ,
სატიოზე გასულიყო,
თავს მუშტარი დაგხვეოდეს,
სხვაზედ მეტად გასულიყო.

მეტივე ბევრი ჩამოდის

გორისჯვრის წმინდა გიორგი
გადმომცქერალი მტკვრისაო,
მეტივე ბევრი ჩამოდის
ქარელისა და სკრისაო.

ტივი წაახდინა

მეტივე და მყუდრო ქალა,
ჩიბუხს დაატანა ძალა,
თვითონ ტივი წაახდინა,
მებოლოეს დააბრალა.

დღეს არ იყოს

დღეს არ იყოს, ხვალ არ იყოს,
ტივი ნაპირზედ გარიყოს,
ე. უფულო სოვდაგარი
გინდ იყოს და გინდ არ იყოს.

ა მ ი ნ დ ი ს ა

ჟუჟუნა წვიმა მოვიდა

ჟუჟუნა წვიმა მოვიდა,
დიდი მინდორი დანამა.
ჯეჯილმა მუხლი იყარა,
ფერი იცვალა ყანამა.
მალე პურებიც შემოვა,
იხაროს გლეხის ძალამა.
ბნელი გააპოს ნათელმა,
ბორბორის გული — დანამა.

მოდო, თუ მოხვალ

მოდო, თუ მოხვალ, ზაფხულო,
მომწყინდა შენი ლოდინი,
როდის იქნება გათენდეს,
გარეთ დამეგოს ლოგინი!

ზამთარი ვარდსა გაახმოვს

ზამთარი ვარდსა გაახმოვს,
ზაფხულს გვალვასა ჩივიან,
შევხედავ შემოდგომასა,
ხესაც ფურცელნი სცვივიან.

ია კვენესოდა

მალალ მალალსა მთაზედა
ია კვენესოდა: „გამეო,
ან მოვა თოვლი, დამაზრობს,
ან მზე დამაჭკნობს მალეო.
თუ გამაჩინე, უფალო,
რად არ დღეც დიდი მამეო“.

ს ე ტ ყ ვ ა

ხილისთავს სეტყვა გროვდება,
ნამჭერი მოდის სვეტადა,
უფლისციხური მინდვრები
დასეტყვა მეტისმეტადა,
ხილისთავს ქვევრი მოგლიჯა,
დაუღო კარებს კეტადა.

უსამართლო ხარ

უსამართლო ხარ, სეტყვაო,
ბრმასავით დაიარები,
გადმოხველ საქერეშია,
დაბლა დააგე ყანები.
ბევრი მთიული ატირე,
ბევრი მხვეტელი¹ ქალები.

საწყალი გლეხი ჩიოდა

საწყალი გლეხი ჩიოდა,
ეს არი, დადნა გულია,
დასეტყვა ჩვენი სოფელი,
გააყრეინა პურია.
რალა უნდა ვქნა მშიერმა,
ყელში მოვიდა სულია!
რომ მოვიტანო სიმინდი,
არა მაქვს იმის ფულია.
რალა მენა ვარ საწყალი,
ყველაში დაკარგულია.
მაუა ბედნიარასა
მშვიდობით გაზაფხულია,
სუყველას აქუს სახნავი,
გუთანე გამართულია.
გლეხი კერაჩი დაჯდება,
მაუა აღსასრულია.

¹ მთაზე, თავის სახვეტზე მყოფნი.



ცხვრისა თეოზე

ცხვრისა თეოზე ჯანლები
ნაბლად მეხვევა ტანსა და,
ხარაის წყაროს ნიავე
ჩამომსისინებს ნაზადა,
იმ შავი ხევის შხუილი
ძილში ჩამომწვდებ ნანადა,
კიუხით შურთხის კივილი
გამომალვიძებს მარდადა.

ც ხ ვ ა რ ი

ცხვარო, რად უნდი პატრონსა,
თოვლ-ფიფქი ჩამოდიოდეს,
მაშინ კარგი ხარ, ტიალო,
საცრეოდ¹ შემოსდიოდე.
იწველებოდე, შიშაქო,
ყველ დილო ამოსდიოდე.
გორს იქით ბატკნის ბლავილო,
გორს აქეთ გადმოსდიოდე.
ქეჩო², წინ მიუძღვებოდე,
კუნელში³ ამოსდიოდე,

¹ დილის წველვა.

² ცხვრის წინ მიმავალი თხა.

³ მტვერი, კორიანტელი.

მწყემსო, გეხვიოს ნაბადი,
ზენაით ჩამოჰკიოდე.

გამთეთრებელო მთისაო

ვინა თქვა შენი დალევა,
გამთეთრებელო მთისაო?
პატრონის გამლაღებელო,
გამჭავრებელო მტრისაო!
არ დაისვენებთ, ოხრებო,
ყანა, სათიბის პირსაო,
არ დაასვენებთ ჩობანსა,
არ დააძინებთ ძილსაო.

მეცხვარემ ცხვარი გაშალა

მეცხვარემ ცხვარი გაშალა,
შემოაფინა ჩრდილსაო.
შიგ ურევია ბატკანი,
ჟივილი მოდის ცხვრისაო;
წინ თვითონ გამოუძღვება,
ხმა მოსდევს სიმღერისაო,
გახედეთ მწვანე მინდორსა
ბალახით შემკობილსაო!
რა მშვენიერი რამა ხარ!
დილაო ჩემი მზრისაო,
ამწვანებულ ველებო,
იალაღებო მთისაო.
მეცხვარე, ცხვარში დავდივარ,
მთაზე ვაძოვებ ცხვარსაო,
თან დამდევს ჩემი მყეფარი,
ვეძახი მურიასაო.
მხარზე გავიდე ხირიმი,
არ მეშინია მტრისაო;
დილით მივდივარ წყაროზე,
ჩამოუჯდები თავსაო,
ხალი და კალტი¹ წინ მიდევს

¹ კალტი — ცხვრის ხაჰო.

კოჩხოთი¹ ვხვრეპავ წყალსაო...
ახლა გამოვალ გორაზე,
ჩემ ცხვარს დავავლებ თვალსაო.
ცხვარი დაყრილა თოვლივით
ამ შუა ღლისა ხანსაო.
გავიხედ-გამოვიხედავ
გალმა-გამოღმა მთასაო,
მთებს ნისლი შამოხვევია
შიგდაშიგ თოვლიანსაო.
შიგა ჩქამობენ შურთხები
მალლისა ჩვენი მთისაო.
მალლით მთის ცივი წყარონი
ჩქეფით ჩამოდის ძირსაო,
ამ წყაროებით შესდგება
მდინარე ალაზნისაო.
ჩადიან, ემატებიან
შვენებას კახეთისაო.
ამ ლექსის გამლექსებელი,
პავლია, ცხენზე ზისაო,
თავს დავტრიალებ ცხვარ-ბატკანს,
თვალს არ ვაძინებ ძილსაო.

ღოლი დგას

მთამ გადიყარა თოვლ-ჭირხლი,
ხევ-ხუეებს მიაბარაო,
და ზედ იმაზე, ქუჩ-ქუჩად,
ლუსუმან² გამოყარაო.
ქალები ფრინვლით ივსება,
ცხვარ-ძროხის ძუძუ-რძითაო,
ტყე და მინდორი — მწვანითა,
ბეჭ-ბუჭი — ბალახითაო.
ღოლი დგას, ველი აჩქამდა,
ჩვილი ბატკნების ხმითაო

¹ ზის სასმისი.

² წყალნარევი თოვლი; თქეში.

ცხვარო, შენსა ბატკნობასა

ცხვარო, შენსა ბატკნობასა
ბევრჯელ შეჰქენ ნავარდები,
შინ დაგადებ, შიმშილი გკლავს,
თან წაგიყვან, დავარდები.

წავალ, მეცხვარეს ცხვარსა ვთხოვ

მგელმა თქვა: ქორწილს ვაპირებ,
ღვინო ჩავასხი ნასეტყვი,
წავალ, მეცხვარეს ცხვარსა ვთხოვ,
ციკანს მამცემს თუ კრავს მეტყვის,
არ მამცემს, ძალად წავართმევ,
თუ იტირებს ღა ბანს ვეტყვი.

პირველად ცხორში გამგზავნეს

პირველად ცხორში გამგზავნეს,
ზურგზე ამკიდეს საგძალი,
რაც მე იმ ზამთარს ვიხადე,
ჩემ მტერს ჩემ გადანაყარი,
სამოცი ცხორი მამიკვდა,
დამეცა შავი ზამთარი.
გზიძირში გადავიტანე,
მეც გვერდს მაუწევ საწყალი.
დავეცქირები. შავტირებ,
ჩვენთვი პატრონი სად არი.

სასიამოვნოდ შევშალე

სასიამოვნოდ შევშალე
მლეთის ფერდობზე ცხვარია,
მე თითონ ქედზე წამოვწევ,
კეკლუცად მიქრის ქარია.

საკოსეს გადმოვისედე,
სადაც რომ უცხო მხარეა.
თავქვე დავენდე საჯოგრებს,
თვალ რასმე შევასწარია.
ქონის ბინაზე ტრიალებს
წითელ კაბაი ქალია.
შორიდან კოცნა დავუწყე,
ახლოს ვერ გავეკარია.
დაბრუნდა, ქონში შავიდა,
ცრემლები ჩამოვყარია. *
— ჩემის ცოდვითა, ქალაუ,
მიწამ გაგიღოს კარია!
უდროოდ ჩამოგეშალოს
ოქროსწყლისფერი თმანია.
რა ვქნა, რომ ლექსი არა ვთქვა,
გულს მომედება ალია.
ცხორი გრილოში მდგარიყო
კვლიავით გამაძლარია.
დავკეიქ, დავაწყვე ლექსები,
როგორც ოსტატმა ქვანია.

მეცხვარის ჩივილი

თუმც არაფერი მაკლია,
მაინც ცუდი მაქვს გუნება,
მომენატრება სამშობლოს
წყალი, ჰაერი, ბუნება,
მთაში ფერადი ყვავილის
მზისაგან გადახუნება,
ბარად გაბმული გუთნების
კვალთ კვალზე გადაბრუნება.
მთა-გორიანი მიდამოს
მომენატრება ყურება,
გაღმა-გამოღმა ტყე-ველთა
მტრედების დალულუნება.
მე აქ ვარ გადმოკარგული,
შორი ყიზლარის მხარესა,

ფიქრობ, ველარა ვნახავა
ათნობის არემარესა.
ველარ დავევა ცივ წყაროს
სოფლის გვერდს მომდინარესა,
ვერ ვნახავ გაშლილ მთის კალთებს
შვილთათვის უწყინარესა.
ღღე მხესა ვკითხავ თქვენს ამბავს,
ღამე მოველი მთვარესა,
მაგრამ რაც უნდა მიამბონ,
მკვდარ გულს რა გაახარებსა?
თვალებს რა მისცემს სინათლეს
ცრემლებად დანალვარებსა?
რა შესცვლის ნეტა ტუბილითა
უბედოს ბელსა მწარესა?
ოთხი წლის ჩემი სიცოცხლე
ჰგავდა პილპილსა ცხარესა...

გუნება გაუხარეო

ვაი, სადა ვარ მოსული,
სად, უცხოეთის მხარესა,
ჩვენი სამშობლოს სალიშნად
ღამითა ვსედავ მთვარესა.
მთვარეო, მთვარის ნაღვეო,
ღამე წუ ჩახვალ მალეო,
ბედკრულში ბნელმყოფ მეცხვარეს
გუნება გაუხარეო.

ჩვენი ბასაი ჩიოლა

ჩვენი ბასაი ჩიოლა:
ჯავრისაგანა ვკვდებო,
მწყემსობით ვერავინ მჯობდა,
მგლისა საპირე ვხდებო.
გუმბან, გუმონწინ დაქამა

ორივ, აბაის თხებიო.
სადა ხარ, ხახმატის ჯვარო,
რატო არ მენმარებიო?
მგლები სამსახსრეს გიჟამენ,
შენ ცარიელზე რჩებიო.
აბას ნუ გააგებინებთ,
მე ამას გეხვეწებითო.

ცეცხლი მოგედოს, ტბათანავ

ცეცხლი მოგედოს, ტბათანავ,
ცასა სწვდებოდეს ალია,
ჩაიწვას ურო და ქუჩი,
ლურჯად გასწიროს მწვეანია.
ბევრი გინახავს ავ-კარგი,
ბევრი ვაჟი და ქალია;
მაისის პირველ მწყემსები
გადაავლიონ ცხვარია,
გადაუქეჩონ ვაცებმა,
გადაათეთრონ მთანია.
ჩავდექით ლეკოვანაზე,
მოკლედ ვირჩიეთ გზანია,
მასარის ხორხში გადაველოთ,
ცხვარო, დალიე წყალია.
ბიქებო, ვკამოთ ვახშამი,
გუდით ნაზელი ხალია,
ზედ მოაყარეთ მარილი,
კოჩხოთ? დავხვრიპოთ წყალია.
დაღამდა, სეენი აშფოთდენ,
ფერი დაედოთ მგლისაო,
გაღმა-გამოღმა ბანს აძლევს
ქორ-შევეარდენი მთისაო.
გათენდა. მთისწვერნ დაწითლდნენ,
ისმის ტირილი წყლისაო.
ადგა და ამბობს გიორგი:

1. წინ გაუძღვნენ.

2 ხის სასმისი.

ხანია გარეკვისაო.
წამოიშალნენ მწყემსები,
მაცოდინარნი გზისაო.
წამოიშალნენ ძაღლები,
გამრიღებელნი მტრისაო,
წამოიშალნენ ვაცები,
გამქეჩავები ცხვრისაო.
ნაღვლით გაჰკიელა გიორგიმ
ბოხით შემკულის ხმითაო,
ვაცი მოებნენ მყინვარებს,
ნავალ იპოვნეს ცხვრისაო.
ამ ლექსის მომლექსებელი
მასარის ხორხში ზისაო,
დავჯექ და ლექსი გამოვთქვი
სახსოვარ მწყემსებისაო.

ასეა ჩვენი ცხოვრება

ასეა ჩვენი ცხოვრება,
არ დაითვლება ქვეყნადა,
მიწა გვიგია ლოვინადა.
ნისლები გვხურავს საბნადა.
სულ მთა და ჭალას ვათენებთ,
სტუმრად თუ მივალთ სოფლადა.

მეცხვარის სიკვდილი

შირაქში ერთმა მეცხვარემ
სიზმარი ნახა მხრიანი,
ადგა და ბიძას უამბო,
ბიძა რამ ჰყავდა, ჰკვიანი:
— წუხელ სიზმარში, ბიძაო,
ქარი იყო და ნიავი,
მოგლიჯა ჩვენი ფარეხი,
ზეცას გაჰქონდა გრიალი.
სულ დაიბარა ბიჭები,

ვისიც რა ჰყავდა ზიარი.
— მოდით, ძმებო, ცხვარი გავყოთ,
ყავლები გასული არი,
ან მოსულა ჩემი წერა,
ან ცხვარს მომივა ზიანი.
მეჯოვე ჯოგში გაგზავნა:
ლურჯა მომგვარე ტიალი!
დღეს უნდა სახლში წავიდე,
იქ ზომ არა მაქვს ზიანი.
მეჯოგემ ლურჯა მოჰგვარა,
ლურჯა ცხრა გარსაკრიანი,
ზედ შესვეს თუში ფირუზა,
წავიდა ვითა ნიავი.
შირაქით აღვანამდინა
სამი დღის სავალი არი,
დილით წასული ფირუზი
სალამოს აღვანში არი.
გამოსცქერს მთელი სოფელი
ვინ მოდის დავლათიანი.
ფირუზის ცოლმა გახედა,
თვალეზი დარჩა წყლიანი:
— ჩვენი მეცხვარის ლურჯას ჰგავს,
რამ გააშავა ტიალი!
სახლის კარებზე მიაგდო,
ლურჯაი ტანოფლიანი;
წინ დედა გამოეგება,
დედაი თვალცრემლიანი.
— შეილო, რად მოხველ, ფირუზო,
ახლა ხომ დოლები არი?
— დედი, გაშალე ლოგინი,
სულის ამოსვლის დრო არი.
დედამ გაშალა ლოგინი,
ვაჟი შიგ ჩაწვა ხმლიანი,
მივიდა, გვერდით მოუჭდა.
შავთვალა, გიშრისთმიანი.
შუალამე რომ შეიქმნა,
ყელში დაიწყო ხრიალი.
აღვანს ფირუზი კვდებოდი.

მსე წითლდებოდა, ცხრებოდა,
ცა ჭეჭდა; მიწა გრჯენავდა,
მთვარე უკულმა დგებოდა,
გაღმისა მთისა ნადირი
სატირლად ემზადებოდა,
ქორ-შევარდენი, არწივნი,
სულ მხრებით იზომებოდა;
იმის მეუღლეს შავთვალას,
ცრემლები არ ამრებოდა,
იმისი დედა, ბეჩავი,
სულ შავით იმოსებოდა,
იმისი ცხენი, ტიალი,
ლურჯა ტოტებზე დგებოდა;
დაბრუნდა მთვარე უკულმა,
შავ მთასა ეფარებოდა,
ცაზე სწყდებოდა ვარსკვლავი,
შავ ზღვაში ესევენებოდა.
ნურც არა კარგი თქვენს მტერსა,
რაც რომ აღვანში ღდებოდა.

მეცხვარეებისა

მაგთესავ ქვეყანაშია,
სიტყვაო ბახანისაო,
ქოჩადალ დაღჯა თუშები,
ჟამნი არ აქვან მტრისაო.
გვერდი ტბათანას ჩამოსქდა,
ზვავად მოუშვა ქვიშაო,
შიგ მაიმწყვდია თუშები,
იმ თავის საქონითაო.
მყეტრები შიგ მაიმწყვდივა
დამბრუნებლები მგლისაო;
საფერხებ შიგ დაიმწყვდივა
მზიდავი ბინანისაო.
ვერვინ უამბა ამბავი
დედასა შვილებისაო.
მოლოდინი აქვ დედასა,

მამივლენ შირაქითაო;
ის კი არ იცის ბეჩავემა,
დამიტუსალებს მიწაო.
ქოჩადალაში ჩაყრილი
ბახტრიონ გამადისაო.
ცოდვით არ არის სასმელი
ეს წყალი ალაზნისაო,
თუშების ცოდო-ბრაღითა
ალაზან წითღებისაო.

ნისლი ჩამოდის

ნისლი ჩამოდის წყლისაკე,
მუქარობს გაავდრებასა,
მწყემსების შაწუნებასა,
მაღე არ გადაღებასა.

ეს გავიყვანე ზაფხული

ეს გავიყვანე ზაფხული,
ყველიც გამივა ცხვრისაო,
წამულ საქალაქოდა,
ფარა მამიდის თხისაო.
ვუყიდი ქალსა და რძალსა
ყაჭ-აბრეშუმსა, მძივსაო,
ჩემთვის თოფსა და ხანჯარსა,
ჯავრი ვიყარო მტრისაო.

მწყემსის სიკვდილი

მწყემსი ვარ, ამბავს გიამბობთ
ჩემსა და ჩემის ცხვრისასა.
ძნელია, ძმაო, მწყემსობა,
მუხლს აღნობს კარგის ყმისასა!
სახლი არა გვაქვ, არც კარი,

შავს ნისლებს ვიხვევთ ცისასა.
 ჩვენი სახლია ნაბადი,
 გვითელვენ კრაველისასა;
 დღე და ღამ ტანზე გვახვევავ,
 წვიმას გვაშორებს ცისასა.
 ზამთარში ქვევით მივდივართ
 ნაპირსა ალაზნისასა.
 მოვეფინებით ფარებით
 მინდორსა შირაქისასა,
 ვერ დასთვლით ჯოგსა, ფარებსა,
 თუშისას, ფშავლებისასა.
 ზაფხულში სამოუდგებით
 გრძელს გზასა შირაქისასა,
 ზოგნი თრიალეთს მივდივართ,
 გავივლით ქალაქისასა,
 მივალთ და ბინებს დავაწყობთ
 სამზღვარსა თათრებისასა,
 დღე და ღამ შიშით მოველით
 თავზე დაცემას მტრისასა.
 ერთხელ იძახეს: „გვიშველეთ,
 ფარებსა სსლეტენ ცხვრისასა!
 გვიშველეთ. ფშავლის შვილებო,
 მუხლს ვინ შაიბამთ მგლისასა,
 გულს ვინ ჩაიდებთ მაგარსა,
 გაუტეხელსა. ქვისასა?!“
 პაპია თათარაშვილი
 შევარდენსა ჰკავ მთისასა,
 შევარდა შუა ჯარშია,
 ვადას მოსწია ხმლისასა.
 არ დააცალეს თათრებმა
 ხმარებას ფრანგულისასა,
 დაღრიჯეს თოფი, დაჯიკრეს
 გულსა მთის არწივისასა.
 — გრცხვენოდეთ, მოღალატენო,
 თავის ერთგულის ძმისასა!
 გაიქცა წაწალაშვილი,
 გვერდს მეფთარა კლდისასა!
 ადღე და წადი, ყორანო,

სავალსა ერთის თვისასა,
ფშავს მიიტანე ამბავი,
იარე არაგვისასა;
მიხვალ, უამბობ ფშავლებსა
სიკვდილსა კარგის ყმისასა!..
პაპი გვეყავ სახელიანი,
სამარხს ეცადნენ მკვდრისასა.
ტირილით მოგვაქვე; ცრემლის ხმა
ჩქერასა ჰგავის წყლისასა.
მოალთ და ცოლსაც ვაზარებთ
სიკვდილსა თავის ქმრისასა,
გავაკრეინებთ სამადა
თითოს ნაჰაპნსა თმისასა!
კარგის ვაჟეკაცის სიკვდილი
გულსაც დაადნობს ყმისასა.
დღეს სძინავ ბნელსა საფლავსა,
კუბოს ასეენავ ხისასა,
გულზე მტრის ნატყვიავარი
იქ აღნობინებს მიწასა,
დავტირით მოკეთებები
ნაპირსა სამარისასა.
ჩემი არ იყო, მაგრამა
ამბავს გიამბობთ სხვისასა,
ნაცნობს ძმად ეშველებოდა,
დაჩაგრულს მძლავრის მტრისასა.
მაშ, ძმებო, ღმერთმა აცხონოს
წიალსა აბრამისასა,
მას დააყენოს ნათელი,
ძალს შავავედრებ ხვთისასა!

იბარეზიან ფშავლები


ფშავში დავარდა ავი სმა,
რისხვა დაეცა ხვთისაო,
მოიდა ცუდი ამბავი
იმ ოზრის შირაქისაო.
იბარეზიან ფშავლები:

ჯარი დაგვეცა მტრისაო,
გამოგვიღალეს ცხენები,
ბინა დაგვიწვეს ცხვრისაო,
მოგვიკლეს ანაღაზდაი
ბადალი ფშაველებისაო,
შაღებეს წითლის სისხლითა
ნაპირი ალაზნისაო,
შირაქის ველზე დამარხეს,
კუბო დაუდგეს ქვისაო,
იმის დედ-მამას უთხარით,
ველარა ნახავ შვილსაო!
ველარ მოვალის ფშავშია,
შიწა უფარავს პირსაო,
იმის ძმების ეგრე უთხარით:
სასლში იუ დაპყრით წილსაო.
უთხარით იმის ცოლსაცა,
ნაჰაპნ მაიჰრას თმისაო.
ობოლ სივას გააზღვინოს,
ობოლი სამის წლისაო...

აყრილან პირიქითოსა

აყრილან პირიქითოსა
დაბლასა მუზია ცხვარიო,
შამოდგა ვაკე შირაქში,
შამოიბერტყა ნამიო,
წამოვა წინა ძხარზედა,
თან მოაქვს მთა და ბარიო;
უკან მოსდევენ ჩობნები,
ხელით ნარჩევენი ყმანიო,
ძხარზე უწყევიათ ჯონები,
ნამართი შინდის კავიო,
შამოდგა პანკისის ხევზე,
როგორც ნაგუბი წყალიო,
შამოუქეჩეს წინა გორს,
მოძალემ ვერ ქნა ძალიო.
ტბათანაზე რომ გაღვიდა,

გადაათეთრა მთანიო.
ჩარეკეს ქოჩადალაში
დასაყენებლად ცხვარიო.
ვინ მოიფიქრებს ავდარსა,
მოწმენდილია დარიო.
შუალამისა ხანზედა
ქექა-ქუხილი არიო,
შაყრილან მალლა ეშმაკნი,
სეტყვა დაუშვეს ჩქარიო,
ქვეშ დაიტანა მწყემსები,
თორმეტი ბიჭის ცხვარიო,
ქვეშ დაიტანა ვაცები,
იმათ ცხვრის გამქეჩავიო,
ქვეშ დაიტანა ძაღლები,
ცხვრისა მტრის გამბრუნავიო.
ოთხშაბათ დილა გათენდა,
ჩხავილ დგა ყორნებისაო,
ცხვარ-ბატკანს თვალეგსა სთხრიან,
არ კადრულობენ ლეშსაო,
არწივნი გულ-ღვიძლს არჩევენ,
არც ისინ ჰხრავენ ძვლებსაო.
იმათ ჩოხების ნაგლეჯი
ეყარა გაღმა ხეცსაო.
ქოჩორიც ბევრი ვიპოვე,
ნაზარდი ულვაშისაო,
ბევრი ვიპოვე ნაპარსი
ტიალი სიბი ქვისაო.
ამ ლექსის მალექსებელი
მალლა გორაზე ზისაო,
გავხედ-გამოვხედ სერებსა,
ბალახით შემოსილსაო,
მამაგონდება ძმა-კაცნი,
თვალთ წყალი ჩამომდისაო.



ვაჟკაცის შესაფერია

მტერსა რომ მტრობას უწევდეს,
ვაჟკაცის შესაფერია.
ვისაც მტრის მტრობა აშინებს,
ქვეყნად ის არაფერია.
არც მაუხდება აბჯარი,
არც ომში წასასვლელია;
არც ვაჟკაცებში ხსენდების,
არარად ჩასათვლელია.
უნდა გაზარდოს დედამა
ვაჟი მტრის გამჯავრებელი,
აუგის მოქმელი არ იყოს,
არც ფეხის დამწყნარებელი,
არც აშინებდეს სიკვდილი,
სიციცხლის გამმწარებელი.

ჯავრს ნუ მიუშვებ გულზედა

მალღაით მოვლენ ღრუბელნი,
გორებზე დაეკიდება.
ჯავრს ნუ მიუშვებ გულზედა,
გულს ჟანგი მაეკიდება;

ჯავრის მიმყოლსა ვაქაცსა,
რა კარგი წაეკიდება:
ჯანი და ღონე წაუვა,
გმირობა გაეყიდება.
ასადგომ ნელად აიწევს,
არგანზე¹ დაეკიდება!

ჯ ა მ რ ი

ჯავრო, არ მოგცემ ნებასა,
გულო, არ დაგაშავებო,
მტერო, არ შეგეპუები,
ხმალო, შენ გაცაფხავებო!

რკინის გული

ვაქაცსა — გული რკინისა,
აბჯარი — თუნდა ხისაო,
თვალნი — ქორებულ მხედავნი,
მუბლები — შევარდინასაო.

გული უგავდეს რკინასო

კაცი ამქვეყნად დევნილი
ყველგან იშოვნის ბინასო,
უჯობს არაფერს შეუღრკეს,
გული უგავდეს რკინასო.

პარგი ყმა

კარგი ყმა მაშინ კარგია,
ხმალნი რო შევლენ ელვასა,
მოციქულობდენ ისარნი,
შუბნი იქნევდენ ენასა.

¹ ყავარჯენზე, ჯოხზე.

მანინ კარგია

მანინ კარგია კაი ყმა,
რა დიღა-ბინდით დგებოდეს,
იცვანდეს გრილსა რკინასა,
„ომს ვიქმო“, ემზადებოდეს.
ხვადი რო ჰხრავდეს ლაგამსა,
წალმა-უკუღმა დგებოდეს,
ათოთწროვებდეს მხედარი,
ტყვია ტანზედა ხედებოდეს.

ღვინო კი მათრობელი სჯობ

ღვინო კი მათრობელი სჯობ,
ძალი — თეოზე მყეფარი,
ვაეკაცი წყნარი სჯობია,
რო გაჯირდება — მჭეხარი.
არც ღარვა ქალთა მიმყოლი,
ჩაღად არა ღირს მკეხარი,
რო გაჯირდება, შადგება,
როგორც უღელში მკლე ხარი.

ძვირად გაგყიდი სიყმეო

მთას ვიყავ, ცივი წყარო ვსვი,
ბარად ჩამოველ — მაჭარი.
ძვირად გაგყიდი სიყმეო,
თუ ამინდება ვაჭარი!

კიდევაც დაიზრდებიან

კიდევაც დაიზრდებიან
აღვეთს ლეკვები მგლისანი,
ისე არ ამოსწყდებიან,
ჯავრი შეჭამონ მტრისანი.

მამის კერაზე დასხდესო

ის უუბნია ღუშმანსა:
„ალარ არიან, წახდესო“.

ის კი აღარვის უთქომის,
თუ ლომს ლეკვები დაპრჩესო,
აისხეს იარაღები,
სამტეროს გზაზე შადგესო,
ისევ მოიღენ ცოცხალნი,
მამის კერაზე დასხდესო.

გამაგრდით, არხოტიონნო

გამაგრდით, არხოტიონნო,
გატეხით რა იქნებისა,
ვისაც მოგვიკვლენ, დავმარხოთ,
სხვა კიდევ გაიზრდებისა.

ჯურხაის შარი

ბეთლემის კარზე ჰკიდია
ვოჟა ჯურხაის ფარიო,
მაუელის ომის წადილი,
ხანდისხან შასძრავს ქარიო.

ერთი ნასროლით დარჩება

ცხენ-კარგის დედას დავნატრი —
ლაშქარს წინაწინ წადგება!
მემრე თოფ-კარგის დედასა —
ერთის ნასროლით დარჩება!
მერე ცოლ-კარგის დედასა —
ქმრის სწორთ ლამაზად დაჰხვდება!

გული არ შაგიშინდება

მთიელო, მთაში გაზრდილო,
ხმაღს როდი მოგიშივდება,

ომში შეხვალ და გამოხვალ,
გული არ შაგიშინდება.
სისხლისა ნაგუბარზედა
ფეხი არ მოგიცურდება,
უკან დახევა არ იცი,
სისხლი რო შაგიხურდება.

უნდა გაზარდოს დედამა

ხმალ განა ყველა ერთია
გამქრელი, დამქერებელი?
უნდა გაზარდოს დედამა
ერთი ორთ გამდარებელი.
ასი არ უნდა დედასა,
ერთი სჯობ დალურბლებული.

რა უნდა ვაჟას

ვაჟასა შენისთანასა
განა თუ აგრე სმა უნდა?
დილას ადგომა აღრიან,
გრილსა რკინასა სხმა უნდა.
აყეფდებოდის ქოფაკი,
სოფელს სიმირგვლივ ვლა უნდა.
სოფელს მავიდას მოძალე,
სხვათ ნამეტნავად ცლა უნდა.

კაი ყმა

კაი ყმა, მგელი, არწივი
არც ერთ არ გაიწურთნება,
მგელი არ მაშლის მგლობასა,
კაი ყმა — მამაცობასა,
არწივი — არწივობასა,
მთის ყურეთ თამაშობასა.

შგელი გაივლის მთაზედა,
ნამ გაბერტყილი დარჩება.
დაიხულება არწივი,
მთით ბარად ჩამოვარდება,
დაიჭერს შუნის თიკანსა,
ხორცი ძველადვე დარჩება.

ახლები ომში

ჯარში წახვიდით, ახლებო,
რომნის ხმალ უფრო კრისაო!
ომში ჩავიდეს ახლები,
წკეპა ამადის ხმლისაო.
ლემადეს¹ ამამდინარსა
კენესა ამახყვა მტრისაო.

რად მინდოდი?

სოფლის უფროსად მინდოდი,
ატანად ძალ-ამბავისა:
მტრის სამუქაროდ მინდოდი
შორივლის, განთ ახლოვისა?
მშვილდის საზიდრად მინდოდი,
მაგრისა, განთა² ამლისა?

ხ მ ა ლ ი

ხმალმა თქვა: პირი დამყანგდა,
ჯაბანმა ვინმემ ჩამიგო,
ნეტავი ვაეკაცს შამყარა,
პირიდან სისხლი ამიღო,
მაელვარებდეს მტრის კარსა,
ქარქაშით გარე გამიღო,
მაჯა მაგრობდეს ბევთართთ,
პირი ვადამდე ჩამიღო.

¹ ქარს.

² განა.

თუშმა თქვა

თუშმა თქვა: ენა მოკლეი,
სიტყვა — გრძელი და ხმიანი.
ყველა თანაბრად ვერ გაქრის
ხმალი ცალპირზე ფხიანი.

ჯ ა ზ ვ ი

ჯაჭვმა თქვა სამანქანურმა:
ქაჭებმ ამასხეს თითითა.
მიყიდოს აიმ ვაჟამა,
ვინც ზიდვა შასძლოს კისრითა;
მემრე წამილას ჭალასა,
აიქ გამხეხას ქვიშითა;
მემრე ჩამიცვას ტანზედა,
თუ ზიდვა შასძლოს კისრითა.
მე ხმალნი რას დამაკლებენ?
ვერც შუბნ გამხეთქენ შიშითა.
ნუ ეშინიან ჩემს პატრონს!
ფოლადისა ვარ, იმითა.
ვერ დავენდობი ტყვიასა:
შორით წამოვა ლიზღვითა.¹

თ ო ზ ი

თოფმა თქვა: ჩემსა წამალსა
შვიდ პირად უნდა დუღილი;
შორს ვიცი ტყვიას ზიდვა,
დიდი ქება და ქუხილი,
ნეტავი გაყურებინათ
ჩემი დაქრილის წუხილი!

სათემოდ შესამღერია

ძმადნაფიცისთვის სიკვდილი
სათემოდ შესამღერია,

¹ შეპარვით, ვერაგულად.

მკერდჩანგრეულის სახელო
სამოთხის კარზე სწერია.

რა უნდა იცოდეს

ყმაწვილო, ბეწიკუაო,
დარბაისლობა იცია?
წინ ჩასვლა, უკვენ ამოსვლა,
ჩაშველები იცია?
დაგეპრა სწორ-ამხანაგი,
ჩასვლა-შაშველა იცია?

ჭ უ ღ ი

ვაჟკაცსა უნდა ეხუროს
ცოცხალსა ქული თავზედა.
როცა მაკედების, გაქრების
ბედის მასკვლავი ცაზედა.

თემის გამტეხსა ვაჟკაცსა

თემის გამტეხსა ვაჟკაცსა
ნუ დაეღევა ჭირიო,
შეურცხვეს ყველგან უღვაში
და გაუშავდეს პირიო.

ვაჟკაცსა ქალაჩუნასა

ვაჟკაცსა ქალაჩუნასა
ქალი სჯობია თმიანი,
მტერსა ვერ უზამს მტრობასა,
ძმას — ძმობას ვაგლახიანი,
გონჯად იქნება ყველასთან,
თავ-ცხვირ-პირ ტალახიანი.

დავბერდი, მშვილდი დავაგდე

დავბერდი, მშვილდი დავაგდე,
ისარი კილო-წითელი.
სირცხვილს უფრთხილდი, ვაჟაო,
არ მოგიხაროს კისერი.

სწორის მოლალატეს

სწორს სწორის მოლალატესა
'ხილნიმც წყლად ჩაუცვივიან,
'მშვილდიმც გაუგლეჯს სამბურსა,
'ისარნიმც ჩაუცვივიან.

სამი გაფრენით მეტია

არშის კლდეს ვეფხვი დავკოდე,
სამჯერ საომრად მეტია.
'ვაჟკაცს გულადზე — პურადი
სამის გაფრენით მეტია.

როსტომი ტყვა

როსტომი ტყვა: თუ კი მოისმენთ,
სიტყვა ეს არი მართალი:
'დატევებასა მტრისასა
'დაწონა უნდა, გან ძალი.

ვაჟკაცსა ფარი და ხმალი

სიმღერას ბანი ამშვენებს,
'წალკოტსა ვაშლი წითელი,
'ვაჟკაცსა ფარი და ხმალი,
'გაილამაზოს კისერი.

ნუ შეეხუმრები

ღრუბელო, მიდევ და მოდევ,
პირს ნუ დაჰმაღავ მზისასა!
ცოლს ნურას შეეხუმრები
თავს უკეთესის ყმისასა,
თორ გზაში შამოგეყრების,
სულს შამოგაბნევს მგლისასა.
გასწავლის ომის გახდასა,
ამომღერებას ხმლისასა,
არ გონებულჩი გიჩვენებს
ფხას თეთრის ფრანგულისასა.

კარგს ყმას შაჰყვარდი

კარგს ყმას შაჰყვარდი, ქალო,
ნუ — სახლსა ცხვარ-ბევრისასა, —
ბევრი ცხვარი და ქონება
მუხლს მოაქვს კარგის ყმისასა!

ყმა კაი და ყმა ცუდი

ატირდა კაი ყმის ცოლი:
„აღარ მამივა შინაო“.
იცინის ცუდაის ცოლი:
„გამაიქცევა წინაო“.
გამაქცეულის მასელასა
არ-მასვლავ სჯობს შინაო.

ნუ მისდევ დედათ ენასა

ვაჟაო, კაწალხეველო,
გიმღერი შაფერებულსა;
ნუ მისდევ დედათ ენასა, —
ცხენს შავსმენ გაშტერებულსა,

ან კლდეზე გადაგადებენ,
ან წყალს გკრვენ აღელვებულსა;
დაგიმოკლებენ მამულსა,
კარის პირს შაბტყელებულსა;
ხარებს სუ გამოგიშვებენ,
მამულში გაგრძელებულსა,
წელზეით ხმალსა შეგხსნიან,
ფრანგულსა შაშვენებულსა,
ვაჟკაცსა დაგაფერებენ
მონასა, — შაჩვენებულსა!

ერთი ორთავან მოკლული

ერთი ორთავან მოკლული
საბრალო, სატირელია!
ერთმ რო დახოცნეს ოროლნი,
ის უფრო საკვირველია.

ახლო მტერსა არ მიუშვებ

ძმაო, შენსა უკეთესსა,
ვისა ვნახავ მამავალსა?
მხარ-ბეჭები, მხარ-კისერი
როსტომს გივავ, ფალავანსა,
ახლო მტერსა არ მიუშვებ,
შემოირტყამ გალავანსა.

ლურჯაის ნატოტარები

გეტყობა, არხოტის მთაო,
ლურჯაის ნატოტარები,
დაუწვიმავის ღურბელთა,
ჩამდგარა ნაგუბარები.

ც ხ ე ნ ი

ცხენო, კარგი ხარ, მალეო,
ნიაე-ქარივით მხრიანო,
ქერს გაქმევს იმით პატრონი,
გაჭირდას, გამეხმიანო,
ლაშქარში, მეკოპარშია,
უკენ არ დამატრიალო,
მეც მიმიყვანა მალედა,
საცა სწორები ცდიანო,
სწორთან მაქნია სახელი,
საც ხმლები ელევედიანო,
ბრუნევედან სისხლის მორეენი,
შიგ კი ვაჟები დიანო.

იარე, ბიჭო

იარე, ბიჭო, წავიდეთ,
გზა შევეკრათ ჩვენი მტრისაო,
ტყვეები გავაყრენოთ,
მადლი გვეყოფა სხვისაო.

რა ომში გამოგადგება

რად გინდა ცოლი ლამაზი,
რა ომში გამოგადგება?
ჩაიცვამს წითელ-ყვითელსა,
გამოვა კარზე დადგება;
იმის შამხელავ ვაჟკაცი
კელაპტარივით დადნება!

მტერი დაფრთხება

თავი მთას გიგავთ, ოუკაცნო,
მწვანილნიმც აღგებინაა!

1 ამწვანდება, აქ: ულვაში.

შუბლი — ალგეთის მინდორსა,
 ყანანიმც ესწებინა!
 წარბნ გიგავთ მშვილდის მალიკსა,
 მაზინებთ¹, მადგებიანა,
 თვალნი ბუსლომას მიგიგვანთ,
 შიგ ქორნი ბუდობდიანა,
 კბილნი — მარილის კომბულსა²,
 ხმელეთნიმც დამძებინა³!
 ყელ გიგავთ ღვინის ჭურჭელსა,
 ღვინონიმც ჩადგებიანა!
 ტანი — ზღვისპირის ლერწამსა,
 — მტერს შორით დამთხვებიანა!

დამეხსენ, დედი

დამეხსენ, დედი, დამეხსენ,
 ნუ მიკლავ ქალობასაო,
 რად გინდა გავყვე ცოლადა
 დუშმანსა ჭიტუასაო.
 რას ვაქნევ ვაჟაკს უგუნურს,
 უშნოს, ტოტყოს და ტლანქსაო,
 ვეფხვად ნაზარდი არ იყოს,
 არ ამშვენებდეს გვარსაო,
 აბჯარ-ფარს რომ არ ისხამდეს,
 არ აღმერთებდეს ხმალსაო.
 მტერს არ ეკრძალოს ქორული
 ლამქრობა მისი ბარსაო,
 კარზე მომდგარსა ვერაგსა
 ვერ უხვედრებდეს ფარსაო.
 სიტყვა-პასუხსა უფრთხოდეს,
 მწყრალ იყოს ზრდილობასაო,
 წინაპართაც მოსწყვეტია,
 არც ჰგუობს მომავალსაო.

¹ მოზიდავთ.

² ნატეხი.

³ დამლამდება.

მე მინდა ვაჟკაცთ ვაჟკაცი,
არ მზისა დასარიდია,
მხნეთა მხნე იყვეს შინ, გარეთ,
მოყვარე, არა ფლიდია,
ლომი ლომობდეს ფრანგულით,
მტერსა დაჰმართოს რიდია,
მოყვართ მოყვარე, მთლად თემში
ლხინი, იმედი დიდია;
რა დაწვეს, ამას იტყოდე,
მზე ჩაესვენა, ბინდია,
ადგების — ამოესვენოს,
მთვარე გეგონოს მშვიდია.
ეს არა ჰმობდეს ვაჟკაცსა,
თვალით არ ვნახო ქმარიო, —
ასე ეტყოდა დედასა
გასათხოვარი ქალიო.

ქალმა თქვა

ქალმა თქვა: ვაჟკაცი მიყვარს,
წესნ იცის ვაჟკაცისანი,
კისერზე მასამც მაჰხვივნა
ნაწნაენი ჩემის თმისანი.
ვაჟკაცს თვალნ უნდან ქორისა,
მუხლნი უნდანან მგლისანი;
არ უნდან უბის მასრანი,
ქოჩორნი გიშრიშისანი.
დილა აღრიან ვაჟამა
წვერნ უნდა ლახნას მთისანი,
იმის თოფის ხმას ისმენდენ
ჯიხვნი, შვილები კლდისანი,
მაჰქონდეს, ქავზე დაჰკიდნას
მარჯვენეები მტრისანი.
მტრებთან ბრძოლაში დაცვითოს
ვადანი თავის ხმლისანი,
შუქს აყენებდას მუდამა
ქებანი სწორებისანი.

არ ვარგან აის ვაჟკაცნი
დამდეგნი ქალებისანი,
უნდა ეხუროს იმათა
მანდილნი დიაცისანი.
კარგის ბიკობას აქებდენ
თავისანი და სხვისანი,
უკუთხებდიან მარჯვენას
ხთის შვილნი მადლის ცისანი,
გზას უნათებდენ მუდამა
შუქნი მთვარის და მზისანი,
საქებაარნია მუდამა
დამცველნი მამულისანი!
გვიყვარს ქალებსაც გმირები
იმ ჩეენის მიწა-წყლისანი,
მამგონედ მზად ვართ ყოველჯრივ
ცოცხლისანი და მკვდრისანი.
ცოდვია, იხოცებიან,
ვინც ღირსნი სიცოცხლისანი.

ჯორი სჯობს

ჯორი სჯობს საქონელშია —
კარზე მოვ აკიდებული;
მასთანვე ხარი-გუთანი —
გრძელ ყანას გაკიდებული;
შიგ მოსავალი ქერ-პური —
თავი-თავს დაკიდებული;
ყანის სამკალად ქალი სჯობს —
საქმარედ დამწიფებული;
ძნისა საკვრელად ვაჟი სჯობს —
ახლად წვერდაწამებული,
სოფლის გვერდზედა ციხე სჯობს —
საომრად დამთავრებული,
შიგნით საკიდლათ თოფი სჯობს —
სიათა გაჭრელებული;
იმის სასროლად ვაჟი სჯობს —
გუნება გაჯავრებული.

დამასტესა ვმკი უანასა

დამასტესა ვმკი უანასა,
ძნა მამდევს ჯარი-ჯარასა;
წყალს არვინ გამამახდინა,
ცრემლი მდიოდა ღვარასა.
მიჩელიშვილო, ლაგაზო,
შარჩი შენს დედა-მამასა!
წყალსა შენ გამამახდინე,
შამისვი ცხენის გავასა;
დამინდე, არ მილალატე,
ქალმ თავი მოგეც ნებასა;
აიქამც გაგემარჯვება,
ხმალნი რომ ჩავლენ გელვასა,
მოციქულობდენ ტყვიანი,
შუბნი იქნევდენ ენასა!

ჩაგვიძელ, ბერო მინდიავ

ჩაგვიძელ, ბერო მინდიავ,
მუხლი მაიბი მგლისაო,
თან ჩაგვიყოლე სწორები,
ვისაც თავი აქვს ცდისაო.
შიში არ არის მტრისაგან,
ლოცვაა სამეზისაო,
ნუ ეხუმრებით მინდიას,
მთების არწივის შვილსაო.
კაცია — გულად მამაცი,
ქვასაც კი ხელით სთლისაო.
გულად მამაცსა ვაჟკაცსა
ვერვინ დასწამებს ცილსაო;
მტერს დაუხვდება მამაცად,
გულს მისცემს ამხანაგსაო.
ჩაგვიძელ! ჩავევთ ყველანი
ასეთ გულითად მგზავრსაო.

როგორი უნდა ვაშკაცი

ლექს ვიტყვი ჩემებურადა,
გავმართე სამლარიანი;

ყური დამიგდი, მსმენელო,
 სიტყვა თუ გინდა მზიანი.
 ბევრას გვიყურებს ღღისით მზე,
 ღამით — ცა მასკვლავიანი,
 ბევრა ვაჟია ამქვეყნად
 ღომივით გულჯავრიანი.
 ბევრა წინავაც ყოფილა
 ჯაჭვიან-პერანგიანი;
 ძველებს არ ხქონდათ თოფები,
 კრიდა ფრანგული ფხიანი.
 ვაჟას ადრევე უთქვამის:
 „კარგია მუდამ მტრიანი.“
 იმან მალედავ ალექსა
 ქეთელაური ხმლიანი.
 შურის საძებრად ვაჟი ჯობ
 გუნება-ბოროტიანი,
 ხელში -- შაუხლის ხანჯარი,
 მხარტ — თოფი ყვითელხიანი.
 ბევრამ ვაჟობის გულისად
 ღლე დაღამა მზიანი.
 გრილს გაალაღებს მიწასა
 ვაჟკაცი გულსისხლიანი,
 ხსოვნა სრუ მუდამ იქნების,
 ხსენება მრავალქმიანი,
 გველი წაართომს ნაწილსა,
 დალღლებიან ჭიანი.
 ვენაცვლე დედის გაზდილსა,
 ვინც მკლავით იმედიანი, —
 მხარტ თოფი გადაიკიდას,
 გადაიჯარნას ტყვიანი,
 მტრებისად გულის ყინვარი,
 რო ციხე ჩარდახიანი.
 სალი კლდეია ნადგომი,
 ზედ რო ხკიდიან ღვიანი.
 მტერს ვერცსრუ ვერას დააკლებს
 ვაჟი ქალებში ღლიანი!¹

¹ ცნობილი.

ახა¹ ტყვრებოდას თოფები,
ადგილ რჩებოდას მკვდრიანი,
აღარა გაიგებოდას,
შუაკაცობდან ტყვიანი.
თუ გული მაშინ არ გულობს,
თვალეზ მაშჩეზის წყლიანი.
მაგის მეტს აღარ ვიამზობ,
წვერი დავლახე კლდიანი;
დაღალულს გაღმამეყუღა
ჯიხვი მანძილა, რქიანი,
თოფი ვხკარ, გამეეტყერა²
თორმეტის ნაზარდიანი.
მელექსე შატილიონი,
გვარად კი ბულოიანი.
ძმაო, გიგზავნი წერილსა,
ისწავლე სიმართლიანი.

ძმანო, კარებო რკინისაჲ

ძმანო, კარებო რკინისაჲ,
ციხეებო აღმასისი;
შიგ შესავლად აზნაურნო,
საქადინო ბატონ-ყმისი;
ომად ჩაის³ ეგონება,
ჩამოვარდა მეხი ცისი;
ხმლის მოქნევა ეგონება,
ნაფოტია შორი მტვრისი.
ბინდის პირზე ჩასვლა ხგულავ⁴,
ზედ დახურვა ლურჯი ცისი.
ბაკის კარზე ხოცა ხგულავ,
წყემსეზისი, მოჯერისი,
გუღა-ნაბად უფროსებო.
ფალ-მოგება ახლებისი.

¹ როცა, რახანს.

² დაენარცხა.

³ ომში ჩასვლის დროს.

⁴ აპირებს, გულში აქვს.

ნეტავი ლაშქარს შეგვეყარნა

ნეტავი ლაშქარს შეგვეყარნა
სამი ბატონის ყმანიო,
მოგვეწივა მძიმე ლაშქარი,
სწორებს გვეცადა თავიო,
მადლიდან გადმაცქირა
ლამაზი ქალის ჯარიო!
ბევრ ქალს კი შასძულდებოდა
თვალად ლამაზი ქმარიო,
ბევრ ქალს კი შაპყვარდებოდა
პირად ჯულური ქმარიო.

გავწვიტე მტერი ქართლისა

ემგის მთა გადმოვიარე,
ხმალი მოვიმარჯვიანე,
ასე ჩამოველ სოფელში,
ძალლიც არ შევახმიანე,
ასე გავაღე ცხრა კლიტე,
ერთიც არ დავაჩხრიალე;
გავწვიტე მტერი ქართლისა,
ხანჯალი ავაპრიალე,
არ გამიშვია მოამბე,
სულ ისე გავატიალე.

შემომეყარა ყივჩაღი

შემომეყარა ყივჩაღი
სამზღვარს მუხრანის გზისასა,
პური მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი თავთუხისასა;
ხორცი მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი ხონობისასა;
ღვინო მთხოვა და ვასმიე,
ვურჩევდი ბადაგისასა.

ცოლი მთხოვა და ვერ მივეცე,
 მიმყვანდა სიდედრისასა;
 ან კი ცოლს როგორ მივეცემდი,
 შვილსა გაზრდილსა სხვისასა.
 ხელი მოჰხვია, აკოცა,
 მოზიდნა ნაწნავს თმისასა;
 შესტირა საბრალო ქალმა:
 „ვაი ცოლს ცუდის ყმისასა!“
 მეც გულმა ველარ გამიძლო,
 მოეზიდნე ვადას ხმლისასა,
 უმაღვე იმან დამასწრო.
 ელვასა ჰგვანდა ცისასა,
 მაგრამ დაუცდა მუხანათს,
 ვენაცვლე მადლსა ღვთისასა.
 ახლა მე შემოუქნივე,
 ვენდე მადლს ლაშრის ჯვრისასა.
 გავჰერი ცხენი და კაცი,
 წვერი ვუწვდინე ქვიშასა.
 არ იყო ღირსი, მოშორდა
 ცქერას ნათელის მზისასა,
 ცოლი სიდედრსა მიეგვარე,
 ის კი იქა ჰამს ქვიშასა.

ხ ო ხ ო ბ ი

შატილს მოვიდა ხოხობი
 დიდგულად დაჭდა ჯარზედა,
 მიდგებ-მოდგება ხოხობი,
 სახელ შაყრილი მხარზედა.
 — საით რას მოხვედ, ხოხობო,
 როგორ გადმოხე მთაზედა?
 — ჰიუხებ გადმოვიარე,
 ვეფხვებს გადმოვყევ კვალზედა.
 შეიღნი მოზარდნა წიწილნი,
 არწივის ნაბუღარზედა,
 შეიდთავ უყიდა თოფები,
 შეიდთავ დაჰკიდა მხარზედა,
 შეიდთავ უყიდა ჩაჩქნები,

შვიდთავ დაჰხურა თავზედა,
 შვიდთავ უყიდა ხანჯრები,
 ბუზი ეგება ფხაზედა,
 შვიდთავ ფრანგულეზ უყიდა,
 შვიდთავ შეარტყა ტანზედა,
 შვიდთავ უყიდა ფარები,
 ხელი გადუსვა ლარზედა.
 საფშაოდ გამაისტუმრნა
 გოდერძის მუქარაზედა;
 გამაჰყვა, გამააცილა:
 შვილნო, მშვიდობით გზაზედა,
 თუ ქალ ვერ წამაიყვანეთ,
 ნულარ მამიხვალთ კარზედა.
 უსახელეებს ვაჟებსა,
 შატილს ვინ დაგსომთ ჯარზედა.
 ბოროლაისას ჩაივლით,
 გზა მიდის მათურაზედა,
 ბატარა ქალას გაივლით,
 მარცხნივ შაბრუნდით წყალზედა,
 ბატარა ნოქვას შაივლით,
 შაჰხდებით ციხის კარზედა.
 ახადს, გოდერძის ციხეო,
 ქვამც ნუ ზდებულხარ ქვაზედა,
 რად გასტყდი, რად არ გამაგრდი,
 მტერ რო მოგიხდა კარზედა, —
 მოგიხდენ მისი შვილები,
 ალი აგხვიეს ტანზედა.
 იქით ქალ გამაიყვანეს,
 ხელი გაჰკიდეს მხარზედა,
 გამოუყენეს ბილიქსა,
 მათირებენ გზაზედა,
 ხოშარა გამაავლიეს,
 გზა უძე მათურაზედა.
 დილაზე, თვირთვილიანზე,
 ვინ ბრუნავს შამქოს წყალზედა,
 ამბობენ თადიაურსა,
 მარტუა დადის ცდაზედა;
 დღისით დგა ყარაულადა,

ღამე ბექთ ულის თავზედა,
 იქერს ღიღღველთა, ყაჩაღთა,
 ცუდს კაცს არ უშვებს გზაზედა;
 ვეფხვს მაჰკლავს, ტყავსა წაიღებს,
 ჩავა ერეკლეს კარზედა.
 ორშაბათს დილით შამოხდეს,
 მაგ საქარავნო მთაზედა,
 წინ დახვდა თადიაური
 შემოსარტყლული ტყავზედა,
 ჯერ გამარჯვება დაასწვრა,
 ამბავსა ჰკითხავს ჰკეაზედა:
 — ე ქალა საით მოგყავისთ,
 ცრემლი რო მზდის თვალზედა?
 — ეს ქალ ახადით მოგვეყავის,
 შატილს ჩამოვსომთ ჯარზედა.
 უნცრუას დავაქორწილებთ,
 ბეგთარ ჩაცმულსა ტანზედა.
 — რა ონა გიქნავთ, რჯულძაღლნო,
 ლაშარის ჯვარის ყმაზედა?!
 თუ ეგ ქალ წაგაყვანინოთ,
 წვერი ნუ მესხას ყბაზედა,
 შინამც ნუ მივალ ცოცხალი,
 სწორნიმც ნუ დამსმენ ჯარზედა.
 — აქედან წადი, ფშაველო,
 თავი თუ გინდა ტანზედა!
 შვიდ მომხდურ, ერთმა ფშაველმა,
 ხელი გაიკრეს ხმალზედა,
 თხის ტყავან გადიყრევიწნა,
 ჯაჭვი გამოჩნდა ტანზედა;
 შვიდ მურგვალ შამაუარა,
 შვიდთავ თავ მაშჭრა წამზედა,
 აჰყარა იარაღები,
 მკედარი შაყარა მკედარზედა,
 შვიდთავ მარჯვენა ააჭრა,
 ერთის ამლათის ხანზედა,
 ქალს მტრისი ხმალი დაჰკიდა:
 — მშვიდობით, დაო, გზაზედა,
 აქამდინ ნაძრახნ ვიყვენით,

ვიყენოდეთ დაძმობაზედა.
წაიღე მარჯვენეები
.ციხეს მიაკარ ქავზედა,
ნუ იტყვი ჩემსა სახელსა,
.თქვი, მარტო ვიყავ ცდაზედა.
მამას უთხარი, გოდერძის,
წვერიმც ნუ გასხავ ყბაზედა.
მაშინის მამიგონოდი,
რო ჩამოგსომენ ჯარზედა,
თუ სად რას გაგიჟირდება,
.დამიფიცნოდი ძმაზედა.
ახადლებს ახალგაზრდათა,
ქუდიმც ნუ გხურავთ თავზედა,
დაყარეთ იარაღები,
დასხედით დედათ ჯარზედა.
მტერს დაუბარა, ხოხობსა,
დახალიზულსა სხვაზედა:
შვილნი შინ ველარ მოგივლენ,
დარჩნენ მათურის მთაზედა,
დახოცა თადიაურმა,
ქარგა უამბეთ რაზედა;
ლუდი აღუღე, ხოხობო,
შვილთ რიგი უყავ თავზედა,
ბოროტის გამწარებულმა
გული დასცოლი ქვაზედა.

გზას მიდიოდნენ მგზავრები

გზას მიდიოდნენ მგზავრები,
დალალებულნი ლხენითა,
ქალი მიჰყავდათ პირმთვარე,
ვერ გაძლებოდი ცქერითა.
აფციაური ვაჟი
შემოეყარა ცხენითა,
სალამი მისცა მგზავრებსა
სიცილით, წვერის რხევითა.
ყური არ უგდეს მგზავრებმა,

გასცდნენ დიდგულად, მღერითა-
 გაჯავრდა აფციური,
 გული აეესო სევდითა.
 ქალმა რომ იცნო, საბრალო,
 ატირდა ცრემლის დენითა.
 — მიეყვარ, ძმაო, ურჯულოთ, —
 ძლივსლა გამოთქვა ენითა.
 გაჯავრდა მოყმე, სიბრაზით
 მგზავრთ ეცა ხმლისა ჟღერითა.
 იმდენი თვითონ ვერ მოკლა,
 ცხენმა გათელა ფეხითა.
 რვა მოკლა, ერთი გაექცა,
 სისხლი მისდევდა გრეხითა.
 დაჯდა და ქალსა უბნობა
 დაუწყო ტკბილის ენითა.
 ქალმა თქვა: ძმაო, წამორჩე,
 ვიახლოთ ნება-ნებითა,
 მამაჩემს შენი სახელი
 უნდა ვუამბო ქებითა.

გიგა და გიორგი

ვინა თქვა, ჩეთმას ბალახი
 ცხვრისათვის საძოვარია?
 ვინა თქვა, ენამც გაუხმეს,
 ჩეთმაში თუშის ცხვარია?
 შემოუარეს სოფლებსა,
 ჯარს მოუყარეს თავია,
 ათარეშებენ ცხენებსა,
 ყველა ვაჟკაცი არია.
 გათენებისას დაეცნენ,
 შავად დაჰხურეს ცანიი,
 ასტეხეს თოფის ქუხილი,
 აღანეს სისხლის ღვარია,
 სულ ერთმანეთში არიეს
 თორმეტი ფარა ცხვარია.
 აგრე აივსო ხევები,

როგორც რომ ნიაღვარია.
 გიგა მოვარდა სოფლადა,
 შუბლზე გადასდის ღვარია,
 გიორგის შეატყობინა:
 — ძმაო, წაასხეს ცხვარია!
 — აქ რაღა მოგარბენინებს,
 იქ არ ჩაიკალ თავია?
 მაშ, აქვე მოკვდეს გიორგი,
 ცოცხალმა მისცეს ცხვარია.
 — ნულარ მინახავ მთა-გორი,
 თუ არ მოგაბა მხარია.
 შექმაზა გიგამ ლურჯაი,
 ცხენია ნაომარია.
 გიგა რომ ლურჯას მოახტა.
 ძირიდან უქრის ქარია.
 გიგას თან გაჰყვა გიორგი,
 მხარზე ჰკიღია ხმალია,
 ხელში უჭირავს მათრახი,
 შვიდკეცი, შვიდი მხარია.
 გადაჰკრა ლურჯას ბარკალზე,
 ბარკალს ააძრო ტყავია.
 — გაიწი, ლურჯავ, ტიალო,
 სანამ მიჭრიდეს თვალია,
 დამწივე ლეკის შვილებსა,
 საით მიუღით ცხვარია?
 მოკლენი გაარბენა,
 იპოვა ცხვრისა კვალია,
 გაჰხედა ბეჭის თავებსა,
 ვაცებს შაასწრო თვალია,
 დაუტყეციათ ვაცებსა,
 ეყენებს მიჰქონდა ჩქამია.
 — სად მიხვალ, ვაცო, ტიალო,
 საით მიგიღის ცხვარია? —
 ერთმანეთს ეუბნებიან,
 — აგერ ა ჩვენი ცხვარია,
 ყელშავი ვაცი ჩვენიო,
 რქაზე ჰკიღია ზარია.
 წინ-წინ ვაცები დავხოცოთ,

ვაბორიალოთ ცხვარია.
 გიგაის თოფი გავარდა,
 ვაცსა დასწყვიტა რქანია,
 დაბრუნდა ვაცი ბედშავი,
 ცხრა პირად შედგა ცხვარია.
 ასტეხა თოფის ქუხილი,
 ადინა სისხლის ღვარია.
 გიორგის გიგა მოუკლეს,
 მოსწყვიტეს საწყალს მხარია.
 დაღონებულმა გიორგიმ
 მხრებში მოიცა ძალია,
 გადაწყო ტყვია-წამალი,
 თოფს გაუსწორა ტალია,
 ლურჯას სადავე გადასდო:
 — შენამც წასულხარ მთაშია,
 არ მილაღატო, გენაცვლე,
 იქ შეგეყაროს ჯარია,
 ომშიაც მომშველებოდეს,
 არ გაერეკოთ ცხვარია.
 ასტეხა თოფის ქუხილი,
 ადინა სისხლის ღვარია,
 ოცდათექვსმეტსა ბელადსა
 მარტომ შაუკრა გზანია.
 შვიდი შასწირა გიგასა:
 — იყავით მაგის ყმანია,
 იმ გძელსა სოფელს გაჰყევით,
 ლიტრით უზიდეთ წყალსა.
 თითო შასწირა: მწყემსებსაც:
 — უკან უბრუნეთ ცხვარია;
 თითო შასწირა ფარებსა:
 — დახვეტეთ გომის კარია;
 თითო ძალლებსაც შასწირა:
 — უკეთეთ სალაფავია;
 შვიდი თითონაც იმძლოლა:
 — მეც მომინდება ყმანია.
 როცა მობეზრდა გიორგის,
 იშიშვლა თავის ხმალია,
 ხმალდახმალ გადმოერია,

მტერმა დაუგდო გზანია,
აგრე დაკაფა მომხდური,
როგორც ნადირმა ცხვარია.
რო დაიღალა გიორგი,
დაჰვარდა თავის ხმალია.
დასჭრეს, დაკაფეს ყაჩაღთა,
როგორც საქადე მხალია,
ლურჯას თუშეთში გასულსა,
ჩამოეშალა მხარია.

— რალას უყურებთ, თუშებო,
წაასხეს თქვენი ცხვარია.

— გიგა-გიორგი სად არი,
როგორ წაასხეს ცხვარია?

— გიგაც მოკლეს და გიორგიც,
არც ერთი აღარ არია.

დასხდნენ, დალაგდნენ თუშები,
წავიდნენ როგორც ქარია.

ამოსავლეთის მხარშია
მაღალი ლეკის მთანია,
აგრე გადუღით იქ ცხვარი,
როგორც რომ ღარზე წყალია.

წამოეწივნენ თუშები:

როგორც რომ ნიაგქარია,
წინ-წინ მოუკლეს ბელადი,
დაარტყმეინეს მხარია.

აგრე გაწყვიტეს მომხდურნი,
მოამბე აღარ არია.

წამოუარეს ვაცებსა,

უკან უბრუნეს ცხვარია,
დაითამაშეს ვაცებმა,

ჩეთმას ჩარეკეს ცხვარია,

— რა გათამაშებთ, ოხრებო,

გიგა-გიორგი მკვდარია.

თუშთა ჩაიცვეს შავები,

ყველამ შასწყვიტა ჩქამია,

აგრე დატირის ქურანი:

როგორც საყვარელს ქალია,

სამი დღე და სამი ღამე

ვაცმა არ გასძრა რქანია,
 ძალღებიც აგრე ჰგლოვობენ,
 თითქო შვილი ჰყავთ მკვდარია.
 ამოსთქვა მტრისა ქალმაცა,
 ცრემლით აივსო თვალია:
 — ვინა თქვა, ენამც გაუხმა,
 ჩეთმაში თუშის ცხვარია.
 თუშებმა ქმარი მომიკლეს,
 კაი ბელადი არია.
 ამოსთქვა თუშის ქალმაცა
 ცრემლით აივსო თვალია,
 — მამხდურთა ქმარი მომიკლეს,
 კაი ვაჟკაცი არია.
 ე მაგის გამამლექსები
 ალვანში თუშის ქალია,
 სალექსო გამომიგზავნეთ
 თითო შიშაქი ცხვარია.
 წინ ვაცი გამააყოლეთ,
 რქაზე დაჰკიდეთ ზარია,
 გულდათუთქული დავდივარ,
 მეც იქ მამიკლეს ქმარია.

გიგაის ცოლი

დაგზავნეს ყარაულები:
 „ჩეთმას დაგვივლე თვალია“.
 ყარაულები დაბრუნდნენ,
 არის შუადღის ხანია,
 მოუტანიათ ამბავი
 გულსაკლავ-საონხრალია:
 „მოუკლავთ ჩვენი გიგაი,
 ზედ არ აბია მკლავია“.
 გიგაის ცოლმა გაიგო,
 წელს შემოირტყა ხმალია,
 შეახტა გიგას ლურჯასა,
 შავარდენივით მალია.
 — აბა, თუ, ლურჯავ, ნალ გიქრის,

ახლა შენი დრო არია.
ლურჯაი იგრე გაფრინდა,
წელს მიაქვს ნიავეპარია,
ძალღებიც გვერდზე მიჰქროდნენ,
ბრძოლა სწადიანთ ცხარია.
ძალღებმა სუნით შეატყვეს;
აქეთ წასულა ცხვარია.
გადაიხედა გორიდან,
გამოჩნდა ვაცის რქანია;
— სად მიხვალ, ვაცო, ტიალო,
საით მიგიდის ცხვარია?
ვაცმა ხმა იცნო პატრონის,
სულ შეაგუბა ცხვარია.
ქალმა დაჰკივლა ყაჩაღებს:
„საით მიგიდით ცხვარია!“
გაიძრო თავის ფრანგული,
გიგას ნაჰერი არია.
გაჰკრა, გამოჰკრა ყაჩაღებს,
მინდორს გაშალა თავნია,
კაფა და კაფა ურჯულო,
ქალას ჩაყარა მკვდარია,
გამოუქეჩა ვაცებსა,
ჩემთას ჩარეკა ცხვარია.
ვაცებმა იქით გასწიეს,
სადაც გიგაი მკვდარია.
ერთ ჩაღრმავებულ ალაგას
სულ მთლად შეგუბდა ცხვარია.
თოხლებმა დასცეს ბაზანი,
როგორც მგლოვანი ზარია,
მაშინ იფიქრა დიაცმა:
„აქ ჩემი ქმარი არია“.
მივარდა და დაეკონა,
წელს შემოარტყა ხმალია,
„ნუ დაიდარდებ, გიგაი,
ჩვენ ცხვარ ჩვენ ზელთვე არია.
ისე ავკაფე მამხდურნი,
როგორც ბოლოკა მხალია“.
თავით დაუდგა ქურანი,

დასტირის, როგორც ქალია.
 — ჰე, ვაცნო! რაღას უყურებთ,
 გასწით, გაგყვებათ ცხვარია! —
 გამოუქეჩეს ვაცებმა,
 თან გაიყოლეს ცხვარია.
 ქალი შეახტა ქურანსა,
 წინ შემოიღო მკვდარია.
 ცხვარი მიუღის, მიტირის,
 ცრემლი ჩამოსდის მწარია,
 სახეზე აწვიმს ვაჟეაცსა,
 სულ დაუბანა ტანია.
 სოფელს რომ მიუახლოვდნენ,
 ატირდა ქალი, რძალია.
 „ვაჟეაცო, ხალხში განთქმულო,
 ღმერთმა გაცხონოს მკვდარია,
 რა უყავ შენი ხანჯალი,
 ან ეგ მარჯვენა მკლავია“.
 ჩქარა გაუჭრეს საფლავი:
 „ცოდოა, დიდხნის მკვდარია“.
 საფლავში რომ ჩაასვენეს,
 ყირაზე დადგა ცხვარია,
 ძალღები პირზე უდგანან,
 არ ემეტებათ მკვდარია.
 ადგა და ქალმა დაიწყო:
 — ეს მათი წესი არია,
 ნუ დაიდარდებ, გიგაი,
 ცხვარი ჩვენ ხელთვე არია,
 ისე გავუძღვე ცხვარ-ძროხას,
 არ მოვაშორო თვალია.
 საცა შემოვხვდე ურჯულოს,
 ფიცხლავ მოვაქრა თავია.

წოვეთში, გიგის ციხეო.

წოვეთში, გიგის ციხეო,
 ქვამც ნუ სდებულხარ ქვაზედა!
 მოგიხდეს ჭარელთ შვილები,

ალი აგზვიეს თავზედა.
გამაგრდი, გიგის ციხეო,
ჯაჰვი გადიცი ტანზედა!
გიგი ცოლს ეუბნებოდა:
— წამალი მიწყე წამზედა,
რომ შემოგვაკლდეს ტყვიანი,
ღილი აიქერ ტანზედა.
თოფი მიარტყეს გიგისა
მარცხენა ძუძუს თავზედა.
გიგის სიათა წაიღეს,
დაჰკიდეს ციხის თავზედა.
ხელიც მოაჰრეს გიგისა,
დააკრეს ციხის თავზედა.
გიგის სიათა ნუ მიგაქვთ,
ნუ აკრავთ ქავის კარზედა,
ქალაზედ ნუ ვინ წაიღებთ,
დაჩვეულია მთაზედა,
ნადირზედ ნურას ვინ დასცლით,
დაჩვეულია მტერზედა.
ემაგ ლეჰსაის მომთქომსა
ქალს ცრემლი მამდის თვალებზედა.
გიგის ხელების ნაწვეთი
მალლით ჩამომდის თავზედა.

ლუის ლუხუმი

გაისთველხმელა ზაფხულმა,
ნეტავ ვის თუშის ჰირადა?
საბოსლოს იჯდა ლუხუმი,
ნეტავ თუ მაგის ჰირადა?
გაუღეს შუალამის დროს
ლუხუმსა ბოსლის კარიო,
გამაიარეს ბოსელი,
ნაწოლ მოხელეს ხარიო.
„ვაი, თქვენს ლუხუმს, ძაღლებო,
თოფმ დამინაყა ტალიო,
ალარც გადმამყვა ხანჯარი,

მედინა სისხლის წყალიო“.
 იჭერენ, ვერ დაიჭირეს,
 ლუის ლუხუმსა ცხრანიო.
 ძლივ სადამ დაიმორჩილეს,
 წინ დაუყენეს ცხვარიო.
 შამაახდინეს მთაზედა,
 თუშეთს დასწერა ჯვარიო,
 „კა იყავ, ჩემო თუშეთო,
 მასავალ აღარ ვარიო“.
 სოფლებში ჩამაველიეს,
 სრუ შამაავლა თვალიო.
 მიხყიდეს ჳირის პატრონსა,
 სრუ გამაართვეს რვალიო,
 შამაახდინეს საფლავზე,
 სანთელდაკრული ხარიო.
 თუშის ქალმ იცნა, შასტირნა:
 — ლუხუმს ნუ მახკლავთ, ბრალია!
 — ბევრჯერ უტირენ დედანი,
 ცხვარ-მწყემსს გაუჭერ თავია.
 საფლავზე გამათამაშდა:
 „ხელშიამც მამკა ხმალია!“
 ზედავ გასწირა ლუხუმმა
 ხვედეგი მეომარია,
 ხვედეგმ დასწყვიტა ჯალაფნი,
 ცეცხლთ მიულვარა წყალია,
 თავად მშვიდობით წავიდა,
 გამაუჯარა კარია.

ა ლ უ ღ ა უ რ ი

ღმერთო, რა დიდი ბრალია
 სიკვდილი კაი ყმისაო!
 ჳიმღას დაიქცა ჳვითკირი,
 კუთხი გამასკდა ჳვისაო:
 მინდიამ შეღმაიშვილმა
 შუქი ჩაკრიფა მზისაო.
 მზემა გაიგა, იწყინა,
 მასკვლავი ჩამადისაო,

მთვარემა ხუთმეტისამა
 შავი ჩაიცვა პირსაო,
 იწრო ჭალაი შეუკრავ
 გოშტიკაურთა მზირსაო.
 ბრალია მინლიაისად,
 ხან რო არ ექ. ა ცდისაო!
 არ ხარჯნას ტყვია წამალი!
 ჯარ უწყევდ მასრაისაო.
 ალუდაური დასჩების,
 შავი ლურბელი ცისაო.
 ალუდაურის ხირიმსა
 კვამლი სულ-წუხად სდისაო;
 სისხლისა კვალზედ გაუდგა,
 ყორან თან მისდევს კლდისაო;
 ამჟორიტესა¹ მახხელავს,
 მა დაგაზულსა მგლისაო.
 მთელსა მინდიას უამბა:
 „უმცროს გექნების გზისაო!“
 ბარაქალ, ალუდაურო!
 არვის შაარჩენ ჭირსაო.
 მანამდენ სახსოვარია,
 მანამდენ წყალი ღისაო.
 ნაქნარი ალუდაურის
 ანდერზად არ ითქმისაო.
 ამაგ ლექსების მათქვამი
 სანადიროში ზისაო;
 უწუხბრე², არ მამივიდა
 თორმეტი ჯიხვი კლდისაო.
 სალექსო გამამიტანე
 საპირისწამლე რქისაო;
 არ მამცემ, არ მეწყინების,
 შენ უფრო შავხდებისაო.

ქალი ხვარამზე

აღმოსავლეთით ამოჩნდა
 თვალად ლამაზი ქალიო,

¹ ადგილია

² საღამომღე ველოდე.

ამაჰყვა საყურ-ბეჭედი,
 ჟურიალებდა ქარიო,
 თან მოყმე ამაიყოლა,
 ნათლად ეღება ფარიო.
 — აკოცეთ ქალსა ხვარამზეს,
 მე ვარ ამ ქალის ქმარიო.
 აკოცა ბიჭმა რეგვენმა,
 თავს გადიმტვრია ხმალიო.
 — რად ეგრე, ბიჭო რეგვენო,
 რაზედ მოიკალ თავიო?
 გაწყრა, გაჯაერდა ხვარამზე,
 მალლა ჩაშალნა თმანიო,
 შაკაზმა მამის ლურჯაი,
 ზედ თავად შაჯდა ქალიო.
 სარბენლად არ ეყოფიან
 .თრიალეთისა გზანიო,
 საძოვრად არ ეყოფიან
 დიდი ალგეთის მთანიო.
 სასმელად არ ეყოფიან
 .ალაზანი და მტკვარიო.
 .მუარდა გუმბრის წყალზედა,
 .ელვით ენათა თვალიო,
 .დაეწაფა და ზღვა გაშრა,
 .გაგლიჯა მოსართავიო.

ქალობა დაიკვეხოდეს

.ქალობა დაიკვეხოდეს
 .ქალმა ხვარამზისთანამა,
 .ვერც გასჭრა ხმალმა ფრანგულმა,
 .ვერც შეაშინა დანამა.

ახალა

.ახალა მგელიის შვილი
 კაც დაიბადა რაფერი?
 .დაბადების დღეს გამახყვა,
 .ოქროს პერანგი საცმელი.

არხოტში, არხოტივებო,
ქალ აურჩიეთ საფერი!
ცოლო, დაუცხვენ საგძალნი,
ვაქემ რო დალახნას მთა-წვერნი!

ფუნჩათ ჯამრული

კახეთში ფუნჩათ ჯამრული¹
ათეთრებს შუბის ტარსაო,
ოთხითა ჰჰედავს ლურჯასა,
გაჰხედავს ბორბლის მთასაო:
ვერ გადივლისა ლურჯაი,
ვერ მაჰკიდებსა ნალსაო,
ქარსამაულის ბინასა
ვერ დავავლება თვალსაო.
— ქაიავ ქარსამაულო,
ქმარს რად უქარგავ ტყავსაო?
მოგივა ფუნჩათ ჯამრული,
ძირში მოგაქრის თმასაო,
გაგმართებს საკახეთოდა,
ბორბლისას² გასმევს წყალსაო,
ჩაგიყვანს ახმეტაშია,
მოკლეზედ გაელევს გზასაო.

ჩილოს წისქვილში

ჩილოს წისქვილში ატირდა
ნანა, თორღვაის ქალია,
ჩონგურსა კარგა უკრავდა,
მთელი თუშების თვალია,
უკრავდა თან დასძახოდა:
— ღმერთო, მიცოცხლე ქმარია.
შენ, მამაჩემო, თორღვაო,
წელს ნულარ გერთყას ხმალია,
ნულარც გიხოცავ მამსდურნი,

¹ სახელია.

² მთაა

ნურც გაგეკვლიოს გზანია-
მომერგო მეწისქვილობა,
ორშაბათ ღამე არია,
იქავ მომიხდენ გაღმელნი,
თავს დამაქციეს ბანია:
იქავ მომიკლეს ძმა ლევან,
სისხლისა დადგა ტბანია,
დავჯექ და ბევრი ვიტირე,
ზედ დავაფარე თმანია,
ხელ მოსჭრეს, უბეს ჩამიდეს,
გადამატარეს მთანია.
ავედით სალეკო მთაზე,
უკუღმა ბრუნავდ ქარია.
ქარია, არცა ქარია,
ლევანის ცოდვა-ბრალია,
სულ ფეხშიშველა მატარეს
ის დათრთვილული მთანია.
ავიხსენ საყურ-ბეჭედი,
იმით დავნიშნე გზანია,
მკლავით ვიყარე ზალტები,
— მდევართ გაიგონ კვალია.
— სადა ხარ, ჩემო გიორგი,
რით ვერ გაპკვლიე გზანია,
ადექი, ჩქარა, წამოდი,
მალლა შეიბი ხმალია;
აისხი ტანზე აბჯარი,
მხარს გადიკიდე ფარია,
ხელთ დაიჭირე სიათა,
გადმოიარე მთანია;
ჩამოდი, სადაც მივყავართ,
ნახე: რა დღეში ვარია,
ჩონგური ხელში დამეწვა,
ვაი, აწ ჩემი ბრალია;
ქალი, ქმრის უნაწილოი,
ურჯულოს ვრჩები ცალია,
თუ მალე არ მომეშველე,
უნდა მოვიკლა თავია.
სოფლად თუ ვერას ჩამოხვალთ,

მთიდან წაასხით ცხვარია,
 ტყვის სახსარს ნულარ მოძებნით,
 სათქვენო აღარ ვარია:
 რჯულიან ხელუხლებელი,
 ურჯულოს ნებას ვარია,
 მაქმევენ ცხენ-კვიცის ხორცსა,
 ქალი ბუსურმან ვარია.
 გიორგი მისული იყო,
 ესმოდა ქალის ვაია,
 ვერ მოითმინა გიორგიმ,
 ცრემლით აევსო თვალია;
 გიორგი ბანით ჩაეშვა,
 როგორც შურდულის ქვანია,
 სანამ ლექსს დაათავებდა,
 მტერსა დააჭრა თავია;
 ქალი ცხენზე შემოისევა,
 გამოატარა გზანია.
 დასთვალეთ უცხოთ შვილები
 გიორგის ნაზანჯლარია.
 ეს რომ გაღმელთა გაიგეს,
 შეყარეს დიდი ჯარია,
 ათამაშებენ ცხენებსა,
 კაი ბიჭებიც არიან.
 ბელადი ეხვეწებოდა,
 კარგათ მონასეთ კვალია,
 მღევარსა გვმართებს სიფრთხილე,
 თუ რომ გიორგი არია,
 ბევრჯერ მინახავს ჩხუბშია,
 მაგარი აქვის მკლავია.
 ცხენსა და კაცსა ჰკვეთამდა,
 მიწას ესმოდა ღმალაია.
 ქალი ეტყოდა გიორგის:
 — ვაი, აწ ჩვენი ბრალაია,
 მღევარი მოგვდეგს დიდძალი,
 არა გვაქვს შესაფარია,
 სამარედ გადაგვექცევა,
 ეს დათოვლილი მთანია.
 ჩაიცინა და გიორგიმ

არ შეიხარა წარბია.
 -- იქნებ არ იცი, გენაცვა,
 როგორ სჭრის ჩემი ხმალია.
 თუ მაგათ შენ გაგატანო,
 მხარზე ნუ მებანს მკლავია.
 მაცალეთ, უცხოთ შვილებო,
 ხუროთ ავიგოთ მკვდარია.
 კაფა და კაფა მღვევრები,
 მიღის სისხლ-ნიღვარია.
 ქალო, გამეცა განზედა, —
 შენც არ მოგაჭრა თავია.
 ეგრე გაწყვიტა მღვევრები,
 მოამბეც აღარ არია;
 ქალი ცხენზე შემოისვა,
 გადმოატარა მთანია.
 კიდევ დალახა ქალამა,
 ხოშარელთ დიდი მთანია,
 კიდევა ნახა დედ-მამა,
 კიდევ შეალო კარია,
 წამტირალევესა დედასა,
 გადაუწმინდა თვალთა.
 — ნულარ იტირებ, დედილა,
 შენი ქალ ცოცხალ ვარია,
 ღმერთმა მიცოცხლოს გიორგი,
 და შეარჩინოს მკლავია,
 ეგრე გასწყვიტა მღვევარი,
 მოამბეც აღარ არია,
 გუშინწინ მტრისა ვიყავი,
 ახლა კი სახლში ვარია.

ჰერხოში დედან ატირდეს

ჰერხოში! დედან ატირდეს,
 ქალმა შასწყვიტა ძმანიო:
 — ან უპატრონეთ მამულსა,
 ან ქალს შემარტყით ხმალიო!
 წემსა უთხარით საქმროსა,

1 ჰერხო — ხევსურული სახლის ზემო სართული.

ბარემ მაიკლას თავიო,
კახეთში მაინც ჩავიდეს,
იქით მორეკოს ჯარიო,
საშველად ეგებ მოვიდეს
ხევსურეთი და ფშავიო.

რაში რას

სასტუმრიელოდ მზეს ღვეიხარ,
სამასპინძლოდა — მთვარესა;
დასატევებლად მტრისადა
ქვეს ღვეიხარ მგორიალესა;
ადვილად გასაგეშავად
მგელს ღვეიხარ მორიალესა.

ალოზაა გოდამთა

შორად წაეიდა ამბავი
ქება მაგ კაი ყმისაო,
ოსმალში თუშის მწყემსებსა
სანათქმელოდ აქვს ისაო,
ე მაგისტანა სახელი
არ გადმოსულა მთისაო.
იტყვიან სტეფანწმინდასა,
სოფელი არის გზისაო,
ორპირად არის ერობა,
მადლი ტრიალებს ღვთისაო;
მაგათ რიგსა და საქმესა
ყველაი კაცი ჰკვირსაო.
გამოვლენ ახალგაზდანი,
ანგელოზნია ცისაო,
მაგათ უქირავს სიმაგრე
ყუროისა და ხდისაო,
ჩუმად იციან მღვევარი,
წინაის მოვლა მტრისაო.
ჰკვიანის კაცის ნათქვამი

სიტყვა ძვირფასად ღირსაო.
 ოჯახს უხდების ქონება,
 ვაჟკაცს — სახელი ცდისაო,
 შეიკაზმება ცუდაი,
 მოილამაზებს პირსაო,
 მარჯვენი კარგი ბიჭია,
 მარხენი არად ღირსაო.
 დედამ გაზარდას ეგეთი,
 ერთი ათასად ღირსაო.
 მოკითხულობა მიართვით
 თათართ ქალის შვილსაო,
 ალოშკას გოდაეთასა,
 ნუ გეგონებათ ცხვისაო,
 სულ თემის საპატოა,
 გორჩი! შუქია მზისაო.
 სახელის გულისათვინა
 ჰყრიდა ცოლსა და შვილსაო.
 ქოითით მოსდის ამბავი
 თავის დაპრილის მტრისაო.
 ჩამოდი, თოლი დაავლე,
 ნუ ჰფიქრობ, არა სჭირსაო.
 ეგ რომ ალოშკამ გაიგა,
 სიცილი მოსდის პირსაო,
 დედაი უჯავრდებოდა:
 — ახლაც არ მოგვხვდა ჰკვისაო?
 — ნუ სჯავრობ, ბეჩავ დედაო,
 დედა სულ ჰბრალობს შვილსაო.
 ჩემი ნაქნარი საქმეა,
 ველარ მოვახდენ ტყვილსაო,
 ჯერთა თქმა, მერმე გადათქმა,
 ვაჟკაცს არ შევნიხისაო;
 იმიტომ წავედ მღვეარჩი,
 აგემ მოვასწრო ვისაო,
 სოფელს ვაქმია სახელი,
 გული გავხეთქა მტრისაო. —
 ემაგან დააყრევინა

ცხენები მემცხორისაო,
ამხანაგებიც კარგი ჰყავს,
არ გაუტეხენ პირსაო.
ამა ლექსისა მოთქომი
თუში ვარ, წყემსი ცხვრისაო,
ზაფხულის თრიალეთზე ვარ,
ზამთრის — ალაზნის პირსაო,
მიყორს ვაუკაცის შექება,
ეგ ხასიათი მჭირსაო.
მთქმელსა და გამგონებელსა
წყალობა გქონდესთ ღვთისაო.

ჟარა-ნამაზი

დაჰყვება ყარა-ნამაზი
ალგეთის ხეობასაო.
გაიმობილებს ყორნებსა,
ერთურთს უჰკერენ მხარსაო.
ნუ მიხვალ, ყარა-ნამაზო,
ე მანდ ვეფხვი წევს გზასაო,
არც მალე გამაგისტუმრებს,
მოგაღეინებს ხანსაო,
ბევრ ყაჩაღ უნადირებავ,
ყაყიჩათ გამიხარდსაო.
არ იშლის ყარა-ნამაზი,
მიათამაშებს ხმალსაო.
-- რაად შიძოვებ, ფშაველო,
საიალაღე მთააო!
— დამეხსენ, ყარა-ნამაზო,
ნუ მიბოეირებ ცხვარსაო,
ნუ მიტრიალებ ქეჩებსა,
შირაქში მიმდინარსაო.
ან ეგ ბაღღ რაად მოჰკალი,
რად მახვევ ცოდვა-ბრალსაო!
შენ დაჩვეულხარ, რჯულძაღლო,
გზაზე მგზავრთ გაძარცვასაო,
ჯიბეში ხელის ჩაყოფას,

ხელზე ფულების თვლასაო.
 გაჯავრდა ფშავლის გაზდილი,
 თავზე იყრიდა ჯავრსაო.
 — არ მოგცემ, ყარა-ნამაზო,
 ჩემსა საკუთარ ხმალსაო.
 არ უბარებავ გამზდელსა,
 მზევინარ, ყაყიჩთ რძალსაო!
 აიყაროდი თოფიცა,
 მიაწვადოდი სხვასაო.
 აინალ შამაუბრუნა,
 შამააყოლებს თვალსაო,
 თოფ დაჭკრა ყარა-ნამაზსა,
 სისხლ ორკნით იქამს ჩქამსაო.
 ყაჩაღ ცხენს გადმეკიდა,
 შაშვივით აღებს ყბასაო.
 ყარა-ნამაზის მამკვლელსა
 რად არ გაძლევენ ჯვარსაო?
 ე მაგის მალექსებელი
 მათრახს ვაკერებ ტარსაო,
 სალექსო გამამიგზავნე
 ყაყიჩას, თავის ძმასაო.

ნუმც იხდის

ნუმც იხდის ხევსურთ შვილები.
 ნახადსა ბადაისასა,
 ორჯერ დიდოეთს გაჰყიდეს,
 მესამედ დალესტნისასა.
 იქიდან გამაიპარა,
 კვალს ვერ გაიგებს გზისასა,
 წინ კაცი შემოეყარა,
 სულს ამქრევს ბუსურბნისასა.
 — ნეტავ დღე არი თუ ღამე,
 კაცო, მიაშვებ ღთის მადსა?
 — დღეც არი, გურჯო, მზეც არი,
 ძალს უქნავ შიმშილისასა.
 — პატარა პური მომეცი;

ცხონებას შენი მკვდრისა.
დასვა და პურიც აქმია,
დანდობას დახე მტრისასა.
ახლა გზას გამოასწავლის,
საბძანოს დაჰყე მზისასა,
წითელ კლდეს მარხცნივ დასცილდი,
ბუღესა ვეფხვებისასა.

ახლა ველარსად შეხვდები

ახლა ველარსად შეხვდები
ირემსა ქორბუდიანსა,
ფერადსა მისსა ნაწოლსა
შამბიან-ბალახიანსა.
ველარა ვხმარობთ თოფებსა,
უანგი შეგვიკამს ტიალსა,
ვერა, ვერ ვნახავ მაჟარსა
უანგიან-ტალახიანსა.
გავფერავ, ჩაეყრი წაშალსა,
დავადებ რგვალსა ტყვიასა,
მაშინ ხომ გამამადგების,
გზას როცა წავალ მტრიანსა.
მტერი რას მიზამს პირდაპირ?
მალვით თუ მიზამს ზიანსა,
მალვით ვინც მტერი მტერს მოჰკლავს,
ის ქალს ვითა სჯობს თმინსა?
მტერი ვერ დასწონს პირდაპირ
მუზარად-მახვილიანსა,
პირდაპირ ომი შეჰფერის
ვაჟკაცსა ლაზათიანსა.

ამას ამბობენ თუშები

ამას ამბობენ თუშები,
ჩამოგვითოვნა მთანო,
ჩვენ მტერი ვერას დაგვაკლებს,
რომ არ ექნება გზანიო.

ჩამოხტა ბაბოთ ბახაი,
ირემს ჩამოჰყვა რქიანსა,
ჩავიდა დიკლო, შენაქოს,
ომალოს ზარს რეკს ხმიანსა.
ტიალო ბროლის ციხეო,
შიშის გაქანებს ქარიო,
ჩაიცვი რკინის პერანგი,
ამოანათე ხმალიო;
შიგ სხედან თუშის შვილები,
თოფის პირს ასდის ალიო.
ღმერთმა გაცხონოს, თინაო,
სული იალაღთ არიო,
უკან გადიკარ მანდილი,
წელს შამაირტყი ხმალიო,
ქვეყანას გაჰკვირვებია
თინაის ნაომარიო.
ან მკლავმა როგორ შეიძლო,
ან ხმალმა სამლარინმა?
მანდით გაგვექცა მურთაზი,
გირევს დაყარა ხმალია,
ჩავიდა ქაჩუის ლელეს,
როგორც თმიანი ქალია.
წინ ცოლი მიეგებება,
სახით ლამაზი ქალია.
— რათ გამოიქე, მურთაზო,
რათ შეირცხვინე გვარია?
შინ მოსვლას სირცხვილიანსა
გიჯობდა თავი მკვდარია.

ჯურხა ცხენს ეტყვის

ჯურხა ცხენს ეტყვის: გენაცვლე,
აწ მახანენ გზანიო;
ცხენმა შაიტყვა, აჩქარდა,
პატრონის ნაუბარიო.
შაწუხებულმა მერანმა

წალეწა ნალ-ლურსმანიო, .
ჭუთისას შამაიარა.
ნახ სოფელ ნაოხარიო.
ტიროდა ჭუთელთ ქალ-რძალი,
დიდ იდგა ცოდო-ბრალიო.
— ღმერთო, უშველე! — იძახან
გმირის თოთელის დანო,
ჭურხას ეძახან ტირილით:
— წადი, გეწეროს ჭვარიო,
იბრძვიან სანამ ჭუთლები,
ადგას მტრისაგან ძალიო,
არ შაკელივით თოთელი,
მაგრად უჭირეთ მხარიო.
სისხლი უდუღდა ჭურხასა,
ფერი დაიდვა მკრთალიო:
— თუ მაგათ ჯავრი შევქამე,
ნუ მიტირიდით მკვდარიო!
ღეზი ჰკრა, წითლა გამალდა,
ეგ მუხლით ნიავ-ქარიო.

ჩავალის, ჩაეუბნება

ჩავალის, ჩაეუბნება
ტუნკით ივანე საღარსა:
— ცხენავ-გეტყობა, გეშინის,
გულს მე ჩაგიღებ მაგარსა.
ჩაგავლევ ტერელოზედა,
ჩაგატანიებ ნაღარსა;
შენაც იქ მოგკლავ, ტიალო,
თავსაც იქ დავდებ ჰაღარსა,
ცოცხალ შინ ვერ დავბრუნდები,
იქ ვერ გავწირავ მამასა;
ციხეს დავუნგრევ ისრითა,
წვერზე გადავდებ ქამანდსა.

ღმერთი გაუწყრეს ხიწოსა

ღმერთი გაუწყრეს ხიწოსა
გზა ვინ ასწავლა მთისაო,
ბევრისა დედა ატირა,
მეც მეყურება ხმითაო;
ჩამოვიდოდა ლაშქარსა,
მიმინოსავით ჰქრისაო,
არ დახვდნენ ჰილოელეზი,
ქვაციხეს ჩამოსტირსაო;
იქ დახვდა თვრალიშვილი,
თოფს გაუმართავს პირსაო,
შააკლდა ტყვია-წამალი,
დაჭდა, ქალურად სტირსაო,
უედა კი ეუბნებოდა:
— შვილო, გამაგრდი ქვითაო.
ცოლი იქიდან სტუქსავდა:
— ცუდავ, გადადი ხმლითაო.
გადაერია გიორგი,
ხმალიც გემოზე სჭრისაო,
ოცი აკაფა ხმალდახმალ,
ნათოფარს ვინღა თვლისაო.
ე მაგ ლექსის გამომთქმელი
დაცა ვარ გიორგისაო,
გიორგის ციხის კარზედა
ჩავიქვრივალეზ ღილისაო.
კოლადაც დავუჭდებოდი,
თუ იყოს წესი დისაო.

ამლაში ივანეური

ამლაში ივანეური
ღღეშუვ¹ გალესავს ხმალსაო,
დღედა უცხოზდა საგძალსა,
მამა უბანდავს ჯღანთაო,

¹ ღღეგამოშვებით.

მამიდა გამაისტუმრებს,
 ლამაზა დასწერს ჯვარსაო:
 — წალმ ჩაპყევ, წმინდავ გიორგი,
 თავის წულს, თავის ყმასაო!
 მალედავ ჩამეეწია
 ლაშარის ჯვარის ყმათაო,
 ხმლითა სცა ყლარტიულთა,
 ფეხით მაპლახავს მკვდარსაო;
 მასდევდა პირშიშველაი,
 ცხვრებულა სჭრიდა თავსაო,
 შავარდა სალუდეშია,
 წელთით დაჰკეტავს კარსაო;
 მივიდა ხოშარეული,
 შუაზე გასტეხს კარსაო,
 მარცხნით კელაპტარს შაიტანს,
 პარჯნით — შიშველა ხმალსაო,
 მაუქნევს ივანეური,
 გაუქრობს კელაპტარსაო.
 მაუქნევს ხოშარეული,
 გაავდებიანებს თავსაო.
 ივანეურის სახელი
 ნავით გავიდა ზღვასაო.
 ივანეურის ფრანგულსა,
 ქალაქს უსინჯვენ ფხასაო:
 „ბასრი ჰყოფილხარ, ტიალო,
 იმით თუ ჰკენეტდი ძვალსაო“ .

თუმნო, ხოშარას ნუ ჩახვალთ

თუმნო, ხოშარას ნუ ჩახვალთ,
 ხოშარა ეკლიანია;
 შიგ სამნი მგელნი ბუდობენ,
 სამნივე ლეკვიანია;
 თუ ჩახვალთ, ველარ ამოხვალთ,
 გიორგი¹ ეტლიანია.

¹ წმინდა გიორგი.

ველგუჯა ხუშიშვილი

— ყორანო, ჭარის ბოლოსა
არ მავლეა თვალთა?

ველგუჯა არსად ღნახია,
ხუშიშვილი ხარია?

— ვნახე და ქვეც მამეწონა,
დიდ-დიდნ სხდომიყვნეს თვალნთა,
საქმელად ველარ ჩაუედ:
არწივს ეფარნეს მხარნთა.
მარტუა არა ყოფილა,
ორნი ეტანნეს სხვანთა;
ხეესურეთობა ეგულა,
ასდიდებივა წყალია.

ფხოველი და შავანელი

ერთი ვაჟკაცი ფხოველი
შავ-წყალს საომრად დადგაო,
ადგა და შინ წამოვიდა,
გზას შავანელი შაჰხვდაო,
ჩაჭრეს, ჩაკაფეს ერთურთი,
მაშველი აღარ შაშჩაო.

ციტა მოვიდა ყორანი,
მაგათ ნაომარს დახყვაო,
ჯერა დაითვრა სისხლითა,
მერე ლეშ ჭამა, გაძლაო,
ადგა და ისევ წავიდა,
მაგათ ვაგლახი დასცაო;
„ორნივ ყოფილან უჭკონი!
ერთმ მაინც რად არ დასთმაო!“

სვანსა ჯამათას ამბობენ

სვანსა ჯამათას ამბობენ,
ძლიერ მტერობდა ღებსაო,

კარისკარ დაუარაყე
 უშგულელ ხილდემლებსაო:
 გორი-ბოლოსკენ წაყიდეთ,
 დაუხვდეთ ლებელებსაო,
 თნის ტყავები გადაჰყარეთ,
 ჩოხებს გიშოვნით ბევრსაო.
 ეს ლალაშვილი ნანიაც
 რა კაი ბიჭი თქვესაო,
 გორის ბოლოს დანადირობს,
 და ჰყარაულობს წვერსაო.
 ჯამათას რომ დაინახავს,
 გულში ჩაიკრავს ხელსაო,
 მიდის და ლებელთ ახარებს,
 ჯამათა გდია ჩვენსაო.
 ლებურნო, ახალო ვაენო,
 ჩვენი დღე არის დღესაო,
 ყველანი შევიარაღდეთ,
 თავს ზარი დავცეთ მტერსაო,
 ყელები დავჭრათ სვანებსა,
 ნულარ იყოვნით ბევრსაო.
 ლებელთ თავი მოიყარეს,
 საუქმო დაუკრესაო,
 აღგნენ, სამღვევროდ წავიდნენ,
 დიდი აღლუმში ჰქნესაო.
 გორი-ბოლოს რომ მივიდნენ,
 მათ რჩევა დაიწყესაო,
 ახალ-ახალი ბიჭები
 მეწვერედ გაგზავნესაო.
 ლებურთა ახალ ვაჟათა
 წვერზე შეუსწრეს მტერსაო,
 შალიკაშვილი თვალია
 არყებს ევლება წვერსაო.
 თამაზიკიან დევლეთა
 ვერცხლის თოფს ისვამს ხელსაო:
 — თუ სადმე ვნახე ჯამათა,
 მე მოუსისხლავ გვერდსაო.
 პაიჭაშვილი ოთუკა
 იმედს იძლევა ბევრსაო,

ეს ქაგოშვილი გოგიაც
 კბილიდანა ჰყრის ცეცხლსაო;
 კასრიან გამოვარდება,
 პეტრე წაავლებს ხელსაო,
 ყელიდან თოფს გადააძრობს,
 მახათას გაღუგდებსაო.
 კამეჩიშვილი პაჩელა
 ოთხს ერთად დააწვენსაო;
 ქეხურაშვილი ბასუკა.
 ტყვეებს შეუკრავს ხელსაო.
 თავგადაქაჩლულ ჯამათას
 შიშისგან სული სძვრებაო;
 შეურცხვა მოწიფულობა,
 ბაძგებში უკუ ძვრებაო;
 დევლეთ ვერცხლისა თოფს ესვრის,
 ფერდში ფინთიხი ხვდებაო,
 სისხლი გადადის ღვარათა,
 სვანი ჯამათა კვდებაო.

რა ბევრი მიტირებია

რა ბევრი მიტირებია,
 რა ბევრი ცრემლი მდენია:
 არც გული გამამიცვლია,
 არც ამიღია ხელია!
 როდესაც მამაგონდები,
 მედება ცეცხლის გენია!
 სახსოვრად დამრჩა თვალ-წარბი,
 ოქროს უღვაში შენია,
 შენი უღვაშის ჩრდილები
 შენს სახეზედა ჰფენია!
 ირმებისა ხარ სტუმარი
 მესამ-მეოთხე წელია;
 აღარ ერგება ტყვიაი,
 ძმაო, ნასროლი შენია;
 თოფი ლიშანზედ მიგიდის,
 წელთა ხმალი გრტყავ მკრელია,

ნეტავი ჩაგაგდებინა
 შენის გუნების ცხენია!
 თუ სამართალი ვერ გიყონ,
 ამოსწყდეს ფშავის-ხევია,
 ძირითამც ამოვარდება.
 მგონია, თორმეტ თემია!
 მოგიკლავ ცოლის წამყვანი,
 შენ სხვა რა წავიხდენია?
 დამიწერია ბარათი,
 ზედ მამიწერავ ხელია,
 გამამიგზავნავ მალეითა,
 ძმაო, ბარათი ჭრელია!
 არავინ დაგალატოს,
 არვინ მოგიდოს ხელია.
 სახელად თამარი მქვიან,
 ეგრე თიკუნად¹ ლელია;
 ოთხ წელსა გგონობ შორითა,
 სიყვარულ მეტად ძნელია!
 ტყეში ვერ ვიცნი შენ სახლნი,
 არა მაქვ მოსასვლელია,
 გამამეგზავნა პერანგი,
 შენს ტანზედ ჩასაცმელია,
 შენთანამც მამცა სიცოცხლე,
 შენთანამც მამქრა ყელია!

ანაგის ციხე

ანაგის ციხევ, მაღალო,
 შეუპოვარო მტრისაო,
 შიგა ზის ბატონის შვილი,
 ამომავალი მზისაო;
 ხელში უჭირავს სიათა,
 ვერცხლი უვლია პირსაო,
 რამდენსაც გამოუმიზნა,
 იმდენი დასცა ძირსაო.

¹ ზედმეტსახელად.

შვილზე ნამტირალ დედისა
თვალი არ გაშრებინაო,
ქვა ქვიშას ეუბნებოდა,
სიპსა ქვას ცრემლი სდისაო.
მაჟარი ზეცით მოიმღერს,
ღუზანს არ დასცდებინაო;
ჩაქოლა მტერი მინდორში,
გმინვაა ვაჟებისაო.
ქარი გუგუნებს ქარალი,
კლდე ბანს ეუბნებისაო,
შავი ყორანი ყარყატებს,
ხროვა ჩანს ყვავებისაო.
დაჰკრა, დაკვესა ჩახმანმა,
მტერი იფარებისაო,
სიათას რომ ვერ გაუძლო,
ბოლომდის იყრებისაო.
ვაჟკაცობს ბატონიშვილი,
ხმალს არ ემტყუნებისაო,
ამხნევებს დიდს და პატარას,
ლხინია ობლებისაო.
გალმა-გამოდმით მოსულნი
ყმანი ეუბნებისაო:
„გაახლეთ თავი საომრად,
თუ ჩვენც დაგჭირდებითაო,
დედამც ეტიროს უცრემლოდ,
ვინც ომს ემტყუნებისაო,
ცის ნამი მატლად გარდექცეს,
ნურც ლხინს ეღირსებისაო!“
ალხენდეს ბატონის შვილსა
კარგი თქმა გმირებისაო,
ქორულად სიკვდილს დასდევდეს,
ჟღერაა ჩაჩქნებისაო.
ხმალსა ეტყოდეს: წაიწი,
გზა ნახე მშობლებისაო,
ქარქაშით ამონამღერი
გულსა ეკვეთებისაო.

პ რ ხ ო ტ ი ვ ნ ე ზ ს

ლექსობა უნდა დავიწყა,
ქება-გინება ზოგისა.
ზაფხულის მასვლას მაველით,
გვითხრეს: „ჩვენ ლაშქარ მოდისა“.
ზოგ ცირცლოვნისას წამავა,
ზოგ კი ქალაზე მოდისა;
ბევრის მადება ლგულავის
ზარბაზნისა და თოფისა.
ბევრა ვაჟ დაიმალევის,
რა ქუხილ იდგას თოფისა,
ზოგს გაულალვენ დედებსა,
ზოგს გაულალვენ ცოლ-შვილსა;
ბევრს მკევეხარს გამააქევენ,
ქალებ ტიროდან: „მორბისა“.
ნაპირის ადგილისათა
გინება როდის ხდებისა?
აბეჩავ, არხოტივნებო,
მტერს ხო თქვენ უდებთ ბორკილსა!
მტრის ნახვა ახალგაზრდათა
კიდევ ურჩევავ ქორწილსა;
თოფს დახკვრენ, გაიცინებენ,
არა იციან ცოდვისა.
ვაშკაცის შინ მაკვდომასა,
სიკვდილ ომისკარ სჯობისა;
იტყვიან სიკვდილიდგესა!¹
„სიმაგრე იყვა სოფლისა“.

ალარ ასტყდების მამკვდარი,
დამდეი დიდის ოფლისა;
მაკვდების, დაიკარგების;
სიცოცხლეი აქვს ცოდვისა.
ამაგის მალექსებელი
სალს კლდეში იღებს ლოგინსა.

გ უ დ ა ნ ი ს ჯ ვ ა რ ს

კვირეას გათენებადა
დადგა სიწმინდის ღარია;

¹ საკვდილის შემდეგ.

გარმოვიტანე ფანდური,
მამწადლა საუბარია;
ვერ დავაყენებ ენასა,
რაის-რა შანათვალია;
იწროდ გავბანდე ხულჩაი,
ფეხზე ჩაეცივი ჭლანია.
ქვე რა-ხელ შაწუხებულან,
ე. ჩვენი ჯვარის ყმანია?!
აღარ გვეძლევა ბეგარი,
მტერმა შაგვიკრნა გზანია.
ემზადე, გუდანის ჯვარო,
წელთ შამაირტყი ხმალია!
თავის საფერხე შახკაზმე,
ოქროს დააკარ ნალია!
გადაჯე თავის ლურჯასა,
აილო დელმაფარია!
პირიქით გადაიარე,
არდოტ ჩაყარენ ხმანია!
ზოგთ ააჩინე ბნედაი,
ზოგს წამასთხარე თვალია!
გამაუწყვიტენ ჯალათნი,
ცეცხლზე დაუსნი წყალია!
დაბრუნდი ნასახელარი,
დაიბარნიდი ყმანია!
ბელლის კარ შააქუჩინიდი!
არ სწვდების წვიმის ცვარია;
შაყრილებს მაგანძურებსა
შენ ხყვანდი წინამძღვარია!
ქვე რა კარგია, ვაჟებო,
ე მარტო საუბარია!
მაშინ იქნება მონაი,
ტყვიას მახქონდას ჩქამია,
გამადიოდეს თოფები,
ებას ხირიმებს ალია,
კა ვაჟ დვედრებდეს ფრანგულსა,
გაილის სისხლის წყალია.
მიაც ლიშანში გავხედავ
ამაგის მოლექსარია...

მალლა მთას მოღვა

— მალლა მთას მოღვა
უცხო ფრინველი,
უცხო ფრინველი,
თეთრი ფთიანი,
ბოლო-წითელი.

— ჟღელეს ჩამოღვა
დიდი ლაშქარი,
ოსი და დვალი,
სულამ დვალები,
ფეიქომერი.

— ომი შეიქნა
ქალაქის თავსა
გამთენიასა,
გათენებასა,
მზის ამოსვლასა.

— ქნევა ხმალისა,
ძგერა შუბისა,
შუბის ნალეწი
ზეცას ცვიოდა,
ჩამოსცვიოდა.

— ხმალი ორპირი
სისხლში სცურავდა
ჯაფარ გაიქცა,
სვეტი წაიქცა,
სვეტი ოქროსი.

— ჯაფარ, ვერ მიხვალ
შინა მშვიდობით,
ცოლს ვერ მიუტან
ლაშქრულ ამბავსა,
მწვანე ქოშებსა,
წითელ კაბასა.

— ჩვენი რა იქნენ
მოციქულები?

— უკან მოდიან
დადალულები.

— ქვე რა მოაქყვე?

— ტანი ლაშქრითა,
თავი გოდრითა.
წვრილი წელები
ხელ-კალათითა.

დიგორსა დასხდნენ ვეზირნი

დიგორსა დასხდნენ ვეზირნი
რჩეულნი ბადეველოვანნი,
არჩიეს, გამოარჩიეს:
„ღები გეყავს საქონლოვანი“.
მთანი და მთანი ასწორეს
სავალათ კიტრიშოვანი,
კიტრიშოს რომ ჩამოვიდენ,
გზანი დაუხვდათ წყლოვანი,
წყლოვანი, ქვიშნაროვანი,
მინდორი ბალახოვანი.
წინ კაცი შემოეყარათ,
რომელს გაგნია ჰქვიანა,
ფიცხლათ შინისკენ დაბრუნდა,
ვით შევარდენი ფრთიანა.
ციხის სადგურას გავიდა,
მალლა დაიწყო ხმიანა:
„ვაჟებო, ფრთხილად იყავით,
საქმეა ღალატიანა.“
დილა გათენდა მზიანი,
ლაშქარსა გახდა გრიალი.
ქვემოთით კაცი მოვიდა
დაკაზმულ ჯაფაროვანი,
თან მოყვა გამყრელოვანი.
გამყრელიძესა აქებენ,
რომელს იესე ჰქვიაო.
კალდამის ხმალი გასტეხა,
სისხლი ყუასა სცხიაო.
უკან დაწევა შეიქნა,
საშდელი ველი ფთიანი,
„ოსებო, შამოგვიცადეთ,

ვინცა ხართ კინკილოანი.
გიჯობდა, ჯამხეტიშვილო,
არ მოხდომოდე ღებსაო,
ღებურ თოფებსა სწუნობდი,
მოდო, დახედე მკვდრებსაო.

მ თ ი ე ლ ი

მთიელ ვარ, მთაჩი გაზდილი.
გულადი, გაუტეხელი,
არწივი, ზეციით მოსული,
სპილო ვარ მოუდრეკელი.
სამშობლოს მოსიყვარულე
ვარ მისი დაუთმობელი...

კამეჩის მეხრე ვიყავი

კამეჩის მეხრე ვიყავი,
მეში მეცვა და მეხვია,
ასი მომიკლავს ურჯულო,
ორასი დამიჩენია.
არსად არ მითქვამს აქამდინ,
არსად არ დამიკვებია,
ვაქვაცს ქალებში მკვებარსა
თავზე დაეცა მეხია.

წეფის მონადირე

წეფის მონადირე ვიყავ,
ვაჭრევინებდი ხმალსაო,
გაქცეულ ნადირს ვიჭერდი,
ზედ მოვისომდი მხარსაო!
წეფე მწყალობელი მყავდა,

მას მივართმევდი კარსაო;
მტერი რომ გამოჩნდებოდა,
წინ მიუძღოდი ჯარსაო;
სადაც ცუდ სავალს ვნახავდით,
მე გაურჩევდი გზასაო;
საწყალსა, გაჭირვებულსა
შორით ვაწვდენდი ხმასაო.

ქართლის ტყვე

ქართლის ტყვე გამოპარულა,
გამამხდარიყო ზღვასაო,
ნუ ჩაუხდები, მთვარეო,
ნუ ჩაუბნელებ გზასაო.
ნუ გაუყინავ, მყინვარო,
გადასავალსა მთასაო,
ხიდნო, ნუ ჩაუცვივდებით,
გაახდინოდით წყალსაო,
ნუ აუტირებთ დედასა,
გასათხოვარსა დასაო.

თუშის ხმალი

ხმალმა თქვა, განჯას ნაფერმა:
ფრანგში ოსტატმა გამჟედა,
რამდენმაც ხელში ამიღო,
სულ ყველამ ჯვარი დამწერა.
კაის ყმის დაჭრა, დაკუწვა,
სხვა ღმერთმა არა დამწერა,
დედისერთაის სიკვდილი
ნეტავ ღმერთმ არა დამწერა.

გუდანს მოვიდა ლაშქარი

გუდანს მოვიდა ლაშქარი.
ჰიე! კარვებმა შეფარა,

¹ სოფელია ხევსურეთში.

მარტუამ ქიჩბარაულმა
 ჯარი წყალ გაღმა გაყარა,
 ქიჩბარაულის საღარმა
 ლაშქრისკე თავი დახარა.
 ზედა ნაჯდომმა მხედარმა
 საომრად გული დაყარა,
 მხართა ნაკიდებ სიათამ
 პირისას ბოლი დაშალა.
 წელთა ნარტყავმა ფრანგულმა
 პირისას ცეცხლი დაყარა,
 თავზე ნახურმა ჩაჩქანმა
 ფქვილებურ ჟანგი დაყარა.
 ქვეობან ქალმა დახკივლა,
 ქიჩილა უკვენ წახარა.
 — გაქებენ, ქიჩბარაულო,
 ჩემსამცა ქმარსა შეგყარა,
 იმ სასწორიო გზაზედა
 ორანიმც ერთად შეგყარათ,
 ტანთამც იარაღ აგასხათ,
 საფუხრებ შინავ დაყარა;
 თუ შენ მას მოერეოდე,
 დაჭრა, დაკუწა, დაყარა,
 თუ შენ ის მოგერეოდა,
 მხართამც იარაღ აგყარა.

ხორნაულთის ციხე

ხორნაულთას რო ციხე დგა,
 ოქროს ჩარდახი მეგონა,
 შიგ ისხდა მეთოფეები,
 მთავარ ანგელოზ მეგონა,
 აყრიდეს ტყვია-წამალსა,
 თვალ-მარგალიტი მეგონა.

ს ი ძ ე

სიძევ, გმირულად ნაზარდო,
 როსტომიანთა სახეო,

სპილო-ნადირის მომკვლელო,
ძვალსა ტყაურებ დახევო;
გახსოვდეს, მომიგონებდე,
შენი კეთილი ვნახეო.

არ ერიდება ტყვიასო

ქალი ორ გორშელმიონი,
ადგილს გავხედავ ტყიანსო.
სახლ-კარს გავხედავ დართულს.
სიმირგვლივ გალავნიანსო.
შიგა ნადგომსა ციხესა
ნაგებსა ბასრის ქვიანსო,
ვეფხვსა შიგათი ნადგომსა,
მაგ რკინის საკიდლიანსო.
იმთხილეთ, არცა დაზეზდას,
გადმოჰყვას დილის ნიავსო.
არავენ დაგაზიანნასთ,
არ ღრიდებს თოფის ტყვიასო.
ეცადეთ, აგებ გასწურთნათ,
მააშლევთ ხანჯრის პრიალსო,
მემრ გზებზე თამაშობასა,
თოფ-იარაღის ჯღრიალსო.

ჭ ო რ მ ე შ ა

ახლად მოვიდა ზათხული,
ვაჟ ბევრი გულმა აილა;
ჭორმეშამ, ივანეს შვილმა,
თოფაი ხელით გაილა;
არ მივას შინ მოსაველად,
სულარი უბეს ჩაიდვა;
ფშარაოს თავი შაუკრა,
მტრის მოსაველი გზა იყვა.
მაუვა ბუბუნაური,
მანძილამ რქანი მაიხვნა.

შორს დასხნა ამხანაგები,
მარტუა მარტომ გაიგდა,
ომს უჩვეული ვაჟები
სახალისოდა ჩაუშვა.
გულამაყრელებ ამბობენ:
„საორბეს თოფის ხმა იყვა.
აის ჩვენ მონადირეა,
კურდღელა სადამ მაიგდა“.
ღმერთს მადლი, ივანეს შვილო,
მტრის ჯავრი თუ ამიგა!

მ ე ქ ო ბ ა უ რ ი

თუშებს სჯობ მექობაური,
თუშებს საფეხნოს აუტყდა.
ივანეს მექობაურსა
ორ-სამჯერ კარგა მაუხდა:
ქაბრილოს თუშიშვილებსა
ერთხან ვეშაპიც მაუკლა.
ქაბრილოს თუშიშვილებსა
ვერა გაუგავ გზისაო.
დასცილდა¹ მექობაურსა
ამასახელი მზისაო.
გველ თუ გველს შამახბმულიყვა,
ბრძანება იყვა ღვთისაო,
მექობაურის ფრანგული
ვეშაპს ოროლა ჭრისაო.
გველი გაიდვა ხიდადა,
ზედ თუშებ გამოდისაო.

ლაშარელაის ლურჯასა

ლაშარელაის ლურჯასა
ფაფარი ჰსხავის გიშლისა,
შაჯდება, გაემართება,

¹ დააეწყდა.

კოტორ გაჰყვება ნისლისა,
თავის ყმათ მიეშველება,
ხან რო არ იყოს მისვლისა.

ქალი ვარ

ქალი ორ მალლა შამხდარი,
ვინ ჩამამიყონს ბარადა?
ვინაც ხევსურა არ მამწონ,
ვერ მომაწონებთ ძალადა!
არ მინდა ა ისეთაი,
კარგ იყოს თვალად, ტანადა,
რას უშველს სილამაზეი,
ხალხნი რო ხკვლევედან ქალადა.
ვაშკაც უნდ იყვეს ისეთი,
ფიცხად ხმარობდეს დანასა,
სიცილით უნდა იშულლას,
ხმაიც არ გაიტანასა.
მტერს იმის ძახილ რად უნდა:
— შენ გიზამ იმას ამასა?
ვაი რო შორით კვეხნამა
ტყუილად ჩაიარასა.
ემაგის მალექსებელი
ახალს გარმონზე სთვალავსა.

სანამ ქალი ვარ

სანამ ქალი ვარ, გაჯავრებ,
არ დაგიღევა ჯავრსაო,
გზაზე რო შემომეყარო,
არ დაგიგდება გზასაო,
გზის თავზე შეგიფრინდები,
მალლ შეგიტრეკებ თავსაო,
გადავალ გომეწრისაკე,
სანთლით შევარჩევ ქმარსაო.
თუ იქად ვერა ვიშოვნე,

ხევსურთ გადავყვებ ყმასაო.
ხევსურსაც ისეთს გადავყვებ,
დღეთ შუ ღლესავდეს ხმალსაო,
შინ სტუმარ შეუდიოდეს,
აბჯარნ ულეწდეს კარსაო,
ლაშქარს წინ ჩაუძღვებოდეს,
ჩასწრებდეს შუბის ტარსაო.

ა ლ ა ზ ა ნ ს

ალაზნის წყალო, ტიალო,
ველიანო და ტყიანო,
ბევრ ვაჟი გემუქარება,
ბორბლით შავ-წყლამდე მტრიანო;
ვერავინ შამოგვწდებოდა,
ტყუილად გეშინიანო.

გიჟვარდა იარაღები

გიჟვარდა იარაღები,
წელზე შემორტყმა ხმლისაო,
უბის მასრები გიჟვარდა,
თორმეტისა და ცხრისაო,
საპირისწამლეც გიჟვარდა,
ლამაზ გათლილი რქისაო,
მარტყუამ ჩამაიარა,
ის გძელი ჭალა ხდისაო.

ლომისის ჯვრისა

ხორასანს ლაშქრად ვიყვენით,
ჩვენ ლომნი ლომისისანი;
აქ შემოგვესმა უღერანი,
ჟამურთ ბერთ ციხის კლდისანი.
მუხლი მქონდა და ვინმარე

ის ჩვენი ჰარმავისანი;
სადილობითა სამხრამდე
ჟამურთ დავლასეთ ქვიშანი.
წმიდის გიორგის კარზედა,
ლომისის ჯაჭვი ჰკილია,
არავეინ იცის ვისია.
მივიდა, ქალმა შესტირა —
„ეგ ჯაჭვი ჩემის ძმისია;
ლაშქრიდან გამოიტანა,
შავგვრემანაის ყმისია.
ეგ ჯაჭვი ჟანგმა შესჰამოს,
ლომისის საკადრისია,
დედ-მამის დაუჭეროსა.
ეგრემც დღე დაადგისია“.

თოფის ხმა

თოფის ხმა კიუხებშია
ვაჟკაცსა იამებო;
ვაჟკაცს ტყვიით დაჭრილსა
არ უნდა ზიარებო:
მოკვდება, დამარხვა უნდა,
არ უნდა გვიანებო!

ჟო რ ა ნ ი

ბრალია, შაო ყორანო,
შენ ჩემის ლეშით ზძღებოდე,
წახვიდე ჰალას, იბანო,
მალლა მუხებზე ეჭდებოდე,
აწიოკებდე მთა მალალს,
დაბლა ბარს ემუქრებოდე:
მემრე მენახას, ფრთა-შაო,
თოფის ნიშანზე ზდგებოდე.

სიკვდილის ზნე

ნეტავ რა ზნე სჭირს სიკვდილსა,
ვერ მიხვდა ჩემი გონება!
შიგ ამოარჩევს ვაჟეაცსა,
რომელიც მოეწონება.

სოფელს ტირიან ქალები

სოფელს ტირიან ქალები.
სოფელს კაი ყმა კვდებო,
ღმერთო, ნუ მოკლავ კას ყმასა,
სოფლობა წაგვიხდებო,
უფროსთანა ან მტერთანა,
წინ ვილა წაგვიძღვებო.

სიკვდილმა თქვა

სიკვდილმ თქვა: არ დავიჯერებ,
ნაბძანებს ვიზამ ღვთისასა:
შავეთში შავყრი ლაშქარსა
შავგვრემანაის ყმისასა,
იქ დავდგამ ლუდიანს კოდებს,
შიგ თასებს ჩავდგამ ხისასა;
დავაღვეინებ იმასა,
ვინც მალლა შაჰკრავს ისარსა!

თქვენი ჰირიმე, ყორნებო

თქვენი ჰირიმე, ყორნებო,
გლოვა არ იცით მკვდარზედა;
რაც უნდა კარგი ყმა მოკვდეს,
ცრემლ არ მოგივათ თვალზედა.
შაიმოსებით შავადა,
თეთრს არ ჩაიცომთ ტანზედა,

კარგს ყმას გულს ამაარიდებთ,
ჩამაირიგებთ ჯარზედა,
გაილექებით სისხლითა,
გადახვალთ ილტოს წყალზედა!

ავად არს ლაჭაურაი

ავად არს ლაჭაურაი,
მოკვდებ — მორჩება ველარა;
დედის დამცხვართა საგძალთა
ველად გაიხომს¹ ველარა;
ცოლის დაქსოილ წინდათა
ფეხზე ჩაიცომს ველარა;
შილდის თავს ცივსა წყაროსა
გვერდს მოუჭდება ველარა!

თუშებ არ წავლენ სათიბსა

თუშებ არ წავლენ სათიბსა,
ლაშქრობა მოგვინდებო!
თუ წავლენ, მოიგრილებენ,
მუხლში წყალ ჩაგვიდგებო.
ბახტარიშვილის ლურჯაი
ირემს ჰგავ, გაფრინდებო,
მხედრად აქებენ ლილოსა,
ცხენზედ მარდადა ჯდებო.
ზენ ბაცალიგოს² თოვლი თოვს,
ქვენ ბაცალიგოს³ შრებო!
თინიბეჭაის ციხესა
მარჯვენა გვერდი სქდებო!
თავს დაჰყეფს შავი ყორანი,
ლიბოში გველი ძვრებო,
შიგა წევს თინიბეჭაი,
უზიარები კვდებო!

¹ გაიტანს

²⁻³ სოფლებია ხევსურეთში.

სად მიხვალ, წყალო მდინარო

სად მიხვალ, წყალო მდინარო,
ნაწურო მალლის მთისაო!
ჩამთქმელო ლურჯაისაო,
ზედ ლალის ჭაბუკისაო,
ნაპირზე გამამტანელო
ქუდისა, მათრახისაო!

ჟაჩალის ნათქვამი

ლამაზი ვაჟის სიკვდილსა
დედანი აღარ ნანობენ,
ხევს მდგარი ჩემი სახლ-კარნი
ჩაქცევას ჩამალამობენ,
ჩაიქცევიან ოხერნი,
ბოძები ტყვილად წვალობენ.

ხოვაის მინდი

ხოვაის მინდი კვდებოდა,
მზე წითლდებოდა, ცხრებოდა,
ცა ჭებდა, მიწა გრგვინავდა,
სული გვიანა ჰხდებოდა,
ჩამოდოდა მასკვლავი,
მთვარეც უკულმა დგებოდა,
ქორ-შავარდენი, არწივი
სუ მხრებით იხოშებოდა.
მალლის ჭიუხის ნადირი
სატირლად ემზადებოდა,
ცხენი იმისი ტიალი
ლურჯა ტოტზედა დგებოდა;
კოლი იმისი ბეჩავი
სულ შავად იმოსებოდა;
დედა იმისა საბრალო
ტირილს აღარა ჰხდებოდა,
მამა იმისი საბრალო
თმა-წვერით იხოშებოდა.

განა ჭოთილაძე

თოვლი თოვს ვესტმის მთაზედა,
დაბლა სოფლადა შრებაო,
ავად არს ჭოთილთა განა,
გულს უწადინოთ კვდებო.
ნუ მაჰკლავ, დამბადებლო,
სოფელსა ეტლი ჰხდებო;
განასა დედა, ბეჩავი,
ბერი ბნელეთსა ჯდებო.
ბრალია, განას დიაცი
სანთელივითა დნებო.
გამართეს დასამარხავად,
წინ ცხენი ჩაუძღვებო,
ფეხს უცემს, შეიჭინებებს,
შეჰხედავს — ატირდებო!
დამარხეს მელეკე განა,
კუბო გამართეს რვლისაო,
ოქროს შუშუტებ¹ ჩაუშვეს,
შუქნიმც გადგება მზისაო,
ცხრა დაუყენეს ხუცესი,
ცოდო მოჰხადონ მტრისაო.

მარტია შუქიაური

ციხე სტირს შუქიაურთა,
უბმობს ქვიტკირის კარია,
სიკვდილსა შუქიაისას
იწყენს წყალ-შუის ჭვარია:
„ორნივ დამეკეა ბელელი,
დროშას შამიწყუდა ჯარია,
პატრონ მარტია მამიკვდა,
მტერმ შამამართვა თვალია“.²

¹ ღრუ ჭოხი, ან ბალახის ღერო.

² თვალი მკრა.

შატილის დაწვა

იყრების დიდი ლაშქარი,
ტყეს ფათვლად გადასწვდებისა;
არაგვი შამაიარეს,
მთას იქით გადახდებისა;
ჩაწვა, ჩადაგა შატილი,
ალ ზეცას ღმერთს მისწვდებისა;
გუროს¹ სიმაგრეს მიუდგეს,
ვაუებ შიგ შაუდგებისა
გამადის ბუჩასეული²,
მკვდარ კლდეზე გადიყრებისა.
ასანდით გამაბრუნებულ
ხევსურეთს ჩამადგებისა.
ხევსურეთ დაწვა, დადაგა,
ცოდო-ბრალ დიდი დგებისა
კეოს³ დაბრუნდა ლაშქარი,
ქობულოს⁴ გამაზდებისა:
მამუკა ხელ-მოკლეთაი
ვეფხვ საომრადა ხდებისა.
აკუშოს⁵ ჩავა ლაშქარი,
მდევარი ჩამახყვებისა.
ხმალს ნუ სტეხ, მგელათ სუმბატავ,
ნაცად არ გეკარგებისა.
ბაბუა მგელაისშვილი
ვეფხვი კანკებზე დგებისა;
კვირიკა ჭილჭიასძეი
ბუღაი დაბრუნდებისა.
მამასა ურჯუკაისას
მზე უდგას, უბნელდებისა,
თორ დედა ბებერ ხყოლია,
ცვილის სანთლები დნებისა.
დანი საბნელოდ ჩაუსხდეს,
ფარაგთით იხოშებისა.

1. 3. 4. 5. სოფლებია ხევსურეთში.

² ბუჩა — სახელია შატილელთაგან თვითნაკეთები დიდი თოფისა.

ლომო, შე ლომის მოკლულო

ლომო, შე ლომის მოკლულო,
ხადხეორხაის ძირსაო!
ვინ შაგიღება მხარ-ბეჭი,
წითელი პერანგისაო?!
ვინ ამოგტეხა კბილები,
თეთრები ბროლივითაო?!
ლამაზად დაგიტირებდი,
ხათრი არ მქონდეს ქმრისაო!

მ ო ლ ო დ ი ნ შ ი

ატირდა ბელლის დელესა
ორი ლამაზი ქალია.
მესამე დედა ატირდა,
ცრემლით იბანნა თვალნია.
კახეთს არიან ახლები,
ველით — მოსვლისაც ხანია;
ველით და არ მოგვივიდეს,
თეთრად დათოვნა მთანია.

ვ ა ს ი ლ ა ი

რა ცუდი ჟამი დაგიდგა,
ნისლი შემოწვა ზღვისაო,
ვასილას ამწუხარებენ,
ტროპეთ ივანეს შვილსაო.
ამბობენ, აღარაჩია
ვაჟკაცი დიდის ჭკვისაო;
იშლება მათაა წვერები,
ლოდი ჩამოდის ძირსაო.
როგორ გერევა სიკვდილი,
ნაშალო სალის კლდისაო,
მთის ფალავანო, ვაჟკაცო,
ვეფხო, არწივო მთისაო.

კარგი გაგზარდა დედამა,
ქილის დამკერი მტრისაო,
სუყველგან იმედიანი,
ყველგან გამლები გზისაო.

გიორგის ამბავი

გიორგი სიზმარსა ხედავს:
ცა წითლად იღებებოდა,
დედა ტიროდა გიორგის,
ცხენი ტორებზე დგებოდა;
დაიქცა მისი სახლ-კარი,
მთაზე ირემი კვდებოდა,
ალვის ხე წამოქცეულა,
ცოლი ტირილით დნებოდა.
მამას წვერი შეეღება,
გიორგი ეცოდებოდა,
ტიროდა მისი ცოლ-შვილი,
მაღალ ღმერთს ევედრებოდა.
მთაზე რო დიდი ხე არი,
კინწოში გველი თბებოდა,
ჭრელამდა, თვალებს წვრელამდა,
გიორგის ეპარებოდა,
გესლავდა, ენას უყოფდა,
არც ახლოს ეპარებოდა.
გიორგი ხმალსა იწვდენდა
და მაინც ვერა წვდებოდა,
ქაში ჩამძვრალი ეშმაკი
სიცილით იგუდებოდა:
მოკვდაო გმირი გიორგი,
სატანას ეუბნებოდა,
ჭია-ლუასაც გაეგო,
საქმელად ეშურებოდა.
ყვაეი, ყორანი, ყვანჩალა,
სულ გზაზე ეწკაპებოდა.
გაივსო გუდუყის ველი,
ფეხი არ ჩაიდგმებოდა,

მზე მიწას ვერ დახედამდა.
ნემსი არ ჩაეარდებოდა.
გადაიწყვიტა გიორგიმ,
სხვა რაღა ეშველებოდა,
ერთი ქე გაჰკრა-გამოჰკრა,
ხმალი ძირს უვარდებოდა.
ჩამოეხია პერანგი,
ფარი ვერ ეფარებოდა.
უურში გველი უსისინებს,
გულზე ყორანი ჯდებოდა.
ეშმაკი თავს დასდგომია,
ობოლ სულს ეხვეწებოდა,
არც სული მისცა, არც გული,
ცოტა ეიმედებოდა...
კიდე მოსთხოვეს გულ-სული, —
ზეცა არ ემეტებოდა-
დაუწყეს გლეჯა მხეცებმა,
სისხლისგან იწრიტებოდა.
გაიხსნა ზეცის კარები
ნათელი ჩამოდგებოდა.
დედა მარიამი მოჰყვა,
ხელში სანთელი ნთებოდა.
პირჯვარი გადაუსახა,
გიორგი ფეხზე დგებოდა.
უკან გაბრუნდნენ მხეცები,
ქია — ბეჰველათ ჩდებოდა.
ეშმაკი ქვაზე თავს ურტყამს;
გველი მიწაში ძვრებოდა.
— გამომყევ, შვილო გიორგი,
შენ ზეცა გელოდებოდა.
წაბჰანდა და წაიყვანა,
ნათელი სვეტი დგებოდა:

გათენდა დილა სისხამი,
გიორგის ელვიძებოდა,
თვალეებზე ხელი მოიხვა,
თავის არ ეჭერებოდა,
შეკაზმა თავისი ცხენი,

ზემსი ქე დავიწყებოდა,
 შამოახტა და გაფრინდა,
 უკან ქვეყანა რჩებოდა.
 მიფრინავს იმისი ცხენი,
 თვალიც ქე ვეღარ წვდებოდა.
 დილა იყო იმისთანა,
 გიორგის ელაღებოდა.
 იმღეროდა და ფრინავდა,
 თავის არ ერიდებოდა;
 უცხო მხარეს რო გავიდა,
 მზე თოხის ტარზე დგებოდა.
 კვესავდა გიორგის ცხენი,
 ფეხზე ნალები ცვდებოდა.
 ერთ სოფელს გამოუარა,
 კაცი ქალს ეფერებოდა —
 ჩამეგელიჯა გულქანდა,
 ძუძუებს ეტანებოდა.
 ქალი ტიროდა ხმამაღლა,
 მალა ღმერთს ეხვეწებოდა,
 გიორგის რო თვალი მოჰკრა,
 კურცხალი ეწურებოდა.
 უწვიმდა ბროლის გულ-მკერდსა,
 კბილით კაცს ეომებოდა.
 — შენ რო ქრისტიანი იყო,
 მე ახლა მეშველებოდა.
 დასჭყივლა მაშინ გიორგიმ,
 ზეცას ხმა ეყურებოდა,
 გადმოუქნია ხანჯალი,
 კაცს გულში ჩეესმებოდა;
 ქალი ცხენზე შამოისვა,
 შინისკენ ეჩქარებოდა.
 მაშინ წამოდგა მტრის ურდო,
 გიორგის გაუდგებოდა;
 შემოტრიალდა გიორგი,
 ურჯულო ეჯარებოდა.
 ვააესო ქალა ლაშქარმა,
 ბელადი წამოწეოდა.

ერთი შეჰყვირა გიორგიმ,
ბელადს მზე უწითლდებოდა,
გაკვესა ხმაღმა და კაცმა,
წვეერი მიწაზე წვდებოდა.
რამდენი წამოეწია,
იმდენი ძირსა წვებოდა,
რამდენსა დედა უტირა,
რამდენის მკლავი ხმებოდა;
გიორგი ხმალით ცელამდა,
სამკალში გეგონებოდა.
ქალს ეცოდება გიორგი,
თან გულში ეხუტებოდა:
— დამტოვე, ჩემო დამხსნელო,
ეს ჯარიც დაგეხსნებოდა!
ხოცა და ხოცა გიორგიმ,
არავის ერიდებოდა.
ცხენს ნალები შემოაცვდა,
სისხლში ფეხ უცურდებოდა,
ხმალი ვადაში გაუტყდა,
ხანჯალზე ეტანებოდა.
ერთი ურჯულო მოსდევდა,
იმას ქე ვერ მისწვდებოდა,
დეიალოვა ტიაღმა,
თოფის ფენს ეზიდებოდა,
ესროლა ბეჭში გიორგის,
გიორგი მკედარი ეგონა.
დააძვალბილა ურჯულო,
ბეჭის ფთაც ეტკინებოდა.
გადმოსვა ცხენიდან ქალი,
თავად ფეხზე ძლივს დგებოდა;
მოუყვა თავის სიზმარი,
სიკვდილი ეზარებოდა.
ქალი ტიროდა ქართველი,
გიორგის ეფერებოდა,
ლოცავდა, პირზე ჰკოცნიდა;
სულ ცრემლებადა დნებოდა:
გიორგი ვედარ იძვროდა,
ქალის ხელებში კვდებოდა.

ვაჟკაცის სიკვდილი

ვაჟკაცსა თავის სიკვდილი
თავი მძინარე ჰგონია,
სისხლისა ღვარი ნადენი
სალხინო ოფლი ჰგონია,
გაკრობა საკაცეზედა,
ცხენზე შეჯდომა ჰგონია,
წინ რო ღვდელი გაუძღვება
თავის შათირი ჰგონია,
ჩადება ბნელ სამარეში
ლოგინში წოლა ჰგონია,
თავით ქვას რო დაუდებენ,
ცოლის ბალიში ჰგონია,
ზედ დაყრა შავი მიწისა
საბნის დახურვა ჰგონია,
ბაყაყ-ჩინჰველას დასევა
წვრილი ცოლ-შვილი ჰგონია,
ყელზედა გველის მოხვევა
ცოლის მკლავები ჰგონია,
ნაწვეთი მარმარილოსი
დედის ცრემლები ჰგონია.

მაღალ მთაზე

მაღლა მაღალსა მთაზედა
სისხლისა გუბე მდგარიყო,
ჩენი მტერი და ორგული
სვამდა და ვერ გამძლარიყო.

წყალსა მოჰქონდა ნაფოტი

წყალსა მოჰქონდა ნაფოტი,
ალვის ხის ჩამონათალი,
დადექ, ნაფოტო, მიაძბე
მოყვრისა შემონათვალი;
დადექ, წყალო, და მიაძბე,

სად ვინ რა დაგაბარაო,
მეგობარი ხომ არ ნახე,
ბევრჯერ შენს ნაპირს მდგარაო?
თუ ნახე, ხომ არ მიგლოვდა,
თვალთ ცრემლი ხომ არ ღვარაო?
ლაშქრად წასულთა ძმებთანა
დამა რა დაგაბარაო?
ხომ არ მოსულა შენთანა,
ხელ-პირი დაიბანაო?
ხომ არ ატირდა ბრალადა,
ცრემლები ჩამოყარაო?
— შენი მოყვარე ტანწვრილი,
შუა გზას ვნახე დაჭრილი,
დავდექ და ბევრი ვიტირე,
ზედ მივაყარე ქვა წვრილი.



ვახტანგ მეფე

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიღმა მთებმა იწყეს ღრეკა.

გორგასალი

პირდაპირ შამაფხედევლი
ციხის გაღვენის პირსაო.
ჩეფე ყოფილას გორგასლამ,
მშვილდ უკეხებავ გმირსაო.

ვახტანგ მეფე რომ კვდებოდა

ვახტანგ მეფე რომ კვდებოდა,
ცა ღრუბლით იმოსებოდა,
აზნაური და გლეხობა
სატირლად ემზადებოდა.

გიაგობი სიფრიაღესა

გიაგობი სიფრიაღესა
დავითის, აღმაშენთასა,
მტკიცესა მკლავსა, განმგესა,
წყობასა სპარაზენთასა¹.
მალლით განცდასა ქვენათა,
ლალვათა აღნაგზენთასა,
და ქველთა საქმეთ ურიცხვთა,
გლახაკთად მინაფენთასა.
გითხრობ წმიდათა ადგილთა,
ნიჭთა მათ მოსახსენთასა,
ვინა მიილო საზომი
უთვალავთა მათ ძღვენთასა, —
ხილთა, გზათა და ზღუდეთა,
ხანაგათ², კვლავ საყეხთასა³.
და იყო დიდი სიმრავლე —
განარკვთა⁴, თქმულთა ბრძენთასა! —
მკურნალთ ხადოდის⁵ სულისა
და ხორცთ შექმნილთ სენთასა,
მოწოდებ⁶ სწყალობდის მოძღვართა,
ათონით მონავლენთასა,
ათენსა სწვრთნიდის ჭაბუკთა,
იყალთოს მონასმენთასა,
და სთესდის მადლს და სიბრძენსა, —
სულმნებთა⁷ აღმაფრენთასა.

მცხეთა ისე ამიგია

ხეკორძულას წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამიგია,

¹ მხედრობათა;

² საგლახაკო სახლი;

³ უცხოთა შესაწყურებელი სახლი;

⁴ განაკვეთი;

⁵ იწოდოს;

⁶ ღმობიერებით;

⁷ პოეტთა.

არც არავგი, არცა მტკვარი,
ნამი არსად მამიკლია,
ქვაც იქიდან მიზიდნია,
მიწაშიაც საძირკველად
ჩემი გული ჩამიდვია.
აილო და ხელი მომჭრა,
რატომ კარგი ავიგია!

ს ი ზ მ ა რ ი

თამარს უამბო დედამა,
შენზედ სიზმარი ვნახეო.
ერთსა სარკეში ჩავხედე,
ხმელეთ სულ დავინახეო,
შენ იყო, შეილო, ქვეყანა,
შაგნებით შაინახეო.

თამარ დედოფალი და ლაშარის ჯვარი

შვიდი წლის ქალი მობრძანდა
თამარი დედოფალია,
ჩიქილა გადაიქნია,
გადააქანნა ზღვანია.
შუა ზღვას ჩადგა სამანი:
არ გადმასცილდეს ცვარია!
ლურჯცხენა ყმაწვილ მობრძანდა,
ლალი ლაშარის ჯვარია.
— ერთურთის პირდაპირ დავდგეთ¹,
ვიმსახურნოდეთ ყმანია!
შიბი გაუდვავ ხიდადა,
იმაზე გასავეალია!

ბრძანებდა დამბადებელი

ბრძანებდა დამბადებელი:
რო დავდგი მიწა-მყარიოჲ.

¹ უკანაფშავში თამარისა და ლაშარის სალოცაეები, შიშები, ერთმანეთის პირდაპირ დგას, არავგის გაღმა-გამოღმა გორებზე.

სულ თავის მორთულობითა
 შამხდარი¹ მთა და ბარიო,
 მურგვალთ სამი ზღვა მუავლე:
 თეთრი, წითელი, შავიო,
 ზედ გადავხურე ზეცადა
 სინა, კიქა და რვალიო;
 შიგ გავაჩინე მზე-მთვარე,
 მავალი დღე და ღამიო.
 დუნია გამიჩენავის,
 რჯულად ათასი გვარია.
 სანას სამ წმინდა გიორგი
 ოთხსავე კუთხეზე ჰბრძანია,
 ქრისტეიანთ სალოცავადა
 გამოსახული ჯვარია,
 ღვთიშვილთა, ღვთის ნაბადებთა,
 ქრისტეიანთ სალოცავია.
 ღვთიშვილთა ჰყავის წმინდაი
 თამარი დედოფალიო,
 უფლისა იყო ბრძანება
 შაირტყა მამის ხმალიო!
 მამის სამეფო აიღო,
 თვითონ ბრძანდება ქალიო;
 ხმელეთ თავისად მაიგდო,
 იმდენიცა აქვს ძალიო;
 შუა ზღვას ჩადგა სამანი,
 სამანი — რკინის სარიო.
 სატახტო საბძანებლადა
 თვითონ ხმელს გორზე ჰბძანია,
 პირდაპირ უდგა გორზედა
 ლალი ლაშარი ჯვარია;
 შაძლებულ მიდგებ-მოდგება,
 წელზედა ჰრტყავის ხმალია;
 გვერდს უდგა ნისლის ფერაი,
 ტრედივითა ჰქონ მხარნია;
 ოქროს უნაგირ ზედ ადგა,
 ოქროწყლის ლაგმის ტარია.

¹ ლამაზად მოწყობილი.

დალოცვილ შამზადებულა:
დაფანტულნი მყევან ყმანიო!
მიეშველება ერთგულთა,
არ იყოს მისვლის ხანიო.

თამარ დედოფალო

ო, სიხარულო, თამარ დედოფალო,
ყველაზე უკეთესო, თამარ დედოფალო!
თმები გედგა ხუჭუჭი,
თვალეები გესხდა გიშრისა,
კბილები გქონდა მარგალიტისა;
შიგნით გეცვა ატლასი,
გარეთ გეცვა აბჯარი,
ფეხზე გეცვა, ქოშები,
თაეზე გედგა ზუჩი,
ცხენი გყავდა ქვიშისფერი,
უნაგირი ედგა მოჭედილი,
ალეირი ედგა მოვერცხლილი,
მათრახი გქონდა ოქროსი.
თამარ დედოფალო! თამარს,
ყველაზე უკეთეს თამარს!

თამარ მეფე და ხონთქარი

თამარ მეფე და ხონთქარი
მალალმა ღმერთმა წაჰკიდა,
ზღვაში ჩაუშვა ხომალდი,
ზედ აღმასები დაჰკიდა,
შიგ ჩასვა ქართველთ ლაშქარი,
მრავალს წყალობას დაჰპირდა.

ელი ელამდა

ელი ელამდა,
ზღვა ბიბინებდა,
ზღვისა კიდესა
კარავი იდგა.

შიგ ქალი იჯდა,
 ზარი ეხურა.
 აეხადე ზარსა,
 სამი ვაკოცე,
 სამმა კოცნამა
 ფერი უცვალა,
 ფერმა ნაცვალმა
 წიგნი დაწერა.
 — ვის გაუგზავნა?
 — დავით ნეფესა.
 — რა მოუვიდა?
 — ქამხა, ატლასი.
 — რით მოუვიდა?
 — ჯორ-აქლემითა.
 — როგორ გამოსქრა?
 — ბროლის თითითა.
 — რითი შეკერა?
 — ნემსის წვერითა.
 — როგორ იცმევდა?
 — სინარულითა.
 — როგორ იხდიდა?
 — ხორცის გლეჯითა.
 — რაში გარეცხა?
 — სისხლის ზღვაშია.
 — რაზე გააშრო?
 — ალვის ხეზედა.
 — რაღამ გააშრო?
 — ნიაგმა-ქარმა.

თამარის ხმოვა

ათასი კაბა ყმა მყავდა,
 ყველანი ოქროს ღილითა,
 ვაჟმევედი დედალ ხოხობსა,
 ვასმევედი ბროლის კიქითა,
 ვინც კი შემეება, შევები
 ალალითა და ჯიქითა.

აწი თქვენ იცით, მეფენო,
ვინც დარჩით ამას იქითა.

თამარ დედოფალი ვიჟაჰ

თამარ დედოფალი ვიყავ,
თავი ძირს აღარ დავიდე,
ზღვაში ჩავყარე სამნები,
ხმელეთი ჩემსკენ დავიგდე;
ქაჯებსა დავდე იჯარა,
ისპაანს ხარჯი ავიდე,
სტამბულს ხმალი ვკარ, დარუბანდს,
შამს საბალახე ავიდე,
უსიერი მთა გავკაფე,
დიდი შარა-გზა გავიდე;
ლადა-ლუდა ტყე ვიარე,
ქვაზე საყდარი ავიგე.
ამდენი საქმის მოქმედმა
ცხრა ადლი ტილო წავიდე.

შ ა ვ ლ ე გ ო

შველევ ჩამოხტა
შავსა გრილოსა,
ომი მოგვიხდა,
ომი რა ომი!
ლეშის ნაკუწი
ხორად დგებოდა,
სისხლი ნაღვარი
ზღვას ერეოდა.
შუბის ნამტვრევი
ცასა ხვდებოდა.

შალვა, შურისა მძებნელი

შალვა, შურისა მძებნელი,
მთას ქორებულად ჰკიოდა,

მე მონადირე მეგონა,
 მას თურმე გული სტკიოდა;
 წაიგდეს ვიწრო ხევშია,
 მთა-ბარი სუ ზედ ხვიოდა,
 გულს ერქვა თეთრი ისარი,
 კილოზე სისხლი სდიოდა;
 თავის თავს არა ჯავრობდა,
 თავის სწორებსა ჩიოდა,
 ორასი თურქის მომკვლელი
 უომრობასა ჩიოდა.

როს იძრა ცა და ქვეყანა

მეფემ ჩაიკვა აბჯარი, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 წელს შემოირტყა ხმალიო, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 მან რომ ხმალი შემოირტყა, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 არ მოშორდება თვალიო, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 გიყობდა თარარ ყმანიო, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 არ გადაგვარა მთანიო, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 დასჯერებოდე გორ-ციხეს, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 გეჭამოს შავი ფხალიო, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 ქვე დასხდეს ბროლის ჭალასო, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 ადგილი ჰპოვეს მყარიო, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 დაჯდეს და წიგნი დასწერეს, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 სიგრძე-სიფართე მხარიო, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 მათ გამორჩევა შეეჭმნა, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 დიდი ბჭობაი არიო, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 არჩიეს, გამოარჩიეს, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 შიკრიკი გამოარჩიეს, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 შენ, ჩვენო ღმერთო, შიკრიკო, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 იარე დღე და ღამეო, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 გურჯთა მიართვი ნეფესა, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 ესე პასუხი ჩვენო, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 აწი მოგვეცი რუსუდან, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 მორჩილისა ტანისაო, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 ან მოგვიკრიფეთ ხარაჯა, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 ცხენ-ჯორი, თხა და ცხვარია, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 დაიძრა დიდი სულთანი, როს იძრა ცა და ქვეყანა,

პატარა ტანოვანია, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 სასუთროს დასცეს კარავი, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 იძრა ქვეყანა მყარო, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 პირშელში შემოდოდა, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 ხვარაშნეთისა ჯარიო, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 ზედასა კარსა ჩამოდგა როს იძრა ცა და ქვეყანა,
 შავი სვანისა ჯარიო, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 ქვედა კარს გარე-გარ გადგა, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 შავი სისხლისა ღვარიო, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 ზელო და მხარო, გასჭერი, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 გულო, ნუ შეგვიშინდები, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 სისხლისა ნატალახევსა, როს იძრა ცა და ქვეყანა,
 ფეხო, ნუ მოგვიცურდები, როს იძრა ცა და ქვეყანა.

ბახტრიონის აღება თუშთაბან

ბახტრიონს სხედან თათრები,
 სიტყვას აზობენ ძნელსაო:
 ახმეტას გავჭრით ვენახსა,
 შიგ დავასახლებთ ელსაო;
 შეიტყეს თუშის შვილებმა,
 მალღ შემოირტყმენ ხმლებსაო.
 ჯერ შუალამე არ ქმნილა,
 ნაქერალს გროვდებიანო.
 შევლაო შევლაიძეო,
 პანკისს გასტეხე წყალიო;
 უკულმ დავკედოთ ცხენები,
 დავამალვინოთ კვალნიო.
 საგათენებლოთ დავეცნეთ
 ბახტრიონს გალავანზედა;
 — გარეთ გამოდი, სულთანო,
 თუშნი გისხედან კარზედა,
 თუ ნებით შენ არ გამოხვალ,
 გამოგიყვანენ ძალზედა.
 მეტი ვარ საღირიშვილი,
 ნუ მიმზერთ ტალავარზედა,
 გადავალ, გადავფრინდები
 ბახტრიონს გალავანზედა,

შვიდი არ მოკვალ ხმალ და ხმალ,
 გამცვალეთ თათრის ქალზედა.
 გობგავლებული ფრანგული
 კაბას რა კარგად კრისაო.
 ჯიშით ეჯობინარ, ფრანგულო,
 მკრელი ხარ, დავითფერულო!
 ალთეს და ჩალთეს თათრები,
 წითლად ჩადიოდ წყალიო;
 ალვანში ციხეს აგებენ
 ხოჯა თათრისა ძვლისაო,
 ლიბოდ უგდებენ გალოსა
 ნაწვრეტის ფრანგულისაო.
 დაგადებინეს ალვანი,
 თუშთ არის საკუთარიო;
 ჯერ ღმერთი, მერე ბატონი,
 სხვა არვინა ჰყავს მცილავი;
 ვინც ალვანს უარესობდეს
 ცოლმა შემოხსნას ხმალიო!

პახეთში ფუნჩაიშვილი

.კახეთში ფუნჩაიშვილი
 .აკეთებს შუბის წვერსაო,
 .თბილის წყლით ფაფარს გადაჰბანს,
 .ლიტრა ქერს აჰმევეს ცხენსაო.
 .ოსმალში ერთი თათარი
 .ენას აუბნებს ძნელსაო:
 „ბახტიონს გავჰკრი ვენახსა,
 .ზედ დავასახლებ ელსაო,
 .არც თუშებს შევეპუები,
 .და არც ზეზვაის ცხენსაო“.
 .ეს რომ გაიგო ზეზვამა,
 ცხენს მაუმატებს ქერსაო.
 — ჩქარა გასუქდი, ლურჯაო,
 .გავაზედ უსომს ხელსაო.
 .დავეწყემსები სულთანსა,
 .როგორც მიმინო მწყერსაო,
 თოფს დავკრავ, ხმალსაც შემოვკრავ,

დღეს დავაყენებ ცხელსაო,
თავსაც იქ დავდებ ჭალარსა,
მამულს არ მივცემ ჩვენსაო!

ჰირსამც მავხპარავ ზეზვასა

ჰირსამც მავხპარავ ზეზვასა,
გაფრინდაულის შვილსაო!
საც ომში დაეტანების,
მარცხენ-მარჯვენა ჰრისაო;
სადაც არ სტანავ ზეზვაი,
ლაშქარი ცუდად დისაო.

შიოლა და მთრეხელი

აქნამდე, ლუღუშაურიო,
სკამს იჯე ერისთვისასა,
აეხლა გამისხორიგდი,
მსახურს გაფერებ სხვისასა.
არ გაუტიე მთრეხელი,
ზევს მიმავალი დისასა.
ცხენი მასთხოვე, გიბოძა,
მშვილდს რადალ სთხოვედი რქისასა?
— მშვილდ თაოდ უნდა მთრეხელსა,
ნაპირის ადგილისასა;
გზა ყველაისად სწორი ას,
რად არ გამიშობ, ხთის მადლსა?
მგონიხარ ნახალიზარი,
ყამს თუ არ იყავ მტრისასა. —
არ დაიშალა, გადასწვდა,
მხართ ნადებს მშვილდსა რქისასა:
— გახლავარ ლუღუშაური,
არ დაგიფერებ სხვისასა! —
გულს დახკრა, სხვაკე ვალვარდა,
ფალავანს აჩხვატისასა:
— კარგა ხანს სჭამე აჩხვატი,
ახლა მე გაქმევ მიწასა.
კამაბრუნდების მთრეხელი,

დაეღწეას ღვავ ცისასა,
მოზღვევენ ლუღუშაურნი,
განრისხებას ღვონ ხთისასა,
მიღმართა ყოვლაწმიდასა,
დედას, მშობელსა ხთისასა;
კარნ არ დაუხვდეს ღიანი
ნაგებსა დედუფლისასა.
მივა და შაიხვეწების
ქმისა მამკლავი დისასა:
— დაო, ვერ შემინახევდი?
ცხონებას შენის ქმისასა!
— წამოდი, შავო და ბნელო,
თუ სულს ვაამებ მკედრისასა.
ნუ მახკლავთ, ჩემნო მამულნო,
ნაჰაპნს ნუ მამჰრით თმისასა!
კარისას არ გაუტივნა,
საკვმით დაუკვრენ ისარსა.
ამბობენ ჩამაქცევასა
ახალციხურის კლდისასა,
თან ჩაყოლასა ამბობენ
ქერბელელაის ძისასა, —
ვერ შაინახა სტუმარი,
ვაი ვა, დედას მტრისასა!

შენ, ერისთავო

შენ, ერისთავო, დიდის მთისაო,
წყალი ჩაგიდის არაგვისაო,
არკი გეტყოდი, ჩემო ბატონო,
ყიდვა ნუ იცი შენის ყმისაო,
ბევრი გაჰყიდე ქალი და რძალი
გარდახატული თვალ-წარბ თმისაო.

ზურაბის ჯაჰრი

ზურაბს ჯავრი ჰკლავს ორისა:
ხევსურეთისა, ფშავეისა.

ხევსურეთს — კორმეშავისა,
კორმეშავს — კლდისა შავისა —
შიგ მდგომლის მარტიანისა,
ხმაღისხლიანის ვაჟისა.

ერისთობა ხევსურეთში

ხევსურეთშია, ზურაბო,
ვერ იქამ ერისთობასა,
გაგიწვრილდების კისერი,
ვერ შესძლებ ქვეითობასა.

ზურაბის გალაშქრება ხევსურეთზე

ღუქვით იყრების ლაშქარი,
არ ერგებიან გზანიო.
სასმელად არ ეყოფიან
ბაზალეთურნი ტბანიო,
სადგომლად არ ეყოფიან
თრიალეთურნი მთანო.
ქვეით ღულის თავს მოვიდა,
ნაკარვებს — ცხენოსანიო.
ბაცეს სუმბატას მიუდგეს:
„სუმბატავ, შინა ხარიო“?
„შინა ორთ ბიძა-მისწულნი,
სამნი გეტანიან სხვანიო,
სკამზე გვიწყვავის ისარი,
გამოვა ჯორის ცალიო“.
ჯერე ფარ გამაიყოლა,
მემრე შიშველი ხმალიო,
ბაცეს სასისკროდ ატირდა
აჭეს ჩაბაკის ქალიო:
„მიშველეთ, ჩემნო მამულნო,
მტერმა მამტაცა კარიო,
მამიკლეს თათარ-ქართველთა
ხევსურთ მემეტე ქმარიო“.

საკამატვილოს¹ წამოდგეს
 ცხრანი ძიბლანი ძმანო:
 „არ გამოგვისხნეთ დარნითა²
 შუქო, თამარო დანო“.
 კვათეს³ ჩაყარეს ისარი,
 დილა რო ცამა ნამიო.
 კიბეს ჩაწურეს ლაშქარი,
 რო საკალმახე წყალიო.
 ვინ იჯე ღორღლოვანასა?
 გაგიწყრ კარატის ჯვარიო!
 დაგუბებულსა ლაშქარსა
 შენ გაასწავლენ გზანიო.
 გუდელას დაჯდა ზურაბო,
 ატირდა ეგრ რო ქალიო:
 „დაშაკლდა სათვალავშიგა.
 სამოცი ხმალოსანიო“.
 „გაიქეც, ერისთვისშვილო,
 მოგდევენ ხევსურთ ყმანიო,
 თორ კიდევ ჩაწითლდებიან
 კეოს გორ ქცეულანიო⁴.
 აგერ ღულის თავს გახენე,
 მძიმე გადმოდგა ჯარიო“.
 რბოლით დაკრიფნა ზურაბმა
 გძელნი არაგვის გზანიო.
 ჩარგლის კართ დახვდა მშველები,
 აყოლეს სისხლის კვალიო.
 ცოლი ეტყოდა ზურაბსა:
 „რად არ მოგიღეს მკვდარიო“?!

მ ი ს უ რ ა უ ლ ი

კაცი გამოვა სანესა,
 წვერს გამაივლის კლდიანსა..

¹ ადგილია.

² დარანი — შესასვლელი ხერელი. ნაპრალი კლდეშო.

³ ადგილია.

⁴ ხვეული ბილიკი.

ეფიქრებოდა ზურაბსა:
„ეგ რაით მიზამს ზიანსა?“
ნეტარ ქრთაჲს ვერ მივსცემდია
მისურაულსა ხმლიანსა?
ალაველ ვაკეს! ჩამუჯდა
მშვილდსა დაზინა რქიანსა.

კაცი ბეგენგორ წამოდგა

კაცი ბეგენგორ წამოდგა:
— ზურაბ სანეში ჯდებო!
როშკას ატირდეს დედანი,
ხმა ხევსურეთში ტყდებო,
უთურგი მეწყინაის ძე
ხევსურთ გულისად კვდებო,
ამლას ესხდიან ცოლ-შვილნი,
მაგას რა წაუხდებო.
ლივასა გელდიაურსა
ტანს სისვი² სკლატი³ ხდებო,
ხმლითა სცემს ჩრდილელის შვილი,
— აქ მოდევ! — ეუბნებო,
კაბას ხდის პაპიაური:
— ახიელს მომინდებო.
ყაწიმიანი ხევსური
გრძელ კლდესა იმალებო.
ერჩიყო,⁴ ამანდ მალვასა
ხარხოს ეჭირა მხარიო.
უთურგი არ მოეკვლია
მეწყინაის ძე ხარიო.
ლულის თავს მოგწვდა, ზურაბო,
ლომნიურის ძის ხმალიო.
მოკლედ მოხყეები ყმაწვილი,
ხადუველთ⁵ მეომარიო,

¹ ადგილია.

² მწვანე.

³ მაუდი.

⁴ უჯობდა.

⁵ ხადუ — სოფელია ხევსურეთში.

ღარაქიშთ აპარეკაო,
ღმერთმა გაცხონოს შკვდარიო.
ლულის თავს კარგად უჭირე
ლომნიურის ძეს მხარიო.
ხარხოს უნდ შევხოციყვენით,
გვაშიარებენ ქალნიო.
ამაგ სიმღერის მათქვამი
ბახლოს შვილი ვარიო,
ბანზე არ გამომეყარნან
ერისთვის შვილის ყმანიო,
სახლნ მიდგან ხუროთ ნაგებნი,
კუთხზე მიკრიან რქანიო.

პრელა ნადირიშვილი

ერისთავ შახყრის ლაშქართა,
ტყეს ფათვლად გადასწვდებისა;
შამაუყენა არაგვსა,
ფხიტუს მთას გარმახდებისა;
ოსაურ გაღმაიარეს,
როშკის ხორხ დაგროვდებისა.
ერისთავ ეტყვის ლაშქართა,
რაც ჭკვაში მაუხდებისა:
„როშკის გორ თეთრი ციხეი
ჩვენ ძალზე შაგვიდგებისა;
ნადირიშვილი ჭრელაი
შიგ რაით შაგვიხდებისა.
ენა ვხკრათ საბალითები,
მთის კაცი ვერ მიხვდებისა.“
ჭრელამ შაუტყვა ღალატი,
ციხეში შაუხდებისა.
წელზე ხმალი სრტყავ ფოლადი,
თოფს ტყვია მაუხდებისა;
ვაკისას არ გარმაუშენა:
„ჩემს როშკას არ მიხდებისა“.
ვაკის ძირ გარმაიარეს,
ხარხოს წყალს გამახდებისა.
ბეკენთ-გორ ქალუნდაური
ყორნის გრილოებს ხყვეებისა.

„ხმლით უთხრით, ხევსურთ შვილებო,
ადგილი ჩვენ დაგვრჩებისა“.
ხმლითა სცეს ხევსურთ შვილებმა,
ასისხლის გუბ-გუბი დგებისა.

არკი გითხარა, ზურაბო

არკი გითხარა, ზურაბო,
ფშავლების ხელი სენია.
აფხუშელთ გამოგაქციეს,
დღე დაგაყენეს ცხელია.
სირბილით გამოგავლიეს
ჩარგლის ჭალაი გრძელია.
კართანას გადმოსეესა
მსახურთ გიკიდეს ხელია.
თვალივის ველში ჩამოხველ,
იქ მოგაგონდა ცხენია.

ომი ორჯალში

ერისთავ შახყრის ლაშქარსა,
კანჭის ქედს დაგროვდებისა;
სახევსურეთოდ ღგულავის,
არაგვზედ შამადგებისა,
აკუშოს წინ-წინ მავიდა,
ხმა ლიქოკს გავარდებისა.
სომეხასა და მინდოდას
მუხლებს ქარ შაუჯდებისა,
აკუშოს ღელეს შამოხდეს,
ხართ უღელ დაედებისა.
კალოთ გორს ჩამოდიოდეს,
შუ ვაჩე ჩაუდგებისა.
— წყნარად ვივინათ, სომეხავ,
თორე გზა ჩაგვიგძებისა;
ფშავის ორწყალში ჩავიდათ,
მანდ ომი მაგვიხდებისა;
მანდ მავლენ ფშაველ-ხევსურნი,

ზურაბიც მაშავდებისა.
იანვარ წოწკოლაური,
მშვილდს ძალზე ეზიდებისა;
ელიზბარ ფოცხვერიშვილი
„ხმალ, გაპერ!“ ეუბნებისა.
ერისთვის აზნაურებსა
ყორნებ პწკლით ეზიდებისა.
იოფას დაუბარებავე:
„ჩემი ნულარ აქვთ ლოდინი,
მე-დ სარუმს, მაგის ხუცესსა,
ორწყალში გვიდგას ლოგინი“.

ზურაბ, რა უყვენ ლაშქარნი

ზურაბ, რა უყვენ ლაშქარნი,
ნაკრეფნი შვიდის თვისანი!
ჩაუშვენ მათურაშია,¹
თვალნი გაგიწყურეს ხთისანი,
დაგიხვდეს ფშავლიშვილები,
არწიენი მალლის მთისანი.
შამოგეწიენეს მთაზედა,
გაწითლებინეს ქვიშანი!

წყალს იქით

წყალს იქით მეცხვარეებმა
ციხე ააგეს გიშრისა.
შიგ ჩადგა მეცხვარეები,
ფიქრი არა აქვთ შიშისა.
პირდაპირ ზურაბ ჩამუა,
ჩხერა ჩამააქვ ქვიშისა.
გაწურთნა ჩვენაც ვიცილით
გაუხედნელის კვიცისა!

¹ სოფელია ფშავში.

ფშავლებო, ხვეწეთ ისარნი

ფშავლებო, ხვეწეთ ისარნი,
ალარას გარგებთ ხვეული,¹
უერთოდ არ მოგეშვებათ
ერისთვისშეილი წყეული!

მამუკა ქალუნდაური

გადმოდგა სადღვებელაზე²
ქუჩუმინი ფარია³,
კითხულობს ქალუნდაური:
— სად ომობს ჩემი გვარია?
— ბეგენგორს, ქალუნდაურო,
ომს ება შენი გვარია,
ჩაპყვა მარტოკა ლაშქართა,
ხოცა ზურაბის ჭარია.
მეთორმეტეს რომ შემოჰკრა,
დადგა, ჩააგო ხმალია,
ომიდან მობრუნებულმა
სამნად⁴ ჩაყუნდა ქვანია,
ცოდვა მახკიდას ხმლიანი,
ვინც არ დალოცოს სამია.

მამუკა ქალუნდაურის მოკვლა

შახფარავს გიორგ-წმინდასა⁵
თუშთა ელვარე ფარია,
გალაღეს საკვირაოთა⁶
თეთრი მძოვარი ცხვარია

¹ თითბრის საცერული.

² სადღვებელა — ადგილის სახელია ხევსურეთში. შატილთან ახლოს.

³ ქუჩუმინი ფარი — ქიჩვილებითა და შვივებით მორთული ფარი.

⁴ სამანი — ნიშანი.

⁵ სოფელია ხევსურეთში.

⁶ საკვირაოდან (ადგილია).

მამუკამ ქალუნდაურმა
 შორით მახკიდა თვალია,
 გორდი-გორ ჩამოდიოდა,
 მობუბუნებდა ხარია.
 ალერდის წყალში გავარდა,
 ირემმ გაიღნა რქანია.
 შამაუბრუნდა, ფარავდა
 პირზე — მზე, ბეჭებს — ფარია.
 შამოხდეს საფიხნოშია,
 მეშველნ მაუნდეს ცხრანია.
 — აქით გამიშვით, ქალებო,
 შორით მიჭირეთ თვალია!
 შამეეწია ლაშქარსა:
 — ჰეი, დაყარეთ ცხვარია!
 — ნუ მოგვდეგ, ქალუნდაურო,
 არ მიგვყავ შენი ცხვარია.
 არ დაიჯერა მამუკამ:
 — არ ბრუნავს ჩემი გვარია!
 დაბრუნდეს მექობაურნი:
 შალვა, ივანე ძმანია.
 ივანე თოფსა ჩაუჭდა,
 გულზე დაჰხვია ალია.
 წაიქცა ქალუნდაური,
 ირემმა დასხნა რქანია.
 — ხელსა ნუ მამჭრი, ივანე,
 სახელი მაინც შენია.
 მხარზეით თოფსა ნუ მამხდი,
 კიუხში ჯიხვთა მტერია;
 წელზეით ხმალსა ნუ შამხსნი,
 ხევსურთად კაის მქნელია;
 ტანზევით ჯაჭვსა ნუ წამყრი,
 ქერიგოს ქვიშათ ფერია.
 ნატრობდა ქალუნდაური:
 — ნეტავინ ამაყენაო!
 საც მექობაური სახლობს,
 იქამც კი ჩამაჩინაო!
 მეშველიმც დაგვიგვიანა,
 ერთურთი გვაცდენინაო!

მექობაურის ცოლ-დედას
თვალშიც კი აჭერინხო!

იამბე, ციხის ნაშალო

— იამბე, ციხის ნაშალო,
რა დრო გაქ გამოვლილიო,
ვისირა აგებული ხარ,
ვისირა ჩამოძლილიო.
ერთი სტქვა ციხის ნაშალმა
ძალიან გასაკვირიო:
— შალვაის აგებული ვარ,
სინისა ძედგა ძირიო,
სისხლის ღვრა, შვილდის ზუილი
ბევრი მაქ გამოვლილიო.
ხევისბერს უკურთხედივარ,
მაშინ არ იყო ღვდელიო,
მოულოცია ჩემთვისა;
ნურც მოგერევა ძტერიო,
ზურაბმა ერისთვის შვილმა
ვერ შემიცვალა ფერიო.
ჩემი მკერდი და კალთები
სულ სისხლით გადასვოილიო,
ალვის ხეც გვერდზე ძდგომია
ხეთისაგან მოლოცვილიო.
ერთი ყოფილა ღულელი
არშაურელი ბერიო,
იმან ასწავლა კათაი,
ზედ ხეზე დასაკვლელიო,
შიბი ცისაკე გაფრინდა,
წიოდა როგორც გველიო.

ბატონიშვილს ერეკლესა

ბატონიშვილს ერეკლესა
ირმის ძუძუ უწოვნია,

წყალი უსვამს ალგეთისა,
თრიალეთზე უძოვნია,
გადუგდიათ საჩაღეში,
მონადირეს უბოვნია.

ერეკლე, ჩვენი ბატონი

ერეკლე, ჩვენი ბატონი,
ერთი პატარა კახია,
ჩაიცვა ჭაჭვის პერანგი,
გაპკრა ხელი და გახია.

მეფე ერეკლე

მადლის მადლისა მთაზედა
კურდღლისა სისხლი მდგარიყო,
ჩამოჩვეულა არწივი,
უსვამ და ვერა მძლარიყო.
ერეკლე ბატონიშვილი
ნაურვალ ცხენზე მჭდარიყო,
შამაუვლია ხმელეთი,
მაშინდა ჩამომხდარიყო.

ჩმალო, ხევსურეთს ნაჭედო

ჩმალო, ხევსურეთს ნაჭედო,
ალეანში თუშმა გაგფერა,
გაკურთხა მეფე ერეკლემ,
საომრად ჯვარი დაგწერა.

ერეკლეზე

მეფე ერეკლემ დასწყვილა
იმ თავის გორდა ჩმალსაო:
„შენ რაღას მეტყვი, ფრანგულო,
რატომ არ მაძლევ ხმასაო?!

უშიშრად შემომიტიე,
მკლავში მიმატე ძალსაო,
გაკვეთა ჩემზე მოაგდე,
სად გაუგორებ თავსაო!¹

აზატ-ხანი და ერეკლე

ალაშენა ერევანი,
შიდ გაჩის კარი გაიღო,
აზატ-ხანმა მოაშურა
ჩუმად, სულ ხმა არ გაიღო.
ეს რომ შეიტყო ერეკლემ,
ცხენს შეჯდა, ხმალი აიღო,
მსუბუქის ჯარით წავიდა,
ჯაბახანა არ წაიღო.
ავიდა მალალ მთაზედა,
ზედ აზატ-ხანი მდგარიყო,
ერთი ლევანდი! უფროსი
ოქროს უნაგირს მკდარიყო.
ჩვენმან ჯარმან შეუტია,
ლაშქარი შუა გაიყო,
ას-ორასი ზარბაზანი
სულ მოკაზმული მზა იყო.
ერეკლემ ცხენს შეუტია,
ხეცს გაადინა ჩქაფანი,
ხევ-ლელე მძორით აავსო,
ცხენს შეუღება თაფარი,
წინ ვერავინ ვერ დაუდგა,
მტერს სრესდა მისი ნაფარი
და რაღას თავს ქეას ახლიდა
იასაული, ჩაფარი?
აზატ-ხანს შემოუთვლია:
— ერეკლე რა კაციაო?
— რა მოგახსენო, ბატონო,
ყმაწვილია პაწიაო,

¹ უცოლო; თავხედი.

გული უდგია აღმასის,
გარედგან სალი კლდეაო,
ასრე დაანგრევს ციხესა,
თითქო ფუტურო ხეაო.

ქალი მოვიდა ურუმით

ქალი მოვიდა ურუმით,
თვალეზი უგავს მწყერსაო,
კახურს კითხულობს ამბავსა,
ერეკლეს ჰფიცავს მზესაო.
ერეკლეს დაუბარებავ:
— დავ, ნუ შეირთავ მტერსაო,
კოტა ხანს შამომიცადე,
ქალაქს აგიდენ მტვერსაო.
შენსა მოგიკლავ საქმარეს,
ზედ გადავაფრენ ცხენსაო,
მოგიტან საპერანგესა
დარაიასა ჭრელსაო,
ქმარსა მიგცემდი აგეთსა,
მზეს რო ჰფიცავდეს ჩემსაო.

ღათუნა ხატონიშვილი

იმერეთის მთას გადადის
აქლემთა ნატოტარიო,
წვიმა დაწვიმეს ღრუბელთა.
დამდგარა ნაგუბარიო,
ვარდის ჩაყრილა ფურცელი,
დაღბერნებს, დასძრავს ქარიო.
მაგის საკრეფლად წასულა
ბაგრატიონთა ქალიო,
სამაყროთ გადმასჩვევია
ერთი ურჯულო მყრალიო.
ქვენით მოვიდა ამბავი,
დაიძრა ჯაბალ ხანიო,

აღგეაი გადმოიარა,
 გაშლით დალახნა მთანიო,
 კახეთის ბოლოს ჩავიდა,
 აღგილ დაუჩვდა ბარიო.
 დაჯდა, დაწერა წიგნები
 კასთ ბატონთანა ძალიო:
 „სასმელად არ მეყოფისო
 ალაზანი და მტკვარიო,
 მოსაძოვებრად ბალახნი
 თრიალეთისა მთანიო —
 ქალი მე მამეც რუსუდან,
 ლამაზი ლერწმის ტანიო.“
 ქალმა, გაიგა, რუსუდანმ,
 გაჯავრდა დედოფალიო,
 ჩანაყნა საყურ-ბეჭედნი,
 სალტისა იქნეს განიო;
 მამის შეკმაზა ყურთეთრი,
 ზედ თავად შეჯდა ქალიო:
 „ან მიპატრონეთ, მამანო,
 ან ქალს შემაბით ხმალიო,
 არვინ გაზდილა სათათრე
 ბაგრატიონთა გვარიო.“
 დათუნა ბატონიშვილმა
 გადიცვა სამანქანიო¹.
 მსახურებს ეუბნებოდა:
 „ჩემი მამგვარეთ ჩქარიო“.
 ე მაგის ცხენის ნახტომი
 დიდი გვეგონა ხრამიო,
 კახეთის ბოლოს ჩავიდა,
 ცას არ გაულავ კარიო;
 გამეერია ლაშქარსა,
 გაანახევრა ჯარიო,
 მეჩვიდმეტეზედ მივიდა,
 დადგა, ჩააგო ხმალიო:
 „შამინდევ, ღვთის ბრძანებაო,
 ოცსა დამიკლდა სამიო.“

¹ ჯაქვი.

დოლიძემ ჩამაურბინა,
 გვერდს ჩამეგდო ხმალიო,
 ათსა რომ იმანაც მასჭრა
 იმ თარაქამას თავიო,
 ერთმა ურჯულო ყაჩაღმა
 თოფსა დახვია ალიო.
 ცხენზეით გადმოიტანეს
 დათუნა ალვის ტანიო,
 გაისახელა თათარმა,
 წაჰყარა სამანქანიო.
 ამას ჰკვირობდეს თათრები,
 ეს ტყვია რამ იჭირაო,
 ჯაჭვში მორტყმული ტყვიანი
 ორ ლიტრა გამოვიდაო.
 თმა-გლეჯით ჩამაატარეს
 სიასამურის ქალიო:
 „ჩემი მიჩვენეთ დათუნა,
 ცოცხალია თუ მკვდარიო“.
 „დათუნას ვინალ გიჩვენებს,
 წითლის ღვინით ას მთვრალიო“.
 ამა ქართულის მათქომი
 წოვათ მყავია ვარიო,
 ერისთვიანნი მამქადან,
 მალრან ავრეკე ცხვარიო,
 ნურც მიტირებენ დედანი,
 წოვათ ნარჩევნი ქალნიო,
 უერთოთ თუ დავანებო,
 წელთა ნულარ მბავ ხმალიო.

ხმალი სჳრის ბაგრატივნისა

ხმალი სჳრის ბაგრატივნისა,
 მეფისა ერეკლისაო,
 ნეტავი გამაცნობინა,
 ლევანს უქებენ შვილსაო.
 სალეკო შამაამტვრია,
 ზეავმა რო წვერი ტყისაო;

წავიდა სარუსეთოდა,
საქართველოი ხკვირსაო;
ხემწიფის კარზე მივიდა,
ეტლი თან მიხყეა ღთისაო,
„მაბძანდი, ლევან ბატონო,
ყმაწვილო ათის წლისაო,
შვიდს წელს ყეენად ნაჯდომო,
არ მადის შენს მეტისაო!“

დაჯდა და ხკითხა ამბავი
თბილეთის ქალაქისაო:
„რამ გაადიდა ქარელი
ნარჩომი ჩემი ხმლისაო?
წახვიდე, — არ საქშერო ხარ,
არ წასვლ არ იქნებისაო“.

გამაყოლა ჯარები,
ხერხები ათას ფრისაო.
ლევან ქალაქში შამახდა,
ქეხა მაილა ცისაო,

ლექთ უფროსები შაშინდენ:
„ჩვენკე რაით იქს პირსაო.
მაგან თუ პირი ჩვენკე ქნა,
საქმე ჭირს დაღისტნისაო“.

ვინ მახსენა ლეკებსა,
სიკედილი ლევანისაო?
მაკვედარა ხორცის ბატონი,
ბძანება იქნა ღვთისაო.

მტერი ვერ გაულადღება, —
ერეკლე ცხენსავ ზისაო.

ემა ქართულის მათქომი
გლები ვიყავ მთისაო,
რად ეკადრების ქართული
ნათქვამი გლებ-კაცისაო?

ვაჰ, თუ ერეკლე გამიწყრა,
იქნება ჩემის ჭკვისაო.

ერეკლე რას მიქადებდა,
ან გული დედუფლისაო?

გმირი დედაბერი ჰრისტინე

ხუნძახმა თქვა: სარდალი ვარ,
თუ რომ ჩემი გაიგება,
შვიდი დღე და შვიდი ღამე
დაჯდა: წვერი შაილება,
თუ გორის ციხე ავიღეთ,
ქართლი ჩვენი შაიქნება.
მჭადიჯვარს რომ მივატანეთ,
საქმე მაშინ გაჰირდება.
იქ რომ ბებერმა საქმე ჰქნა,
ის არ უქნია სხვასაო,
ორი ბელადი მოგვიკლა
საომრად შაყრილ ჯარსაო,
მესამე რო გამოვიდა,
დახე იმ ჰკუა მცდარსაო!
ესროლა თავის მაჯარი,
მოარტყა შუა ძვალსაო,
იმისი ჰამა ქელეხი,
მჭადიჯვარს ედო თავსაო.
ღმერთო. აცხონე ბებერი,
წავიდა თავის გზასაო.

პამპულია შეიკაზმა

პამპულია შეიკაზმა
თოფითა და ჭინჭილითა,
რაც შეეძლო, ლალი იყო
ტომ-მოდგმობით. სინსილითა.
უნდა თბილისს შემოვერტყა,
ამოვხოცო შიშშილითა,
ისე გაუხადო საქმე,
სულ იწოდნენ სირცხვილითა,
მეომრებს ხელ-ფეხს შეუქრავ,
გულს გაუტეხს სიწბილითა.
ეს რომ ერეკლემ გაიგო,
გადაბრუნდა სიცილითა.

— შენი ერეკლე მოგიკვდეს,
ვერ გაგხეთქო სირბილითა,
კოჯორი გაგარბენიო,
მონასტერი ტირილითა.

ქრემლსა და მაიას შეხვედრა

შავთვალა, ტანით ბრგე გოგომ
ჩაიცვა ვაჟკაცურადა,
თოფ-იარაღი აისხა,
იქცევა მამაცურადა.
პატარა კახსა ეახლა,
რა კარგი სანახავია!
ხირიში შეატრიალა,
დაბლა დაუკრა თავია.
— ვინა ხარ, ძმაო, საიდან,
რომელი გვარის კაცია?—
ჰკითხა ბატონმა, რა იცის,
რომ ქალსა კაცურ აცვია.
— მათე ვარ, შენი ჭირიშე,
მოვდივარ შორის შორადა,
ჯავრი მჭირს ავკაცებისა,
ცეცხლი მწვავს ერთიორადა.
მინდა, რომ გეყნო ერთგულად,
წელზე ვატარო ხმალია,
შენის ბრძანებით დავიცვა
ქერივ-ონერ, ობოლ-ქალია.
მეფესა მოეწონების
სიტყვა-პასუხი მათესი,
თავის მახლობლად დანიშნა
გმირი, სიკეთის დამთესი.

მათე-მაიას ჭირიშე

მათე-მაიას ჭირიშე,
იყავ ფალავან, გმირია,
უზნეო ბატონებისა
სიკვდიმდე დიდი ჭირია.

შარაზე იწვა

შარაზე იწვა უძრავად
ხანჯლით დაჭრილი ქალია,
მომმეთა ნახვას ნატრობდა
თბილელი გმირი მია.
ბედმა უმტყუნა საბრალოს,
არ აუსრულდა წადილი,
ერევნის ბოლოს დიაცსა
მოხადეს ლეჩაქ-მანდილი.

თამრო ვაშლოვანელსაო

თამრო ვაშლოვანელსაო,
ვაშლი უდგია თავსაო,
რიგი მწიფს, რიგი ყვავილობს
მისი საფლავის კარსაო.
დამტირებელი არა ჰყავს,
ნეტარება მის გვარსაო,
ანგელოზები ფრინავენ,
გალობენ ნანინასაო.

თინა წაპკისელი ერეკლე მეფეს

შენ გენაცვალე, მეფეო,
შენი ჭირიმე, შენიო,
გიორგი არ მომიშოი,
სულ შეაჯერე თემიო,
მეც მალე დაგეხმარები,
თუ რომ გამიხსნეს ხელიო.

შე გიო ამილახვარო

შე გიო ამილახვარო,
გუნება თაღლითიანო,
ხან აქეთა ხარ, ხან — იქით,
საითაც ქარნი ჰქრიანო!

ბარაქალ, ხევსურთ შვილებო

ერეკლე ატირდ, ვაჟებო:
ალარავინ ას ჩემიო,
ბევრ მყვანდა აზნაურები,
ყველაიცი ყოფილ მტერიო.
ლევან ქიზიყში მამიკლეს,
ხევსურნო, ბატონ თქვენო;
ფშაველო, თანდილაშვილო,
ენაიმც მაგპრა გძელიო:
ხახათ მწარია მაჰპარე,
ღამე ავლიე ბნელიო,
ქარელთან ჩამაიყვანე,
გამააცვალე ფერიო.
გრიგოლო ჩოლოყაშვილო,
წინ-წინ ღალატი შენო,
შენ შამიყარე ლაშქარი,
მთის ხალხი დასწვი ჩემიო.
ბარაქალ, ხევსურთ შვილებო,
მეფე გყავთ მადლობელიო,
თქვენ არ დაუტყდით თათრებსა,
შამაუქციეთ ხელიო,
თქვენებს ნახოცსა თათრებსა
ჭალას ათრევედის მგელიო.
მინდოდავ, ჩალუხრიშვილო,
ვინ არი შენი ფერიო,
სომეხა ამხანაგი გყავ,
მტერს აადინა მტვერიო.

მეფე და გლეხის გოგო

მ ე ფ ე:

ნეტავი, ქალო, ვიცოდე,
მთიდან მოხვალ თუ ბარითა,
ყურძნის საკრეფად ყოფილხარ,
ხელში გიჭირავს კალათა;

შენმა თვალმა და წამწამმა
მე გული გამიხალვათა.

გოგო:

მეფენი ბევრი მინახავს,
რომ მოდიოდეს ჯარითა,
შენ ჩემ თავს აბა ვინ მოგცემს
და ვერც წამიყვან ძალითა.

ვერ გაიგეთა, ქართველნო

ვერ გაიგეთა, ქართველნო?
შეგეხსნათ რკინის კარიო,
მზე ჩაგვივიდა უკულმა,
ჩავარდა შუა ზღვაშიო,
მთვარე დაზნელდა, გაშავდა,
აღარ გვინათებს ცაშიო;
ატირდნენ წვრილნი ვარსკვლავნი,
ცამაც დაშალა ნამიო.
აღარ გეყავს მეფე ერეკლე,
ბ.ც იმის საომარიო,
არ გვიტრიალებს დროშები,
არცა სქეხს ზარბაზანიო.
— ერეკლეს სიკვდილ ვინა თქვა?
გაუღმეს ენის ტარია!
არ მოკვდა, ღმერთთან წავიდა,
ქმა არის განაყარია,
შვილებს დაუგდო ბეგთარი,
ფხა-სისხლიანი ხმალია:
- - სანამდე ვიყავ, ცხენს ვიჯე,
მივირგენ და მოვძრენ ზღვანია,
ახლა თქვენ გაიმავროდით
ქალაქის მეიდანია.
მცხეთას რო ვერცხლის კუბო დგა,
უნთია კელეპტარიო,
შიგა წევს მეფე ერეკლე
ბაგრატიონთა გვარიო,
ატირდა ერეკლეს ცოლი,

იმერეთ მეფის ქალიო:
 — ეს ჩემი თვალნი რასა ჰგვან? —
 მოღრუბლულნია ცანიო,
 მალი-მალ ისე დასწვიმენ,
 როგორც ნიაღვარ-წყალნიო;
 ეს ჩემი გული რასა ჰგავ —
 ცხენთა ნაგალი ნალია.
 ვერ გაიგეთა, ქართველნო,
 შეგეხსნათ რკინის კარია,
 იმისა სამეფოზედა
 იცილებიან სხვანია?
 ვაჟიმც მქნა, ქალი არ ვიყო,
 თავზედ არ მესხნეს თმანია,
 ტანზე ჩამაცვა ბეგთარი,
 საჭირო, საომარია,
 შაშინის გაიგებოდა,
 ვისიც გასკრიდა ხმალია!
 რა მალე ვინადირებდი,
 შორით გეჭირათ თვალთა.

ვ ა ზ უ ზ ი

დადექ, ვაზუზო, დაგვეხსენ,
 თუშეთს გეყოფა ზიანი,
 ახლა გადადი ხევსურეთს,
 სამალავ ნახე კლდიანი!
 გზას თორღვა შემოგეყრება,
 ღვთისაგან დაელათიანი,
 ფარი და ხმალი შენ მოგცა,
 დაშნა დამალა ფხიანი!
 მარჯენიდან წამოგიბრინა,
 მარცხნიდან ვიყო ზიანი,
 გულის პირს დაგცა დაშნაი,
 ბორტვი დაკვნიტე მტვრიანი;
 გაგწირა დაგლის ღელესა,
 ნაბად დაგხურა ცვრიანი,
 თავსა დაგასხა ყორნები,

ძვალ ახვრევიანა წვნიანი.
— თორღვავ, ვაზუზის მამკლავო,
ნეტა რა გქონდა ჯავრადა,
კახეთს გიბარებს ბატონი:
ერთხელ ჩამოდი ბარადა.
ტანთ გამოგიცვლის ხალათსა,
ხევსურთ ბიჭების ჯავრადა,
ცხენსაც იგეთსა გიბოძებს,
შინ წაგიყვანოს ჩქარადა.
თორღვაო, შენი მქებელი,
ქალი გახლავარ თმიანი,
საცოლედ არას მიკადრებ,
აზნაური ხარ ყმიანი,
სალექსო გამომიგზავნე
საყურე გუგუმნიანი,
თუ იმას არ გაიმეტებ, —
ტყავ-კაბა ნაოჭიანი.

თ ო რ ლ ვ ა

ობლობით ამიიზარდა
თორღვა ძაგანის გვარიო,
ამაეს ამიყოლა
ნავთი და ნაკვერცხალიო.
იორში ამიჩქვიფა,
შორით ვინ უგა თვალიო;
დიდებულობა დაუთქვეს,
ბეჭებს უნახეს ჯვარიო.
მარჯნივ მზე წერებულიყო,
მარცხნისკე მთვარის ნალიო.
ძაგნაკორნაზე შამოხდა,
თუთა უჭამავ, ბალიო.
ანდაქით ამოდიოდეს
მენადირენი რვანიო.
შამოძუგძუგებს თორღვაი,
რო ძეძეური ჯვარიო.
— მშავლებ, უმატეთ ბეგარსა
თითო ტარივი ცხვარიო,

თითო ნაცრიან ტომარა,
 მთაზე შავაშრა გზანიო.
 საკარგეშოდ შამოკრიფილით
 ლალის არწივის მხარიო.
 — ვინც შენ ეგ მოგცას, თორღეო,
 მამა წაუწყმდეს მკედარიო!
 ამიწვავდა ჩოთამა
 ისარი მჭვარტლიანიო,
 გულსა ხკრა, სუქსა ეწია,
 წავიდა ნაისრალიო. .
 — ჯაქვი რა უყავ, თორღეო,
 ძმობილის ნაჩუქარიო?
 — იელოვანზე გავწირე,
 გაცურდა როგორც წყალიო.
 გამუდე დასაქერლადა,
 ველარ მოვხკიდე თვალიო.
 — სამჯერ მამიხვე, თორღეო,
 სამი დაგიკალ ცხვარიო,
 მეოთხედ მოსულს დაგიკალ
 თეთრი ქორაი ხარიო;
 გიზავე-დ, ვერ დაგიზავე —
 ბაგრატიონთა ხარიო.

ლეკებმა რო დამიჭირეს

ლეკებმა რო დამიჭირეს,
 დამდეგ იყო მკათათვისა,
 ათი მთა გადამატარეს,
 მეთერთმეტე ალგეთისა.
 გავხედე ჩერქეზთ მინდორსა —
 ნისლი იწვა შავი ზღვისა,
 შვიდი ქალი ყანას მკიდა,
 შვიდივ ჩერქეზ ბატონისა;
 ხელში ეჭირათ ცელები,
 პირები აქვთ აღმასისა,
 მარმარილოს სალესავით
 აუწყობდნენ ცელებს პირსა.

ასეთ სიმღერას ამბობდნენ,
ვით ბულბულნი ბაღებისა,
არ მენახა, გამიკვირდა
მუშაობა ქალებისა.

ვაჟი ვიყავ

ვაჟი ვიყავ და ვვაჟობდი,
ქორულად შევექენ ნავარდი,
მეფის ერეკლის ჯარშია
თავს ვეცი, ბოლოს გავეარდი,
დახედე სიბერეცესა,
ბოლოს უამს როგორ დავეარდი.

მეფე ერეკლეს დროშია

მეფე ერეკლეს დროშია
შორს მოვიძუე ძროხანი,
დავწექ და ბევრი ვიძინე,
ზედ წავიხურე ჩოხანი.
მეფე გიორგის დროშია
ვერა ვდგებოდი ქოხშია,
ვერც ვავახარე ცოლ-შვილი,
ვერც მოვილხინე ტოლშია.

შენ, გიორგი ნეფის შვილო

შენ, გიორგი ნეფის შვილო,
შენი ცხენი ხვიოდაო,
ლაგამსა და ლაგამს შუა
მარგალიტი სცვიოდაო.
— ეს ცხენი თუ მე მომიკვდა,
სამს დღეს იქით პურს არა ვჭამ,
ხოხბის მეტსა, კაკბის მეტსა,
გამტკიცული შოთის მეტსა;

გვერდს დავისვამ ლამაზ ქალსა,
ვაკოცებ და უზამ თვალსა,
ღვინოს დავლევ ლალის ფერსა,
ცხენს ვიყიდი ჩალის ფერსა.

ნარჩევი ხალხი

მითხოს აღდი ჯობ მამაცად,
მშავლებს ჯობ კუკუმაური,
თუშებსა ლუის ლუხუმი,
გუდამაყრელთ ბუბუნაური,
მოხევეთ ღუღუშაური,
ხევსურებს ხოშურაული;
ხმლის ქნევად, ფარის ფარებად
მარტია მისურაული;
ამაგის გვერდის სადგომლად,
იმედა მინანაური,
ცხვარს ვინ მოზვერავს მითხოსა?
— ახალა შუქიაური.
ვინ ჩავას მოზვერულზედა?
— გამახელთ თემროზაული.
კაცსა ვინ მოხკლავს მითხოსა?
— ჩააცვეთს ბაბურაული.
ხუთ-ხუთს ვინ ჩახხოცს მარტოი?
— ძაღლიკა ხიმიკაური.
ვინ გაღმეტღების ლაშქართა?
— ღულელი არიშაული.

მეფე სოლომონს აქებენ

მეფე სოლომონს აქებენ
ხელმწიფეში გვარიანსა,
ხრესილზე ჩამამჯდარიყო,
ხმალს ილესდა ღარიანსა:
„თურქებო, ჩამომეთხოვეთ,
ცუდს ალიან-ჩალიანსა,

არზრუმამდი ასე მოგდევთ,
როგორც ქორი ვარიასა,
ცხენ-ჯორს დაგატოვინებთ
ძუა-ფაფარლარიანსა.“

ნეტა რა არის მისთანა

ნეტა რა არის მისთანა,
ამომავალი მზისთანა,
წყალში რო ფეხი უდგია,
იმ ოქროს ჩარდახისთანა,
გალმით-გამოლმით ქალაქი,
შუაზედ მოედნისთანა,
დედის მუცლიდან ნაშობი
მარიამ დედოფლისთანა.
მარიამო, რამ გაგავსო,
თოთხმეტი დღის მთვარის მსგავსო,
შიგნით თვალი სამოთხის გაქვს,
გარს წამწამი ხშირი გაქვსო.
მდომიერმა კაცმა გნახოს,
ამას იტყვის: „ელვა დგასო!“
ერთი შენი შემოხედვა
ათას ჯავრსაც დაკარგავსო!

დაჯემ, გვიამბე, მოხუცო

— დაჯექ, გვიამბე, მოხუცო,
თუ თავ რა გადაგხვევია,
გვითხარი, ჩვენსა სამშობლოს
რა განსაცდელი სწვევია,
სუ დაწვრილებით გვიამბე,
რა იყო ბედი ჩვენია.
— აბა, რა გითხრათ, შვილებო,
სიტყვა სათქმელად ძნელია,
ვზივარ მოხუცი ხის ძირში,
ენაც არა მაქვს სველია,
მკლავი არ მიჭრის და მუხლი,

სინათლეს გამომელია,
 რით გავცე მტერსა პასუხი,
 ვერ ამიღია წელია.
 — მაინც გვიამბე, მოხუცო,
 შენი ჭირიმე, შენია,
 ძველი დროების ამბები,
 ახლისა გამომჩენია.

— კარგი და გეტყვით, შვილებო,
 რაც თავზე გადამხედია.
 ვერ დაძღნენ ჩვენი სისხლითა,
 როგორც მშვიერი მგელია.
 ჩვენ აქეთა და სხვა იქით
 შური არ გამოგველია.
 დღე და ღამ ბრძოლაში ვიყავ,
 ლოგინი არსად მგებია,
 ზეცა მეხურა საბნადა,
 მუთაქად ქვები მდებია,
 მრავალჯერ მტერთან ბრძოლაში
 დიდ ჭირნიც გადამხედია.
 დავრბოდი მტრისა ლაშქარში,
 როგორც რომ ტყეში შველია!
 მკლავიც მამდევდა, შვილებო,
 ფრანგულ მეჭირა მქრელია,
 ჩემი ფრანგულის ნაკრავსა
 მტერი არ გადარჩენია.

ცხენსა და კაცსა ვკვეთავდი,
 ხმლის წვერი მიწას სწვდენია.
 ახლა კი, შვილო, დავბერდი
 და ძალაც გამამელია;
 გუშინ გავიგე ამბავი,
 რო მტერი შამოგვსევია.
 ნეტამცა ვიყო ჭაბუკი,
 რო მტერს ვებრძოლო კვალადა,
 თუნდა ფრანგული არ სჭრიდეს,
 გავაჭრევინებ ძალადა.

— ნულარ იდარდებ, მოხუცო,
 ახლა კი ჩვენი ჯერია,
 მტერს დავაყენებთ ისეთ დღეს,

ზურგს ავადინოთ მტვერია,
მტრისაგან სისხლის აღება
ძველთაგან ვაეკატ წესია,
სულ ერთად მოვამკენებთ,
რაც ჩვენზე დაუთესია.
— კიდევ მოგიტხრათ, შვილებო,
რაც თავზე გადამხდენია,
ჩვენ მარტო თათრებს ვჩიოდით,
მონგოლი შამოგვეჩვია.
დაჯდა იმერეთს მეფეთა
მონგოლთ სარდალი ნონია,
არავის არათ არ ავდებს,
ყველა თავისი ჰგონია.
ეს რო გავიგეთ ბიჭებმა,
სულ აგვერია გონია,
ავისხით თოფი, აბჯარი,
გამოუცხადეთ ომია,
შევიკრიფენით გმირები,
თითო ლომისა სწორია.
თან მოგვეყვა ჩვენი ლაშქარი,
ყველა ომისა მწადია,
წინ გვიძღვის მთავარსარდლად
ის ჩვენი ცოტნე დადია.
დავეციტ მონგოლთ ლაშქარსა,
ზურგს ავადინეთ ბოლია,
სულ ამოვწყვიტეთ წყეულნი,
აქ ვეღარ მოვლენ, მგონია.

სოლოღას ლექსი

ადგა სოლოღა, წავიდა,
დადგა სტამბულის გზაზედა,
შვიდი დღე-ღამე იარა,
მივიდა ხონთქრის კარზედა.
ხონთქარი შინ არ დაუხვდა,
ვეზირი დაჰხვდა კარზედა.
სოლოღა კალთას ეხვევა,
ვეზირი ჰკოცნის თავზედა.

ვეზირმა შეიპატიჟა,
 დასვა თექ-ნაბადაზედა.
 — სოლოლა, რისთვის გარჯილხარ
 ამ დიდი ხონქრის კარზედა,
 რისთვის გარჯილხარ, მითხარი,
 განთქმულო გურჯისტანზედა?
 — აბა, რა გითხრა, ბატონო,
 ამ საჩივარის კარზედა?
 — სოლოლავ, მეტად გაქებენ
 ჭირითის გასროლაზედა.
 — მე ჭირითისა რა ვიცი,
 გავზრდილვარ გურჯისტანზედა,
 არც ამისათვის მოვსულვარ,
 საჩივარი მაქვს კარზედა.
 — ხონქარს ერთი არაბი ჰყავს,
 განთქმული ჰინდუსტანზედა,
 ვინც იმას ეჯირითედა,
 ჯილას დაადგამს თავზედა.
 — მე ჭირითისა რა ვიცი,
 ცხენიც არა მყავს ჯანზედა.
 — მაგას არ დაგიჯერებენ,
 გათამაშებენ ხვალ-ზეგა.
 — რახან აღარ მეშეებინან,
 ვეჯირითები ხამზედა,
 ცხენი მომგვარეთ ისეთი,
 შვიდი წლის ნაბამ ხამზედა¹,
 შვიდ მეჯინიბეს ეჭიროს,
 ვერ იზავთებდენ კარზედა.
 შვიდი ისარი მიბოძეთ,
 წამწამს იღებდეს თმაზედა.
 — ისეთსა ცხენსა მოგიყვანთ,
 არ იყოს ქვეყანაზედა,
 იმას ძუა გაუზომოთ,
 შვიდი მტკაველი ტანზედა.
 წავიდნენ, გამოუყვანეს
 შვიდი წლის ნაბამ ხამზედა,

¹ საქონლისაგან უძრავ ბალახზე.

შვიდ მეჯინიბეს ეჭირა,
 მაინც დგებოდა ყალყზედა.
 შვიდი ისარი მიართვეს,
 წამწამს იღებდა თმაზედა.
 სოლოლამ ხელი გადუსვა,
 აკოცა ორსავ თვალზედა,
 შენი მურაზის ჭირიმე,
 შენ გამიყვანე თავზედა,
 ჩემსა უნაგირს დაგადგამ,
 ალმასი უზის თავზედა.
 ორშაბათ დილა გათენდა,
 გავიდნენ მოედანზედა.
 მორბის, მოჰქუხის არაბი,
 ვით შავარდენი ფრთაზედა,
 შოიტრიალებს ჯირითსა
 იმ გაშავებულ მკლავზედა,
 სოლოლა სალამს მიართმევს,
 არაბი დგება განზედა.
 — არ ვიცი შენი სალამი,
 აბა, გამექეც კვალზედა,
 სამ ჯირითის მეტს არ გესვრი,
 მოგყვები ფეხის ხმაზედა.
 — აბა, გენაცვლე, ლურჯაო,
 გადამარჩინე წამზედა! —
 გადაიწია სოლოლამ,
 აკოცა მარჯვნივ თვალზედა.
 გაექცა ჩვენი სოლოლა,
 არაბი დაჰყვა კვალზედა.
 ისე გაფრინდა სოლოლა,
 ვით შავარდენი ცაზედა.
 შემოჰკრავს პირველ ჯირითსა,
 გადაევლება მწარზედა,
 მეორე რო დაატანა,
 ცხენს მოხვდა უნაგირზედა,
 მესამე რომ დააყოლა,
 ალმასსა ასხლტა ტანზედა.
 რა რიგი შეხვდა სოლოლას,
 სიტყვაცა ჰკადრა წამზედა:
 — რიგია შენი გაქცევა,

რიგია პირობაზედა.
ერთს გესვრი ახლა, არაბო,
ისიც ღვთის სამართალზედა.
ახლა გაეჭეა არაბი,
სოლოლა მისდევს კვალზედა.
ერთი ესროლა სოლოლამ,
დაასვა ბეჭის ფრთაზედა.
არაბი ძირს გადმოვარდა,
ცხენი გარბოდა წყალზედა,
შემოეხვივნენ მოლები,
ყურანს აბერტყენ თავზედა.
ხონთქარს კაცი მიუვიდა,
არაბ მოკვდაო წამზედა.
— მიჩვენეთ იმის მომკვლელი,
ჯილა დავადგა თავზედა.
სოლოლა მიჰყავთ ხონთქართან,
ფეხები მიაქვს განზედა.
სოლოლას ისე ჰგონია,
თავს მოაცლიან ტანზედა.
ის არ იცოდა სოლოლამ,
ხალათს აცმევენ ტანზედა.
უბოდეს ოქროს უნაგირ,
ალმასი უზის თავზედა,
უბოდეს ვერცხლის ჩიბუხნი,
ჯილა დაადგეს თავზედა.
წადი ახლა და იარე
გაბედვით მთა და ბარზედა.
თემში განთქმული სოლოლა
ცხენზე ზის არაბისასა,
სამკლავე ჯაჭვი აცვია,
ხმალს ხმარობს ფოლადისასა,
ისეთი სამართალი აქვს,
ბეწვს შუა ჰყოფდა თმისასა.

სოლომონ გუტულაშვილი

სოლომონ გუტულაშვილი
კარგად ინახავდა ცხენსა,

დილასა და საღამოსა
ჯერზე აჰმევეს ლიტრა ქერსა,
დღეში ორჯერ დაუურვებს,
გაეაზე გადუსევამს ხელსა.
მოიტანდა ერბოს წყალსა,
იმით დაუზელდა წელსა.
სოლომონს ეუბნებოდნენ:
— რათ აფუჭებ მაგდენ ქერსა?
— მისთვის ვაჰმევე ამდენ ქერსა,
ადგილს დამჭირდება ცხელსა.
სოლომონ ბუტულაშვილი
ქვეით ჯარში გამწესდესა,
ფირაზაში რო ჩავიდა,
ომი იქ აუტეხესა.
ფეხმარდი იყო სოლომონ,
მაგრად ედგა ზარბაზნებსა,
გაქცევაში ქორსა ჰგავდა,
სიმარდეში — შავარდენსა.
„ასოცი მოჰკლა სოლომონმ“,
დაწერეს და გაგზავნესა,
ქალაქში გამოაცხადეს,
მართებელსაც მიართვესა.
დაბრუნდა ბიჭი სოლომონ,
მოაჯირითებდა ცხენსა.
სამი ურჯულო ბელადი
დაბალში ჩაუსაფრდესა,
სამთავ უტყუპეს თოფები,
სოლომონს მოახვედრესა.
ერთი ცხენსაც მოახვედრეს,
ლამის ცხენიც დავარდესა.
მარმარაშვილი ლაზარე
ცხენს სადავეს დაუჭერსა.
— ნუ გეშინიან, სოლომონ,
კიდევ ნახავ მამაშენსა.
— მე მამაჩემს როგორ ვნახავ,
ჰრელად ვხედავ მალლა მზესა,
ბექებში თოფი მომარტყეს,
პირში კვამლი გავარდესა.

ჩემს მეუღლე ეფემიას
ნეტა რა გაახარებსა.
ცოდო არის ჩემი ლეში
ამ ურჯულოებს დარჩესა,
ეს ჩემი შავი ქოჩორი
ამ მთა ადგილას დალბესა.
მოიტანეს ალმას დანა,
მით მუცელი გაუჭრესა,
შუშანბრებში გაახვიეს,
ეგები არ ასუნდესა.
სამი დღე და სამი ღამე
შავ მიწას მიაბარესა.
ჯარი რო თაეჭვე დაბრუნდა
სოლომონ ამოიღესა,
ჯერ რომ ეტლში ჩააწვინეს,
ქვეშ ხალიჩა დაუგესა,
სამოც უღელა ქურანი
იმ ეტლშია შეაბესა.
ერთი კარგი დიდი ზარი
შუა ცხენსა დაჰკიდესა.
რა სოფელშიაც შევიდნენ,
ის სოფელი დაბნელდესა;
ქალაქში რომ შემოვიდნენ,
სულ დუქნები დაკეტესა,
ტოლი და ტოლი ბიჭები
აქეთ-იქით დაუდგესა.
ვაიმე, ბიჭო სოლომონ,
რა მარცხი მოგედო წელსა,
საგარეჯოს თვალის ჩინო,
ვილა ჩამოივლის ჩვენსა.
დებმა ხომ კარგათ იტირეს,
დააცალეთ სიძეებსა.
ეფემია მოიყვანეს,
ერთი პირი ატირესა,
ისევ მალე წაიყვანეს,
მუცელი არ წაუხდესა.
ეგები ბიჭი ეყოლოს,
მამას ნათლად დაადგესა.

ეფემია შინ მოვიდა,
ფიცხლავ ლოგინზე დაწვესა,
დაწვა და ვაჟი ეყოლა,
სოლომონი დაარქვესა.
ათი წლისა რო შეიქნა,
ისიც ჯარში გამწესდესა.
ამ ლექსის გამომღებელსა,
ტანზე ჩონა ჩააცვესა,
ხარ-ურემი რო აჩუქეს,
ზედაც მეხრე დაუსვესა,
ორი მანეთიც აჩუქეს,
უბეშია ჩაუღვესა,
მანამდი ღმერთმა გაცოცხლოთ,
სანამ ის აქ მოვიდესა!

არსენას ლექსი

შაირ-სიტყვითა მესტვირემ ღმერთი მაღალი ახსენა:
— ღმერთმა მოგცეს განათლება, ოძელაშვილო არსენა?
ქეიფი იმას უყვარდა, გზებზე სუფრის გადაფენა,
შვიდს წელიწადს ტყეთ იარა, მთა და ბარი შეაჯერა.
რომ შეიქნა თექვსმეტის წლის, უღვაშები დაიმშვენა,
შეჯდა თავის ლურჯა ცხენზე, გააქენ-გამოაქენა.
ბარათაშვილი ზაალი ძალიან გაგვინაწყენა.
ბატონს რომ ერთი გოგო ჰყავს, არსენას მოეწონება.
— გოგო მე მომე, ბატონო, შენ კი არა წაგიხდება!
რა რომ შინიღვან გავიდა, ბარათაშვილს გადემტერა.
— ეს არსენა რა გაგვიხდა, რა არის მაგისტანაო?
ბიჭო არსენავ, რა მიყავ, ყმა იყავ მაგისტანაო!
— მოგიტან თორმეტ თუმანსა, მოგითვლი ჩქარა-ჩქარაო.
ეს რომ ზაალმა გაიგო, წარბი არ შეიხარაო:
— თორმეტი აღარ მიგდია, ბიჭები შენისთანაო?!
— აბა თუ თორმეტიცა გყავს, ადექ და მამყევ თანაო!
ეს რომ ზაალმა გაიგო, ქოში უკულმა ჰყარაო.
კარიდან ველარ გაასწრო, ფანჯრიდგან გაღიპარაო.
მოსტაცა ბატონს მოახლე, ახალციხეს გაუყენა,
ჩითის კაბები გახადა, სხვა ფარჩები შეუკერა,

იმის ქვემოთ შეიდიში კოქებადინ დაუმშვენა.
 მობრუნდა ჩვენი არსენა, ცოლ-შვილით გაანამტვერა.
 ეს რომ გაიგო ზაალმა, ორთავ თვალით შექნა ცრემლა.
 ქალაქში გამოაცხადა, ღუბერნატორს მოახსენა:
 „გამივარდა ერთი ბიჭი, დამაქცია, დამანელა!
 ერთი კარგი გოგო მყავდა, წამართვა და გადმიყენა,
 წამახდინა არსენაშა... თუ რასმე მიშველით თქვენა!
 თუ თქვენ იმას ვერ დაიჭერთ, ძნელია ჩემი დარჩენა!“
 ათი-თორმეტი ყაზახი გასწევს თრიალეთისკენა.
 კოდაზე რომ შემოვიდნენ, წინ იქ დაუხვდათ არსენა:
 — დრასტი ზნაკომ, გაგიმარჯოს, კუდა იღოშ საითყენა?
 — ჩვენ შენი ჭავრი არა გვაქვს, მივდივართ მარაბდისკენა,
 ერთი ბიჭი გამოგვექცა, სახელად ჰქვია არსენა,
 თუ ვისმე კი გაგეგონოთ, — გვინდა იმისი დაჭერა.
 ეს რომ არსენამ გაიგო, ჩაიციხა ნელა-ნელა,
 ნაბადი გვერდზე იქცია, თოფი ფეხზე შეაყენა;
 ჯერ რომ თოფი დაახალა, მერე ხმალი შეაშველა.
 ათი-თორმეტი ყაზახი სულ ცხვარივით გადმოდენა,
 თელეთის ბოლომდინ მოჰყვა, სომხითში არ გააჩერა,
 იმ საწყალსა ყაზახებსა ზურგზე ბოლი ააყენა,
 „ნას კაკოიც“ მიძახა, — თავათ გახლავართ არსენა!
 სულ უკან იხედებოდნენ, „ალარ მოგვდევედეს არსენა“.
 ქალაქში რომ ჩამოვიდნენ, ყველამ უფროსს მოახსენა:
 — უზარბაზნოთ არ იქნება თქვენი არსენას დაჭერა,
 ან არის მღვეი, ლომ-გმირი, ან არის რკინის მკენეტელა.
 თუ ჩვენგან არ დაიჭერებ, ნეტავი მარტო გაჩვენა!
 რომელსაც ხელი მოგვკიდა, ფეხზე ალარ დაგვაყენა,
 ექვსსა თოფები წაგვართო და სულ მიწით დაგვიტენა“.
 ეს რომ ზაალმა გაიგო, ორთავ თვალით შექნა ცრემლა:
 — ნეტავი კაცი მაჩვენა ამ არსენას დამჭერელა,
 ოქრო და ვერცხლი ვაჩუქო, რა ფულები ამოტელა!

აღმასის წყალზე ურიებს აწყვევლინა ბედის წერა,
 გამოართვა ხახამს ადლი, ოთხს კისერში ჩაადებსა:
 — თუ კარგ ადათს არ დაიჭერთ, გაგწყლომიათ ხვნა და თესვა.
 ძალად გაქმევთ ღორის ხორცსა, კეფაზე დაგასხამთ წვენსა,
 თუ იმას არ დამჭერდებით, ქართულად დაგპარსავთ წვერსა.
 ჩამოხვიდოდით ქალაქში, უიღულოდით ფარჩას ჭრელსა,

ჩამოხვიდოდით სოფლებში, ლამაზათა ჰკაზმავთ ცხენსა;
ქკრივსა და საწყალს გვიტყუებთ, ნამეტნავად პატარძლებსა!
მათი აღლი რომა ნახა, არსენას არ დაუჯდესა,
გატეხა და გადააგდო, — ფუ, გამჭედი გაუწყდესა!
შინდის ჯოხი გამოუჭრა, რომელიც რომ გრძელი თქვესა;
შვიდი მტკავლით გაუზომა: — მისხალი არ დააკლდესა!
თუ ამითი არ გაპყიდით, ვაი, დელითქვენის ღმერთსა!
საცა რომ შემოგეყრებით, სუყველას გამოგჭრით ყელსა!
იმ საწყალმა ვაჭრუკებმა სულ კანკალი დაიწყესა:
— ჩვენ რომ ამითი გავეიდოთ, რალა დახლი დაგვიდგესა?
ისევე ჩვენი ფართალი იმ ჩვენ ღუქნებში დალბესა.
არსენა რომ დაიბადა, ჩვენი საქმენი წახდესა!
— საახალუხე მომყიდეთ, იმ თქვენი დედ-მამის მზესა!
არა ღირდა ორ მანეთად, ერთ თუმნად დაუფასესა.
მაშინ ჩვენი არსენაი, თითო მუშტსაც წაადებსა.
დახედე, საახალუხეს სულ ტყუილად წაართმევსა.
კიდევ იმას ეუბნება: — თქვენს ჯიბეში ფული ძევსა;
ურიავ, ფულეები მამე, ვიცი საგძლად მაშინდესა!
ი საწყალი ურიები დაეკითხნენ ერთმანეთსა:
— ვაჟო, ე ფულიც ვაჩუქოთ, ეგებ ცოცხალს გაგვიშვებსა.
ამოიღეს და გადუგდეს, თუთხმეტი თუმნის ოდენა.
ხუთი თუმანი აილო, ათი უკან გაადევნა.
— ოლონდ დაგვეხსენ, არსენავ, გამოვაცხოვოთ სეფისკვერსა,
ქართულათ დავინათლებით, კარგა დავიპარასავთ წვეერსა,
ძალათი ვკამთ ღორის ხორცსა, ზედ თავზე დავისხამთ წვენსა!

გზად სომეხი მოდიოდა, არხეინად, ნელა-ნელა;
არსენამ რომ დაინახა, თავქვე ცხენი დააჭენა.
წინიღვან წამოუარა: — საით მიბრძანდებით თქვენა?
ეგ ქულაჯა გაიხადეთ, ეს თექა ჩაიცვით თქვენა.
ის ქულაჯა წამოისხა და ბეჭები დაიმშვენა.
ცხენი გრილოში დააბა, თავად იქვე მოისვენა.

ბძანება შემოეთვალათ თბილისიდან უფროსებსა:
— ერთი კაცი აგრე ჩადის, ათასი რას შეიძლებსა?!
ასი ოქრო გაუჩინეთ, ვინც არსენას დაიჭერსა.
კარახტინები შეუქარეს: — ლეკში არსად გადვიდესა,

თუ რომ ეს ლექში გადვიდეს, ყაჩაღობას დაიწყებსა.
ყაჩაღობას ვინ დაეძებს, თბილის-ქალაქს წაგვიხდენსა!

გაუწყრა მაღალი ღმერთი ფარსადან ბოდბისხვეელსა.
ნათლიმამად მოიკიდა, მაგრამ ის უღალატებსა.
როცა შირაქში დაცხება, თრიალეთს აასხამს ცხვრებსა.
თაფარავანის ტბაზედა წინ არსენას დაუხვდესა:

— არსენავ, გეთაყუანები, რატომ არ მოდიხარ ჩვენსა?
— მიღალატებ, ნათლიმამავ, მიტომ არ მოვდივარ თქვენსა!
— არსენ, როგორ გიღალატებ, სამის შვილის მომნათველსა,
ჩემის მირონის მიმღებსა?!

ძირს დედამიწას ჰფიცავდა და მაღლა ზეცაში ღმერთსა.
მაშინა თქვა არსენამა: — მირონს როგორ დამიქცევსა!
მოიტყუილეს არსენა, ტკბილის ღვინით დაათვრესა;
შემწვარი და მოხარული წინ ტაბაკით მიართვესა.
დამთვრალსა და გაღეშილსა ტკბილი ძილი მოუხდესა.
იარაღი აიყარა, ნათლიდელას აბარებსა:

— ხვალ, თუ მშვიდობით გათენდა, აღრიხანად დაქპირდესა.
იალუჩი და ბალიში საჩქაროზე მიართვესა,
ზედ ტყავები წააფარეს, — არსენს არ შეგვიცივდესა.
ამ მამაძაღლს ფარსადანსა გუნებაში რა უძევსა?
შუალამე რომ შეიქნა, თავის ამქარში გასწევსა.
ათი-თორმეტი მეცხვარე თავს მძინარეს დააწვესა.
არსენამ წამოიწია, შეევედრა მეუფესა:

— ე მამაძაღლის ტიელი რა ბუზები მასხედს ესა!
ათსა ეგრეთ წამოუდგა, სულ დამტვრევს მუშტით ყბებსა,
მეთერთმეტე, მეთორმეტე არსენს გაუკრავდნენ ხელსა,
ისე მაგრა გაუჭირეს, რო ფრჩხილებში სისხლი სწვეთსა.
— ნათლიმამავ, ნუ მღალატობ, ნუ ჩამაგდებ მტრების ხელსა,
ათასწილად სიკვდილი სჯობს. იმათ ხელში განსაცდელსა!
მე მღალატობ, ნათლიმამავ, იქ რას ეტყვი მაღალ ღმერთსა?
ჩემს მაგიერ სამართალსა ღვთისმშობელი გაგიჩენსა!
ნუ მღალატობ, ფარსადანო, ნუ ჩამაგდებ მტრების ხელსა,
ორას თუმანს აქ გაჩუქებ, სამას თუმანს — გომარეთსა.
ფარსადანს კი ეს ეგონა: — ჩინს მომცემენ, ტემლაკებსა.
ეს არსენა ცხენზე შესვეს, ძირს ფეხები გაუკრესა:
ბიჭი მარდია არსენა, გზაზე არსად გადმოხტესა.
წამოიყვანეს ქალაქში, თვალიდგანა ღვრიდა ცრემლსა.

მთელი ქალაქის ბიჭები მტრედის გუნდით დასდევსა:
იმერლები იძახიან: — კი, კი, კი-სა და ქვე-ქვესა!
სომხები გაიძახიან: — ლავე ბიჭი არი ესა!
ოსები კი იძახოდნენ: ხორზუ, ხორზუ არი ესა!
რუსები: — ოჩენ ხაროში, ეი ბოლუ მალადეცა!
ბებრები გაიძახიან: — ახ ნეტავი დედა შენსა!
პატარძლები იძახიან: — ნეტავი შენს მეუღლესა!
ნეტავი იმის სოფელსა, ვისაც გადაუხვევ ხელსა!
მაგარი ბორკილი მიაქვს, თორემ წვრილებს დაამტვრევსა.
ჯიღის ტოლა თვალები აქვს, მტერი რაღას დააკლებსა.
მოუბრუნდება არსენა, კამეჩივით შეუბღვერსა:
— რას მიპირობ, ნათლიმამავ, თუ წაუველ ამათ ხელსა?
თრიალეთში ცხვარს გაგიწყვეტ, გადაგიწვავ მინდვრად ძნებსა,
მირონსა აღარ დავეძებ, ღორივით გამოგჭრი ყელსა.

იმ უფროსის კარებზედა არსენა მიიყვანესა.
უფროსი გამობძანდება, აივნიდან გადმოსცქერსა.
ფარსადანს გაუჯავრდება, თავსა და პირს დაამტვრევსა:
— შე წუწკო და მამაძალო, რათ იჭერდი ე მაგ ტყვესა?
ერთი გავარდნილი კაცი ტყეში ეფარება ხესა!
არაფერი არ აჩუქეს ფარსადანს, იმის დამჭერსა.
ფარსადანს ასე ეგონა: — ჯამაგირსაც გამიჩენსა.
იმტელი მამა უცხონდა, რამტელიც იმას მისცესა,
ერთი ოთხიოდ პანღური ამოჰკრეს და გააგდესა.
უფროსმა ნახა არსენა, ძალიან შეიბრალოა:
— რა კარგი ვაჟკაცი იყო, ზეზეურ ჩამომხმარაო!
რაც შენი ამბავი მომდის, რათა ჰქენ, ჩემო არსენა?
— მე არც ერთი არ მიქნია, სულ ტყუილი მოგეხსენა;
მართალია, გავარდნილი დავდიოდი მშიერ ველა,
მაგრამ მდიდარს თუ ვართმევდი, მიყვარდა ლარიბის ჰმევა,
დანაშაული ესა მაქვს, ნება თქვენი ასრულდესა.
არსენს ხელები შეუხსნეს, ფეხში ბორკილი მისცესა,
ნარიყალას ციხის კარი გაუღეს და შეაგდესა,
შვიდი კვირა და შვიდი დღე იმ ციხეში ამყოფესა,
საციმბიროდ გაამწესეს, ცალი წვერი მოჰპარესა.
მაშინა თქვა არსენამა: — ვაი, დედი ჩემის ღმერთსა!
მე რომ ამ ციხეში მოგვკვდე, ბიჭობას ვინ დამიგდებსა?
იმ აფიცრებს შეეხვეწა: — იმ თქვენი დედ-მამის მზესა,
აბანოში ნაჩვევი ვარ, ტანზე ჭუჭყი მაწუხებსა,

წამიყვანეთ აბანოში, მისი დარდი არ გამყვესა.
წაიყვანეს აბანოში, ყარაულები მისდევსა.
ერთი საწყალი მანეთი არსენს ჯიბეში უდევსა,
ამოიღებს, გადაუგდებს მიკიტნებს და სირაჯებსა:
— ამის ოტკა ჩამოასხით, მისვით მშიერ სალდათებსა!
დამიხედეთ, მიკიტნები მეგობრადაც გაუჩნდესა;
სირაჯმა და მიკიტანმა თვალი უყვეს ერთმანეთსა:
სალდათებს „ოტკა“ ჰგონიათ, ჩუმად რომი ჩაუსხესა.
ისე დათვრენ სალდათები, ვერა სცნობენ ერთმანეთსა.
აბანოს კარზე მივიდა, შევიდა და შეაღებსა,
უკან მიკიტანი მისდევს, ქლიბს ჯიბეში ჩაუღებსა.
მაშინა თქვა არსენამა: — ჰა, დიდება მოწყალესა!
ჩემი საქმე არის ესა!

აუზებთან რომ მივიდა, აიწევს და გადახტესა.
მიდგა ჩვენი არსენა და ბორკილს ხეხვას დაუწყებსა,
ყარაულებსა ჰგონიათ: აგურითა იხებს ფეხსა.
აქეთ-იქით შემოხეხა, გადასწევს და დაამტვრევსა,
ფეშტამლები დაახვია, რაჟღარუელს არ დაიწყებსა.
გატენა და გადააგდო: — ფუ, გამქედი გაგიქრესა!
ამხანად მოდის უფროსი, აბანოში შევიდესა,
აიყარა შინელი და მალლა აივანზე დებსა.
გამოვა ჩვენი არსენა, შინელს გაუგდებდა მხრებსა:
— ვნახო, როგორ მარგებს ესა?

რუსულ ჩექმებს ჩაიცვამს და რუსულ შლაპკას დაიდებსა.
კარებში რომ გამოვიდა, წინ დონიქსაც გაიგდებსა;
შემოხედა ყარაულებს: — ხაბარდა და სტარანეცა!
სუყველა ყარაულებმა, სუყველამ გზა დაუგდესა.
იმათ ბატონი ეგონათ, ეს არსენა გამოძვრესა.
პატარა გამოიარა, თან სიცილი აუტყდესა.

მეიდანზე გამოვიდა, მოაძახა მედროშქესა:
— ფიცხლავე დროშკა მომგვარე, თორემ ცხენებს დავეკრი ყელსა!
რომელიც კარგი დროშკაა, არსენასა მოართვესა;
დაუჯდა ბიჭი არსენა, გაუდგა დამოჟნის ზებესა.

კუკიის მთაზე გადადგა, ბიჭი მოუძღვის სიდედრსა.
არსენამ რომ დანახა, თქვა: — დიდება მოწყალესა,
ჩემი საქმე არის ესა! თავდაბლა მოახსენებსა:
— თუ უკაცრავად არ ვიყო, დედი, ჩამობრძანდი ცხენსა!
მე ტყვე ვარ გამოპარული, არც მე მატკენს ეს ფეხებსა.

დახედე, იმისი სიძე ხანჯალზე დაიდებს ხელსა:

— გასწით იქით, გამეცალე, როგორ მოგცემ ამ ჩემ ცხენსა?

ხელმწიფის გზაზე მისვლები, კაცი უნდა გაგიჟდესა!

მაშინ ჩვენი არსენაი კამეჩივით შეუბღვერსა:

— მოგიბრუნდები, შემოგკრამ, სულ მუშტით დაგამტვრევ ყბებსა!

რალა ბევრი მოგახსენო, ხელითა სცეს ერთმანეთსა.

არსენა ღონიერია, იმ ბიჭს ქვეშ წამოიგდებსა,

ორი მუშტი რომ შემოჰკრა, ყარფუზივით დააბნევსა.

დედაკაცი ეხვეწება: — ნუ მომიკლავ ჩემ სიძესა,

მაგ ჩემ გამომცხვარ ნაზუქებს ღმერთი ტკბილად შეგარგებსა!

ცხენიც იმას დაულოცა, თან ხურჯინსაც გაატნებსა.

— დედავ, დედაშვილობასა, შენ ნუ დამიწყევლი გზებსა.

ის დედაკაცი ლოცავდა: „ღმერთმა მშვიდობა მოგცესა,

სადაც წაბძანდ-წამობძანდე, არსენავ, გაგიმარჯვდესა,

მაძღარს ართმევ, მშიერს აძლევ, ღმერთი როგორ წაგახდენსა!“

პატარაზე გაიარა, ხურჯინს ჩხრეკას დაუწყებდა:

ცალ ხურჯინში ტიკქორაა, ცხრა ნაზუქი თავს აძევსა,

ცალგნით ორი ქათამია, ინდაური თავს აძევსა.

დაჯდა ჩვენი არსენაი. და ლამაზად ქეიფს სწევსა.

ერთი სომხითელი ბიჭი ქალაქისკენ გამოსწევსა,

ორი მანეთი აჩუქა, ორ სიტყვას დააბარებსა:

— ასე უთხარი ქალაქში მიკიტნებს და სირაჯებსა:

არსენა რომ დაიჭირეს, ქვეით მიდიოდა დღესა!

მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა?

სადაც თათარს დაინახავს, „ბურ და ვალას“ აძახებსა;

სადაც ტიტველასა ნახავს, თავის პერანგს ჩააცმევსა“.

ორ კვირაზე იმ ბებერსა ისევ გაუგზავნის ცხენსა.

ერთი თუმანი აჩუქა — რაც რომ ნალი გაუცვდესა.

ბებერიც ამას უთვლიდა: ღმერთმა მშვიდობა მოგცესა!

სამადლოს დუქანზე მივა, ფილიპეს ცხენს წაართმევსა:

— თუ უკაცრავად არ ვიყო, მაგ ცხენზე აიღებ ხელსა:

მე ტყვე ვარ გამოპარული, და ფეხებს ქვები მატკენსა!

მეჩინიბეს ეუბნება: — უნაგირი სადა ძევსა?

— უნაგირი და ლაგამი ორთავე თავით უძევსა.

ცხრა მოსართავს თუ მოუჭერ, თორემ ოთხ-ხუთს გაგიგლეჯსა,

ლიტრა აღვირს თუ ამოსდებ, თორემ თავსაც წაგართმევსა.

— ბიჭი არსენა მოგიკვდეს, თუ ცხენი გადმომაგდებსა!
გადაჯდა და გამოსწია, გადმოუდგება მინდვრებსა.
ყაზანში რომ გადავიდა, ემსახურა თათრის ბეგსა.
„ამათ რკულზე ვერ დავდგები, მე ხომ ვერ მოვუშვებ წვერსა“.
იქიდანაც წამოვიდა და სომხითში გამოსწევსა.
ორი თვის გამოსავალი გამოირბინა ორ დღესა.

იქ ჩავიდა ქიზიყშია, ნათლიმამას მიაგნებსა.
ბოლბისხევში რომ შევიდა, სულ კარები ჩაკეტესა.
ეს ფარსადანმა შეიტყო, იმისთანა თქვენსა მტერსა,
მეტისმეტი ჯავრისაგან ადგილზე ველარ დადგესა.
ძმებსა კაცი გაუგზავნა: — არსენა არ მამარჩინსა.
მაშინ ფარსადანის ძმები არსენს გადასდებენ ხელსა:
— გვაპატივე ფარსადანი, რაც რომ უნდა გავვიხდესა.
-- ვიდრე ფარსადანს არ მოვკლავ, გული როდი გამოძლებსა.
მაშინ ფარსადანის ძმებმა ოსტატობა იხმარესა:
ერთ უადგილო ალაგას დიდი ორმო ამოჭრესა,
ის საწყალი ფარსადანი შიგ ორმოში ჩააგდესა,
ზედ ფიცრები წააფარეს და მიწა დააყარესა:
— ვიცი, არსენამ მოგასწრო, ცოცხალს როდი გავიშვებსა!
ორი დღე უყარაულა; თვალს კი ვერსად მოასწრებსა.
მესამე დილა გათენდა, მაშინ პირჯვარს დაიწერსა:
-- თხუთმეტ წელს ყაჩაღადა ვარ, კაცის ცოდვა არ მაძევსა!
ახლა მოვკლა ნათლიმამა, ბოლოს სული წამიწყდესა!
გამობრძანდი, ნათლიდედავ! — ხელში მოჰკიდებდა ხელსა:
გამოუშვი ფარსადანი, არას ვერჩი არაფერსა;
ვაპატიებ ნათლიმამას, ჯერ მირონს და მერე ღმერთსა,
ფარსადანს მაინც არ მოვკლავ, თუ გინდ რომ წინ დამიხვდესა!

ღვთაებობის მადლი გწყალობთ, მარტყოფის თავში სვენია.
იქ იყო მისი დღეობა, თვითონაც გიახელია.
სუმბათოვიც იქ მობრძანდა, ის ჩვენი ქალაქელია.
სუმბათოვსა და მაკაროვს თან შეეკაზმათ ცხენია;
კნენინებიც იქა ჰყავდათ, ზედ გაღებვით ხელია,
როცა წირვა გამოვიდა, — იმისი მადლი შენია, —
რო დაინახა არსენამ, პირჯვარი დაუწერია.
იმ სუმბათოვს ეუბნება: — ა, გამარჯვება შენია,
ქალაქში რო შარს მიგდებდი, ახლა ხო მოგასწვერია!

მაგ შენს აპელატებზედა შენით აიღე ხელია!
კნეინა ეუბნებოდა: — შენი ჰირიმე, შენია!
აიღე და გადაუგდე ეგ ოხრათ დასარჩენია,
თორემ ეგ არსენა არის, ვიცი გამოგკრა ყელია;
სუყველა ოხრად დაგრჩება დროშკა და შენი ცხენია.
მე ხომ არსენა წამიყვანს, შენ დარჩი ცარიელია!
შინლიანად გარდმოუგდო აპელატები სქელია.
წამოიფინა არსენამ, გამოობის როგორც შველია.
მაკაროვს თავის ხმალზედა ააღებინა ხელია.

ორი კვირა თონეთშია და ქეიფსაც ბევრსა სწევსა,
გამვლელსა და გამომვლელსა სუყველას ღვინოს ასმევსა.
მეორე კვირა გათავდა, ქალაქისკენ გამოსწევსა,
მთელი ქალაქის ბიჭები მტრედის გუნდივითა სდევსა.
ღმერთს უშველია არსენა ამიერიით განსაცდელსა.
საცა მივა მიკიტნებთან, ყველა დაუქნევდა ხელსა.
ამოიღებს იმ ფულებსა, ტოლ-ამხანაგებს აძლევსა:
— შესანდობელი დალიეთ, როდეს არსენა მოკვდესა.
რაც იმას საქმე ეამბა, იმისთანა თქვენსა მტერსა:
— ვნახე წუხელი სიზმარი, სისხლში ვიღებამდი წვერსა,
წრეულ მე ხომ არ მოვრჩები, რაც რომ უნდა გადაწყდესა.
ან თათარი მიღალატებს, ქართველი არ მომარჩენსა.
ვერ დავესწრები აღდგომას, ვერ დავიჭერ წითელ კვერცხსა.
თუ ძალით არავინ მომკლა, ნებით გამოვიჭრი ყელსა.
რას ამბობს ბიჭი არსენა! როდი ემეტება ღმერთსა!
თხუთმეტ წელს ყაჩაღად დადის, კაცის ცოდვა არ აძევსა,
სადაც ტიტველასა ნახავს, ჩოხას იხდის და აცმევსა.

მაშინ ი ჩვენი არსენა ზემო ქართლისკენ გასწევსა.
დიღმის სწორად რომ მოვიდა, მიკიტნებმა დაათვრესა,
იქ ბევრი დაალევინეს, ტიკშიც ბევრი ჩაუსხესა.
მცხეთის პირდაპირ მოვიდა, მუხათფერლში ქეიფს სწევსა.
ის რომ პურის ჭამათ დაჯდა, ცხენს ბალახზე გაუშვებსა,
იმ გიორგი კუპატნელსა გამჩენელი გაუწყრესა,
წამოსულა კახეთიდგან, იმერეთში გამოსწევსა,
ამოუარა არსენას, გამარჯვებას ეტყვის ერთსა:
— „გამარჯობა“, — „გაგიმარჯოს“, სალმად მარტო ეს იყვესა.
— გიორგი, ღვინო მიირთვი, იმ შენი ღედ-მამის მზესა.
გიორგი შემოაგინებს ღედისა და მამის ყელსა:

— ვა, შე საწყალო არსენა, რათა ხარ ჭკუა თხელია?
მე დღეს ღვინოს როგორ დავლევ, წითელი პარასკევია.
თუ ეგრე ღვინო მინდოდეს, ჯიბეში ფული ბევრია. —
ეს რომ არსენამ შეიტყო, მუხლზე დაიკრა ხელია:

— კაცად როდილა ჩამაგდო, რალა ბიჭობა ჩემია,
ბიჭი არსენა მოგიკვდეს, ვერ შეგიცვალო ფერია! —
გაჯავრებული არსენა პირიდანა ჰყრიდა ცეცხლსა.
წამოვიდა ის არსენა, იმ გიორგის დაუხვდესა.

— გიორგი, საით მიდიხარ, არსენა ვერ გაიგებსა?
ან უნდა მამცე ფულები, ან შენი ცხენი დამრჩესა!
გიორგიც ეუბნებოდა:

— ნუ გგონივარ ზოგ-ზოგები, შენ რო მოჰკიდებდი ხელსა;
ლეკის პირდაპირ ვიყავი, ოცი ტყვია მომარტყესა,
ორმოცი ტყვია მომარტყეს, ვერაფერი დამაკლესა! —
მაშინ გაჯავრდა არსენა, ხმალზე მოისვამდა ხელსა.

პირით რომ ვერ გაიმეტა, ყუით გადაუკრა ცხენსა,
ხმალი ვაღამი გადუტყდა, ის ცარიელი დარჩესა.
მაშინა თქვა არსენამა: — დღეს მზე დაბნელდა ჩემია!
ვაი, რა დროს მილაატე, გაგიწყრეს გამქედელია!
შემოუქნია გიორგიმ, მოსჭრა მარჯვენა ხელია.

დაღონებული არსენა ცხენიდან გადმოვარდესა.
ცაცია ხელით ხანჯალსა არსენა მოისვამს ხელსა;
ცოტას კიდევ მიაწვდენდა ბარძაყზედაც ხანჯლის წვერსა,
ცალი ყური ჩამოთალა, ლოყაზედაც მიჰყოფს ხელსა:

— ეგვე გეყოფა, გიორგი, აქიმი ვერ მოგარჩენსა;
ვერ გაგიმეტე, გიორგი, ვაი დედიჩემის ღმერთსა!
ერთი ლეკის ბიჭი ჰყავდა იმ გიორგი კუჭატნელსა.
ბეჭებში დამბაჩა დასცა, პირში ბოლი გავარდესა.
დაღონებული არსენა აიწვეს და ვერ ადგესა.

— რახან მომკალი, გიორგი, სიტყვა მაინც დამცალდესა:
ჩემი შვიდასი თუმანი კასპში ერთ დიდ კლდეში დევსა,
ღარიბსა, არას მქონებსა, მიეცეს და მოხმარდესა.
ამ სიტყვას რომ გაათაფებს, არსენა ძირს დაეცესა.
მცხეთელებმა რომ გაიგეს, თვალთაგან ცრემლი ჰყარესა,
ზოგი წყალში გამოვიდა, ზოგი ხიდზე მოირბენსა.
ოძელაშვილი არსენა ზედ ბორანზე დაუდევსა,
გაიყვანეს მცხეთაშია და ანდერძი აუგესა.
მარმარილოს ქვა დასწერეს, დასწერეს და დაადვესა:
„აქაც კაი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა!“

ს ა ს ი მ ლ ე რ ო

ძმობა-ერთობა, სიყვარულს
დავეუდგათ ტახტი ქებული,
ძირს ჩამოვაგდოთ ნიკოლოზ,
ჩვენს ზურგზე გასუქებული.
ზედ მივაყოლოთ ალექსი,
ჩვენს ჯინზე დაბადებული.

ა ლ ა რ გ ვ ი ნ დ ა ს ი ს ხ ლ ი ს მ ს მ ე ლ ი

მზემ ღიმილით გადმოგვხედა,
პირი ალარ მოიქეშა.
ალარ გვინდა სისხლისმსმელი,
ძირს ნიკოლოზ, მალლა მუშა.

ღ ა თ ი კ ო შ ა ვ ა რ დ ნ ა ძ ი ს ლ ე ჭ ს ი

დეკემბრის თხუთმეტს, ორშაბათს,
გამითენდა ცუდი დილა,
რასაც მტერი მექადოდა,
ღღეს დასტური მენამდვილა.
ნუ ენდობი ჭელიძესო, —
თუმცა ბევრმა გამაფრთხილა,
ღალატი და საწამლავი
ვაი, დედა, რა ყოფილა.
მშვიდობით დედავ, ცოლ-შვილო,
ალარ გყავთ თქვენი დათიკო,
საქმე ისე მომიხერხდა,
ვეღარ გაატრონობთ, რა გიყოთ.
თქვენ დაგტოვებდით, ჩემ გულში
ღღემდის ფიქრადაც არ იყო,
ღღეს კი მიმუხთლა ცამ რისხვით
და მიწამ პირი დამიყო...
რცხვენოდეს კაცის ღალატი
ვინც იუდაა ნამდვილი!
მე მოვკვდი მტერთან ბრძოლაში.

ხოლო მათ დარჩა სირცხვილი-
 მე დასტური მეგობრობით
 გავერიე რაზმში მარდად,
 ეკალს მისთვის ძირს ვუთხრიდი,
 რომ ხალხს დაფენოდი ვარდად.
 მე ხომ ჩემი მტკიცე რწმენით,
 არ ვიხდიდი მტერთან ბოდიშს,
 არ ვიყავი მოყვარული
 ბატონობის, არცა ყმობის;
 არ გავყიდი მოძმეს ფულში,
 ამით მიყვარს თავი დიდად;
 მხოლოდ მას კი ვაძაგებდი,
 ვისაც შევამჩნევდი ფლიდად.
 თავმოყვარობას ვიცავდი
 ჩვეულებრივ წესებ-რიგად,
 გაჭირვებულს თუ ვნახავდი,
 ვეგებოდი გზად და ხიდად.
 მსურდა ხალხზე შემეწირა
 ჩემი ღონე, ჩემი აჯა,
 მაგრამ ჩემდა უბედურად
 შემომაკვდა ერთი სტრაჟა,
 მას ვუნდოდი სასიკვდილოდ,
 თურმე გზაში მიდარაჯა.
 ზოგიერთის მოხერხებით
 ვწუხვარ, ხალხი დაისაჯა.
 ამის შემდეგ ვერ დავმალავ,
 რაზედაც რომ გულს მაკლია,
 ვწუხვარ, სიამაიშვილმა
 თავი ტყვილად მომაკლია.
 ჩემზე ძვირის ლაპარაკი
 შევეკითხე, ვინ გათქმია,
 მან ბოდიშის მაგიერად
 ცხვირში კილამ მომიქნია.
 რადგან მეტი მოთმინების
 ჩემგან აღარ იყო ღირსი,
 ჯერ პირადად წავუკითხე
 ცთომილების პარაკლისი.
 შემდეგ ტყვიით გავასწორე

დანაშაულობა მისი,
 მთელ ჯაშუშებს შეემატოს
 მისი დღეი დანაკლისი.
 ჩემთვის მაინც სულ ერთია...
 ვის შერჩება ეს ქვეყანა,
 ყოფილა და აღარ არის
 ბევრი ვინმე ჩემისთანა.
 ასეთ საქმეს მოაგვლენდა
 ცუდი დროი, ცუდი ხანა...
 ავისა კარგი ნუ გინდა,
 ანდაზა არის ნათქვამი,
 შენ დაილოცე, ჰელიძევე,
 რომ გამიკეთე ვანშამი,
 ხმელი ხილიც ბევრი გქონდა,
 ძველი ღვინო და ქათამი,
 საწამლავიც შემაპარე,
 რომ შევიქენი ნასვამი.
 მეგონა „ოტკა“ დავლიე,
 ვერ მივაქციე თვალყური;
 თურმე ჩემი მასპინძელი
 ეშმაკია და მაცდური;
 ავიღე და გადავკარი
 ვითარცა ღვინო კახური.
 თურმე საწამლავი იყო,
 მოტყუებით შემაცდინა,
 გულზე ცეცხლი შემომენთო,
 მთლად სხეული ამატკინა.
 შევატყვე, ძალა არ მქონდა,
 მუხლები მთლად წამიხდინა,
 ავდექი და წამოვედი,
 დავიბიჯე თოფის რკინა.
 ვაძაგებდი მხოლოდ იმას,
 შერცხვეს მისი ვაჟკაცობა,
 დიდი ხნიდან სდომებია
 თურმე ჩემი ღალატობა.
 ამ შემთხვევას თვით გაგაცნობს,
 წამკითხველო, ეგ მოთხრობა:
 მოვდიოდი თუმცა გზაში.

აღარ მქონდა კაცის ცნობა;
 თვალთ არაფერს ვხედავდი,
 პრისტავი რომ შემწვდა გზაზე.
 'მე ხმამალლა შევეუძახე:
 გადადექით ყველა გზაზე.
 ყველა შეერთა და შეშინდა
 პირველად ჩემ დანახვაზე,
 ბაჭელიძემ დაიძახა,
 დათიკოა შავარდნაძე.
 ჩვეულებრივ შეეტრიალდი,
 როცა მტერი მომესია,
 თოფის სროლას შევეუდექი,
 როგორც ვაჟკაცის წესია,
 კაცი, ძალ-ლონე მიხდილი,
 რომ მოკვდეს, უკეთესია.
 თქვენ იფიქრეთ, რას ვიზამდი
 მწუხარე და ავადმყოფი,
 სტრაჟნიკს ფეხი მოვამტვრიე,
 გავისროლე ერთი თოფი.
 ამხანაგი აღარ მყავდა,
 არც მოყვარე-განაყოფი,
 რომ შემძლებოდა, მესროლა,
 ტყვიაც კი მქონდა საყოფი.
 ჩემთვის ასეთი სიკვდილი
 ვიცი, რომ საძრახისია,
 მაგრამ რაც რომ დამემართა,
 უიღბლობით დამმართნია.
 მთავარი სული არ მქონდა,
 ტყვია რომ მომხდა წელშია,
 საწამლავით გულმოხარშულს
 სიკვდილიც არ შემიტყვია.
 მშვიდობით, ამხანაგებო,
 მე თქვენ ვერ ვნახავთ აწია,
 გაქრა სიცოცხლის წუთები,
 აღსასრულმა მოაწია.
 ხედავთ, მტრების მოხერხებამ
 ამ მიწის ქვეშ მომაქცია,
 ამფერ ჩემსა მოლაღატეს,
 ერთი ჰკითხეთ, რა კაცია!

ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ს

მტარვალების ტლანქმა ძალამ
გამომავლო მინდორ-ველად,
მოდით, ძმებო, და ვიბრძოლოთ
აწმყო დროის შესაცვლელად.
ხალხს ვუსურვოთ, რომ შეიგნოს,
რომ არვინ ჰყავს მას მაშველად,
გარდა ერთი თავის თავის
გამომსვლელი ბრძოლის ველად.
საჭიროა შეერთება
ჯალათების შემმუსვრელად,
ძირს, ძირს დავსცეთ მუქთახორა,
ჩვენვე დავდგეთ ჩვენდა მცველად.

სიმონა დოლიძე

ყოველი მხრით დაჩაგრული
მე ვარ სიმონა დოლიძე,
ექვსი წელი შემისრულდა,
არ მიძინია ლოგინზე.
უბედურად დადგა ჩემთვის
ათას ცხრაას თერთმეტ წელი,
იმედის ძაფი გამიწყდა,
აწ სიცოცხლეს აღარ ველი!
ცხრა ენკენის თვეს მესიზმრა,
ვითომ ყელს მეხვია გველი,
ვეცადე, ვერ მოვიშორე,
ისე შემეშალა ხელი;
პოლიცია დამედევნა,
ოკი წლის რომ შევიქენი,
ჩემთვის ხალხი იტანჯოდა,
მაგრამ ბევრი კარგი ვქენი.
რაც ფირალად გადავვარდი,
შემისრულდა ექვსი წელი,
მოლაღატეს თვალებს ვთხრიდი,
მძულდა ხუცესი და ბერი.

უდროოდ მოვწყდი სამშობლოს,
 ვაი ჩემს ბედის-წერასა, —
 ისე დამდევენ ჩაფრები,
 ვით მონადირე მელასა.
 გამოდიოდნენ, მეძებდნენ,
 ისინი მალალ გორებზე.
 დაბრუნებულნი ხალხს სცემდნენ,
 მკლავებს იწვრთნიდნენ ღონეზე.
 მწარედ მტკიოდა მე გული
 უბრალო ხალხის ცემაზე,
 შეეხვდი და ოთხად გავგლიჯე,
 სისხლი გადვივლე ენაზე!
 ჩემი ჯავრი მეყოფოდა,
 მივდიოდი მე ჩემს გზაზე;
 მემტერებოდნენ, რა მექნა,
 ვერ მივდიოდი ბინაზე.
 მინდოდა, გავმძღარიყავი,
 ჩემი ცოლ-შვილის ცქერითა;
 დაჯდებოდნენ და ტიროდნენ,
 თვალებს ივსებდნენ ცრემლითა.
 რაც ამბავი მე გადამხდა,
 ყველას ვერ ვიტყვი ენითა.
 ჯაშუშები აირივნენ,
 ვითა რწყილი და კორიზე,
 არ ვფიქრობდი, თუ გამცემდა
 ჩემი ძმა ანდრო დოლიძე;
 ერთად ვკამდით, ერთად ვსვამდით,
 ერთად ვწვებოდით ლოგინზე.
 ნატანებში გავემგზავრე,
 ცოტა მუხლები მტკიოდა,
 ცოცხალი ვერ დავბრუნდები,
 გული სულ ამას ჩიოდა,
 იქ შევედი ნალიაში!,
 ძმის მეტმა არვინ იცოდა,
 ერთი ამხანაგი მყავდა,
 ისიც ჩემსავით იწოდა.

ძმასა ვთხოვე: გამეგზავნე,
 მიყიდე ცოტა პურია!
 ამოვიღე და მივეცი,
 რაც რომ უნდოდა ფულია,
 მასთან ვუთხარ, ჩქარა მოდი,
 თან მშია და თან მწყურია.
 თურმე თავის ხელით მკლავდა,
 როგორც იუდა ურია.
 „ურიადნიკი“ ჯაფარიძე
 ცნობილია გურიაში,
 ამ ჩემს ძმა-კაცს უთქვამს მისთვის,
 ფირალი მყავს ნალიაში,
 აუცილებლად იშოვით,
 დღეს არ გამოვლიან კარში.
 ვუყურეთ, აღარ მოვიდა,
 დაგვიგვიანდა სადილი,
 ბურჭულაძე შეუბნება:
 — გამოვიცვალეთ ადგილი.
 გავიხედე და მოვიდა,
 გულზე დამესო ნემსია,
 როგორც სადილად დავჭექით,
 ჩაფრები შემოგვესია.
 ისე აგვიტეხეს სროლა,
 ვითა გრგვინვა და მეხია,
 გადმოხტომის დროს მესროლეს,
 მომტენეს ორივ ფეხია!
 ბურჭულაძეს გაეკიდნენ,
 ურჯულოები, ძაღლები.
 ვხედავ, ვერას ვეხმარები,
 ცრემლით მევსება თვალები.
 უცბად აზრი მომივიდა;
 და თან ძალა შევიძინე,
 ერთი თოფი გავისროლე,
 გულიანად გავიციენე;
 „ურიადნიკი“ ჯაფარიძე
 მე ჩემ გვერდში მოვიწვიენე,
 ლომივით ავალრიალე,
 აფიცრობის მომლოდინე,

თურმე ჯვარ-მედლებს ელოდა
ჩემ სიკვდილით ჯაფარიძე,
მაგრამ თავზე წავიკალი,
მე ვარ სიმონა დოლიძე!

ს ა ლ ბ რ ა

ქალაქის გუბერნატორი
საისკედ იგდებს ხმასაო?
რად აწევს ზეკუციასა,
პირშელმ რად მიზღვეს წყალსაო.
ახოს შამახნდეს სოფლადა,
მძიმეს მაასხამს ჯარსაო;
ხალხის დაღუპვას აპირობს,
სახლების გადაწვასაო.
— თქვენ თუ ყაჩაღებს არ მაგვცემთ,
აღარას ვფიქრობ კასაო.
საღარა შიშითაი
გულს ხკითხავს, გუნებასაო,
თან იტყვის: „ტელად მივიდა“,
ხან გული ურჩევს ცდასაო.
ისრევ არჩივა სიკვდილი
თემ-სოფლის დაღუპვასაო.
მივიდა, გამაეცხადა,
დილა თენების ხანსაო.
— მე ვარ საღარა, ბატონო,
რო გიწვალებდი ჯარსაო;
მიძევდა შენი ჯარები,
ჩემს ვერ იგებდეს კვალსაო;
მე ვზღებდი, გუბერნატორო,
შენ გუბერნიას ზარსაო,
აწ მავედ თავის ნებითა,
მე აღარ გიქცევ ძალსაო.
გულში სწყინს გუბერნატორსა,
კანონ არ აძლევს თქმასაო:
— რო მახვე თავის ნებითა,
შენ ვინ გატანდა ძალსაო?
სრულება გინდა, მოყმეო,
ხელმწიფის ბრძანებასაო.

შუაში ჩაუყენებავ,
 უდგას ჯარები მხარსაო.
 ახოთ რო ჩაემართების,
 მთა-წვერთ მათვლებს თვალსაო,
 შახედავს ბაღავაჩოსა,
 მალალს არხოტის მთასაო.
 — ბევრჯელ კი გარმაგვიარე
 თვალ-შუალამის ხანსაო.
 არხვატში მყვანდეს ამქრები,
 მედგეს სრუ მუდამ მხარსაო.
 მშვიდობით, სალო კლდეებო,
 თქვენ მე მაძლევედით ბანსაო.
 მშვიდობით, ჯვარ, ჯვარის კარო,
 ველარცა-ლ ვლნახავ ჯარსაო.
 მშვიდობით, ჩემო სწორებო,
 ვინც ჩემს იდეგით მხარსაო!
 კივილით სადამ ჩაივლის
 ფშავ-ხევსურეთის წყალსაო,
 უხდების მთისა არწივსა,
 ხანდხან იგრუზავს მხართაო.
 ქალაქში ჩაუყვანავის
 გუბერნატორის კარსაო;
 შაყრილა გიანარლები,¹
 ამბობენ სულობასაო;
 გადაუწყვიტეს სიკვდილი
 მთისა არწივსა, ჩქარსაო.
 — შავო, სად მიხვალ, წერილო,
 პირ-შელმ რად მიზღვევ წყალთაო?
 მაუვა მახარობელი
 დედა-მამასა, ძმათაო:
 — სადარა აღარ მაგივათ,
 გწერდათ სამუდმოდ ჯვარსაო.
 იწყინეს მაგის სწორებმა,
 ტანზე ჩაიცმენ შავსაო,
 ქალ-ზალს დაუდგა წკმუტუნნი,
 თავზე იგლეჯენ თმასაო.

¹. გენერლები.

მამუკა გოგოჭური

ზენაით მოდის ამბავი:
ვეფხვი დაზეზდა კლდისაო;
არავინ დააზიანას,
არვინ დახივას მწყლითაო.
საძელე გადაიარა
მიმინომ კივილითაო;
ჩრდილოეთისკე დაბრუნდა
გავლა სწადიან გზისაო.
უთქვამის: უნდა დავგალა
მთა-ბარი დაღისტნისაო,
ვესტუმრო თავის ამქარსა,
ზელიმ-ხან ქისტისშვილსაო.
ჩამავა, ჩამაბოინობს
ლალი არწივი მთისაო,
მახვეების ნისლის კოტორი,
ღრუბელი შავი ზღვისაო.
გზაში შამახედეს მწყემსები,
ნაცნობებ დიდის ხნისაო,
ღალატით ხკითხეს ამბავი,
მისცეს სალამი გზისაო,
ის კი რა მახგონდებოდა,
თუ ჩაუსხემდეს მზირსაო.
ომია ბახტრის ქალასა,
თოფის ხმა გამადისაო:
მარტო მგზავრს შამაეხვივა
ჯარები ყაზახისაო.
ღმერთმანი, შაფიქრებენ,
ან მათშლევენ ლხინსაო.
ნაბადი გვერდზე იქცევა,
ძალი ახსენა ხთისაო:
— არიქ, ორპირო რკინაო,
ვეხლა საქმე ჭირსაო.
გადაერია ჯარშია,
ფერი დაიდვა მგლისაო!
მიფანტ-მოფანტა პოლკები,
ეგრ რო ფარები ცხვრისაო.

ემადრივლების ხანჯარსა:
რახე ლამაზა ჭრისაო!
თვალ-წამის ერთის ხანზედა
ვაკე აივსა მკედრითაო,
სისხლმა შელემა მინდორი,
თერგი სუ წითლა დისაო.
თავადაც ამანდ დამრჩალა,
დავლათი აღარ ჭრისაო,
დაუძინებავ რქაზედა,
რო ჯიხვი ჭაუხისაო.
შორა გავიდა ამბავი,
ზიანი ფალავნისაო,
ეგ ბალთის არემარეი
აივსა ცხენოსნითაო.
მკედარს შაულოცვენ სახელსა,
ჩვენ კი გვიწყებენ ჭირსაო.
შემოხვდა ჩერქეზთ ქალები,
ცრემლით იბანენ პირსაო.
ვინ იყვა მარტო მავალი,
შორა გამღები გზისაო?
ეს გლებსა არა გონილა,
აზნაურ თუა მთისაო.
შენ სიკვდილს ვინ დაიჯერებს?
შე გალავანო ქვისაო!
განთქმულო ქვეყანაზედა,
მთვარეო სუთმეტისაო!
ვინ გაზდის ხევსურის ქალი
სხვა შენისთანა შვილსაო?
უნდა გებარას ჯარები
ნარჩევის ყაზახისაო;
ოსმალის ქვეყანაზედა
მიუძღვებოდა ხმლითაო;
ქარ-ბელაქანში ლეკებსა
ბეგარი დასდვა ცხვრისაო.
მთა-წვერთა ასტყდა წყალ-ღვარი,
ქარი ხქრის ლამადისაო.
ნუ დაგცილდებისთ,¹ სწორებო,

¹ დაგავიწყდებათ.

სახელი კაის ყმისაო!
მალ-მალე მაიგონილით,
რა ჯარი დასხდას სმისაო!
ზოგებსა აის უთხრილით,
ვისაც რა ჯავრი სჭირსაო:
„მამუკა ნულარ გაშინებსთ,
ნულარ გაიმთხობთ ძილსაო!“
ამბობენ სულეთ შესულსა,
ოქროს ჩიკაზე¹ ზისაო,
სულ ფეხზე უდგას მსახური,
ხალხი ყველაის მხრისაო:
აბანიებენ ხელ-პირსა,
მამტან არ აკლავ წყლისაო.
გემდური, გუდამაყრელო,
პატრონო ბევრის ცხვრისაო:
ღალატით მაგიკვლევევის,
ვერ მოქცეულხარ ჰკვეითაო.
რად გამოზღიხარ მზეზედა,
შემრცხვენლო თემობისაო?
ჩიქილა უნდა გეხურას
იმ შენის დიაცისაო,
ხელთ გქონდან ტარ-ნამტენანი,
ჩამოსჯდა კერის პირსაო.
ამაგის მალექსებელი
შვილი ორ ხევესურისაო,
ძაუგში მიძეს ბინაი,
ნაპირსა ქალაქისაო.
ეეხლა მოდის ზამთარი,
თვე დგების იანვრისაო.
ვაპირობ, უნდა გავალა
დუქანი არაყისაო,
მამიდიოდან სტუმრადა
ქალები აუციტრისაო.
ღმერთმან, ვერ ვიცვი სალამი,
კანონი რუსებისაო.

¹ სამფეხა პატარა სკამი.

ჟური დამიგდეთ

ჟური დამიგდეთ, ბიჭებო,
ამბავი გითხრათ მართალი:
მამუკა ბუჩუკურელი
განა მართლად-ა მამკვდარი.
მის სახელს მუდამ ამაღლებს
იმის ბალთაში ნაქნარი.
ძველთაგან მადის ანდერძი:
„ბევრს ცოცხალსა სჯობ ზოგ მკვდარი“.
ომის დროს მაგრად ეჭირა
მამუკას თავის ხანჯარი.
შორით მაუვას პასუხი
ზელიმ-ხნის შამანათვალი:
„აქ მადი, მთისა არწივო,
ვლახათ დალისტნის მთა-ბარი!“
სამგზავროდ დაემზადების,
ამაფხავა ხანჯარი.
საჩქაროდ გადაიარა
მთა საქელისა მაღალი.
ჩავიდა ხევის ჭალასა,
შუადღეი ას დამკხარი.
რა იცის ხევსურიშვილმა,
გზაში მზირი მყავ ჩამსხდარი?
ჩოხელათ, გუდამაყრელთა,
ღრისხევდას ღმერთი მაღალი!
შაატყობიეს ყაზახთა,
გზაში ჩაუსხნეს ლაშქარი.
მამუკას, წინ-წინ მისულსა,
გარმაელობა ჩაფარი,
სიცილით უთხრა: — რუსებო,
არ ამირივით ჟამ-კარი!
რო მაინც აღარ გაუშვეს,
დაშალა ვეფხვმა ძაგარი,
გადიყრივნა ნაბადნი,
ახსენა ღმერთი მაღალი,
გამაერივა ყაზახთა,
მაშიე უხსენა მამკვდარი.
ქისტო, გიცხონდას გამზღელი!

გული გღებია მაგარი:
შენს მეტმ ვერავინ დასწონა,
ზედ მიხვედ შორით გამხტარი.
შენს გულის სიმამაცესა
მხარს აღარ გჭერდა ღონ-კარი,
ხელ-უკულმ გარმაქნეულმა
დაგიქრნა უბის მასრანი,
გულზეით ჩამანადენმა
სისხლმ შაგიღებნა კალთანი.
ჯართ შუა ხევესურიშვილი
უთოფოი ას დამრჩალი,
უჭერავ სისხლით გასვრილი
თავის პატარა ხანჯარი.
თოფებს ისრევენ ყაზახნი,
ერთუც ეძახან: „დახკარი!“
თავკაცობს ჯარის უფროსი,
მაღალს ადგილზე შამდგარი.
თოფ დახკრეს ბუჩუკურელსა,
არწივს მასტეხეს ცალ მხარი.
ვაშკაცის დაცემაზედა
სრულ აინდგრია მთა-ბარი.
თერგმა დაიწყა ტირილი,
ზღვის პირთ გაილა ნაქნარი.
მამუკავ, ღმერთმა გაცხონას!
მთელი ხარ, განა მამკვლარი?
ანდერძად არ მაღიოდა,
თოფთან ომოზდას ხანჯარი.
მელექსეს თუ ვინ იკითხავთ,
ბესარიონის ნათქვამი.

მიხას ლექსი

ამოდი, შუქურ ვარსკვლავო,
მთვარეს უბრუნე პირია,
დილის მზევე, ამომავალო,
შენ გადმოგვფინე სხივია.
ამოდი შუა ქიზიყში,

გვიცოცხლე სოფლის გმირია,
 იკითხე მიხას სახელი,
 გვარად ჭუჭულაშვილია.
 სიტყვა-პასუხში ნასწავლი,
 ვაუკაცად გამოზრდილია,
 ძმა-კაცის მოსიყვარულე,
 მოლაპარაკე ტკბილია.
 სიტყვა არავის დაუთმო,
 არ გაატარა მტერია,
 ვისაც შემოხვდა გზაზედა,
 შეაცვლევიანა ფერია.
 — მიხავ, რას ჩაფიქრებულხარ,
 ადრე, უშველე თავსაო,
 წყალობა ციმბირს გიმზადებს,
 მოგპარსავს ცალ უღვაშსაო.
 — ისე არ წავალ აქედან,
 არ გადავრიო ჭკვაზედა,
 მოვტაცო ქალი მანანა,
 გადავიწვინო მკლავზედა.
 დონჩით გამოსულიყო,
 ვანო, წყალობას შეილია,
 თან წაეყვანა მანანა,
 სკოლებში გამოზრდილია.
 სადამო ხანი ჩამოდგა,
 რა საამური, გრილია,
 ენახათ ჭუჭულაშვილი,
 ქვევიდან ამოვლილია.
 — ვანო, საითკენ მიდიხარ,
 ჰე, გამარჯობა შენია!
 მინდა წაგართვა მანანა,
 შინ მიხვალ ცარიელია.
 — თუ შენისთანებს ვაძლევდე,—
 შენზე კარგებიც ბევრია,
 ან უნდა იყოს მთავარი,
 ან დიაკვანი, მღვდელია.
 აღარ აყოვნა მიხამა,
 ვანოს წაავლო ხელია,
 წაართვა კოხტა მანანა

წელზე მოხვია ხელია...
 ოდოქაშვილი წყალობა
 გაუხდა მიხას მტერია:
 — თუ ვერ გავგზავნო ციმბირში,
 დღე დაილიოს ჩემია.
 მართლაც, თავისი ათავა,
 ბორკილი მისცა სქელია,
 სოფელზე ამაატარა:
 — ჰე, გამარჯობათ თქვენია!
 ხედავთ, მივდივარ ციმბირში,
 გავხდი მთავრობის ძღვენია,
 მაგრამ ნუ შეგეშინდებათ,
 ეს ჩემთვის არაფერია.
 ამასაც მალე დავამტკრევე,
 არც მოსვლა არის ძნელია.
 ერთ თვეზე უკან დაბრუნდა,
 როგორც ალაზნის შველია.
 ბრძანება გამოსულიყო,
 ყველა მხარეზე სწერია:
 ათასი ოქრო ვაჩუქოთ,
 ვინც მიხას დამჭერელია.
 ეცადნენ ძალიან ბევრი,
 შეუპრეს გზა და კვალია.
 უზანგებს ამტკრევეს ულაცი,
 შევარდენივით მალია.
 ამოჰკრა ქუსლი, მოსხლიტა,
 ვერ მიაყოლეს თვალია.
 უკუღმა ტყვიას ისროდა,
 როგორც რომ ნიაღვარია.
 უხდება გავლა-გამოვლა,
 ვაჟკაცი მშვენიერია,
 იარაღს რომ შემოირტყამს,
 შეხედავ, — საზარელია.
 ან ახლო ვინ მიუდგება,
 ან ვინ მოჰკიდოს ხელია.
 არსად დააკლდა დღეობას,
 არც ქორწილს გადასცდენია;
 ქედელში მოდის დღეობა,

იმისი მაღლი ჩვენია,
იქაც ბევრი იქეიფა,
ბევრი აქენა ცხენია.
წინდაწინ შემოეყრება
გიორგი მჭედლიშვილია:
— მიხავ, მობრძანდი სახლშია,
ფეხქვეშ დაგიგო რბილია,
დაგიკლა ცხვარი და ძროხა,
თან ღვინო გასვა ტკბილია.
მოტყუებით შეიყვანეს,
ცხენი დაუბეს გარეთა,
თითონ შიგ შეიპატიჟეს
ლხინს გაუხდიან მწარედა.
თამადობაც მიულოცეს,
ხელადა დაუჭერია,
უკან მოსდევენ ჩაფრები,
აქ მიხას გაუბრენია.
კითხვა-კითხვითა მიაღვნენ,
შუალამისა ხანია.
მიხამ რომ გამოიხედა,
ღვინისგან იყო მთვრალია.
შვიდჯერ ესროლა ბერდანა,
ალარ უჭრიდა თვალია.
მარცხენა მკლავში მოარტყეს,
ალარა ჰქონდა ძალია,
თოფი ძირს ჩამოუვარდა,
თითონ შამოხსნეს ხმალია.
მიხა ეტლში ჩააწვინეს,
დაჭრილი, ღვინით მთვრალია,
გვერდით ჩაუჭდა ჩაფარი,
უკან მიჰყვება ჯარია.
უფროსმა გადმაიხედა,
მიხას დაავლო თვალია:
— რა კოხტა ვაჟიკაცია,
რა კოხტა სანახავია!
ნეტავ, რაც შენი ხმა მომდის,
ვაჰ, მიხავ, შენი ბრალია?
— თქვენა სტყუიხართ, ბატონო,

არ არის ჩემი ბრალია,
 მდიდარის გამძარცველი ვარ,
 ლარების შემნახავია.
 დააწვინეს კოსპიტალში,
 იქ დარჩა ცოტა ხანია.
 დაადგა ორი ექიმი,
 კარგად მოურჩა მკლავია.
 — მზეს დაგიბნელებთ, ჩაფრებო,
 თუ გავახწიე თავია!
 მაგრამ მოვიდა ქაღალდი,
 სოფლიდან მოწერილია,
 წაიყვათ, აღარ დაბრუნდეს,
 მიხა ქუქულაშვილია.
 — ხმელეთზე ბევრი მატარეს,
 ბევრიც მაჩვენეს ზღვებია,
 აგეთ ალაგას დამკარგეს,
 იქიდან მოსვლა ძნელია,
 იქიდან მოსვლას ვინ იტყვის,
 იყო ხმელეთის ძირია.
 დაფიქრდა ქუქულაშვილი,
 თვალზე გაუფრთხა ძილია:
 — თუ არა ვნახე ქიზიყი,
 დღე მითენდება შავია,
 ან დღეს მოკვდები, ან ხვალე,
 უნდა გავწირო თავია.
 გატეხა რკინის ბორკილი,
 გააღო ციხის კარია,
 გადმოხტა, გამოიპარა,
 ვერავენ მოჰკრა თვალია.
 საქართველოსკენ წამოვა,
 როგორც რომ ნიავექარია.
 განჯაზე ამოირბინა,
 წინ დახვდა მეფის ჯარია.
 ბორკილი მისცეს ფეხებში,
 გაუკრეს რკინის მკლავია.
 მაგრამ იხელთა მიხამ დრო,
 ბორკილი შემოიწყვიტა,
 წინ შახვდენ ყარაულები,

ყველა უღმობლად დაწყვიტა.
ქვემო მაჩხაანს მოვიდა,
დუშმანს წაავლო ხელია.
— მზეს დაგიბნელებ, წყალობავ,
ჯავრი მაქვს გულში შენია,
შენ თუ ცოცხალი გაგიშვა,
რა ბიჭობაა ჩემია?
ორშაბათობით მიადგა
ოდოჭაშვილსა მტერია,
წყალობამ გამოიხედა,
ყვითლად ეცვალა ფერია.
— შენი ჭირიმე, ნუ მომკლავ,
შენი ჭირიმე, შენია!
თუ გინდა, მოგცე ფულები,
ჩემი ძროხა და ცხენია!
— მე შენი ფული არ მინდა,
ჯავრი მაქვს მარტო შენია!
ესროლა სამი ბერდენა,
სისხლით შეღება ველია.
ბიჭიკოს ჩამოუარა,
ტყვია დაართყა ცხელია,
გაჯავრებული მივარდა,
ხანჯლით გამოსჭრა ყელია.
ქუმბათის ბოლოს გავიდა,
ცოტა ხანს შეუსვენია,
გახედა, გზაზე მოდიან,
ქურდები შორეთელია,
მოუღით დაპარსულები,
ცხვარ-ძროხა საქონელია.
გადუდგა მიხა წინა და:
— დრო აღარ არის თქვენია,
ორთავეს ორი ესროლა,
ორნივ გახადა მკვდარია,
ერთი ისე გაეპარა,
ვედარ მოასწრო თვალია.
აპყარა იარაღები,
მკვდრები ჩაყარა ხრამშია,
მოაბრუნა საქონელი,

უკლებელია თვალშია.
 — იკურთხოს ჭუჭულაშვილი,
 იკურთხოს იმის დღენია,
 ეგ არის ჩვენი პატრონი,
 ეგ არის ჩვენი მხსნელია.
 ჯარი ეძებდა მიხასა,
 ბოქაული მიმხედარიყო,
 ალაზნის სანაპიროზე,
 ბინაში ჩამომხტარიყო.
 იქვე მიეგნოთ მიხასთვის,
 შეპოხვევოდა ჯარია,
 გამობტა მიხა ვეფხვივით,
 ყველას თავზარი დაჭრია.
 პირდაპირ ტყვიას ისროდნენ,
 მირბოდა ნიშა ცხენია,
 სამ ვერსზე გამოირბინა:
 — ცხენო, რა მოგიხდენია?
 გადმოხტა ჭუჭულაშვილი,
 წელზე დაადო ხელია,
 შეჩოურბინა გარშემო,
 — ცხენო, რა მოგიხდენია?
 წინიდან ტყვია მორტყმული,
 ბეჭებში გაურბენია.
 — ათ წელს დავდივარ ყაჩაღად,
 ახლა მომიკლეს ცხენია,
 ზემო მაჩხაან ავიდა,
 საკაზმი უნაგირითა:
 — ანდრიავე, ცხენი მაიტა,
 შენ კი იარე ვირითა.
 ანდრია უარს ვერ ეტყვის,
 თორემ თავს მოსჭრის რკინითა.
 შეკაზმა ცხენი ყაჭრითა,
 მოკვეარა სიტყვით ზრდილითა,
 მიხა იორღას შემეჭდარა,
 ტყისაკენ გაიჭირითა.
 გზა დასწილოცეთ ბიჭებო,
 ალალე ენა-პირითა.

† ცხენის უნაგირზე გადასაფენი.

გვერდით უსხედან ბიჭები,
 ძმადნაფიცები ჭირშია,
 პაგია, ლადო, ორივე,
 ვეფხვეები გასაჭირშია.
 გათენდა დილა... წამოდგნენ,
 ჭუელ დასცილდნენ თავზედა,
 თავწყაროს ჩამოსულიყვნენ,
 ცხენებზე შესხდნენ კარზედა,
 შირაქის გულში მიადგნენ
 მდიდარ ყაყიჩას კარზედა.
 გამოიხედა ყაყიჩამ,
 ყორანი აზის მხარზედა.
 — მითხარ, რას დაიარები,
 დადექ, ვინა ხარ განზედა?!
 — დადექ, ყაყიჩავ, სულელო,
 მწარე ნუ გინდა თავზედა,
 მოვსულვარ შენსა ბინაში.
 ვზივარ უბელო რაშზედა.
 მათხოვე შენი საკაზმი,
 ჩემს ცხენს შეშვენის ტანზედა!
 — მეც შენზე კარგი ბიჭი ვარ.
 დარდები თუ გაქვს ჩემზედა,
 საკაზმი ჩემთვის ვიყიდე,
 ძეც კარგა ვზივარ ცხენზედა!
 ელაპარაკა ჭკვიანად,
 სიტყვები უთხრა ტკბილია:
 — მე სხვა ვინმე არ გეგონო,
 მე ვარ ჭუჭულაშვილია!
 — ვინც გინდა იყო, არ მოგცემ!
 ყაყიჩ დაუდგა ძალზედა.
 დასცა თორმეტი ბეჭებში,
 ყაყიჩ წამოწვა მხარზედა.
 — დედა მოგიკვდეს, ყაყიჩავ.
 საკაზმ დაიდგი თავზედა,
 შეკაზმე შენი ქურანი,
 როცა წახვიდე მთაზედა!
 შეკაზმა ცხენი, წავიდა,
 ჩავიდა მულანლოზედა,

ფიქრებში იყო გართული,
 ვერ მოდიოდა გონზედა.
 შევიდა გზის პირ ღუქანში,
 მეღუქნეს მისცა ფულია:
 — მოიტა ღვინო-არაყი,
 თორემ ძალიან მწყურია.
 დალიონ ამხანაგებმა,
 აცხონონ ჩემი სულია.
 ამოიარა სამუხზე,
 ავიდა ადმანოზედა,
 შირაქში ქედზე გადმოდგა,
 ბოქაულს შეხვდა გზაზედა,
 წინათ რომ ცხენი წაართვა,
 მიხას ყარლაჩის წყალზედა;¹
 იქ მოსულიყო ისევა,
 ხელი ეჭირა ხმალზედა,
 ფიქრობდა: მიხას შემყარა,
 ხმალი ვუქნიო თავზედა,
 ვნახოთ, რო მიხაც აღმოჩნდა,
 ჩასაფრებია გზაზედა.
 ბოქაულსა მიაძახა:
 — დადექ, ცოტა ხანს განზედა,
 მინდა რომ გელაპარაკო,
 არ მოვახდინოთ შარია,
 არ გვინდა ბნელი სამარე,
 ცივი სამარე შავია.
 აიშვი და მომაწოდე
 შენი თოფი და ხმალია.
 ცხენიც საჩქაროდ მომგვარე,
 არ გამოუშვა ხანია.
 აიშვა და მიაწოდა
 თავის თოფი და ხმალია,
 ცხენიც მოჰგვარა საჩქაროდ,
 არ გამოუშვა ხანია.
 — ღმერთს გეფიცები, მიხაჯან,
 არა ვარ შენთვის ავია,

¹ წყარო სიღნაღის რაიონში, თამარის წყაროდ წოდებული.

მე თუ შენ თოფი გესროლო,
მომტყდეს მარჯვენა მკლავია,
ათი-თორმეტი ჩაფარი
ყველა შიშისგან მთვრალია.
ეგრე უჭირავთ თოფები,
როგორც მეთევზეს თარია.
ელაპარაკა ჩაფრებსა,
უამბო ცოტა ხანია:
— თუ ეგ შეგისვამთ ცხენზედა,
ღლე დაგადგებათ შავია.
ფეხით მოსდევდა ჩაფრებსა,
როგორც რომ პატიმარია,
იქ უფროსებმა დატუქსეს,
ღლე დააყენეს მწარეა,
აპყარეს „აპელატები“,
ტემლაკები და ჭვარია.
ხელმწიფეს კაცი მივარდა,
ერთი ყაჩაღი არია,
გვიბრძანე, როგორ მოვიქცეთ,
როგორ ვიხმართო ძალია.
მოგვიკლა ბევრი ვაჟკაცი,
ბევრჯერ გვიფრინა ჯარია,
ცხრა ბოქაული ინაცვლა,
ახლა მეთე არია,
მაგასაც მალე გამოვცვლით,
თუ დარჩა ცოტა ხანია.
შესრულდა ცხრა წელიწადი,
ეხლა მეთე არია.
პირდაპირ მიდის ბინაში,
ქვეყანა არივ-დარია,
დილით რო დაკლას კამეჩი,
სალამოს უნდა ხარია.
დაკუწოს ნაჭერ-ნაჭერად,
არ გადაყაროს ძვალთა,
ღარიბ ხალხს ჩამოურიგოს,
არავის დარჩეს თვალთა;
ბევრსა წაართვა ფულეები,
გახდა ხაზინადარია,

გვერდითა ჰყვანან ბიჭები,
თითონ ბელადი არია.
— გვიბრძანე, როგორ მოვიქცეთ,
როგორ ვიხმაროთ ძალია.
დაფიქრდა გვირგვინოსანი,
სიტყვა წარმოთქვა წყნარია:
— გაგზავნეთ ყველგან სალდათი,
ჩაფრები, კიდევ სხვანია,
გაგზავნეთ ყველა მხარეზე,
საითაც მიხა არია,
დაიჭირეთ და მომგვარეთ,
მაგრა გაუბით მკლავია;
თუ ცოცხალსა ვერ დამიჭერთ,
აქ მოათრიეთ მკვდარია.
თან მოჰყვა ხალხის დარბევა,
ქიზიყო, შენი ბრალია.
არსად გაუშვეს ქათამი,
ინდაური და ცხვარია.
ბევრი გაგზავნეს ციხეში,
ბევრი ციმბირში არია;
ბევრი იმათი ნაცემი
დღესაც ლოგინში არია.
მშვიდობით, ამხანაგებო,
ღმერთმა დაგწეროთ ჯვარია,
რაც ვიქეიფეთ, ის გვეყო,
შეგვისრულდება ყავლია.
მინდა დავბრუნდე ქიზიყში,
ვადინო სისხლის ღვარია,
თორემ გახელდა დარდები,
გულზე დამადგა მკვალაია.
ამდენი ხალხის წუხილი
გახდება ჩემი ბრალია.
შემოვხვდე ჩემსა მებრძოლებს,
და ვანაცვალო თავია,
თან ერთი გული არ მიმწევს,
გზა მეჩვენება შავადა!
ჩემი წერა და აჯალი
სიხმარში ვნახე ცხადათა.

თურმე ვიყავი ქიზიყში
დამშვიდებული, წყნარადა,
მარცხენა წვერი მომპარსეს,
მარჯვენა დამრჩა ცალადა.
მარჯვენა ხელის თითებში
სისხლი მდიოდა შავადა,
მაშინვე ვუთხარ ბიჭებსა:
არ გადავრჩები მშრალადა;
ან სამნივ დავიხოცებით,
ან მე გავხდები ავადა.
ბიჭებმა მომცეს ნუგეში,
მეც გავუგონე ამათა,
ოთხი დღე დავრჩი შილდაში,
სუფრას ვიჯექი თამადა;
დილით მოვრეკეთ ცხენები,
შევკაზმეთ აღრიანადა,
სოფელზე გამოვიარეთ
ძმაკაცის სანახავადა.
არ მეშინოდა მტრებისა,
მოვდივარ არხეინადა,
ჭალიხევზე გადმოვედით,
შევამჩნიე, რო ინათა,
იქ ბინა მეგულებოდა,
ვესტუმრებოდი იმათა.
მე ძმაკაცურად მივედი,
მან არ დამინდო ძმურადა:
წავიდა, შეატყობინა
შამილას ბიჭსა გიგასა,
გაგზავნის თუქურმიშაში,
ბოქაულს მისცემს ნიშანსა.
შაკაზმა ცხენი, წავიდა,
წასვლა არ დაიზარაო.
უამბო ჩემზე პოლკოვნიკს,
ამ ცნობით გაიხარაო.
ექვსასი კაცი წამოვა,
რომ ცოტა არა კმარაო.
ამბობენ, კიდევ წავგვივა,
თუ ხერხი მოიხმარაო.

გადმოერივნენ ქალიხევეს,
კიდევ მზემ გადიხარაო.
ას-ასი კაცი გაიყო.
წავიდა გალაგალო,
გასავალ-გამოსავალში
უყელეს ფონებთანაო,
გალმიდან ქალას ჩაუსბდნენ,
გამოღმა ყანა-ყანაო.
ისეთი ალყა დაარტყეს,
ქინქველაც ველარ გავაო.
— ხომ ვიცით, არ გადარჩება,
აბა, საითლა წავაო?
— ადე, ბიჭებო, წავიდეთ,
არ გვარგებს აგრე ჯდომაო.
ვაცნევ, რო ხალხი დიდია,
ძნელია გადარჩენაო.
შესხდნენ სამივე ცხენებზე,
ასტეხეს თოფის სროლაო.
ო, მიხავ, შენი კაცობა,
გიყვარდა მტრებთან ბრძოლაო.
მოკალი შენი მოსისხლე,
ააგე ზედა გორაო.
— ხალხო, თქვენ გენაცვალეებით,
გაიგეთ მიხას ბრძოლაო,
მიხა რომ ცხენზე გადაჯდა,
ბერდანა გაასწორაო.
მტრისაკენ გამოპრუნდა და,
ხშირ-ხშირად გაისროლაო.
ვერ მოკლა თავის მოსისხლე,
ვერავინ მოიშორაო.
მიხა რომ ქვევით დაიბრუნდა,
გამოჰყვა ლადო თანაო,
უკან დაუჩრჩათ პავია,
გზა შევად ჩაეშალაო,
ნარბენი ცხენი წაექცა,
ნეტავ რას მიეხალაო?
ვაი, შენ დასალუპავო,
შენგნით გზა ჩამეშალაო.

აიღო ხელში ბერდანა,
 ყანებში გადავიდა,
 ასტეხა ტყვიის ზუზუნნი,
 ხალხი სულ მოერიდა.
 გაუცურდება მუცელზე,
 სამოც ნაბიჯზე წავა,
 ასტეხავს თოფის სროლასა,
 ახლა სხვა მხრისკენ გავა.
 დაუჭრა ერთი სალდათი,
 ცხენიდან გადიყვანა.
 ცხენიც საჩქაროდ მოუკლა,
 შორს აღარ წაიყვანა.
 ეგრე ეწვალა საწყალი,
 ძალიან დაილალა,
 მაგრამ თითონაც დაიჭრა,
 თითოხაც ენაცვალა.
 და აბრიალებს თვალებსა,
 პირიდან ცეცხლსა ჰყრიდა,
 დააკრაჭუნა კბილები,
 ფეხით მიწასა სთხრიდა.
 გადაერიგნენ პირდაპირ,
 გადვიდნენ ხმალდახპალა,
 წინ აფიცერი მიუძღვით,
 სალდათებს უთხრა ჩქარა:
 — ესროლეთ, მიხა ყოფილა,
 გამოლევია ძალა.
 წამოიხედა პაგიამ,
 რა ქნას, რა გაეჯავრა,
 აფიცერს შემოაგინა:
 — რას იყურები მაღლა?
 მიხას აქ რატომ კითხულობ,
 მიხა გავიდა გაღმა!
 აფიცერს ხმალი ეჭირა,
 პაგიას დაჰკრა მაგრა;
 — წყეულო, შენ აქ მოკვდები,
 მძხა მოკვდება გაღმა.
 ეს ხომ აქ დააბოლოვეთ,
 მიხასი გითხრაჲ. ახლა.

ორთავემ ჩამოირბინეს,
ცხენებით ჩქარა-ჩქარა,
აგეთი ყოფა მოჰქონდათ
მთა-ბარ მოჰქონდათ თანა.
უკანა მხარი დააგდეს,
წინიდან მისცეს ძალა.
საით მხარესაც გასწია,
საღდათი გაიშალა.
მიხამ დაიწყო გინება:
სახე რამ შემეშალა,
ეს ამოდენა საღდათი
საიდან მომეპარა?
— ჰა, ცხენო, გადამარჩინე!
ქუსლი ამოჰკრა ჩქარა.
ცხენმა დაიწყო გრიალი,
ალაზანს ჩაიყვანა,
ალაზნის პირზე მისულა,
მისულა, გადამდგარა.
უნდა გავიდნენ ქალაში,
ცხენი არ გაჰყვა თანა.
ცხენი ნაშეში დაეფლო,
მკერდამდე ჩაიშალა.
ირბინა თორმეტ ვერსზედა,
რა ჰქნას, რომ დაიღალა?
მიხა გაღმობტა ცხენიდან,
უკან მობრუნდა ჩქარა,
თოფში ჰქონდა ხუთი ვაზნა
ხუთნივ დაცალა ჩქარა.
ხუთი რომ კიდევ ჩააწყო,
მტერმა არ დააცალა.
გაღმიდან ტყვიას ისროდნენ,
მიხას თოფს მიეხალა,
გატეხა შუა ჩანმახი,
ღლესაც ვერ გამომდგარა.
მიხამ გაუშვა ხელეგი,
უკუღმა გადაყარა.
ვაი, შენ დასალუპავო,
შენგნით გზა შემეშალა.

შე, დასაწყევლო სალდათო,
რა გინდა მიხასგანა?
არ მინდა თქვენი ბორკილი,
არც თქვენი პურის ჭამა.
მოგკვდები ჩემი ხელითა,
ცოდვა ზლოს თქვენმა გვარმა.
ამოიღო რევოლვერი,
მიიღო ნიკაბთანა,
გამოსწია და გავარდა,
აგლიჯა თავის ქალა.
გაიგო ლადომ სიკვდილი,
გუნებით შეიშალა,
ვაჟაკსა გული გაუტყდა,
გამოელია ძალა.
სამი საყენი კლდე იყო,
ტყვიამ სულ გადათხარა,
ფეხებში მიწა უცვივა,
მუხლამდე დაიმალა.
აიშვა საეაზნეები
და შორით გადაყარა,
ექვსასი კაცი ესროდა,
ხანმა არ გაიარა.
თხუთმეტი მოხვდა ბეჭებში,
ძუძუსთან გაიარა.
საწყალი ფეხზე ვერ დადგა,
რაცრაცით გაიარა,
დახუჭა ორივ თვალები,
ზუზუნნი შექმნა ქარმა.
ძლივს მოვიშორეთ ოხერი,
ცხენები დაგველალა.
არ შეიბრალებს მიხაკო,
ლანძღავდნენ წარამარა,
ზოგმა აგლიჯა უღვაში,
ზოგმა ზედ გადიარა;
ხალხი განზე დააყენა,
გაშინჯა აფიცერმა,
შემოხსნა ქამარ-ხანჯალი,
ნაგანა ააცალა,

აუშვა სავაზნეები,
სალდათებს გადუყარა;
ჯიბეში ხელი ჩაუყო,
საფულე ამოცალა,
ამოიღო და დათვალა,
ჯიბეში ჩაიყარა.
გაგზავნეს ერთი მეურმე,
ურემი მაიტანა.
მეურმემ სამივე ერთად,
„ლაგირში“ აიტანა.
ამოთხარეს დიდი ორმო,
ჩააწყვეს მხარლამხარა.

გადავრჩი ცოცხალი

ტიალსა ბაიბურდშია
ტყვია დაწვიმა ცამაო,
გული მომიკლა, დედილო,
თოფ-ზარბაზნების ხმამაო,
წითლად ნალებმა მინდვრებმა,
წითელმა სისხლმა ტბამაო;
ზოგი დავმარხეთ სწორებმა,
ზოგიც ყორნებმა ჭამაო,
მე კი გადავრჩი ცოცხალი,
ნულარ მიდარდებ, მამაო.

ჯამრს არც ჩვენ შავვამთ მტრისასა

გულს ჯავრი შამამეყარა,
გაჯავრებულსა მტრისასა,
ძმაო, მომწერე წერილი,
გადმოაყოლე ცისკარსა.
აქით მე მოგწერ წერილსა,
ცხოვრებას სალდათისასა,
დღეში წყალსა ვსვამთ ერთხელა,

პურს ვიღებთ თითო მისხალსა.
 მანათნახეყარს გვაძლევენ,
 ჯამაგირს ერთის წლისასა.
 მინდორზე დაგვამწყრივებენ,
 დაგვიდგმენ თოფის ლიშანსა.
 ოთხი კი კარგად ვესროლე,
 ვუჭერდი გულისფიცარსა.
 მეხუთედ მორჩა სასროლი,
 წითლადღა ვხედავ ლიშანსა:
 გვერდში მამარტყეს ტყვიანი,
 ნამტვრევს გაიტანს ძვლისასა.
 ეგ იაპონის ჯარები
 ფარასა ჰგავის ცხვრისასა;
 მაგათ ზარბაზნის ტყვიანი
 ცოცხალ კაცს აყრის მიწასა,
 გამაშლის ცისფერ პალტოსა
 ლამაზის აფიცრისასა...
 ხუთ სასროლიან თოფი მაქვს,
 ჯავრს არც ჩვენ შევჭამთ მტრისასა.

ბრძოლის ველზე

ლექსის თქმა მწადის ერთისა.
 ცალკე დრო არ მაქვ ცალია, —
 არ გვაცლის გერმანიანი,
 მტერმა შავიკრა კარია.
 „გრანიცას“ გადარტყმული ხყავ
 მთელ კავკასიის ჯარია,
 სისხლით მასვრილებ ვაყები,
 ძველნი ერეკლის ყმანია.
 ომობენ კავკასიელნი,
 მთა და ბარს შაზღვეს ზარია,
 მტერს მიხყვებიან კვალზედა,
 მკვდარზე შეყარეს მკვდარია.
 უკენ არ იწევს ლაშქარი,
 ქართველთ ვაყების ჯარია,
 გვერდს უდგან მთისა არწივნი,

ვეფხვივით მეომარნია,
 მგლებივით ეტანებიან,
 ხიშტებს გააქვის ჩქამია.
 კვირაეს გათენებადა
 სისხლსა სწვიმს, ზედ კი დარია,
 ბევრას მეელის სიკვდილი,
 ღმერთო, ქენ სამართალი!
 გადმოწვა „გრანიცაზედა“
 მძიმე გერმანის ჯარია,
 მირგვლივ ზარბაზნებ დაღმართა,
 ჯარს იმით გვიყო ძალია,
 სუყველკნით გზები შავვიკრეს,
 არცაით საომარია.
 აფიცრებ ჯარებს უვლიან,
 დიდ უდგას საუბარია,
 დვირბინით იცქირებიან:
 „საით ავართოთ მხარია“.
 შასწუხდა გიანარალი,
 აბრუნდა როგორც ტარია,
 ჯარებს გადასცა „პრიკაზი“:
 ახლა ომობის ხანია!
 მარცხნივ ჩამოდგა ყაზახი,
 მარჯვნივ დრაგუნის ჯარია.
 ნისლი დაიდვა კვამლისა,
 აქუხდეს ზარბაზანია,
 სისხლით იღება მინდორი,
 მკვდარზე გადადის მკვდარია.
 თოფებ სქეხს, ხმლები პრიალებს,
 ძირს სისხლისა დის წყალია,
 ხვადებ დგებიან ტოტზედა,
 სისხლზე უცურავს ნალია;
 წითლად შეღებილ შუბები —
 ომობს ყაზახის ჯარია.
 თითო ნასრევით ოცსა ჰკლავს
 გერმანის ზარბაზანია,
 თვრამეტ ფუთიან ტყვიასა
 ჩვენ თავზე გააქვს ჩქამია.

მალლიდან ჰაეროპლახი,
ტყვია წვიმს, წყდება ჯარია,
გაწყვიტეს დივიზიები,
არ რჩება მეომარია,
სრუ სისხლით გადასვრილია
„გრანიცის“ არემარია.
გაბრაზდა გიანარალი,
ჯარს მაუმატა ჯარია,
თან უკამანდრა „ურაი“,
სროლის აღარა ხანია.
ახლა სჭირდების, ვაჟებო,
ვაჟკაცსა მკლავის. ჯანია.
აფიცრებ ხმლებით შაიბნეს,
ხიშტით სალდათის ჯარია,
დახკრეს „დუხოი მუზიკა“,
ჯარს მაუმატეს ძალია.
სალდათი გერმანიისა
ყონდად ეგების მკვდარია.
დაბრუნდი, გერმანიო,
შენის გატეხის ხანია!
ბარაქალ კავკასის ჯარო!
კარგ-ა თქვენ ნაომარია!
ხელთ იგდეს კაცი მრავალი,
ის გერმანიის ჯარია,
„პულემენტი“ და პატრონა,
თოფი და ზარბაზანია.
ბევრ დარჩა „გრანიცაზედა“
ვეფხვივით მეომარია,
ბევრ ვაჟი მძიმედ დაჭრილი,
ბევრ უპატრონო მკვდარია.
ბევრა ინატრის მშველელსა,
ბევრს ღგონდებიან ძმანია,
ზოგებს ეღირსა საფლავი,
ზოგ ველზე რჩების მკვდარია,
ზოგ დარჩა ისეთ ალაგსა,
კაცის ვერ ხედავს თვალია.
ბევრის დედა ქვითინებს,
ბევრს უტირიან დანია,

ბევრს გაუოხრდა სახლ-კარი,
 ბევრს სამ-სამს გაწყდეს ძმანია,
 ბევრს გაიძლოლა უნცროსი,
 ბევრა ხელ-უყროდ მკვდარია.
 ბრალი ას, ხევსურთ შვილებო,
 არ ჩინდას ნაომარია!
 ომი არ იყოს ხმლებითა,
 აღარ ფარობდას ფარია!
 არ ერჩეოდათ ცალკედა
 ვაჟები მეომარია!
 აღარ იგების ნაცადი,
 მკვდარზე გადადის მკვდარია.
 მშვიდობით ფშაველ-ხევსურნო,
 ვინც ცოცხალი ხართ ყმანია!
 ვინც დაშჩით „გრანიცაზედა“,
 ღმერთმა გაცნონასთ მკვდარია!
 თქვენ სახელ მუდამ იქნების,
 სისხლის ადინეთ წყალია.
 ნუ დაიცილებთ, სწორებო,
 საც შაიყრებით ჯარია!
 დალიეთ შასანდობარი,
 ვინც ომში დაგჩათ მკვდარია!
 გაწირეს თავის სამშობლო,
 ძმათ გაგვაყარეს მხარია.
 მკვდარზე ნუ ჩახლოთ, ყორნებო:
 მეომართათვი ბრალია!
 რუსეთში ბესარიონი
 ამავის მალექსარია.
 გამამიარა ტყვიამა,
 მაგარ ხქონივა ქარია.
 ვიამბე წარა-მარადა,
 არ-ა ლექსობის ეამია.
 ორ მარხე¹ შაწუხებული:
 ომში დავწირენ ძმანია,
 ველარ გავიგე ამბავი,
 წერილ მივსწერე სამია,
 აღარ მიდ-მადის ფოშტაი,

¹ ვარ ძლიერ.

მტერს უჭერიან გზანია.
შიგიში გადართულია
რუს-გერმანიის ჯარია,
მუდამ დღეს ზარბაზნები სკეხს,
დის სისხლის ალაზანია.

მუმლი მუხასაო

მუმლი მუხასაო
გარს ეხვეოდაო,
მუმლი ჰქრებოდაო,
მუმლი სწყდებოდაო,
ხე არ ხმებოდაო.
მუმლი მუხასაო
გარს ეხვეოდაო,
მუხა დამძიმდაო,
წყალში ჩავარდაო.
წყალი შეგუბდაო,
ნაპირს გადვიდაო,
მუმლი შეწუხდაო.
მალე დაიხრჩვაო,
მუმლი დაიხრჩვაო,
მუხა გადარჩაო.



მზე შინა

მზე შინა და მზე გარეთა,
მზეც, შინ შემოდიო,
უყვილია მამალსაო,
მზეც, შინ შემოდიო,
გათენდი თუ გათენდები,
მზეც, შინ შემოდიო.
მზე დაწუა და მთვარე შობა,
მზეც, შინ შემოდიო,
ჩვენ ვაჟი დაგვბადებია,
მზეც, შინ შემოდიო,
ლუშმანსა ქალი ჰგონია,
მზეც, შინ შემოდიო.
ვაჟის მამა შინ არ არი,
მზეც, შინ შემოდიო,
ქალაქს არი აკენისთვინა,
მზეც, შინ შემოდიო.
ვაჟის მამას მოუხდება,
მზეც, შინ შემოდიო,
თეთრი კაბა ატლასისა,

მზევ, შინ შემოდით.
ცხენზე ჯდომა, ჯირითობა,
მზევ, შინ შემოდით,
ყაბახს სროლა, ბურთაობა,
მზევ, შინ შემოდით.
მზევ, შემოდი ბაკებსაო,
მზევ, შინ შემოდით,
ცხვარს დაგიკლავ მაკესაო,
მზევ, შინ შემოდით.

ნანი ნანა

ნანი, ნანა, ნანინა,
ტკბილი ძილით დაიძინე,
გულს ნათელი დაიფინე,
ეს აკვანი ცუდი ხისა;
შენ ხარ ვარსკვლავი ცისკრისა,
მერმე სულ ამა ქვეყნისა
ენა მომე მგალობლისა,
რომ ნანა გითხრა ქებისა.

იას გიკრეფ

იას გიკრეფ, ვარდს გიკონავ,
ნანა, ნანა, ბატონო!
სასთუმალ ქვეშ ამოგიდებ,
ნანა, ნანა გეთაყვა!
შენ თუ ტკბილ ძილს დამისრულებ,
ნანა, ნანა, ბატონო!
მე ტკბილ ნანას მოგახსენებ,
ნანა, ნანა გეთაყვა!
ჩონგურო, ჩემო ჩონგურო,
ნანა, ნანა, ბატონო!
გათლილო წმინდა ხისაო,
ნანა, ნანა გეთაყვა!
ბაბუა ჩემის გათლილო,

ნანა, ნანა, ბატონო!
ბეზია ჩემის ხნისაო,
ნანა, ნანა გეთაყვა!
ეგ აკვანი ლებანოზი,
ნანა, ნანა, ბატონო!
შიგა მწოლი ანგელოზი,
ნანა, ნანა გეთაყვა!
ეგ აკვანი ხარატური,
ნანა, ნანა, ბატონო!
შიგა მწოლი ჩახატული,
ნანა, ნანა გეთაყვა!
ეგ აკვანი ბუოლისაო,
ნანა, ნანა, ბატონო!
შიგა მწოლი ბროლისაო,
ნანა, ნანა გეთაყვა!

ე ე ნ ა ო

ეე ნაო, ძილასაო,
სამკალ გაჩენილასაო,
დედა ძუძუს მოუტანდა
ზისცვრით¹ გატენილასაო.
ეე ნაო, ძილასაო,
ეე ნაო, ქალასაო.

ხევისურული ნანა

„ეე, ნანა“, ვეტყვოდითო,
თვალთა ძილი ესხმოდისო.
მტრედები ულულუნებდის,
ანგელოზებ ასწევდესო.

იავნანა, ვარდონანა

იავნანა, ვარდონანა,
იავნანინაო.
დაიძინე გენაცვალე,
შოთას აზრისაო.

¹ რძით

ივენანა, ვარდონანა,
ივენანინაო.
შოთა იყო ბრძენი კაცი
დიდი აზრისაო.
ივენანა, ვარდონანა,
ივენანინაო.
მან დაწერა დიდი წიგნი,
დიდი აზრისაო.
ივენანა, ვარდონანა,
ივენანინაო.
შიგ სიტყვები ჩააქსოვა
ოქროს წნელისაო.
ივენანა, ვარდონანა,
ივენანინაო.
დაიძინე, ტარიელო,
გმირის ჯანისაო.
ივენანა, ვარდონანა,
ივენანინაო.
დაიძინე, გენაცვალე,
დარეჯნისთვლისაო.
ივენანა, ვარდონანა,
ივენანინაო.
დარეჯანი ქალი იყო
მზეზე ლამაზიო.

ნანა, ნანა

ნანა, ნანა, ნანის ნანა, ივენანინაო,
ჩემს შვილუკას ეძინება, ივენანინაო,
დაიძინე, გენაცვალე, ივენანინაო,
დედის გულში ჩაეფინე, ივენანინაო,
დედის მკერდში ჩაგიყვია პაწაწა ხელიო,
ივენანა, ნანა შვილო, ნანა ზუკიოა!¹
ჩვენსა მობრძანდა ბატონი, ივენანინაო,

¹ ბავშვის სახელია.

დატკბი, დატკბი დალოცვილო, იავნანინაო,
დიდი ხარ და დიდებული, იავნანინაო,
დიდი ქვეყნიდან მოსული, იავნანინაო.

ნანა, ნანა ნანასა

ნანა, ნანა ნანასა,
გაზრდა-გახარებასა;
შეგიკერავ კაბასა,
წითელ-ყვითელ ატლასსა,
ზედ აგისხამ ღილებსა
ოქროს დაფერილებსა,
შემოგაკრავ ქამარსა,
შიგ ჩაგირჭობ ხანჯალსა,
დაგიკერებ ჭიბესა,
შიგ ჩაგიყრი ფულებსა.
გლახა შემოგეყრება,
იმას მიეც აბაზი,
ისიც გეტყვის გაზრდასა,
გაზრდა-გახარებასა,
სევდის მოშორებასა,
ყოველ ქირ-მორჩენასა.

ნანი, ნანი, ჰმაწვილო

ნანი, ნანი. ყმაწვილო,
თეთრი პურის ნაწილო,
მამის ოქროს გუთანო,
დედის ჩიქილ-მანდილო,
ბიძის ქამარ-ხანჯალო,
ძალოს წითელო ვაშლო,
სუფრას საგორებელო,
ქვეყნის მომგონებელო!

დან-დანო

დან-დანი, დან შეილო,
ატმისა გულგაქრილო;
გოგმანით მოფრენილო;
დედის კაბისა ღილო,
მამიდის მწვანე ბოსტანო;
მამის ქამარ-ხანჯალო,
პაპის ჩაყრილო ვენახო,
დაბერებული მენახო.

დედის ალერსი

ადანდალო, დანდალო,
ჩემო ოქროს შანდალო,
პაპის ოქროს გუთანო,
ზღვაში ნახნაე-ნათესო,
მამის ოქროს ხანჯალო,
წელზედ შემოსართყამო.
ადანდალო, დანდალო,
ჩემო ოქროს შანდალო.

შუბლმთვარიანო

შუბლმთვარიანო,
წარბ ყორნის ფრთიანო,
თვალმელნიანო,
ცხვირბროლიანო,
ნიკაპგათლილო,
უსულიანო.

საით გაგაჟენო

აჩუ, აჩუ, ცხენო,
საით გაგაჟენო!

ალაზანი დიდია,
შიგ ბებერი ჰყილია,
ფაფა ჰამა, არ მაჰამა,
ჩემი ცოდო ჰყილია.

უნაგირი ვერ ვიშოვნე

აჩუ, აჩუ, ცხენო,
მგლისა შესაჰმელო,
უნაგირი ვერ ვიშოვნე,
რითი გაგაჰქენო!

შე კუდმოსაჰრელო

აჩუ, აჩუ, ცხენო,
საით გაგაჰქენო,
ჯერ ჰერი არ გიჰამია,
შე კუდმოსაჰრელო.

წყალსა გაგვასხეენო

აჩო, აჩო, ცხეენო,
წყალსა გაგვასხეენო,
თუა გაგვასხეენო,
ოქროთ გაგლესვეენო,
თუ არ გაგვასხეენო,
ოსრად დაგარჩეენო.

ჩიტო-გვრიტო

ჩიტო-გვრიტო, მარგალიტო,
შენი ღედა ჩვენსა იყო,
ერთა ფეხა მასტეხიყო,
მეორითაც კოჭლა იყო;

ჰერჩი შავდევ — დამბალიყო,
 ჩამავილი — გამხმარიყო;
 დიდსა ქვაბჩი არ ჩავიდა,
 ცოტინაში მალიკლიკდა;
 ათმა კაცმა ვერ შაჭამა,
 ჯინჰველამა ლუკმად იგდა.
 — ის ჯინჰველა სა წავიდა?
 — მთასა შაუჭამიაო.
 — ისი მთაი სა წავიდა?
 — თაგვსა დაუხვრეტიო.
 — ისი თაგვი სა წავიდა?
 — ციცას შაუჭამიაო.
 — ისი ციცა სა წავიდა?
 — ძალსა შაუჭამიაო.
 — ისი ძალლი სა წავიდა?
 — მგელსა შაუჭამიაო.
 — ისი მგელი სა წავიდა?
 — დათვსა შაუჭამიაო.
 — ისი დათვი სა წავიდა?
 — ტყესა გამაღრევიო.
 — ისი ტყეი სა წავიდა?
 — ცულსა მაუკვრეციო.
 — ისი ცული სა წავიდა?
 — მჰედელს შაურევიო.
 — ისი მჰედელ სა წავიდა?
 — კახეთსა და კურმუხეთსა,
 ნიგოზთ უკენ ტრუხ-ტრუხებსა.

თხა ღა ვენახი

მოდი ვნახო ვენახი,
 რამ შეჭამა ვენახი?
 მიველ, ვნახე ვენახი,
 თხამ შეჭამა ვენახი.
 მოდი, ვნახო თხა,
 რამ შეჭამა თხა?
 მიველ, ვნახე თხა,

მგელმა ჰამა თხა.
მგელმა — თხა.
თხამ ვენახი შეჰამა.

მოდო, ვნახო მგელი,
რამ შეჰამა მგელი?
მიველ, ვნახე მგელი,
თოფმა ჰამა მგელი.
თოფმა — მგელი,
მგელმა — თხა,
თხამ ვენახი შეჰამა.

მოდო, ვნახო თოფი,
რამ შეჰამა თოფი?
მიველ, ვნახე თოფი,
ჟანგმა ჰამა თოფი.
ჟანგმა — თოფი,
თოფმა — მგელი,
მგელმა — თხა,
თხამ ვენახი შეჰამა.

მოდო, ვნახო ჟანგი,
რამ შეჰამა ჟანგი?
მიველ, ვნახე ჟანგი,
მიწამ ჰამა ჟანგი.
მიწამ — ჟანგი,
ჟანგმა — თოფი,
თოფმა — მგელი,
მგელმა — თხა,
თხამ ვენახი შეჰამა.

მოდო ვნახო მიწა,
რამ შეჰამა მიწა?
მიველ, ვნახე მიწა,
თაგვმა ჰამა მიწა.
თაგვმა — მიწა,
მიწამ — ჟანგი,
ჟანგმა — თოფი,
თოფმა — მგელი,
მგელმა — თხა,
თხამ ვენახი შეჰამა.
მოდო ვნახო თაგვი,

რამ შექამა თაგვი?
 მიველ ვნახე თაგვი,
 კატამ ჭამა თაგვი.
 კატამ — თაგვი,
 თაგვმა — მიწა,
 მიწამ — ქანგი,
 ქანგმა — თოფი,
 თოფმა — მგელი,
 მგელმა — თხა,
 თხამ ვენახი შექამა.

საბრალო დედაბრისასა

საბრალო დედაბრისასა
 თაგვნი ყანასა მკიანო,
 ლომნი უგრეხენ ულოსა
 და ვეფხვნი შეუკვრიანო;
 დევნი ურემსა აბიან,
 ირმები ძნასა ჰყრიანო,
 შველნი კევრებში შებმულან,
 კალოს გარს ურბენიანო.
 ზედ ანგელოზნი უსხედან,
 წვრილს ხმაზე დასძახიანო,
 ჭინკები მარდად უქცევენ,
 ყანასა გაჰფოცხიანო,
 ტახნი მისწევენ კალოსა,
 მელეები კუდით გვიანო;
 წერონი ანიავებენ
 და ბატნი დაჰკაზმიანო.
 დათვებს ჰკიდიათ ტომრები,
 ორმოში პურსა ჰყრიანო,
 მგლები წისქვილში გაგზავნეს,
 პურს მალე დაუფქვიანო.
 შაშვი ფქვილს მტკიცამს, გნოლი ზელს,
 კაჭკაჭნი ამოჰქნიანო,
 მტრედნი ჩააკვრენ ლავაშსა
 და გვრიტნი ამოჰყრიანო.

ვარიები ამზადებენ,
იხენი სუფრასა შლიანო.
ზეცას ტოროლა გაგზავნეს,
ფრინველნი მოჰკრიფიანო;
შენს მადლსა ჩხიკვნი ნუ გინდან,
სუფრასა აგვიშლიანო.
სილამაზითა ხოხობი
შუაში ჩაისვიანო,
ბულბული გალობისათვის
სულ თავსა დაისვიანო,
საწყალი ბერი ქედანი
ბოლოში მოიგდიანო.
ერთად სმენ, სჰამენ, ლხინობენ,
ჰარალეს დასძახიანო.

სანთლის გუთანს გავაკეთებ

სანთლის გუთანს გავაკეთებ,
შიგ შევაბამ უღელ დევსა,
ზღვაში ვხნავ და ზღვაში ვთესავ,
მშრალზე ვინადირებ თევზსა,
ყინულზე კალოს გავლეწავ,
მორევში გადავყრი ქერსა,
ჭინჭველას გოდორს ავკიდებ,
კამეჩებს დავუყრი ბზესა.

ეს რა ვნახე

ეს რა ვნახე საკვირველი,
ყინულის კაბას ჰკერავდენ,
ფიფქსა უღებდენ სარჩულად,
ზღვასა ნემსითა სწევრავდენ.

თაგვეზისა და კაბის ომი

თაგვებმ დასვიან ხელმწიფე,
სახელად კეისარია.

წავიდენ, ცოლი მოჰგვარეს,
 მზეთუნახავი ქალია,
 შვიდ დღე-ღამეს ქნეს ქორწილი,
 აწვიეს მთა და ბარია.
 თორმეტი დაკლეს ფურბერწი,
 სხვა უთვალავი ცხვარია.
 იმდენი ღვინო დახარჯეს,
 რამდენიც ალაზანია.
 გზაზე გამოჩნდენ ნაწვევნი,
 გადმოაბნელეს მთანია.
 ციცის დაჭერას ფიქრობენ,
 მძიმე შეჰყარეს ჯარია.
 ციცას მიუხდნენ კარზედა,
 კვირა-შაბათის ძალია.
 ციცა ციხეში შევარდა,
 წელთით დაკეტა კარია.
 — ციცავ, ციხეში რად შეხველ,
 თუ გულ არ გიძევ მხდალია!
 ორშაბათ დილა გათენდა,
 ციცამ გალესა ხმალია,
 ყელს ლარი გადაიკიდა,
 ბროლით ნაჭედი ფარია.
 გამოერია თაგვებში,
 დადგა ცოდო და ბრალია.
 გაწყვიტა დიაც-ყმაწვილი,
 ცამდი ააგო მკვდარია.
 თაგვებს მოუკლა ხელმწიფე,
 გააგდებინა თავია.

ერთმა კაცმა ქორწილი ქნა

ერთმა კაცმა ქორწილი ქნა
 ფეხდამწვარი წიწილითა,
 კატა მაყრულს ეუბნება,
 თაგვი კვდება სიცილითა.

ერთი თავვი შემეჩვია

ორმოში პური ჩავყარე,
ზედ დავაყარე ქერია,
ერთი თავვი შემეჩვია,
ამაღებინა ხელია,
დავიჭირე, ბევრი ვცემე,
კულზე მოვაბი წნელია.

კ ა ლ ი ა

ცხრა დღისა მოვხან ფეტვები,
გვალვა დაუდგა ცხარია,
სუყველა იქ შეუყარე
ქართლის, არაგვის ქალია,
ქალებმა ვერა დააკლეს,
ქვრივებმა უყვეს ძალია.
წავედი მოსამკელადა,
შემოსჩვევიყო კალია.
დაუწკარუნე ნამგალი,
ეგებ დავაფთხო კალია,
მოდგა და მოდგა კალია,
როგორც ფარეხში ცხვარია,
ვენახში გადაიწია,
სახეში შავიშალია.
გადაუფრინდი, დავაჭექქ,
დავინარჩუნე კალია.
ათასი ედგა ფეხები,
ათი ათასი მხარია!
ასეთი ედგა კბილები,
როგორც ალმასი ხმალია.
მე რომ იმას შევექამე,
ღმერთო, რა დიდი ბრალია!

ხინჯველა ღავექმობილე

ქინჯველა ღავექმობილე,
ღავეწყეთ მასხარაობა,
არ მომეწონა ძმობილი,
სცოდნიყო კანტალაობა¹.
ერთი წავარტყი კისერში,
ღაიწყო ჯღანჯალაობა,
იმანაც ხელი მიბრუნა,
გახდა ხმალ-ხანჯარაობა.

რ წ ხ ი ლ ი

წუხელი რწყილმა მიკბინა
გათენებისა ხანსაო,
ავდექ, ავანთე სანთელი,
გავუდექ იმის კვალსაო.
გავიხედე და გასულა
აზამბურისა თავსაო,
დავუჩოქე და ვესროლე,
მოვარტყი ბეჭის ფთასაო.
ასსა ურემზე დავუდებ
სამას უღელსა ხარსაო,
მიჰქონდეს გაჭირვებითა,
ამტვრევდეს ფერსო-ჭალსაო.
ამას ქალაქში ჩავიტან
დიდი ვეზირის კარსაო,
ლიტრას აბაზად გავყიდი,
უყურე მოგებასაო.

თ ა გ ვ ე ბ ი


წისქვილს საფქვავე წავილე,
ავკიდე სამსა კატასა,

¹ კანტალა — ავარა, მაწანწალა, ცუდი.

წინ თაგვნი შემომეყარნენ,
ჩამისხდნენ ალაგ-ალაგსა;
ერთსა ვკარ, ფეხი მოვტეხე,
მეორე ადგა ალასა,
მესამე მემუქრებოდა:
კიდევ დათესავ ყანასა,
ისე მოგიკამთ ერთიან,
ცელს ვერ ავლებდე ჩალასა.

პ ი ნ ზ რ ა ქ ა

გზაზე შემხვდა ღღეს ჰინჭრაქა,
ამოუწყდეს იმას გვარი,
მხრიდან თოფი გადმოვიღე
ზარბაზნის შესადარი.
დავეუმიზნე და ვესროლე,
კაკალ გულში ტყვია ვკარი.
იქვე დავცი ტრიალ მინდვრად
მიწა გასკდა, ვით მეწყერი;
მისმა სისხლმა გადაგლიჯა
ლობე-ყორე და მესერი.
მერე მისი ბუმბულისგან
დოშაკები გამოვტენე,
ქვეშ გავუშალე სტუმარსა
და მეც ზედვე მოვისვენე.
მე ჰინჭრაქის ნისკარტისგან
საცეხეავი გამოვჩარხე,
თუმც მასში რომ ღომი ცეხვოს,
მე ის ქალი ვერსად ვნახე.
ღღეს ჰინჭრაქას ფრთები ავჭერ.
და ინგურზე გავდე ხილად,
გაველ სამურზაყანოშიც
მე იმ ხილზე ურმით მშვიდად.



ე ლ ი ლ ო

ჩიტი ლობეზე შემოჯდა

ჩიტი ლობეზე შემოჯდა,
იძახის ქიშმაშობასა,
ღმერთმა მრავალ დღეს დაგასწროს,
ახალ წელს, ქრისტეს შობასა!

წისქვილს პური დავარიგე

წისქვილს პური დავარიგე,
ჩამოვიდა მინდობითა¹
ღმერთმა ისე აგაშენოსთ,
თეთრი² მოგცეთ კიღობნითა.

¹ მინდი — დაფქვის სასყიდლად აღებული ფქვილი.

² ვერცხლის ფული.

საახალწლო

ახალი წლის მილოცვა

ახალ წელიწადს, წლის თავსა
გიკვლევ ვაზისა რქითამცა,
შენიმცა სახლი ავსილა
ტყუა-კაბა ზარბაბითამცა;
ცხენზედამც შაგისხდებიან
მშვილდ-ისრიანნი, ხმლითამცა,
კარზედამც მოგადგებიან
ცხენ-ჯორა მაფრაშითამცა;
ტახტზედამც დაგიდგებიან
თავ-ოქრო-გვირგვინითამცა,
მტერი სულ დაგიბრმავდების,
ეშმაკი ხმელით-ციითამცა,
მოკეთე ღმერთმა გიმრავლოს,
მოყვარე მრავალ გზითამცა;
პურ-ღვინო დაუღვეელი,
ვით მოდინარე წყლითამცა,
სიცოცხლე განარებული
მოუწყინარი დლითამცა;
ასრე დასტკბი ამ ქვეყანას,
ვით თაფლი ფუტკრის სკითამცა,
უხვადამც მოგეცემოდეთ
თვალ-მარგალიტი ზღვითამცა.

საახალწლო ღაღოცვა

ხელში ორ კიქას ავიღებ,
ვილოცებოდე ღვინითა,
ყველა კარგად დაესწარით
მრავალ ახალ წელს დილითა.
ნათლიმამა თან მოგდედეც,
თაფლი მოჰქონდეს ქილითა,
ხურჭინი სავსე მოჰქონდეს
ჩურჩხლებითა და ხილითა.

დილითვე არაყს მიირთმევთ,
ხილსაც მოგართმევთ სინითა,
ეს ჭიქა დიდი ყოფილა,
მეც ხომ ვითვრები ღვინითა,
როცა ძაან დავითვრები,
გვიან ავდგები დილითა.
თქვენი კოდები ყოფილა
სავსე და წმინდა ფქვილითა;
თქვენი ქვევრები ყოფილა
სავსე და წითელ ღვინითა;
თქვენი ფარები ყოფილა
სავსე და ცხვრითა, ბინითა;
თქვენი გომური ყოფილა
სავსე და ძროხის ბინითა;
თქვენი მტერი წაქეულა,
ველარა ძღება ძილითა;
ხალხი სუ ამოწყვეტილა,
ეზიდებოდა ვირითა;
ვირი რომ ვერ ასდიოდა,
ურმებს იჭერდა ქირითა,
მკვდარი არ გამოლეოდა
მულამ ორშაბათ დილითა.

ახალი წელი მოვიდა

ახალი წელი მოვიდა,
მოგვიკაჟუნა კარები,
ყველამ ვიხაროთ ერთობლივ,
მტერს დავუყენოთ თვალები.

ახალი წელი

გამაგვეცვალა, სწორებო,
დაგვიდგა ახალწელია.
დაგლოცნათ ჯვარმა ყველანი,
არ მაგერიოსთ მტერია!

ყველკანამც გაგიმარჯვდებისთ,
შტერსაც აღინოთ მტვერია!

ა გ უ ნ ა

აგუნა, აგუნა, გამეიარე,
ბახვი, ასკანა გადმეიარე.
ჩვენს მამულში ყურძენიო,
შტრის მამულში ფურცელიო.
ჩვენს მამულში გოდრითაო,
შტრის მამულში გიდლითაო.

ჭ მ ნ ე

პონას ვიყავ

პონას ვიყავ, პონა ვნახე,
ვერხვი ვერხვსა ეხვეოდა.
სიცოცხლე და დღეგრძელობა
სულ თქვენ შვილებს ეხვეოდა.
ალათასა, ბალათასა,
ჩამოეკიდებ კალათასა,
ადე, ქალო, კვერცი მოგვე,
ღმერთი მოგცემს ბარაქასა.

დათვმა ყანა მოგვიძოვა

დათვმა ყანა მოგვიძოვა,
თავის ორი ბელითაო,
ადე, გოგო, კვერცი ჩადე,
შენი ორი ხელითაო.

ყველიერში ყველი ვჰამე

ყველიერში ყველი ვჰამე,
აღდგომაში ჩიტებიო,

დედაშენსმაც დაუჩნდება
ქორიანი ბიჭებიო.

ამოვახვიე გვრიძები

ამოვახვიე გვრიძები,
დაგეზრდებიან ბიჭები.
ვისაც გყავდეს ჯარშიო,
მოგივიდეს სახლშიო.

სახლო, ღმერთმა აგაშენოს

სახლო, ღმერთმა აგაშენოს,
ჯერ ჭურჭელო, მერე თარო,
ოჯახში გაგაძრიელოს,
ჯერ ვაჟკაცო, მერე ქალო!

ციხესა თოფი ვესროლე

ციხესა თოფი ვესროლე,
ტყვია მოდის ზუზუნითა.
ადე, დედი, გაგვისტუმრე,
თორემ წავალთ დუღუნითა.

ს ა ლ ლ ე მ ბ ო .

მამირეკია ცოლ-შვილი

წმინდა გიორგი, ცხოველო,
შენს სალოცავად მოველო,
მამირეკია ცოლ-შვილი,
შენსა წყალობას მოველო.

დაღონებულსა ჩემს გულსა
შენი წყალობა მოეო!

ხელში უჭირამს მათრახი

წმინდა გიორგი ცხენს შეჭდა,
ხელში უჭირამს მათრახი,
ვისაც გაუწყრა, გადაჰკრა,
დააწყებინა თახთახი.

ალვის ხე ამოსულიყო

წმინდა გიორგის კარზედა
ალვის ხე ამოსულიყო.
დამწიფებული ყურძენი
საჰმელად შემოსულიყო.

ზედ მიაღგება გორასა

წმინდა გიორგის მშვენება
ზედ მიაღგება გორასა,
შორით მაიყვანს მლოცავსა,
კუტსა, ბრმასა და მონასა.

ღლეობას მივეჩქარები

ჩემი ღვინია ხარები
ღვინით არიან მთვრალეები,
მიბოი კახურ ურემში,
ღლეობას მივეჩქარები.
გადამიბრუნდა ურემი,
ქვეშ მოიქცია ქალები.

ჰალი რომ ავად გახდება

ჰალი რომ ავად გახდება,
იქ წაიყვანენ, არბოსა,
ერთს მაინც შეითამაშებს,
რაც უნდ რომ არა არგოსა.

ვაი, შიში რა ძნელია

ატოცის წმინდა გიორგი
მალლა გორაზე ჰსვენია,
ნადირი ბევრი მოუდის,
არჩვი, ირემი, შველია,
დათვს რალა მაარბენიებს?
ვაი, შიში რა ძნელია!

საუერხულო

კოვალა

ჯერ რო გადმამცა ყმაზედა,
მიყვარდის ულვაშიანი.
ფანდურს დამიკარ, ბერხუნდო,
მიყვარდის სამ-ძალიანი!
ნუ შამიდგები ძალზედა,
თუ არ ხარ იმედიანი.
მორიგემ შამამილოცა
საგმირო ასლიტიანი.
ხუთ კიდევ დავადებინე,
მკლავში ვარ იმედიანი.
სამლთოსაც კარგა უნდოდა,
არ იყვა იმედიანი,
მე მოძმე აიქ მეტანა
შუბნური მათრახიანი.

1 სამლარიანი, სამსიმიანი.

ხელთ მქონდა ოქროს კოჭობნი
 სავსენი ნავთის წყლიანნი.
 ნისლის ფერაიცი იქ ხყვანდა,
 ფაფარო—მასკვლავიანი.
 ვეშაგურთის გორს ვესტუმრე,
 მწყემსი ვარ თეჭაიანი. . .
 მიქა სახლს აგებინებდა,
 ხურო იქ ედგა ღვთიანი.
 „წილი ჩამიდევ, მიქაო,
 მწყემსი მეცა ვარ ცხვრიანი“.
 ჩამოდვა წილი მიქამა,
 მწყემსი ვეგონე ცხვრიანი.
 ერთი ქვა მიაც შაუღდევი,
 მკლავში ვარ იმედინი.
 წყალზე გამლალა მიქამა,
 ხელთ მამცა ვეშრაპიანი.
 წყლის პირზე ამოვიდოდი,
 ირემი ვიქენ რქიანი.
 თუშებმ მესროლეს ისარი,
 ფოცხ-მაკრატელა ფთიანი.
 სიმურში გადავიჩქვიფე,
 რქის წვერთ გაიღეს ძგრიალი.
 გორის ძირს შამამიჩინდა
 გიორგი დავლათიანი.
 — კოპალავ, საით მასულხარ
 დალაღულ პირ-ოფლიანი?
 სად წახვალ, თან წამიყვანე,
 ენა მაქვს ლაქარდიანი.

იახსარი და კოპალა¹

შაიყრებიან დევეები,
 სადაც დიდ მიედანია;
 გაარიგებენ იმასა —
 ერთურთს უჭიროთ მხარია,

¹ ფშავლებისა და ხევსურების რწმენით კოპალა და იახსარი დევეების მებრძოლნი გმირნი ყოფილან, ხალხს ეს გმირები ღვთაებებად — ხატებად ჰყავდა წარმოდგენილი.

ღვთისშვილთ მათუკლათ კოპალა,
 თაუში დაუცნეთ ქვანია
 გაიგეს ესა ღვთისშვილთა,
 ჩაგზავნეს იახსარიო:
 ცხრა დევს რომ. დედა ჰყოლიყო,
 ცხრათივ გამზდელი არიო;
 ცხრანივ იმაში ჩახოცნა,
 თავს დააქცია ბანიო!
 მეთათე თავქვე გაიქცა,
 თან ჩაჰყვა იახსარიო.
 იმასაც კარგა სცოდნიყვნენ
 საბაზალეთო გზანიო, .
 უძირო ტბაში ჩავარდა,
 თან ჩაჰყვა იახსარიო;
 იზიდნა, ვერ ამოვიდა,
 სისხლით გაებნეს გზანიო.
 იმის ყმათ ბევრი ეძებეს:
 ოთხრქა, ოთხყურა ცხვარიო,
 მოიყვანეს და ჩაუკლეს,
 ამოვა იახსარიო.

ი ა ხ ს ა რ ი

ღვთის კარზე შავიყარენით
 ღვთისშვილნ სამოცდაცხრანიო;
 ქვემთ, ბოლოში ჩამოვჯე
 მე, ხატი იახსარიო.
 გადმოდგეს სასწორ-ჩარექი,
 — კვირავე¹, გვიტირე თვალიო,
 ჩამაირიგეს ღვთისშვილთა,
 ვერვინ გაუგდო ქარიო.
 გადავხე, ერთი ავწიე,
 ღმერთო. შენ მამე ძალიო,
 სამოცლიტრიანს რკინასა
 ქვეშ გაუვლიე ქარიო.

¹კვირა ფშავლების წარმოდგენით ძლიერი ანგელოზი ყოფილა. ვაჟა ფშავე-
 ლას ცნობით, „იმის სადიდებლად, მოსახსენებლად არის დადებული კვირა დღე
 უქმედ“, თხზ. V. გვ. 71.

ავის-გორს! შამამიკიდეთ
ჩემი პატარა ზარიო,
დაჰკრან, ხმა ახადს მივიდეს,
იქ დაიწერონ ჯვარიო.
ღევს მათქნიე საგმირო,
კლდეს მათფარა თავიო,
კლდე ოთხად გავანათოსე?,
ღევს გამოვსთხარე თვალიო.
წაწადის ტბაში ჩავარდა,
მიძრნა და მოძრნა ტბანიო.
ლთისაგან ვიყავ შათვლილი,
თან ჩავყევი იახსარიო,
ღევი მოვიგდე ტბაშია,
თავს დავამტერიე ფარიო.
ამოსვლით ველარ ამუელ,
სისხლით შამიჭრა წყალიო.
ხატი დაგვრჩება ტბაშია,
შაწუხდნენ ჩემნი ყმანიო,
მაიყვანეს და ჩამოკლეს
ოთხრქა, ოთხყურა ცხვარიო.
ლთისაგან იქნა ბძანება,
მემრე გაიხსნა წყალნიო;
შამოვჯე ბროლის ქვაზედა,
შამოვიბერტყენ მხარნიო.

საგანაუნალო

მზე დედაა ჩემი

მზე დედაა ჩემი,
მთვარე — მამაჩემი,
ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები
და და ძმია ჩემი.

¹ ადგილია შუაფხოში (ფშავი), სადაც იახსარის ღლეობას იხდიან. გადმო-
ცემით ამ ადგილას ამოუწყვეტია მას ღევებუ, ავი სულეები.

² განათოსება — დამსხვრევა, დაღეწვა, დამტერევა.

მზეო, ამოდი, ამოდი

მზეო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა,
სიცივეს კაცი მოუკლავს,
საწყალი აგერ გორავსა.

თებერვალი ღებრავდაო

თებერვალი ღებრავდაო,
მარტი ტყავესა ხკერავდაო,
მარტმა ნემსი დახკარგაო,—
აპრილასა დაღბრალდაო.
აპრილამაც აპი თქვაო,
მთა და ბარი დატვიფაო,
ხევ-ყურ ზვავით აავსაო,
ბექ-ბუქთ მწვანელ ასხაო.

თებერვალი დადგაო

თებერვალი დადგაო,
ხეში წყალი ჩადგაო,
ჩიტმა ჩიორამაო,
საძირკველი ჩადგაო.

ჩქარა მოდი, მაისო

ჩქარა მოდი, მაისაო,
ცხვარმა ძუძუ აივსაო,
ბეწიკუამ¹ ბატკანამა
პირი ზისცვრით² გაივსაო.

¹ ბეწიკუა — პატარა.

² ზისცვარი — რძე.

აყვავებული მინდორი

აყვავებული მინდორი,
მწვანეთ ბიბინებს სათიბი,
შიგ ლალა გამოიძახის,
უხდება კრელი ქათიბი.

შვიდ მაისის ნამი

შვიდ მაისის ნამი
თავზე დამედინა,
შვიდ-შვიდი ნაწნავი
ზურგზე დამეჭიმა.

ლაზარ მოდგა კარსა

ლაზარ მოდგა კარსა,
მიდგა, მოდგა მთასა,
ცხავი აცხავებულა,
წვიმა მოჩქარებულა.
ღმერთო, მოგვე ტალახი,
ალარ გვინდა გორახი.

ალარ გვინდა გორახი

ლაზარ მიდგა კარსაო,
აბრიალებს თვალსაო,
მიდგა, მოდგა მხარესა,
დაემსგავსა მთვარესა.
ა, ელია, ელია,
შენთვის რა მიწყენია,
ერთი თხა და ციკანი
შენთვის მომირთმევია.
ალარ გვინდა გორახი,
ღმერთო, მოგვეც ტალახი.

იავნანა (საბოლოო)

იაგუნდის მარანშია

იაგუნდის მარანშია
ღვინო დგა და ლალი სკვივსო,
შიგ ალვის ხე ამოსულა,
შავარდენი ფრთასა შლისო.
ნეტავი თქვენ, ბულბულებო,
მალლა სხედხართ, ლულუნებთო!

ია ვპარიფე

ია ვპარიფე, ვარდი ვშალე,
წინ ბატონებს გავუშალე.
იაგუნდის მარანშია
ღვინო დგება ლალის ფრისა,
შიგ ალვის ხე ამოსულა,
ტოტები აქვს ნარგიზისა.
ზედ ბულბული შემომჯდარა,
იადონი მხრებს უშლისა.
იავ-ნანა, ვარდო ნანა,
იავ-ნანინაო!

იისა და ვარდის ბაღში

იისა და ვარდის ბაღში, იავნანინაო,
ბატონები ბრძანდებიან, იავნანინაო,
ბატონებსა სუფრა ნებავთ, იავნანინაო,
გარშემო ძლიერ მორწყული, იავნანინაო,
ბატონების მამიდასა, იავნანინაო,
ვარდნი უსხედან კერასა, იავნანინაო,
გვერდს უდგას ჩარხის აკვანი, იავნანინაო,
შიგ უწევს ბატონიშვილი, იავნანინაო,
ეუბნებიან ნანასა, იავნანინაო,
ღიბის საბანი უხურავთ, იავნანინაო,

ატლას-ბაბთის არტახები, იავნანიწაო,
მოვის პერანგი უცვიათ, იავნანიწაო,
ვარდი ფეხამდინ უსხიათ, იავნანიწაო,
გვერდს უზის ბატონის დედა, იავნანიწაო,
წვერილი ხმით ეტყვის ნანასა, იავნანიწაო,
უფლის გამოგზავნილები, იავნანიწაო,
ნანი ნანა, იავნანა, ვარლო ნანიწაო.

საქორწილო

აიგ მთაწედა ყორნები

აიგ მთაწედა ყორნები
ბუდობენ, არ იშლიანო,
მაშ რა ვქნა, რო არ დაგველიო,
ჩემ თვალნ არ დაიშლიანო.

ქალს ნუ ჰკვლევ ჯვარობაშია

ქალს ნუ ჰკვლევ ჯვარობაშია,
ტანთ ნათხოვარი აცვია,
ქალი თუ გინდა ლამაზი,
დაჰკვლიე ქერის მკაშია.

რას მემართლები

რას მემართლები, ლაფაჩო,
შარაზე გასვლისათვისა?!
მე განა სამტროდ მოვსულვარ? —
სამოყვროდ, ქალისათვისა.

ზორიდან მოსულები ვართ

ზორიდან მოსულები ვართ,
გადმოყრილები. ქარისი,

ტყუილად არა გეგონოსთ,
წასაყვანად ვართ ქალისი.

დედალი ხოხობი

ბიჭო, აიღეთ თოფები,
ავდგეთ, წავიდეთ წყალზედა,
მოკვლათ დედალი ხოხობი,
გადავიკიდოთ მხარზედა.

ფურიკამი

ჩვენს მეფეს გაუმარჯვნია
თავფარავანის ტბაზედა,
მოუკლავს ფური ირემი,
გაღუკიდნია მხარზედა.

ნეტაი ნეფის დედასა

ნეტაი ნეფის დედასა,
ვარდნი უსხედან კერასა;
ვაი დედუფლის დედასა,
თაგენი ურბენენ კერასა.

ჩვენი დედუფლის

მაჰრეზსა

ჩვენი დედუფლის მაყრებსა
ნეტა რა მოუტანიათ?
კატის ტიკჭორით არაყი,
თვითონვე დაუღევიათ,
ყუადამწვარი ლავაში
გზაზედვე დაუხევიათ,
ფეხმოტეხილი ქათამი
იქავე შეუჭამიათ.

გვრიტნი უსხედან

ნეტარი მეფის დედ-მამას,
გვრიტნი უსხედან კერასა,
თემ-ქვეყანა დახარინ,
ულოცვენ კარგ ბედ-წერასა.

მოვდივართ, მოგვიხარია

მოვდივართ, მოგვიხარინ,
მოგვყავს დედალი ხოხობი,
თვალ-წარბებ გადახატული
ქალია ძუძუ-კოკობი.

ლამაზი პეპელა

მოვდივართ, მოგვიხარია,
მოგვყავს ლამაზი პეპელა,
ქალი, სძალი მშვენიერი,
პირ-ვარდი, ალვა-კეკელა.

ქალი მოგვყავს

ქალი მოგვყავს მზიანიო,
აბრეშუმის თმიანიო.

ქალი მოგვყავს ნათელი

ქალი მოგვყავს ნათელი,
მოგვინათეთ სანთელი.

მე ვარ მახარობელი

მე ვარ მახარობელი,
სახლის გამხარებელი,
ამიხვეთ მხარი,
მტერს დაუდგა თვალი.

სახლი დავდგი ვერხვისა

სახლი დავდგი ვერხვისაო,
საძირკველი ვერცხლისაო,
აქ დედოფალი მობრძანდა
ბედნიერი ფეხისაო.

ქორწილია და ქორწილი

ქორწილია და ქორწილი,
ტყუილი ნურვის გგონიათ,
ასეთი დავაგუგუნოთ,
ეგონოთ დიდი ომი აქეთ.

ცეცხლო

ცეცხლო, აენტე, აენტე,
ზოლო, შენ ადი აყარსა!¹
დალიე, დამალეინე,
ჯიხვი დაარტყი მაყარსა!

ჩემო ხელის მომკიდეო

ჩემო ხელის მომკიდეო,
ტაგანაი მომკიდეო.

¹ ს. საკიდელს ჩამოსადები.

ნეფეო, შენსა გვირგვინსა

ნეფეო, შენსა გვირგვინსა,
ოთხკუთხივ ჯვარი სწერია,
ვერც არა მტერმა იხარა,
ნურც ოდეს გაუხარია.
სუყველა შენა გლოცავდეს
ახალგაზრდა და ბერია,
სახლი დოვლათით აგვესოს
და დაგლეოდეს მტერია.

ნეფეო, ღმერთმა გადღეგრძელოს

ნეფეო, ღმერთმა გადღეგრძელოს,
მოგცემოდეს ბედი კარგი,
ბევრი ხნა და ბევრი სთესო,
არა გქონდეს გულში დარდი.
მარჯვენით გაცემულობა,
პირზედ მოგდიოდეს ვარდი,
სამოთხისა კლიტე გქონდეს,
ქვეყნის სანატრელი ფარდი.

ზემოდანა წამოვიდა

ზემოდანა წამოვიდა
წითელი და წითლოსანი.
თავზე გვირგვინი დადგმია
ხე — მთლად მარგალიტოსანი.
ღმერთმა მაგ ქალს შეგაბეროს,
მოგცეს ხუთი ვაჟიშვილი,
უცვალებელი ამყოფოს,
ნეფეო, შენი გვირგვინი.

ღმერთმა შენ მოგცეს, ნაფიო

ღმერთმა შენ მოგცეს, ნეფეო,
ბედი და ბედნიერება;
მემრე შენ, ნეფის ჯალაფო,
ჯალაფში გემრიელობა.

გაცოცხლოს და გადღეგრძელოს

გაცოცხლოს და გადღეგრძელოს,
როგორც აბრამი და სარა!
გამრავლოს როგორც ზღვას თევზი,
ცას ვარსკვლავი არ თუ კმარა!
დიღმის მინდორი მოგეცეს,
სახნავ-სათესავად კმარა;
შვიდი გუთანი შეგებას,
იყვე არც ამის ამარა;
ასოცი საძნე ურმითა
ზედ კარზე აგეღოს ღალა,
შვიდი ფარა ცხვარი მოგცეს,
ესეც სათვალავად კმარა!

წყვილი ვაჟიშვილი მიე

დიდება ღმერთისა,
დიდსა მოწყალესა,
ღმერთო, დღეგრძელობა მიე
აქა მბრძანებელსა,
ნეფესა და დედოფალსა
სახე მშვენიერსა,
წყვილი ვაჟიშვილი მიე
საწლელულო წელსა.
ოჯახობა დაუქციე
ჩვენი ნეფის მტერსა,
იმათი ცხვარი და ღორი
დააქმიე მგელსა.

ნეფევ, ბადია ამივსე,
მომაწოდე ხელსა,
დიდებაა ღმერთსა,
კიდევ დავლევ ერთსა,
ღმერთმა ყველას გაგიმარჯოთ
სტუმარ-მასპინძელსა!

ბევრი მინახავ მაყარი

ბევრი მინახავ მაყარი,
ჩამოდოდეს გამწყრალი,
ჩამოხეულან ჩოხანი,
ხელში ეჭიროთ მასრანი,
ბევრი მინახავს ჭირ-ლბინი,
ბევრსაც ვარ გადანაყარი,
ის კი არ გამიგონია,
დედუფალს ჰკოცნის მაყარი.

საღლეგრძელო

ქმის დალოცვა

ქმაო, ღმერთმა გაღლეგრძელოს,
საბძელი მოგცეს ბზიანი,
ოთხი-ხუთი ცხენი მოგცეს,
წითელი, ნარიჩიანი,
სადაც რომ წახვიდე ომში,
შენს ხმალს გაჰქონდეს პრიალი,
მოგეკლას ათი ათასი,
არ დაგმართოდეს ზიანი.

შენ მბერს დაუღვის თვალები

მაღალმა ღმერთმა შენ მოგცეს
ალმასის ღერეფანები,

ვერცხლოს დედაბოძი ედგას,
ზედ ოქროს გასაყარები,
ასი-ორასი საპალნე
სუ ზურმუხტი და ლალები,
ისიც შენ მოგცეს უფალმა,
შენს მტერს დაუდგეს თვალები,
დაგებას ბედაურები,
დაგეკრას ოქროს ნალები.

გაგიმარჯოს, გადღეგრძელოს

გაგიმარჯოს, გადღეგრძელოს,
პური, ღვინო დაგიძველოს,
ცხრა უღელი ხარი მოგცეს,
გუთნეული გაგიგრძელოს,
შვიდი შვილი ვაჟი მოგცეს,
წვერი თეთრად დაგიფეროს.
შვილებ სამწყემსოდ დაგზავნო,
ცხვარ-თოხლები გაგიბევროს,
თვითონ საქონელში წადი,
ცოლმ ფურები დაგიწველოს,
დღისით „მაშინას“ დაუჭდეს,
კარგი ჩოხა შაგიკეროს,
ახალუხი და საგულე
ორივ კარგა დაგიჭრელოს.

გადღეგრძელოთ

გადღეგრძელოთ, ჩვენსა მტერსა
არ ენახოს ჩვენი ავი.
ცალი ფეხი ტყდებოდეს,
ცალი უკან რჩებოდეს,
ცალი თვალი ეთხრებოდეს,
ცალზე ლიბრი ეკვრებოდეს.
კვდებოდეს, დნებოდეს,
ჩვენ ვერაფერს გვრჩებოდეს.

შვიდი წელიწადი გაქო

ღმერთმა აგრე ავაშენოს,
როგორც შიოს მარანია!
აგიყვანო ცათამდინა,
თავს დაგადგეს დალალია;
შვიდი წელიწადი გაქო,
თქვან, კიდევაც ალალია!

აგრე უნდა პირმზე იჯდე

აგრე უნდა პირმზე იჯდე,
გარს გეხვიოს დიდი ჯარი,
წამწამისგან შებურვილხარ,
გიშრისაგან გიქრის ქარი.
ყველაწმინდამ ვაჟი მოგცეს,
გიღლეგრძელოს კარგი ქმარი!

ქალაქიდან წამოველი

ქალაქიდან წამოველი,
გადმოვიარე ზიარი,
ღმერთმა ნურცა გამაგონოს
შენი მარცხი და ზიანი!
მანამდე ღმერთმა გაცოცხლოს,
სანამ მთვარე და მზე არი!

უნაგირი მცხეთას დამრჩა

უნაგირი მცხეთას დამრჩა,
მოსართავი არაგვზედა,
აგრემც ყველას გაგიმარჯოთ,
ვინაც სხედხართ ალაგზედა.

შენი ძირი არა ვნახო

შენი ძირი არა ვნახო,
სადაც ვნახო, იქ დავმარხო!

აგრე დაურჩი დედასა

აგრე დაურჩი დედასა,
როგორც არაგვი მცხეთასა!

გლოვის ლექსები

და ლ ა ი

(მიცვალებულის გლოვა თუშებში)

დალაი თქვით, დალაი, მხედრებო!

დალაი, დალაი...

ძნელი არს დალაობაი,

დალაი, დალაი...

ბრალი ხარ, (სახელი).

შენი ულაშქროდ სიკვდილსა, დალაი...

ჩვენ ნუ ვის შევატყობინებთ

ლომის ერეკლეს სიკვდილსა, დალაი...

იარ, არ წამოხვიდოდე

მაგ შენის წითლის ცხენითა, დალაი...

ლაშქარს გიკითხვენ სწორები,

წინ აღარ გაუძღვებია, დალაი...

მტერთან ხმალამოდებულო,

სწორში თავგამოდებულო, დალაი...

სულ მამა-პაპის დროიდან

მტრისათვის რისხვის მიმცემო, დალაი...

ქვეიანო, საქციელიანო,

გამჭრელო, მოსამართლეო, დალაი...

იმედო თავის ქვეყნისა,

~~გამრიგევ~~ თუ შეეთისაო, დალაი...

კარზე გიდგენან სტუმრები,

შინამ არ შეუძღვებია, დალაი...

ვაჟი ხარ სახელიანი,
 კარგამ არ დაუხვდებია? დალაი...
 სტუმართა დღეო მზიანო,
 პირწყალო თუშეთისაო, დალაი,
 შენი დედაი ბეჩაჲვი
 სანთლებურ ჩამოდნებაო, დალაი...
 ეგ შენი ცოლი ბეჩაჲვი
 სუროსვით ექანებაო, დალაი...
 ეგ შენი გვარის ქალ-ზალნი
 შავითაც იმოსებაო, დალაი...
 ეგ შენი ნაცომ-ნამოსნი
 დარბაზს არ იცვითებოდეს, დალაი...
 შენი ცხენი და აბჯარი
 უდროოდ იხარჯებოდეს, დალაი...
 შენი ნაწოლი ლოგინი
 ია-ვარდივით ჭკნებოდეს, დალაი...
 შენი წვერი და ულვაში,
 სულ მწვანედ ამოდოდეს, დალაი...
 ნეტავ შენ, საიქიოსა
 შიგ შეხვალ მტრედის ფერადო, დალაი...
 სულეთს მიდგენან კოდები
 გადმომდინარე პირითა, დალაი...
 სუფრა გიდგ გარიგებული,
 გაკეთებული თეთრითა, დალაი...
 ზედ გიდგან მელვინეები
 ხუცითა, დიაკვნებითა, დალაი...
 ამოიღებენ, დალევენ
 ვერცხლის იმ ვაშრაპებითა, დალაი...
 შენდობა, (სახელი)
 ღმერთმა გაცხონოს სულითა, დალაი...
 დალაი, დალაი, დალაი...

მ ა შ კ ა ა ც ზ ი ნ ა ბ ი რ ა ლ ი

ზეითკენ წახოლ, ქორი გინდა,
 ქვეითკენ წახოლ — შავარდენი,
 თეთრისა ქორისა ნაშობოო,
 შავარდენისაგან ნაქნაროო,

თავლაი¹ გინდა შეკაზმული.
 აცალე, თავლაე,
 პატრონი ომში ემზადება...
 თავლას უნაგირი უნდა
 ოქრო-ვერცხლით ჩაარტნული.
 სამკლავე გინდა, საფუხარი,
 ჯაჭვი პერანგად დაგმშვენდება,
 არაგვს სიმაგრე გასტეხიაო,
 ზარბაზნები დამტკრევეიაო,
 დიდი არგანის ბატონოო,
 ჯარში მტრებისა მხოცავოო,
 შინ სახელის მომტანოო.
 ეხლა მიბრძანდი ყანობსა²,
 კურდღელს³ აქებენ ჭიალაშვილს,
 შენცო სადარო იმისაო!
 ეხლა მიბრძანდი გორის ციხესა,
 ბასა⁴ და ლილის⁵ აქებენ
 იმ ჩვენის ხევის მკურნალებსაო,
 შენცო სადარო იმისაო!
 ეხლა მიბრძანდი სიონში⁶,
 სურხანს აქებენ ყარაჯისშვილსაო,
 წითლის კარავის დამდგმელიაო,
 შენცო სადარო იმისაო!
 ეხლა მიბრძანდი აჩხოტსა,
 ჩეჩის⁷ და გაზას⁸ აქებენ,
 შენცო სადარო იმისაო!
 ეხლა მიბრძანდი სნოსაო⁹,
 შიოლას აქებენ ლუღუშაურსაო,
 გზაში ლეკების მხოცალიაო,
 შენცო სადარო იმისაო!
 ეხლა მიბრძანდი სტეფანწმინდასა¹⁰,

1 ცხენის სახელია.

2 სოფელია ხევში.

3 კაცის სახელია.

4-5 სახელებია.

6 სოფელია ხევში.

7-8 — კაცების სახელებია.

9 სოფელია ხევში.

10 ახლანდელი ყაზბეგი.

ყაზბეგიანთ მიხეილს¹ აქებენ,
 იმ ჩვენის ხევის ქვრივ-ობოლთ გამკითხავსაო,
 შენცო სადარო იმისაო!
 ეხლა მიბრძანდი ახალციხესა,
 ფადიაურს აქებენ,
 მთაში ლეკების მხოცალიაო,
 შენცო სადარო იმისაო!
 მინდორს გიდგანან ღვინის ტბანი,
 შიგ გიწყვია ოქროს თასნი,
 მიდიოდნენ, სვამდნენ და არ აკლდებოდა
 სულ შენი მამა-პაპის დანახარჯიაო.
 ნუ გაიყრებით ქორ-შევეარდენო²,
 ნუ გადმოსცვივით ტანტზედითაო,
 შესვლა გაგიგვიანდებაო,
 შენ მიხოლ მიწაშიგა,
 პატრონი³ ცხოს დაგიჩეგაო.
 ტიალო, მცურავო⁴ ტიალო,
 როგორი გაუმძღარი ხარო,
 სარქველი⁵ მაგრა გააკეთეთო,
 რო გველი არ შემოძვრესო.
 გველი უწინ მარჯვენა თოლს დაპყოფს ხელსაო.
 შვილო, პირი არ გაალო,
 დედის კოცნა არ გეგონასო,
 გულზე რომ დაგაწვეს,
 პატრონის ხელი არ გეგონასო.
 აჩქარდი, ნუ ჰგვიანობ,
 მიწა მიგელის მაგარიო,
 ოხერი დასაშლელადაო.
 შენ რო ქოჩორზე ხელი გადაისვა,
 ქოჩორი დაიწყებს ჩამოცვენასაო,
 გულის პირზე ჩამოცვენასაო.
 აჩქარდი, მზით შედი სამუდამო სამყოფელოშიო,
 მშვიდობითა, შვილო, მიწასაც გაუმაგრდებო.

¹ ალექსანდრე ყაზბეგის მამა.

² ცოლ-ქმარი.

³ ცოლი.

⁴ გველი.

⁵ კუბოს სახურავი.

მზიას ნატირალი გორგოზი

გორგი შენა ხარ თველეჭათიო,¹
მთაჩი მხოცელი ჯიხვებისაო,
ჭალას მითხოველთ ვაყებისაო.
შენ შენ ფერს გინდან მატირალნიო,
შენის ვაჟობის დამფასავნიო.
ბრალია, მგელა არ მამიკვდასო,
რო დასწვა მიწის ლოგინზედაო.
ვეფხვო, დახყარე იარალიო,
არწივმა დაიჭუქკენ² მხარნიო,
ჯიხვო, საწოლთით გადმალვარდიო,
ირემო, დაინაყენ³ რქანიო.

ზ რ უ ნ ი

ზეცამ შეყარა ღრუბელიო,
შუა ცას გახდა გვირგვინიო;
ვაი, შვილო, დედა მოგიკვდაო,
შენმაო ბნელმაო დედამაო
ვერ ნახა შენი გვირგვინიო.

დედის ნატირალი შვილუი

მზეო, დადეგ და დაგვიანდიო,
მზე სდგეხარ უკენობისაო,
ვიყრებით დედაშვილობითაო,
მამშვიდობებენ ბერდიასაო.

1. თაველეჭა — კაცის სახელია.

2. შემოხვევა, კარგად მოხურვა, დახურვა.

3. დაიმტკრიე.

გახედე ჩოგოლაურთასა

გახედე ჩოგოლაურთასა,
გაპტყელებულსა ცასავითა,
შიგ ნადგომ შენ ძმას მარტიასა,
გაბუსანებულს მთასავითა.
ბერო ბეჯიავ, რას უდგახარ?
დგახარ უსტოვოს¹ ხესავითა,
გადაიქცევი და ხმა არ გაქვ
ამ შენს ძმას მარტიასავითა.
რას სტირი, ჯალაბურთ ქალო,
მგელს ლეკვნი კიდევ მორჩომნიან,
დაიზრდებიან მგლის ლეკვები,
მამის ნადგომზე დადგებიან.

ზრუნი მონადირეზე

კარგსა მონადირესაო
თუ დაუთოვა მთანიო,
კირტიშოს ჯიხვი კვინტრიშობსო:
— მომკვდარაო ჩვენი მომკლავიო.
ჩაბლახშია ჯიხვებიო
სასროლზე ჩამოდიანო.
რა იქნაო ჩვენი მომკლავიო!
და მომკვდარაო ჩვენი მომკლავიო.

ეპიგრაფიები

ცა გამირისხდა

ცა გამირისხდა, ბუნებამ
ჩემზე იხმარა ძალები,
უეცრად შემხედა წერა მე,
მან დამიხუჭა თვალები,
სახლად მარგუნა ადგილი,
მიწაში დასამალევი,

¹ უტობო.

ქმარ-შვილი დამრჩა ობლადა,
მტირალნი, შესაბრალები.
სიცოცხლით გაუხარელი
მოვშორდი მზისა ცქერასა,
მოვშორდი მოკეთებესა,
ვერ წაუველი წერასა.
აქა მომსვლელნო, მხილველნო,
• აი, შემოგთხოვთ მე რასა,
შენდობით მომიხსენიეთ,
თქვენი თავისა ლხენასა!

ამა ლოდსა ჰვეზე

ამ უბედურმა სიკვდილმა
რა უდროოდ მიგდო მახე,
მომაშორა წუთისოფელს,
შავ მიწაში დავიმარხე,
დავრჩი ამა ლოდსა ქვეშე,
ავი, კარგი ვერა ვნახე,
სახლი დამრჩა ცრემლით სავსე.
მღუღარებით დავიმარხე,
დამრჩა ერთი ვაჟიშვილი,
ღმერთო, კარგად შემინახე!

დიდი ღამე


რა დიდი ღამე დამდგარა
ჩვენი სიცოცხლის გზაზედა,
ორი და-ძმანის ვარსკვლავი
უდროოდ მოწყდა ცაზედა.
ლენა და ვახტანგ სახელი
ამოუქარგავს ქვაზედა.
რითაც გაიგებთ, თუ მშობლებს
ცრემლი რადა სდით თვალზედა.
ნულარ გახედავთ ჩვენს გზასა,
ვეღარ მოგივალთ კარზედა,
მოსაგონებლად სახელი
სწერია ამ ცივ ქვაზედა.

უდროოდ დღენი მომისპო

უდროოდ დღენი მომისპო
ამა სოფლისა ცქერამა,
ვერ დამაბრუნა უკანა
დედის ცრემლისა დენამა.
სამყოფლად ბნელი სამარე
მარგუნა ბედის წერამა,
მე გთხოვთ, ძეგლისა მნახველნო,
შენდობა მითხრათ ყველამა.

ზე სატიאלო სიკვდილო

ზე სატიალო სიკვდილო,
როდის მოგეცი პირობა?
ცხენ-ფრენით ჩამომირბინე,
სულ დამიკარგე ზრდილობა.
შენზე ვერც ქრთამი გაეყიდე,
ვერც დიდი კაცის შვილობა.



ორმოში ფეტვი ჩავეყარე

ორმოში ფეტვი ჩავეყარე შესანახად,
შიგ წვიმა ჩამოსულიყო დასალპობად,
ამოვიღე და გავფინე გასაშრობად.
ლობეზე ჩიტი შემოჭდა ასაკენკად,
ჩიტსა ჯოხი მოვეუქნიე მოსაკლავად.
ჩიტი ბატონთან წავიდა საჩივლელად.
თან გზირები მოყოლოდა დასარბევად.
ნიშა ხარი გაიყვანეს დასაკლავად,
დიდი ქვეერი ამიხადეს დასალევად.

ამღენმა აღმართ-დაღმართმა

ამღენმა აღმართ-დაღმართმა
წელი მომწყვიტა გუდამა!
პური ბატონმა წამართვა,
„შენ მჭადი ჭამე მუდამა“!

მუცელი აზნაურისა

მუცელი აზნაურისა
ადლი და ნახევარია,

საწყალი გლეხიკაცისა
არც იმის ნახევარია.

დასაქცევი მებატონე

დასაქცევი მებატონე
ჩამოივლის ვარიანსა,
წიოკობას აუყენებს
ქათამსა და ვარიასა!

მე პატარა დავიბადე

მე პატარა დავიბადე
ამ ბატონიანთ ხელშია,
ხან ხელზე მიმსახურებენ,
ხან გამაგდებენ ტყეშია,
ქერის პურს გადმომიგდებენ,
მოსამსახურის წესია.
დავეხეტები მინდორში,
დავდივარ, ძიან ვკენესია.
ამისთანა სიცოცხლეზე
სიკვდილი უკეთესია.

ზღვაში ხომალდი რად მინდა

ზღვაში ხომალდი რად მინდა?
მოვუტურდები, გავალო;
არც არავის ბატონი ვარ,
არც არავისა ყმა ვარო.

ამილახვარი მეწვია

ამილახვარი მეწვია,
სამზადისები მზა იყო,
კარის ვენახი იქვე მაქვს,

შარანი ქვევრით მზა იყო,
თონლი ერთ ლუკმად შექამა,
იმისთვინ აბა, რა იყო?

ამილახვრიანთ მომასწრეს

ამილახვრიანთ მომასწრეს,
წელი მომწყვიტეს ცემითა,
შავთვალა ცხვარი წამართვეს,
თვალი ამევისო ცრემლითა.

მუხრანბატონზე

მუხრანბატონის ყმობითა
ფქვილი ვერ დავდგი გოდრითა,
ვერც ლურჯი ჩოხა ჩაეიცვი,
ვერც ახალუხი ქობითა,
ვერც დეკეული გავზარდე,
ვერც კალო ვლეწე მოზვრითა.

ხიდისთავს შავკრათ პირობა

ხიდისთავს შავკრათ პირობა,
ჩვენ გავხდეთ ღვიძლი ძმანო,
ჩაუხდეთ მუხრან-ბატონსა,
თავს დავანგრიოთ ბანო,
რაც რომა ჰქონდეს, წავართოთ
თვალ-მარგალიტი, ლალიო.
შავიდეთ, გამოვიყვანოთ,
თვალყუყუნ თეთრი ქალიო,
ქალი, რა ქალი, ქალიო,
კოქამდის სცემდეს თმანო.
თმანი, რა თმანი, თმანო,
შვიდკეცა, შვიდი მხარიო,
ესხას ოქროს საყურენი,
ჟუღრიალებდეს ქარიო,

ამას ამბობდნენ: — ნეტავი
არ მამაშორა თვალნიო.
არაბულ ცხენზე შემოვსვათ,
წელს შემოვარტყათ ხმალიო,
საჩეხის ქული დავხუროთ,
შიგ ჩაუკეცოთ თმანიო,
სამი ისეთი ვაკოცოთ,
ლოყას ავაძროთ ტყავიო,
საგარეჯოში ჩავიდეთ,
იქ დავიწეროთ ჯვარიო,
შვიდი დღე და შვიდი ღამე
იქ მოვალხინოთ ჯარიო.

მჟედლო, განა რკინასა

მჟედლო, განა რკინასა
სპილენძი არ გაერევა?
თუ ბატონი ყმას უწყრება,
მიზეზი არ დაელევა.

ორი ბატონის ყმა ვიყავ

ორი ბატონის ყმა ვიყავ,
ხან ისა მცემდა, ხან ისა;
ორივე ერთ დღეს მომიკვდა,
ხან ის ვიტირე, ხან ისა.

ორი შაური არა მაქვს

ორი შაური არა მაქვს,
რომ ვაწირვინო მღვდელსაო!
აზნაური და თავადი
სულ გადავყარე კლდესაო,
იმათი ცოლი და შვილი
სულ დავაქამე მგელსაო,
იმათი სახსენებელი
ამოიწყვიტოს დღესაო!

ღმერთო, კაი დარი ქენი

ღმერთო, კაი დარი ქენი,
დარი დარზე მოაბიო,
აზნაურები გასწყვიტე,
მკვდარი მკვდარზე მოაბიო!
გლეხი კაცი მოაშენე,
სახლი სახლზე მოაბიო!

ტილო, ჩემო მაჰარო

ტილო, ჩემო მაჰარო,
არა გაქვს ჩემი ყადრია,
რას ეფერები თავადსა,
მაგის სიკვდილი მადლია!

ბატონყმობა გადავარდა

ბატონყმობა გადავარდა,
გლეხო-კაცო, გაიხარე;
აზნაურო და თავადო,
თავში კოხი ქვა იხალე!

აქამდე აზნაურები

აქამდე აზნაურები
უწრუწუნებდნენ ქორებსა,
ახლა იმათი შვილები
უკან დასდევენ ღორებსა.

ახალმა მამასახლისმა

ახალმა მამასახლისმა
ახლავ აგვაესო ვალითა,

რაწამს ეს ხარჯი მოვიდა,
ქალაღლი წერა კალმითა.
კანცელარიაში დასხდნენ,
ფული შექამეს მალვითა.
შდიდარს კაცს ვერას რჩებიან,
ღარიბს ართმევენ ძალითა.
მთავრობას გამოვეუცხადებთ:
„ახლავ აგვესეს ვალითა“.
ეს რომ ხელმწიფემ გაიგოს,
წვერს ჩამოპარსავს დანიითა,
იმათ ციმბირში გაგზავნის
სამ-სამი წლობის ვადითა.

ამ ჩვენსა მამასახლისსა

ამ ჩვენსა მამასახლისსა
ძალი დავარქვათ ტურია,
ნახნავ-ნათესი გაუწყდა,
არ მოუვიდა პურია.
სხვებმა რომ კალო შეაბეს,
იმას უსქდება გულია,
როდესაც გარდაიცვლება,
ძალი დავუკლავთ მურია.

შემოუარე, გამოვა

შემოუარე, გამოვა
ნალარა გამოვარდება,
მამასახლისი მოკვდება,
ნაცვალი ამოვარდება.

სახნის-საკვეთი

სახნის-საკვეთი, ჯამბარა
მამასახლისმა დაგვპარა,

იმას გაუწყდეს ცოლ-შვილი,
უხნავ-უთესი დაგვეყარა.

ბეჩაო, მამასახლისო

ბეჩაო, მამასახლისო,
კაცნი კაცადა გთვლიანო,
ზოგნი გიცხობენ ქადასა,
ზოგნი ხინკალსა ყრიანო.
მაშინ რას იზამ, არ ვიცი,
მაგ ჯაჰვეს¹ რომ წამოგყრიანო.

რად მიტევ, მამასახლისო

რად მიტევ, მამასახლისო,
გული რადა გაქვეს დიდია?
იმით თუ მებუზღუნები,
გულზე რომ ჯაჰვი გკიდია,
სახლი რკინებით სავსე გვაქვეს,
ძაღლები ჯაჰვით გვიბია.

კაწალხევს ველარ მივდივარ

კაწალხევს ველარ მივდივარ,
ბეწინა მემუქარება.
— ბეწინავ, მამასახლისო,
შორით რად იცი ბარება,
თოფით რო მემუქარები,
რად ვი, არ იცი ხმარება;
სადაც კი დამდებ ლიშანსა,
შენიმც ქალ ამეფარება.

უსამართლობით არ ისხამს

უსამართლობით არ ისხამს
ეს კარალული კაკლები,

¹ ეელზე ჩამობმული ჯაჰვი.

იასაული არ მოვა
თორმეტ-თორმეტზე ნაკლები.

ნ ა ც ვ ა ლ ო

კაი დრო კი გაქვ, ნაცვალო,
კარებზე ცხენით დახვალო,
ზემოთით მიგრიალელთა,
ქვემოთითა გაქვ მაღარო;
კიდევ რო ტყუპებ დაგიჩნდეს,
სადღა ჯანაბას წახვალო?

სხვაფრივ კი არა მიჭირს რა

სხვაფრივ კი არა მიჭირს რა,
ბიძა შემბრალდა მგელაო,
მაგის შვილ „ჩინონიკია“,
სხვა გლეხები ვართ ყველაო.
ეგ დილით დასდგამს ჩაისა,
„შენ ცხეარში წადი. მგელაო“-
ერთი ხბო ჰყვანდა. დაერჩვა,
ჯერაც არ მოუხელაო¹.
დაუკიდებავ საათი,
საყულო დაიშვენაო,
ვერ ააშენებს საქონსა
მაგის საათში ცქერაო;
მაგის საათი შამირცხვა,
მაგის ქალაღდის წერაო;
შარშანის პაპა მაუკვდა,
არ დაუმარხავს ჯერაო;
შინ მისულს პურსაც ვერ გაჭმევს,
არა აქვს იმოდენაო;
შვილმა მა საათიანმა
მამა ვერ დაასვენაო.

¹ უპონია.

მ ო ჯ ა მ ა გ ი რ ე

სხვისა მოჯამაგრობას
ადვილად იტყვის ენაო,
დილიდან საღამომდისა
არ მქონდა მოსვენებაო.
დილით ძროხაში გამგზავნეს,
საღამოს — ღორისკენაო,
თან მწევრები გამატანეს:
— იქ ინადირე შენაო!
თუ კურდღელი დაიჭირო, —
ხორცი ჩვენ, ტყავი შენაო:
და თუ მელა დაიჭირო, —
ტყავი ჩვენ, ხორცი შენაო!

ქ ა ლ ლ ი ა

ძალდია ტუშურის შვილი,
არ დაიყენებს სხვის შვილსა,
თუ დაიყენებს სხვის შვილსა,
მააკლენებს შიმშილსა.

ღ ა ვ წ ვ ი მ ა გ ა თ ა დ გ ი ლ ე ბ ი

დავწვი მაგათ ადგილები,
მუჯათგორა¹-დ აკამათი²,
ორთავ მოჯამაგირე ვარ,
იქ იმათი, აქ ამათი.

ჭ ა დ ის ჭ ა მ ა გ ი რ ჩ ე ვ ნ ო დ ე ს

ჭადის ჭამა გირჩევნოდეს
საყვედურით პურის ჭამას,
მათხოვრისგან გირჩევნოდეს
მდიდრისაგან ფეშქაშ-თავაზს.

¹—²—სოფლებია ფშავში.

გუდარაზს ჩამოვიარე

გუდარაზს ჩამოვიარე,
დუქანში დამხვდა ვართანა;
უცხო კაცს ეგონებოდა,
ძმა თუ მისულა ძმასთანა;
რაც არ მენახა ჩემ დღეში,
ისეთი მასვა-მაჭამა;
დახლში სამ გადაეფარა,
იქით ჩოთქ გადმააჩქამა¹;
გაუსვა სალოკა-თითი,
გააქან-გამააქანა.
ხუთი მანათის ფულისა
ერთ აბაზი-ლა დამრჩალა;
ავიღე. ისიც გაღუგდე;
მაგის შინ წამღებ შამრცხვალა!
ჩოთქო, მოგიკვდეს პატრონი,
ვინაც გაგკუთხა, გაგთალა,
აგასხა წინდის ჩხირზედა,
ორსავ კუთხეზე დაგჩარა.
მეჩხუბებიან ჯალათნი:
„სახლში აღარა შავგრაჩა-რა,
თორმეტის ფურის ნაწველი
შენმ მუცელმ შასვა-შაჭამა.

გლეხის ჩივილი

გლეხს როდის გაუთენდება,
ან როდის გასთენებია?!
როდის ყოფილა მოლხენით,
გული არ დაჰლონებია?
თავისუფლება ძილშიც კი
ბეჩავს არ მოსჩვენებია.
თავის საკუთარ კერაზე
შვილი არ დაჰბერებია,

¹. აახმაურა.

არც ვაჟი კაცად ჰქცევია,
არც ქალი გასთხოვებია.

საწყალ გლეხკაცის შვილი ვარ

საწყალ გლეხკაცის შვილი ვარ,
ობლობით დაჩაგრულიო,
ტანისამოსი ძველ მაცვაე,
ქალმები დაგლეჯილიო.
ღმერთ, იმთვენ შამაძლებინე,
თოფს მტრისკენ ვუყო პირიო.

თოვლო, ითოვლე, ითოვლე

თოვლო, ითოვლე, ითოვლე,
ბევრაი ცხვრისა კარსაო,
არც ახლა მომცემ, მდიდარო,
მაგ შენ შავთვალა ქალსაო?
ამოგიწყდება ცხვარ-წყემსი,
არვინ მოგივა კარსაო,
ადექ და ახლავე მომე,
დღეს გავუყენო გზასაო,
თორემ ინანებ, მდიდარო,
გულს ნუ შეაქმევ ჭავრსაო.

ზეცავ, ულხინე მთიულსა

ზეცავ, ულხინე მთიულსა,
ბედისგან განაწირსაო!
არს უშოვარი მუშაკი,
მცხოვრები მაღლის მთისაო;
მინდობილია შავს მთასა
ვითა ნადირი ტყისაო,
მას ღვინის მაგიერადა
წყარო ზრდის ტინი კლდისაო.

ო ბ ო ლ ი

ობოლი დავრჩი დედასა,
გამოვეყ ქარავანსაო,
ურმის ბოლოზე ვუჭეჭი,
ვასხამდი ქალამანსაო,
წაღმა-უკულმა ვუყრიდი,
უკვირდა ქარავანსაო.

დედა არა მყავს ობოლსა

დედა არა მყავს ობოლსა,
რომ მოვეკვდე, დამიტუროსა,
არცა მყავს სატრფო გულისა,
მოვიდეს, მომიჩრდილოსა;
ვაი თუ მოვეკვდე მინდორსა,
შამბია ჩემი სუდარა,
ყვავი მოვა და ყორანი,
განა კაჭკაჭი მუღამა!

ეს ტიალი სიღარიბე

ეს ტიალი სიღარიბე
ჩემზე არის ასეული;
სადაც წავალ, თან დამყვება,
ტყავის კალთას გახვეული;
ტანზე მაცვავ შალის ჩოხა,
მაუღს კი ვარ დაჩვეული!
შინ რომ ველარაი ვჭამე,
ქიზიყს დავალ დამშეული.
აგებ გავასუქო ცხენი,
ქერ ვაჭმიე დარკვეული;
ჯაგლაგა ცხენა არ მიყვარს,
იორღას ვარ დაჩვეული.
სიღარიბე არ მეშვება,
ე ღვთისაგან დაწყებული!

ჯალაფთ ფურებ გავუყიდე,
სუ გავუშრე სარძეული;
ორასამდე ცხვარ გავყიდე,
თავისი და სხვათეული;
ახლა ხმელა პურზედა მყვან,
ყველ-ერბოზე დაჩვეული.

პირნი არ დამვიწყებინან

პირნი არ დამვიწყებინან
ამ ჩემის ობლობისანი,
დაწვისა-დადაგვისანი,
სანთლებურ ანთებისანი!

მთას თოვლო

მთას თოვლო, ჰალას ყინულო,
გადნი, გამიშვი შინაო;
დავწირე წვრილი ობლები,
არამც რამ დამიშინაო.

მთლად ღარიბი არ გეგონო

მთლად ღარიბი არ გეგონო,
მიწაცა მაქვს ერთი ქცევა,
შიგაც ერთი სახლი მიდგა,
წიხლი რომ ჰკრა, წაიქცევა.

ნ ა ტ ვ რ ა

ნეტავი ნატვრა მანატრა,
ეს ნატვრა ამიხდინაო, —
ოქროს სასახლე ამიგო,
ვერცხლის ფანჯრითა წინაო,

მუხრან-ბატონი ყმად მამცა,
ამილახვარი შინაო;
ჩერქეზის ქალსა აქებენ,
ის გვერდით მომიწვინაო,
კახური ღვინო წითელი
მიღებით მომიღინაო,
მუკუზნის ღვინით დამათრო,
ახმეტას დამაძინაო.
თორმეტი კოდი კორკოტი
ერთ ჯერად გამიჩინაო.
ლალის ყურის გალავანი
ჯამად დამიდგა წინაო,
სადაც დიდი ქანდარია,
კოვზადამც მამცა ისაო.

ხუცესმა მაზიარაო

ავად ვიყავ და ვკვდებოდი,
ხუცესმა მაზიარაო,
მე იმან არა მიშველა,
რაც არა მაზიანაო.

ხუცესი

ხუცესო, შენი საწერო
სუმუდამ გულზე გაწევსო,
ნეტავი ზურგზე აგკიდა,
რაც ნარიყალზე ქვა ძევსო!

ეგ ოხერი ჩვენი მღვდელი

ეგ ოხერი ჩვენი მღვდელი
ფინთად აცანცარებს წვერსა,
სადაც ტაბლას დაინახავს,
იქით მიაჭენებს ცხენსა,

ხორაგს ხურჯინში ჩააწყობს,
ქოთანში ჩაასხამს წვენსა.

ზემო ქართლელი ხუცესი

ზემო ქართლელი ხუცესი
გადაიპარა ყურძენში;
გამაძლარიყო ყურძნითა,
ატამს იყრიდა უბეში.

უფლისციხელ ტერტერასა

უფლისციხელ ტერტერასა
პოეპარა ნამგალიო:
— თუ რომ გაიგებს ვინმეო,
სიცილი და გარგარიო,
თუ არავინ გაიგებსო,
არის კარგი ნამგალიო!

მ ღ ვ დ ე ლ ი

ქერემში ერთი მღვდელია,
ციკანს მიუგავს წვერია,
ის ხომ იმას არ კითხულობს,
რაც რომ ქალაღში სწერია.
დარი და გოლვა დაუდგეს,
გასთხელებოდეს წვერია,
ღმერთო, შენ ამოუწყვიტე
მინდორში ლურჯი ცხენია!

მღვდელს დიაკვნად მივებარე

მღვდელს დიაკვნად მივებარე,
ვერ მასწავლა ანა ბანა,
ამ პატარა ჩემმა სტვირმა

მთა და ბარი დამატარა.
ოხრად დარჩეს ციებანი,
მკათათვეში შემეყარა;
სასიკვდილოდ გამიმეტა,
ჩვენი მღვდელი გაახარა.
ეს ჩვენი მღვდელი კაკანა
თავქვე ჩამორბის ჩქარ-ჩქარა,
ეკითხებოდა ქალებსა,
მესტვირე ხომ არ მომკვდარა?
მე კი ღმერთმა დამიფარა,
საწყალი კი გარდიცვალა.

ამოწვევა ვის მიეცეს

— ამოწვევა ვის მიეცეს?
— დიაკვნსა და მღვდელსაო!
ჯერ კირნახული წამართვა,
მერე აგროვებს ბზესაო.
— გებრალეზოდეს ღარიბი,
მღვდლო, რად ართმევ ბევრსაო?
— მდიდარი კაცი მიჩივლებს,
დამაგლეჯინებს წვერსაო,
მაგ შენი სიღარიბითა
ვერსად გაიგნებ გზებსაო,
თუ წმინდა პურს არ ამიწყავ,
რად დაგჯერდები ქერსაო?!
— დიაკვნს რაზე უწყრება,
ავინებს მამის ყელსაო?
„შენ წილი აღარ გერგება,
რომ არ იკიდებ ბევრსაო“.

დაითხოვეთ ეს ხუცესი

დაითხოვეთ ეს ხუცესი,
ჩვენსა ნუ დაიარება!
აღარ გვინდა მისი წირვა,

არცა მისი ზიარება;
ჩვენ რომ საუდარში გვგონია,
ქალებში დაიარება!

მ რ ი ს კ ა ც ი

ერისკაცი ბევრადა სჯობს
ზანტსა, ზარმაცსა ხუცესსა.
ნამუსიანი გონჯი სჯობს
ტურფას, ურცხვსა და უკმეხსა.

მეცნიერები გამოჩნდნენ

მეცნიერები გამოჩნდნენ,
ცნობას კრიფავდნენ ცისასა,
იძიეს, გამოიძიეს:
„დაღამდეს შუადღისასა“
— ქალებო, ნუ გეშინიათ,
თავი ვიფაროთ მღვდლისასა,
ტაბლებით დასუქებულან,
სარბილოს ჭამენ ცხვრისასა.



დილით ცისკარზე გნახეო

ხომალდში ჩავექე, ზღვას გაველ,
 ფრანგის ქვეყანა, ვნახეო,
 სულ დავიარე ხმელეთი,
 ვერ ვნახე შენი სახეო.
 ანთებულ სანთელს გამსგავსე,
 დილით ცისკარზე გნახეო,
 ხელში გეჭირა ყმაწვილი,
 ფარსაგ ვერ დაგინახეო.
 შენს ლოყას ვარდი ჰყვოდა,
 გშვენოდა ღია ფერია,
 ლაწეს მოციმციმე ხალივით
 ნამი ცით მონაბერია.
 შურით დაგფრენდა ნიავი,
 გირხევედა დალალ კავებსა,
 წარბი-წამწამი ყორნისა
 ბურავდა გიშრის თვალებსა.
 თვალსა, რა თვალსა, ცის მნათსა,
 წყვილიადში მოელვარესა,
 მოვლინებულსა ამ ქვეყნად
 ნუგეშად დამაშვრალებსა.
 ტუჩს დაკვდომოდა ღიმილი,
 ალისფრად მოლადლადესა,

კბილ-მარგალიტი აფრქვევდა
შუქსა მიდამოს და ველსა.
რა თამარ? რაა ქეთევან?
ვით შეგადარო ეთერსა?
ისარს დაუსობ გულს მნახველს,
ხელად დარბოდეს ტყე-ველსა.
ფრანგის ქვეყანა დავაგდე,
მიეძარ, მოეძარი ზღვებია,
ვერსად ვერ შევხვდი სიტურფეს,
მაგეთსა შენ რომ გხლებია.

ეჰა, განთიად

ეჰა, განთიად აღსდგები,
ცისკარო ნარგიზნარევი,
წარბო, აყრილო შვილდურად,
პირსუფთავ, მოცინარეო,
ქალო, რო წიგნი მოგწერე,
ღვთის მადლმა, შემიწყნარეო.
ქალო ეშხითა მორთულო,
ღღისით მზევ, ღამით მთვარეო,
ბრწყინვალე შუქურ ვარსკვლავო,
შენ ხმელეთისა მდარეო,
ვარსკვლავო სურვილისაო,
სული შენ მიიბარეო.
ქალო, ამ თვალთა ნათელო,
ქალო, სახე გაქვს მზისაო,
ქალო, შვენება ვინ მოგცა
სამოცი ვარსკვლავისაო.
მთვარე ხარ მანათობელი
იალბუზისა მთისაო,
შუქი ანათებს ქვეყანას
მაგ შენი თვალებისაო.
ცაში ნაბანო ვარსკვლავო,
ხელთ დასაჭერო მზისაო.
ვისაც შენ ჰყვებხარ, მასა აქვს
წყალობა მაღალ ღვთისაო,

გახსოვდე, მომიგონებდე,
მე შენთვის ცრემლი მდისაო.

ზეცას შენ, შუაშურ ვარსკვლავო

ზეცას შენ, შუქურ-ვარსკვლავო,
მნათობო ხმელეთისაო,
აეაპ შენ, ქალო ლამაზო,
შუქი გაქვს ნათელ მზისაო.
ტანადა ჰგევხარ ნამყენსა
ამოსულს ალვის ხისაო.
თვალეზი გიგავს მაყვალსა,
ქალის პირს ამოსულსაო,
წარბები კალმით ნახატსა,
სვეტია ღრუბლებისაო,
წითელი ლოყა შეგშვენის,
თვალი ხარ ქალებისაო,
ეგ თეთრი ბროლის ყელ-ყური
ღამეს ანათებს ბნელსაო.
შხირ უბანს, ქალო, შენ სდგეხარ,
სახლი გაქვს ქვიტყირისაო.
წყალი შორსა გაქვს საზიდი,
დილ-დილით ზომავ გზასაო.
შენ მენანები, ქალო,
შორით რომ ზიდავ წყალსაო.
ერთხელ შარაზე შემომხვდი,
თუნგი გეკიდა ქალსაო,
გვერდითა სხვანი მოგდევდნენ,
მათ უმშვენებდი მხარსაო.
ქალო, ამდენი ქებითა
ნუ გაიდიდებ თავსაო,
დღეს ერთი ჰყვავის ყვავილი,
ხვალ შლილობა აქვს სხვასაო.

შენ, ჩემო დიდო იმედო

შენ, ჩემო დიდო იმედო,
კოშკო ნაგებო კირითა,

კახეთს მოჰკრილო ისარო,
ქალაქს ნაღებო ინითა!
წითელო მოვის პერანგო,
შვიდგან შეკრულო დილითა,
ცავ წმინდავ, ვარსკვლავიანო,
ძზევ დაფენილო დილითა,
უკვდავებისა წყარო,
ნადენო ოქროს მილითა,
შენთანამც ყოფნით გამაძლო,
შენთანამც წოლა-ძილითა.

ხელი მოგიღერებია

იმერეთი დამივლია,
ქართლი შემიჯერებია,
არ მინახავს შენისთანა,
ყელი მოგიღერებია,
წამწამსა და წამწამს შუა
ბალი გავიშენებია,
შიგ სურვილი ჩაგისახავს,
კაცი მოგიყენებია!

მინდორთა მათხანებელო

მინდორთა მაშვენებელო,
ვარდო, გაშლილო ველადა,
სად მაიცალა იმ ღმერთმა
შენი თვალ-წარბის წერადა!
ვინ მისცა საწერ-კალამი,
დაეხატა ათას ფერადა!

თვალუუუუნა

თვალუუუუნავ, წარბით ხშირო,
წამწმის ჯარო, კალმახურო,
ბროლის პირო, მინანქრულო,

მუშეის ხელო, ამბრის გულო.
ბროლის თითნო, გამოთლილნო,
სანთელივით ჩამოსხმულნო.

საფრანგეთისა ატლასო

საფრანგეთისა ატლასო,
ალისგან გადამეტი ხარ,
უძირო ზღვაში ნაშობო,
ლალისგან გადამეტი ხარ;
სამოთხის ველის ყვავილო,
კვალისგან გადამეტი ხარ,
კვესით აბედის დამწველო,
ტალისგან გადამეტი ხარ.
სირმა-ვერცხლისა ტაბაკო,
ჩინეთით მოტანილი ხარ,
მკლავები შიმშას მიგიგავს,
გულ-მკერდით დახატული ხარ!
ტანი ალვის ხეს მიგიგავს,
თითები ვერცხლის ლულასა,
პირის სახე მზეს მიგიგავს,
ლოყები — ბამბის ქულასა!

იაგუნდისა წვიმამა

იაგუნდისა წვიმამა
მოლი, მინდორი დანამა,
მამკლა და აღარ მაცოცხლა
იმ ქალმა ლერწამ-ტანამა.
ან მომეც, ქალო, იმედი,
ან გამითხარე სამარე,
მოგჩერებვიარ, მიტყდება
გულის წუხილი მალ-მალე!
თუთხმეტი დღის მთვარის მსგავსო,
მიკვირს ასე რამ გაგავსო?!
ერთი შენი შემოხედვა

ათას ხედვას დაკარგავსო.
ათი თითი ბროლისა გაქვს,
ზე კალთაზე დაგეყაროს,
თასით ღვინო ხელთ გეჭიროს,
შიგაც ვარდი ჩაგეყაროს!
პირი მიგიგავს მთვარესა,
ანათებ ბნელსა ღამესა.
აქ მომკლავს შენი სურვილი,
ჩამაგდებს ცივ სამარესა.

საყვარელო შენი ქება

საყვარელო, შენი ქება
უცხო თემში მიამბესო,
გადმოფრენა დაეპირე,
მაგრამ ჯაჭვით მიმბებსო,
რამდენიც წამოვიწიე,
კალთა ლურსმით დამიკრესო,
არ მალირსეს შენი ნახვა,
ყველგან მახე დამიგესო.
ქალო, გეცხარ ალვის ხესა,
ბაღჩაშია დანერგულსა,
ტანი მიგიგავს ლერწამსა
ზღვის პირასა ამოსულსა,
ყელი გიგავს არაბულსა
შეკაზმულსა ბედაურსა,
თვალ-წამწამი ყორანს გიგავს,
შავი ზღვიდან ამოსულსა.
ენა ჭიკჭიკ მერცხალს გიგავს,
ინდოეთიდან მოსულსა,
ადე და ჩემსკენ წამოდი,
შემოგახვევ ვარდის სუნსა,
თუ რომ გულით არ მიყვარდე,
ამომართმევს ღმერთი სულსა.

გვინან ვნახვა

უცხო თემს ქალი ღამაში
ნახე რა მზისა სახეა,

მაღალს ასულსა საროს ჰგავს,
ფურცელს მოისხამს რა ხეა,
ეგ შენი შავი თვალ-წარბი
ამ ჩემი გულის მახეა.
არ გამამიშო სოფელმა,
ვაი, რა გვიან გნახეა!

პ ი რ მ ზ ე ო

პირმზეო, პირი მას გიგავს,
დილით ვარდს ნამი ეყაროს,
მთვარეს გავსილსა პირიდან
ღრუბელი გადაეყაროს,
ნეტავი შენთან მამყოფა,
გულს სევდა გადამეყაროს!

ტ უ რ ფ ა

ტურფა ტანი ლერწამს გიგავს,
შეკრული ქირმან შალშია,
კბილი მარგალიტს მიგიგავს
იაგუნდისა ლალშია.
შენ ვერავინ ვერ გაჯობებს
ხელით ნაკერ ქარგაშია,
თითები გაქვ მოყვანილი
ჩამოსხმული ფარგალშია.

შორით მე რასმე გამზგავსე

შორით მე რასმე გამზგავსე,
ცისა და ქვეყნის იერსა,
ყინვარე შაქარს გამზგავსე,
ქალავ, შაქარსა ფხვიერსა,
თუ შენის ცქერით გავძღვები,
რა დამაკლდება მშიერსა?

მე უენ მინდი

მე უენ მინდი, უენმა მზემა,
მე უენ მემწვენიერები.
დღისით მეფერები! მზესა,
ღამე მემთვარიანები.

უენმა უუჰმა მზე დაბინდა

მინდორ-მინდორ კოშკი დავდგი,
ზედ მოვადგი ნარიყალა,
უენმა უუჰმა მზე დაბინდა,
დღის უუადლე გადიყარა.
სალენეთი ღვინო გედგა,
შიგ თურინჯი ჩაგეყარა,
ათნი თითნი ბროლისანი
ზედ კალთაზე დაგეყარა.
ერთი აქეთ შემომხედე,
უენი ჰირი უემეყარა.

აიმ მთაზედა ყორნები

აიმ მთაზედა ყორნები
ბუდობენ, არ იშლიანო;
მაშ რა ვქნა, არ გადმოგხედო,
თვალნი არ დაიშლიანო.
ნეტავი, ქალო ლამაზო,
ნდობას არ მისცა შიშია!
დაიმალება ხოხობი
უენ წარბ-წამწამის ჩრდილშია!

ანგელოზების სახეო

პირდაპირ ჩამოხვიდოდი
ანგელოზების სახეო,

ხელში ჩხირ-წინდა გეჭირა,
ზედ ოქროს შიბი აძეო;
მკვდარი ვიყავ და გავცოცხლდი,
თვალით რო დაგინახეო.

შენ ქალო

შენ ქალო, ეგრე თეთრი ხარ,
როგორც საყდარში კირია,
თვალ-წარბი გადაგხატვია,
მთვარეს მიგიგავს პირია.
სიზმარში მომეჩვენებდი,
წამოვდგები და ვტირია.

ობოლი მარგალიტი ხარ

ანა ხარ ბროლი, ან — ლალი,
ყირმიზი ჩამონათალი,
ობოლი მარგალიტი ხარ,
ფერსა ვერ გიცვლის ზამთარი,
თუ გძულვარ, თავსა მოვიკლავ,
შემომითვალე მართალი.

წითელ ღვინოს

წითელ ღვინოს მიგაგვანე
ჭიქაში მდგომიარესა...
სასუფეველი რად უნდა
შენს მკლავზე მწოლიარესა.

ს ა მ ა ი ა

:სამაია სამთაგანა — რა ტურფა რამ ხარო;
:სამაის თავი მიყვარდა — რა ტურფა რამ ხარო;
:ლისო, ლისო, ქარი ქრისო — ლისიმ დალაღეო,

შავარდენი ფრთასა შლისო — ლისიმ დალაღეო
არიგებულ, ჩარიგებულ — რა ტურფა რამ ხარო,
დაუვლიდი, დაჰყვებოდი — რა ტურფა რამ ხარო,
სამაია სამთაგანა — რა ტურფა რამ ხარო,
ლისო, ლისო, ქარი ქრისო — ლისიმ დალაღეო;
შავარდენი ფრთასა შლისო — ლისიმ დალაღეო;

ფანდურ, მიყვარს შენი ჩქამი

ფანდურ, მიყვარს შენი ჩქამი,
სტვირო — შენი ხმიანობა,
ვაჟიკაცო — ფარი, ხმალი,
ქალო — შენი თმიანობა.

იამა გშობა

იამა გშობა შობითა,
ვარდმა გაგზარდა ქებითა,
ნარგიზმა ძუძუ გაწოვა,
შეგამკო სურნელებითა.

დათოვნა არშისა მთანი

დათოვნა არშისა მთანი,
კალთანი ალგეთისანი.
წარბნი მამწონან, წამწამნი,
შენ ხომ ხარ მაგეთისანი.

მთვარეო, მთვარის ნაღეო .

მთვარეო, მთვარის ნაღეო,
ქედში ამოდი მალეო,
სოფელში ორი ქალია,
ერთი მზე, ერთი მთვარეო,

ერთ შენ შეირთე ცოლადა,
ერთი მე წამომგვარეო.

აის ღრუბელნი მიუვარან

აის ღრუბელნი მიუვარან,
ბოროლაზედ რო დიანო,
ერთი მეორის შაყრასა
ხარობენ, მეელიანო, —
შაიყრებიან ერთადა,
მანანას ჩამაპყრიანო.
რაც უნდა ბევრი ეცადნენ,
ჩვენ ერთურთს ვერ გაგვყრიანო.

ნეტავი კიდევ მაჩვენა

გაპხედენ მელნისა ტბასა,
შიგ იაგუნდი დგებო;
ნეტავი კიდევ მაჩვენა,
ვისთვისაც გული კვდებო.

შირაქის გზაზე

შირაქის გზაზე მივდივარ,
უკან მაბრუნებს ქარიო,
წინ შემეყარა პეპელა,
წითლად უჩანდა მხარიო,
საყვარლის კაბას ვამსგავსე,
ღმერთო, დამწერე ჭვარიო.

ნეტავი მოვკვდე ხის ძირსა

ნეტავი მოვკვდე ხის ძირსა,
ფოთოლი დამედინოსა,
მოვიდეს ქალი ლამაზი,
თვალს ცრემლი მოედინოსა.

ნეტავი რადმე მაქცია

ნეტავი რადმე მაქცია,
ბულბულად გადამაქცია,
ბულბულის ენა მასწავლა,
ბალებში შემომაჩვია,
დავკონო ოქროს კონები,
დავფერო ვერცხლის წყალშია;
სალამო ხანზე გიახლო,
ჩამოგიყარო ბანშია,
დილით რო გამოსულიყვე,
შიგ გაგეხვიოს კავშია.

ნეტავი ჩიტად მაქცია

ნეტავი ვიყო მე ვარდი,
შენ წინა გავიშლებოდე,
პატარა ჩიტად მაქცია,
უბეში ჩაგიჯდებოდე,
შაქარყინულად მაქცია,
ენაზე დაგადნებოდე.

ქალაუ, მითხარ

ქალაუ, მითხარ: შენი ვარ.
გულ რაღად დამეხურება?
მთას თუ მზის შუქი ათბუნებს,
ნისლი არ მაებურება.
გუნება გუნებასა ჰგავ,
სიტყვა ხო ორივ ერთია,
ჩემი და შენი გამყრელი
ნუმცა ზეითი ღმერთია.

ინდი-მინდი

ინდი-მინდი, ფერად შინდი,
ფრთა გაშალე, გამოფრინდი,

გამომყევი, გამობრწყინდი,
განმინათლე თვალთა ბინდი,
შენთვის სიკვდილს არ შევშინდი,
უკვდავების წყაროდ მინდი.

მე და შენსა სიყვარულსა

დაბნეულ ფეტვის მარცვალსა
რა მოკრეფს წიწილის მეტი?
მე და შენსა სიყვარულსა
რა გაჰყრის სიკვდილის მეტი?

გულისად გულსა

გულისად გულსა ჩაგიდებ,
გუნებისად გუნებასა,
კაცი რო გამოგიგზავნო,
ნუ დამიწყებ ბრუნებასა.

ნეტავი, ქალო

ნეტავი, ქალო, ფიფქი მქნა,
ხევ-ხევ ჩამოვყვე ნიაესა,
არცა-რა შენ დაგიშაო,
არც თავს მივცემდი ზიანსა.

ნელად დაბრუნდი

ნელად დაბრუნდი, წისქვილო,
დასჯერდი შენსა ღონესა.
წყალს კიდევ დაეძინება,
მე არა — შენსა მგონესა!

რ ა გ ე ნ ა ლ ვ ლ ე ბ ა

რ ა გ ე ნ ა ლ ვ ლ ე ბ ა, ი ქ რ ო ლ ო ს
ზ ე ნ ა ქ ა რ მ ა დ ა ქ ე ვ ე ნ ა მ ა,
ი ქ ნ ე ბ ა ე რ თ ა დ შ ა გ ვ ყ ა რ ო ს
ჩ ვ ე ნ მ ა ბ ე დ მ ა დ ა წ ე რ ა მ ა!

ს ა გ ა თ ე ნ ე ბ ო მ ა ს კ ვ ლ ა ვ ი

ს ა გ ა თ ე ნ ე ბ ო მ ა ს კ ვ ლ ა ვ ი
ე უ ბ ნ ე ბ ო ლ ა ც ი ს კ ა რ ს ა:
— ღ ი დ ხ ა ნ ს ნ უ დ ა ი გ ვ ი ა ნ ე ბ,
მ ა ლ ე მ ო ხ ვ ი დ ი ხ თ ი ს მ ა დ ს ა!

ვ ი ს ი ა, ვ ი ს ი ა ქ ა ლ ი ლ ა მ ა ზ ი

— ვ ი ს ი ა, ვ ი ს ი ა ქ ა ლ ი ლ ა მ ა ზ ი?
მ ა ს უ ქ ე ს თ ვ ა ლ - წ ა რ ბ ი დ ა ქ ც ე ვ ა ნ ა ზ ი.
დ ა ლ ა ლ - კ ა ვ ე ბ ი, წ ა მ წ ა მ - ა რ ვ ა ზ ი,
ტ უ ჩ ი ს ა ლ ი მ ო თ გ ა მ ო ნ ა მ ზ ა დ ი,
კ ბ ი ლ ი ა ლ მ ა ს ი თ გ ა მ ო ნ ა თ ა ლ ი,
ხ ო ხ ო ბ ი ს ყ ე ლ ი ბ ქ ე თ მ ო ნ ა ხ ა ზ ი.
ს ა რ ო ს ა ტ ა ნ ი ვ ე რ ხ ვ ა თ ნ ა ზ ა რ დ ი,
გ უ ლ ი თ, რ ა გ უ ლ ი თ, მ კ ე რ დ ბ უ მ ბ ე რ ა ზ ი,
ე დ ე მ ს ა რ გ უ ლ ი ვ ი თ ი ა ნ ა ზ ი.
ვ ი ს ი ა, ვ ი ს ი ა ქ ა ლ ი ლ ა მ ა ზ ი!
— ჩ ვ ე ნ ი ა, ჩ ვ ე ნ ი ა ქ ა ლ ი ლ ა მ ა ზ ი
ს ა ა მ ო - ს ა ტ კ ბ ი ლ ო დ გ ა მ ო ნ ა მ ზ ა დ ი,
ც ა ს ვ ე ტ ყ ვ ი მ ი ს ქ ე ბ ა ს ე ნ ა ფ ა ქ ი ზ ი,
ხ მ ე ლ ე თ ს გ ა უ შ ლ ი ვ ი თ ფ ი ა ნ დ ა ზ ი.
ჩ ვ ე ნ ი ა, ჩ ვ ე ნ ი ა ქ ა ლ ი ლ ა მ ა ზ ი.

ნ ა ტ ვ რ ა

ნ ე ტ ა მ ც ა ი, მ ო მ კ ლ ა მ ც ა ი,
ა ს ო - ა ს ო ა მ ქ ნ ა მ ც ა ი,

სისხლი ჩემი ყვეს და ყორანს
აჭამა და ასვამცაი,
ქვეშ ჭინჭარი დამიგონ და
ზედ მდულარი მასხანმცაი;
ამას ყველას გავუძლებდი,
ოლონდ შენთან დამსვანმცაი.

მოხევის ქალო, თინაო

მოხევის ქალო, თინაო,
რამ ღმერთმა გაგაჩინაო,
ნეტაი, ერთსა ღამესა
შენთან მქონიყო ბინაო,
ჩემი ნაბადი დაგვხურა,
შენს მკლავზე დამაძინაო.

ქალაუ, შენმა მერდინმა

ქალაუ, შენმა მერდინმა
ჰაერში გაიფრიალა,
სახე გამოჩნდა, თოლებმა
ელვარებ გაიკრიალა,
ცხელმა ნიავემა დამქროლა,
გზად შენკენ დამატრიალა,
გულს ცეცხლი შემოაყარა
და ჩალად ამაბრიალა.

აქედანა და შენამდე

აქედანა და შენამდე
ვარდი მასხია ყელამდე,
გულს მიშლის, სურნელით მატკობს,
ავდივარ მალლა ზენამდე,
თუკი რომ შემომითვლიდე,
სულ ფრენით მოვალ შენამდე,

არ მოგეშვები, გენაცვა,
სანამ არ მომკლავ, სანამდე,
ეგ შენი ფირუზის დანა
გულში რომ დამკრა ტარამდე.
აქედანა და შენამდე
მთები მიფარებს წინარე,
მე შენი სიყვარულითა,
მიბნედილი ვარ, მძინარე,
ასე გამზადა სურვილმა,
წამოვველ, ველარ ვიარე.

ვაჟიკა და ხვარამზე

ხ ვ ა რ ა მ ზ ე

ვინა ხარ? ვინ იარები,
ლადო, მაგ ლადის ცხენითა,
თავს რადარ შამაიბრუნებ,
ყანას რად მამკევ ცრემლითა?

ვ ა ჟ ი კ ა

ის გეგონაა, ქალაო,
გუშინ რო მედიდებოდი?
კაც-შუაკაცებ გიგზავნე,
თხა-წალებურად ხტებოდი,
შენს დედასა და მამასა
საკლავით ვეხვეწებოდი.
ისე გაგახდევ სურვილსა,
ნემსს ყუნწზე აეგებოდე.
ჩაჰქონდე დილის ნიავსა,
უსულოდ ჩაელღვეოდე,
პატარას, ნარის-ჩიტასა
თვალში ფხად ჩაეგებოდე.

ხ ვ ა რ ა მ ზ ე

ვერცხლის თასადამც მაქცია,
რუ ღვინით აგვესებოდი,

დაფერილი მქნა წითლადა.
შამსვემდი, შაგერგებოდი;
ანა მქნა ვერცხლის სათითე,
რო ხელზე ჩაგედებოდი,
ანა მქნა ოქროს ბურთეაი,
კალთაში ჩაგეშლებოდი,
ან ვერცხლის ფულად მაქცია,
ჯიბეში ჩაგეყრებოდი,
ან შენი ნამგლის ყანა მქნა,
რო ფხაზე შაგეკრებოდი,
ანა მქნა ვარდი ყოილი,
რო პირზე დაგეყრებოდი;
ანა მქნა მოის პერანგი,
რო გულზე დაგადნებოდი.
ან შენი ნანდაური მქნა,
გულს ჯავრად ჩაგეკრებოდი,
ძალიან დაწუხებული
გზაზედამც შაგეყრებოდი,
ან შენი ძმა მქნა მოწილე,
აროდის გაგეყრებოდი.

ვისია მწვანე კარავი

ვისია მწვანე კარავი,
კარვებში არ ერეოდა?
ვისია ქალი ლამაზი,
ქალებში არ ერეოდა?
გვერდს ეჭდა კარგი ვაჟაკი,
ჰკოცნის და ზედ ელეოდა;
გვერდს ედგა საღვინით ღვინო,
სვამდა და არ ელეოდა.
ნეტავი მაგის დედასა,
სხვა რალა დაელეოდა!

მუხურის ციხევე, მაღალო

მუხურის ციხევე, მაღალო,
სანიავო და საქარო,

გულით მიყვარხარ. ზატსულო,
ფეხის მომწველო ზამთარო.
შენ ჩემი ცოდვით წაწყდები,
რომ სიყვარული დატარო.

მე ვენახიდან წამოველ

მე ვენახიდან წამოველ,
გამოვიარე გზა წვრილი,
ქალ, კარსა გამომდგომიხარ,
ლამაზი ხარ და ტანწვრილი.
თავსა ნუ მამაკვლევინებ,
ვაჟი კაცი ვარ ყმაწვილი.

თვალი მიჭირავს შენზედა

თვალი მიჭირავს შენზედა,
ვით რომ მიმინოს მწყერზედა,
გამოგიქროლებ, აგიყვან,
წაგიყვან ცის იერზედა.
ჩაგაცმევ ფარჩის კაბასა,
არ დაგსვამ ცარიელზედა.
ნუშით, ქიშმიშით გამყოფებ,
აზნაურისა ხელზედა.
ზარბაზის სარტყელს გიყიდი,
შენ შემოღარტყამ წელზედა.

მალლიდან გადმომდგარიყო

მალლიდან გადმომდგარიყო
თვალუჯუჯუნ თეთრი ქალიო,
უჭრიალებდა საყურე,
ყურში უვლიდა ქარიო.
ხელს მოქნევს: აქეთ წამოდი,
შინ არ ა ჩემი ქმარიო,

ცისის სანგრევად გავგზავნე,
თავსამც სწოლია ქვანიო,
მისგან გულკლულსა მიშველე,
მირჩიე გზა და მნარიო.
მანარობელიც მოვიდა,
ქალო, მოგიკლეს ქმარიო,
სამანარობლო გაიღო
სამასი სული ცხვარიო,
იმასაც არ დააჯერა,
გაუგდო ნიშა ხარიო,
იმასაც არ დააჯერა,
წელს შამოაკრა ხმალიო,
მერე მე მითხრა: ვინატრი,
შენ დაგრჩეს ჩემი თავიო.

მინდორშია თეთრი ქვაო

მინდორშია თეთრი ქვაო.
ავკარ ხელი, თან ამყვაო.
გოგო, შენი სიყვარული,
სადაც წაველ, თან წამყვაო.

გოგომ ფიჩხი ჩააყარა

გოგომ ფიჩხი ჩააყარა,
თონე აპრიალაო,
მორჩა საქმეს და დამღერა.
ხმები ააწკრიალაო,
რომ შევხედე, შემომხედა.
რეტმა დამატრაალაო.

მინდორსა ბალი ვაშენე

მინდორსა ბალი ვაშენე:
ლობე ავაველე ჯარჯისა,
კარი შევაბი კაკლისა,
ამყოლი აღუბალისა.

კიტრი დავთესე ოქროსი,
ლობიო-მარგალიტისა.
მოვიდა ქალი ლამაზი,
ხელი შემოყო მინისა.

წყალი მწყურიან

წყალი მწყურიან, წყალს დავლეე,
დავეწაფები გუბესა,
წავალ და ჩავეხუტები
ლამაზი ქალის უბესა.

საწუთროსა სამი ვთხოვე

საწუთროსა სამი ვთხოვე:
ენა-პირი ხელოვანი;
ზედ საჯდომად მალი ცხენი,
წინ მინდორი ველოვანი;
საკოცნელად თეთრი ქალი,
ტანწვრილი და ფეროვანი.

პატარა ხარ

პატარა ხარ, მაგეთი ხარ,
გაიზრდები, რა იქნები?
წახვალ, ცაში გაფრინდები,
შავარდენი შაიქნები,
შენ ბატონი მწყალობელი, —
მე ერთგული ყმა ვიქნები.

ამოიქროლე, ნიავო

ამოიქროლე, ნიავო,
ქვევითი მინდვრებისაო,
თან მოიტანე სურვილი
ლამაზი ქალებისაო!

ოლონდაც, ჩემო ლამაზო

ოლონდაც, ჩემო ლამაზო,
შენი ხმა ყურზე მდიოდეს,
შენი იმედი ამქვეყნად
ხმალივით გვერდზე, მდიოდეს;
ჩვენ სიყვარულზე, ლამაზო,
ზედ ვარდიც ამოდიოდეს,
ჩვენი ტრფობისა მორევეში
მტერნიც ვერ გამოდიოდეს,
გაკვირვებული — მალლიდან
ღმერთიც ძირს ჩამოდიოდეს.

ნეტავი შენა, წერილო

ნეტავი შენა, წერილო,
მიხვალ, გზას მიეჩქარები,
შენსავეით მალე მაჩვენა,
ვისაც შენ ჩაებარები.
შაივლი ფშავლის წყალზედა,
ფშავისკენ შეეფარები,
ნეტავი, მენაც იქა მქნა,
გადამეკოცნა თვალები.
გაგიგონებენ შენ, ლექსო,
ფშავლის ჯუბიან ქალები.
იქიდან მალეც წამოდი,
გამოიარე ჭალები,
ჩამომიტანე ამბავი,
იქიდან დანაბარები.

იაგუნდი ვინ აგუნდა

იაგუნდი ვინ აგუნდა,
ან გიშერი ვინ აგიშრა,
დრო ჩვენია, გავიხაროთ,
ტყე და მინდორი აგვიშრა!

მე ვარ და ჩემი ნაბადი

მე ვარ და ჩემი ნაბადი
გამთენებელი ღამისა,
დავწვები, ჯავრი ჩამყვება
სამი ღამაში ქალისა:
ერთია მეტად ღამაში,
მეორე — ლერწამ ტანისა,
მესამე ასეთი არის, —
დამყენებელი თვალისა.

ქარი ჰქრის

ქარი ჰქრის, ქარი შიშინებს,
ჩალის ჩარდახსა ჰბერავსო.
შიგა ზის ქალი ღამაში,
მოვის პერანგსა ჰკერავსო.

შენმა მზემ

შენმა მზემ, შენი სურვილი,
არა გვანილა სხვისასა,
დანთებულ ცეცხლსა გვანილა,
დაქეხნებასა ცისასა.

გენაცვალე, ქერის პურო

გენაცვალე, ქერის პურო,
ანაცურო დიკისაო,
ქალო, გქონდეს შებრალება
პირტიტველა ბიჭისაო,
გაუცინე, გააცინე,
მისთვის შენ რა გიჭირსაო.

იანო, ჩემო იანო,

იანო, ჩემო იანო,
შენი რა წამილიაო?
შენი კოკა და კუტალი
ცივ წყაროს დამიდგიაო,
სასლი ცივი წყლით მომიწყავ,
ზედ ვარდი გამიშლიაო!

ახლა შენ წადი ცხვარშია

ახლა შენ წადი ცხვარშია,
წითელპერანგავ ქალაო,
ცხვარანი ერთად წავასხნეთ,
ვიართ მხარდამხარაო.
სხვასთან ნუ ვიტყვიო იმასა,
რაც დედამ დაგვაბარაო.

ფანდურო, ცოლი მითხოვე

ფანდურო, ცოლი მითხოვე,
ყელილიანი ქალიო;
ჩამოჭდეს კარაის ჰირსა,
ჩამაიკაპნოს თმანიო.

ლამაზო, პატარა გოგოვ

ლამაზო, პატარა გოგოვ.
დაურჩი დედაშენსაო!
საქმე რო არა გქონდეს-რა,
ამოირბენდე ჩვენსაო.

შენაც გარმადი

მთაზე გარმადის ღრუბელი,
თოვნასა გარმანყრიანა,
შენაც გარმადი. მაგელი;
სხვები რო გარმადიანა?!

შენი ჰირიმე

შენი ჰირიმე, ლამაზო.
ნუ გამიხდები ავადა;
თუ შენ გამიხდი ავადა,
თავს მე მოვიკლავ თავადა.
სევდისა ციხე ავაგე,
„რა ვქნა“ მოვაგე ქაადა.¹

ვერ გაგცვლი სხვადასხვაზედა

რა ვქნა, ვინც უნდა მიყვარდეს,
ვერ გაგცვლი სხვადასხვაზედა!
გულზე შენ სახელ მაწერავ,
როგორც საფლავის ქვაზედა,
წინ მიდგა შენი თვალები,
რო ვიყო მალალ მთაზედა,
და თუნდა ვიყო ჰალაზე,
ხელ-პირს ვიბანდე წყალზედა;
მაბერებს შენი სურვილი;
მაჰალარავენს თმაზედა.
რაც გინდა ბევრი მინდოდეს,
ვერ გაგცვლი სხვადასხვაზედა.
შიშზე, შიმშილზე, სირცხვილზე,
ხელს ვიღებ სუყველაზედა.

ასეთა ქალა გამოჩნდა

მამამ ცხენ წამაყვანილა,
ყენიანთ მიჰგვარია;
წავიყვანე, შავუძახე:
— სახლის პატრონ ვინ არია?!
ასეთა ქალა გამოჩნდა,
როგორც დილის ცისკარია!

¹ გალაუნად.

ასეთ გულის პირნი ჰქონდეს,
როგორც ჩალის წიწანია¹.
ერთ ისეთ ამოვიხვნეშე,
სამჯერ იძრნეს მიწანია.

ადი, ქალო

ადი, ქალო, მაღლა ხესა,
გადმოყარე ბროწეული,
ერთი აქეთ გადმომიგდე,
შენის ხელით მოწეული.

სადაური ხარ

— სადაური ხარ, სად მიხვალ,
საითკენ მიეშურები?
მობრძანდი, ყურძენი ჭამე,
თითა და ბუდეშურები.
— არ მინდა, შენი ჭირიმე,
მივალ, გზას მივეშურები.

მზე წავიდა ბუღისაკენ

მზე წავიდა ბუღისაკენ,
ჩასასვლელად ეღირება,
გოგოვ, შენი ერთი კოცნა
მთელ ქვეყანად ეღირება!

შენსა ხვევნაში

ლამაზო, შენსა ხვევნაში
ლილი შემაწყდა პერანგსა,
მიპოვნე, გამომიგზავნე,
მაგ შენის ძმების ლხენასა.

1. პატარა ჯამი.

მინდორში, ბალახბულახში

მინდორში, ბალახბულახში
შვეთვალა გოგოს ეძინა,
მივედი, ჩუმად ვაკოცე:
თან ვუთხარ: სომ არ გეწყინა?

მუხას ცული შემოვკარი

მუხას ცული შემოვკარი,
მე მეგონა წიფელაო;
გოგო, ერთი მაკოცნიე,
ჩემო ლოყა-წითელაო!

ზე ჩემო გულის ლახვარო

ზე ჩემო გულის ლახვარო,
რა იარები, რა ხარო?
მოდო და ერთი მაკოცე,
წავიდე, დედას ვახარო.

თავფარავნელი ვაბუკი

თავფარავნელი ვაბუკი
ასპანას ქალსა ჰყვარობდა.
ზღვა ჰქონდა წინად სავალი,
გასვლას შიგ არა ზარობდა.
ქალი ანთებდა სანთელსა,
სანთელი კელაპტარობდა,
ერთი ავსული ბებერი
ვაჟისთვის ავსა ლამობდა.
სარკმელზე ანთებულ სანთელს
აქრობდა, აბეზარობდა.
თან ამას ეუბნებოდა:
— წინადაც ეგა გყვარობდა.

ვაჟი მიაჩგრევს ტალღებსა,
 გულ-მკერდი არა ჩქამობდა.
 ცალ ხელით დოლაში მიაქვს,
 ცალ ხელით ნიავეჯარობდა,
 ზღვის გაღმა ერთი სანთელი
 გამოღმა კელაპტარობდა.
 ღამე ჩამოდგა წყვედალი,
 უკუნს რამესა ჰგვანობდა.
 ტალღა ტალღაზე ნაცემი
 ვაჟის ჩანთქმასა ღამობდა.
 დაჰკარგა ფონი, შეწვირდა,
 მორევი ბობოქარობდა,
 გათენდა დილა ღამაზი,
 კეკლუცის თვალებს ჰგვანობდა,
 წყალსა დაეხრჩო ჭაბუკი.
 ჭოროხზე ეგდო, ქანობდა,
 წითელი მოვის პერანგი
 ზევიდან დაჰფარფარობდა,
 ლეშს დასჯდომოდა ზედ ორბი,
 გულს უგლეჯავდა. სარობდა.

მანგლისი რო ააშენეს

მანგლისი რო ააშენეს,
 წყარო აღაწეს მილითა.
 აღგანან კალატოზებო.
 გვერდებს უღესენ კარითა,
 შიგ ქალი ჩასვეს ღამაზი,
 თმა შეუღებეს ინიითა.
 მეცხვარე შემოეჩვია
 ყველს უზიდავდა სინითა,
 იმ ქალმაც ხელი შეუწყო,
 ღვინოს ასმევდა მინითა,
 მეცხვარეს ქალი შეჰყვარდა,
 არ ახსოვს ცხვარი ბინითა.
 გამოუცხადა იმ ქალსა
 თავის ბეჩავი პირითა:
 — ნეტავი, ქალო ღამაზო,

შენთან გამაძლო ძილითა.
ქალმა შესწყველა მეცხვარე
თავის ლამაზი პირითა:
— მეცხვარევე, ცხვარი გაგიწყდეს,
ეზიდებოდე ვირითა,
ვირებიც დაგკოჭლებოდნენ,
ურმებს იჭერდე ქირითა.
ახლა მეცხვარემ შესწყველა
თავის ვაჟკაცურ პირითა:
— მანგლისიმც ამოვარდება,
ქვა აღარ ედოს ძირითა,
შენ, ქალო, ლეკებს მიჰყავდე
ვაი-ვაგლახით, ჭირითა,
უკან მოგდევედეს საქმარო
თავისი დამბლა ვირითა;
მე მთიდან ჩამოვიარო,
ფული მომქონდეს ქილითა,
დაგიხსნა, წამოგიყვანო
ქამანჩითა და სტვირითა,
ერთად ვიცხოვროთ ბოლომდე,
დრო გავატაროთ ლხინითა.

სიყვარულსა მალვა უნდა

სიყვარულსა მალვა უნდა,
როგორც ცხენსა ნაპარევსა;
თუ გამოჩნდა, გლოვა უნდა,
როგორც გულის საყვარელსა!

სურვილი სადამ გავგზავნე

სურვილი სადამ გავგზავნე,
შავკაზმე ქალებურადა:
ვის რა რა კარზე მიდგება,
შაჰყვირებს ხარებურადა,

ვის რა რა გადაეხვევა,
ატირებს ქალებურადა!

გზა სიარულმა დალია

გზა სიარულმა დალია,
სიპი ქვა — წყალთა დენამა,
ლამაზი გოგო და ბიჭი—
ერთმანეთისა ცქერამა.

შენ, ქალო, ამპარტავანო

შენ, ქალო, ამპარტავანო,
რომელი ხელთა პირი ხარ,
უკვდავებისა წამალი
გაქვს და არ მაძლევ, ძვირი ხარ.
ნეტაეი შენთან მამყოფა,
შენთან გამაძლო ძილითა.

გადამავალო ყორანო

გადამავალო ყორანო,
დაგიბარებდი რასაო,
უთხროდი აიმ ქალასა,
ჩემს ერთგულს, ჩემსა დასაო,
— ნუ გამაირთობ ნდობასა,
ნუ გამუდგები სხვასაო!
შენსა და ჩემსა სავალსა
ყინული აკრავ გზასაო.

ქალა-ქალა

ქალა-ქალა შემოდინ
მიმინო და მწყერიაო.

აქ მე რაიმ გავიგონე,
მანდ შენ რაიმ გწყენიაო.
ქვეყნის ენას ნუ ჩაყვებით,
ჩაგრეხილი წნელიაო,
გვაშურებენ ერთმანეთსა,
ყველა ჩვენი მტერიაო.

მოხავეის სიმღერა

ქალს სილამაზე ხილადა
ეთხოვე -- არ დამაძლევინა!
დავლონდი, წყალი მომწყურდა,
წვეთი არ დამალევინა!
მომხედა, თოლნი შემეყარნა,
ნაწინწლებ წამაყრევინა,
დამრცხო, ავინთე, გაეწითლდი,
თავი ძირს დამახრევინა.
სიტყვები გადამავეიწყა,
ენა სულ ამარევინა.
არც მითხრა, მოდი, არც წადი,
არც თავი დამახწევინა.
ტიალი, რაი ყოფილა,
თავბედი დამაწვევინა,
დანე წყეულსა დიაცსა,
რა დღემდე მომალწევინა!

ია-ვარდი ამოსულა

რალაი არ მინახავსარ,
დიდი ხანი გამოსულა,
ხეს ფოთოლი გაცვენია,
ხელახალი ამოსულა,
მე და შენსა სასთუმალ ქვეშ
ია-ვარდი ამოსულა,
თუ ჩემი ხარ, ჩემთან მოდი,
თვარა სული ამოსულა.

აქამდე

აქამდე გულით გიყვარდი,
ეხლა დამიწყე ძულეზა,
ნეტავი შემატყობინა,
რამ შეგიცვალა გუნება!

გაზაფხულისა პირზედა

გაზაფხულისა პირზედა
შაშვმა დაიწყო გალობა. —
როგორც მე დამწვი-დამდაგე,
დაიწვას შენი ქალობა!

ტიალი, მწარე ცხოვრება

ტიალი, მწარე ცხოვრების
რკინაც კი დამიკვნეტია,
ე, სიყვარულის ბორკილი
რატომ ვერ გამიცვეთია.
კაცს სამარეში ჩაჰყვება
ზრდას დაყოლილი ბედია,
სიყვარულმ მომადრეკინა
მოუდრეკავი ქედია.

თინათი არემარე

თინათი არემარე
ჩემი მზე, ჩემი მთვარე!
ღმერთია ჩვენი მოწმე,
პატარა მოგიყვანე:
სულ ჩემ კალთაში გზარდე,
ბალიშს არ მიგაკარე;
ლალისა ღვინო გასეი,

რკოსი¹ არ მოგაკარე;
ლიბა-ატლასი გაცვი,
ხამი² არ მოგაკარე...
გაფრინდი, წამიხვედი,
ნეტა რა დამიბარე?!

თუ რომ მოგკვდე, დამიტირე

აქ მოდი და აქა მნახე,
თან წამალი მომიტანე,
თუ რომ მოგკვდე, დამიტირე,
ცხარე ცრემლი დამაყარე.
შენი თმისა ნაწნავები
დამწვარ გულზე დამაყარე,
სამარის კარამდის მომყე,
მუჭით მიწა მომაყარე.

გოგომ რომ ვაშლი მესროლა

გოგომ რომ ვაშლი მესროლა,
მეტკინა გულის ფიცარი,
თუნდ მომკლან, სახელს არ ვიტყვი,
ღმერთმა უშველოს ვინც არი.

შენი ჰირიმე, დედაო

შენი ჰირიმე, დედაო,
ქალი ზის წყაროზედაო,
წავიდეთ, წამოვიყვანოთ,
დავისვათ კერაზედაო.

ქალმა ჩიქილის ქნევიტა

ქალმა ჩიქილის ქნევიტა
ბიქს თავი შააყვარაო,

¹ ყურძნის ჯიში.

² უბრალო ბამბის ქსოვილი.

შორით დაწვა და დადაგა,
ახლო არ მიიკარაო.

ცეცხლო, შენ დამწვავ წესია

ცეცხლო, შენ დამწვავ წესია,
შენ რადლა ღუშმნის დედაო?
ქალო, შენ დამწყევ, წესია.
შენ რადლა, ქალის დედაო?

ბაღჩაში გადმოვიხედე

ბაღჩაში გადმოვიხედე,
ტურთად გნახე მწოლიარე,
პირი ვარდებრ გარდავშლოდა,
გეწყო კავნი მწოლიარე.
თავსა გედგა თეთრი ვაშლი,
ფეხსა — მსხალი მსხმოიარე,
ერთი კიდევ დამენახე.
ნუ გამიშვი მგლოვიარე.

მივალ გურიაში

მივალ გურიაში, მარა
სული წინ-წინ გეიპარა.
მივსდიე და არ დაბრუნდა,
არც მიიღო ქრთამად ფარა.
ერთი ჩემი საყვარელი
ამ ქვეყანას მრჩები, მარა
ადრიანად გეახლები.
არ მოვკვდები, არა, არა.

ჩავედენ, წყალსა ჩაჰქონდა

ჩავედენ, წყალსა ჩაჰქონდა
თეთრი მათეალო, ნასეტყვი;

რო სურვილს მამაკვლევეინო,
ქალო, დედას-ჩემს რას ეტყვი?

ნეტავი, ჩემო ლამაზო

ნეტავი, ჩემო ლამაზო,
შორი გზა დამოკლდებოდა,
გნახავდი გამოხედულა,
გული არ დალონდებოდა.
ანამც სრუ მამკლა საბრალო,
ჩემიმც ღლე გათავდებოდა,
ნაკერი შენის ხელითა,
სუდარა ჩამამყვებოდა.

წადი, წიგნო

წადი, წიგნო, პირად მზესთან,
პირად მთვარემ წაგიკითხოს,
ჩემი გკითხოს, მოახსენე:
ნახვა მინდა, გამიკითხოს.
ამ სოფელში მისით მკვდარსა,
რომ გულხელი დამიკრიფოს,
თუ რომ გულით არ მიყვარდეს,
საიქიოს ღმერთმა მკითხოს.

მიყვარხარ, ჩემო ლამაზო

მიყვარხარ, ჩემო ლამაზო,
შეკრულო ვარდის კონაო,
რომ გავიფიქროთ, ჩვენს შუა
რამდენი მთა და გორაო!
გულით ვინატრი შენს ნახვას,
ტყეში ფოთოლზე ვგორაო,
ნეტავი ნამტირალეესა
შენი ხმა გამაგონაო.

გადამაგდე და დამკარგე

გადამაგდე და დამკარგე,
როგორც ჩერქეზმა ისარი,
შენ ჩემს გულს ველარ მოიგებ,
ჩემი სათქმელიც ის არი.

ახლა დავჯექ ცეცხლის პირსა

ახლა დავჯექ ცეცხლის პირსა,
ახლა დამიამდა გული,
ქალმა ქისა შემიკერა,
ქისა დალიანდაგული.
სანამ მქონდა, მიხაროდა,
დავკარგე და დადგა გული.

სამსალასა ვსვამ თასითა

სამსალასა ვსვამ თასითა,
გული ლახვარზე მიგია,
რაც შენ გაგშორდი, მიჯხურო,
საკუთრად ეს მამიგია;
მაცვია ნავთის პერანგი,
ზედ ცეცხლის კილო მიგია.

ზემოდან ჩამოვიარე

ზემოდან ჩამოვიარე,
შენ რო ჭრელს ქსოვდი წინდასა,
შენ გათხოვება გავიგე,
სამჯერ უკბინე მიწასა!
ვინ იყო შენ მარჯვეალი,¹
მზეზემც ნუ ივლის დიდხანსა.

¹ მაჰანკალი.

წავიდა, გული წაიღო

წავიდა, გული წაიღო,
იმ დედამომკედარ ქალმანა,
ხედვითაც ვერა დააკლო,
ამ გამოსათარელ თვალმანა.
მაღალ მთის მწვერვალს შეჰხვია,
შავი ნისლეები ქარმანა,
ბევრ ვაჟკაცს გული მოუკლა
თვალად ლამაზმა ქალმანა!

შენ, უკვდავების წყაროო

გამოგიგზავნი სალამსა,
ჩემო სიცოცხლის წონაო,
შენ, უკვდავების წყაროო,
სიტურფით ვარდის კონაო.
ნეტავი, კიდევ ცოცხალსა
შენი ხმა გამაგონაო,
მაგ ძირით ამოსაგდებსა
სევდრუმას¹ მოგაშორაო,
როგორ გიგონო ტყეშია,
საგონმა დამაღონაო.

მთაო, გადმიშვი

მთაო, გადმიშვი, მაღალო,
რა ნისლი მოგიხვევია, .
შენს იქით ჩემი ერთგული
სხვას ვისმეს ჩაუსვევია.

არ მეგონა

არ მეგონა გორის ციხე
საგორავად გახდებოდა.
ლაშქარშია თეთრი ცხენი
საგოგავად გახდებოდა.

¹ სოფელია თელავის რაიონში.

ჩემი თავი ცათა სწორი
ასე დამიდაბლდებოდა;
ჩემ უარეს ჩემი სწორი
ასე გამილაღდებოდა.

შენსა მოსკლასა

შენსა მოსკლასა მზე მოჰყვა,
შენს წასვლას შაყი ღრუბელი,
დავდივარ ცალი ხარკით
უღელში გამოუბმელი.

ნ ა ტ ვ რ ა

ნეტავ ფრინველად მაქცია,
დამსვა მალალსა მთაზედა,
ქალო, შენს წამამყვანელსა,
შაუდგებოდი კვალზედა.
მენაც იქ მოვშავდებოდი,
სადაც შენ დაგსმენ ჯარზედა!
საკმისას ჩამოვხედნებდი,
თვალს შავავლებდი ტანზედა.
რა რიგად შავიწლებოდა,
ვის დაგიწვენდენ მხარზედა!
ჩემ სწორებ კარგებ ვაყები,
დასხდება ღვინის სმაზედა.
მამერევიან ტირილნი,
ქუდს მივიფარებ თვალზედა.
მე ხო ეგ აღარას მარგებს,
ისივ თუ წავალ ცხვარზედა.
გუნებას შევახალიზებ,
იკვლივიანოს მთაზედა.
ამიგონოდით, სწორებო,
რო ჩამოსხდებით სმაზედა!

მე გხედავ

მე გხედავ, მზეო, არა ხარ,
შენ ჩემი დამათბობელი.
შენ წადი, მთვარე მოვიდეს,
ლამე გზის მანათობელი.

მზე თუ ხარ

მზე თუ ხარ, დაბლა ჩამოდი,
მალლა მთას რას ეფინები?
ქალო, შენ ჩემად ნათქომო,
ახლა სხვას რად ეპირები?

თითს ბეჭედი

თითს ბეჭედი, ხელს კალათა-
ალაზანმა წამყარაო;
ჩემი ცოდვა იმას ჰქონდეს,
ვინაც შენს თავს გამყარაო.

მარგალიტი ავაღუღე

მარგალიტი ავაღუღე,
გამოვიდა გუბე-წყალი.
კალთაშია მოგიკვდები,
შენის ხელით მასხი წყალი,
ამას მაინც იტყვის ვინმე,
ეშხით მოკვდა ის საწყალი.

დილით მზე ამოდიოდა

დილით მზე ამოდიოდა,
შენ მოუძლოდი წინაო.

თუ ჩემი ნდობა არა გაქვს,
ნეტავი მაცოდინაო;
არც უკან მოგეწეოდი,
არც შეგხვდებოდი წინაო.
ოღონდ კი უნდა დავილო
შავ საპარეში ბინაო.

აივ მთაზედა

აივ მთაზედა თეთრი ქვა
აპირებს ჩამოდნობასა;
ბევრიც რო გყვანდეს ერთგული,
ვერ გიზამს ჩემოდნობასა.
არ გათენდება სთვლის ღამე,
ღამე ბნელობა კი არი;
მთქმელო, ვერ გამცხადებელო,
რალა შენ სიცოცხლე არი!

ალმასის ფანჯარაშია

ალმასის ფანჯარაშია
ქალ, დაგინახე პირი მე;
მას აქეთ შენს გონებაში¹
არ მამივიდა ძილი მე;
ღამეს ვათენებ თეთრადა,
დღე ვზივარ, ვგონობ, ვტირი მე,
თუნდ მომკალ შენის ხელითა,
მოდო-კი, შენი ჭირიმე!

აქედანა ვერა გხედავ

აქედანა ვერა გხედავ,
ქელი მიფარებს წინარე,

¹ შენზე ფიქრში.

სურვილმა წელი მომწყვიტა,
დავჭექი, ველარ ვიარე.
ლალსა ზედა ლალი დავდე,
ბროლსა ზედა მინანქარი;
სულო, სულს გამოგიგზავნი,
თუ მოგიტანს ნიავექარი,
მაგრამ არ მოგიტანს ქარი,
იმიტომ ვარ ცოცხალ-მკვდარი.

ბევრის დაწერა მეწადა

ბევრის დაწერა მეწადა,
გულმა არ მომცა ნებაო,
დარდი, ბოღმაში გართული
თოვლებურადა დნებაო.
ჩავევარდი საგონებელში,
თანთან მუხლები დგებაო,
დავწვე, არ დამეძინება,
გულში დარდები ჩნდებაო.
ავდგები წასასვლელადა,
მუხლები არ ამყვებაო.
ის, სიყვარულის გამჩენი
ცეცხლშიამც დაიწვებაო.
პირველად გული ლადია,
ბოლოს — კი გამწარდებაო.
სიტყვას თქმა უნდა მართალსა,
რითაცა გული კვდებაო:
დავკარგე გულის სილაღე,
თვალით ველარა ვხედაო,
გავალ-გამოვალ სოფლადა,
ზვარცაით¹ გამოჩნდებაო,
მაგრამ არა ჩანს არსადა,
ვაი, თუ მიმტყუვნდებაო.
აჰა, მეც ხელი აუშვი,
გუნებაც მიჯავრდებაო,
მაგრამ ვერ დავთმობ ბეჩავი,
განა ხვალ სხვა შამხვდებაო.

¹ ხომ არსად.

სიტყვა ფიქრია მღელვარე

სიტყვა ფიქრია მღელვარე,
ჩემ გული — კალმის წვერია,
ქალაქდზე შავი მელანი —
დამდნარი გულის წვერია;
ამ გულის წვერით ნაწერი
ქალავ, ალერსი შენია.
რაც ჩემს გულს ცეცხლად ედები,
მეორ-მესამე წელია.
გშორდები, ფიქრი მატულობს,
გულის, გონების მწველია,
ბედკრულს ნურავინ დამითმობს,
კარგის დათმობა ძნელია,
ხომ იცით წუთისოფელი,
რამდენად ცუდის მქნელია.
ან შენ რამ დაგემართების,
მგმობი გავხდები ბედისა,
ან მე გამრიყავს ჰალაზე
ზვავი დალისტნის მთებისა,
ან კლდეზე გადავევარდები,
ჯოგი დამესხმის მგლებისა,
ან ტყვია შემათამაშებს
გამოსროლილი მტრებისა.
სალექოს მოიფანტება
ნათოსი ჩემი ძვლებისა,
ჩამომყვებიან ყორნები,
ჩრდილი დამფარავს ფრთებისა.
რა მამა დამიღონდების,
რა დედა ატირდებისა?!
შენ მაინც დამიტიროდე
ჩემებრ ტანჯული ბედითა;
მე ჩემს გეძახი, ვინ იცის,
იქნება იყო სხვებისა?
მოსწამლე ჩემი სიცოცხლე,
წუთები მოსვენებისა.

წიგნი არ მიმიწერია

წიგნი არ მიმიწერია
ჯერ ამის მეტად მზისთვისა,
მოკითხვა არ შემითვლია
პირმთვარე ლამაზისთვისა.
მოძულეებულსა ამბობენ,
ნეტა ვიცოდე რისთვისა,
ნუ მომიძულეებ, ჭირიმე,
მადლია შენი ღვთისთვისა.
წიგნი დავწერე, მოგართვი,
ვარდო, გაშლილო ველადა,
სოსანმა, ნეგო-ნარგიზმა
შეგამკო ფერად-ფერადა,
სად მოიცალა იმ ღმერთმა
შენი თვალ-წარბის წერადა,
აილო ხელში კალამი,
დაგხატა ათას ფერადა.
— შენ რო წიგნი მოგეწერა,
რა ღირს ვიყავ აგრე ტკბილსა,
დაეწერა ბროლის თითსა,
მარგალიტის ბაგე-კბილსა,
შავსა თვალსა, შავსა წარბსა,
ყორნის ფერად შებურვილსა.
მონაწერსა შენსა წიგნსა
ვაკოცებ და მოვკვამ ჭირსა,
ლამე საწოლში ჩავიტან,
არ ვაღირსებ თვალსა ძილსა.

შევარდენი გადმოფრინდა

შევარდენი გადმოფრინდა
თავის ოქროს ბუდიდანა;
გადმომიგდო ქალმა ვაშლი,
ამოიღო უბიდანა:
— ჩემეულად შეინახე,
არ გადმიგდო გულიდანა.

ქ ე ზ ა

I

გაქო, გაქო, როგორ გაქო,
თეთრი დევის ღონე გაქო,
შუბლზე ნაკვერცხი ქოჩორი,
თვალი შავარდენი გაქო,
ომში შეხვალ და გამოხვალ,
გულში ფიქრი არა გაქო!
იარალი მოგიხდება,
ლამაზ ქალზე თვალი გაქო,
იარალი მოგიხდება
თოფი შეკაზმული გაქო,
მხართ სიმაღლე მოგიხდება
ლამაზი, ჯაყარიანი,
ჯაჭვი გაცვია, ჯაყმანი,
ცხენი გყავ ღაბაბიანი,
ხარ შავარდენი მქროლავი,
არწივი კლანჭებიანი,
შენ მტერი ვერ შემოგივია,
სულ ტირის თვალცრემლიანი.

II

შავი თვალი, შავი წარბი,
პირი ბროლის მსგავსი გაქო,
თეთრი გული, თეთრი პირი,
ზედ პატარა ძუძუ გაქო,
ალვის ტანი, ლერწმის მკლავი,
ზედ სურათი, თითი გაქო,
ნახვა შენი, ჩემთვის ღზინი,
ენა შაქრიანი გაქო,
ფირუზის კაბას იკერავ,
ლალსა სარჩულად უდებო,
იაგუნდის ზორტებს ასხამ,
მარგალიტს ქობად უდებო,
ლამაზად, სანდომიანად
სახელში ხელს გაუგდებო.

ნისლი წავიდა

ქ ა ლ ი

ნისლი წავიდა ცისკედა,
ნამი შაბერტყა ქარმაო,
ჩამოვაბნიე ცრემლები
შაწუხებულმა ქალმაო.
ვაი, რო პირს რო ვერ უტეხ
დედა, მამასა, ძმათაო,
თორო შინ მაგივილოდი,
არ ვაუბნებდი სხვათაო.

ვ ა ე ი

მე შენსკენ გამავემართე,
შამავცვდი გველის ჯარსაო,
დაძრა სუყველამ ენაი,
შენ თქვეს: სხვას ირჩევს ყმასაო.
მივბრუნდი გაფოთებული,
შაუგმი თავის თავსაო:
რად არ ჩავიცომ ბეგთარსა,
რად არ შავიბამ ხმალსაო.
ავკეფდი ლეკებურადა
შენ შინ წამყვანსა ქმარსაო.

ქალ-ვაჟის გაბაასება

ქ ა ლ ი

შენ, ვაჟო მაშინ სად იყავ,
მე ქალი ვიყავ თმოსანი?
ახლა მე ქმარი შევირთე
ლალი, მოლაშქრე ყმოსანი,
შვიდს შეტკრავს შენისთანასა,
ტიტველა, პერანგოსანი.
ბაზარში ჩამოატარებს
თიკანებრ ის მშვილდოსანი.

აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ,
 და იქით გორას ძვრას ვუზამ,
 აღიდებულსა დიდ მტკვარსა
 დავუწვები და ყლუპს ვუზამ,
 თვრამეტ ბათმან რკინას დავლექ
 და კევივითა ყლავს ვუზამ,
 მე ამ ძალისა პატრონი
 ქალო, მაგ შენ ქმარს რას ვუზამ?!

თებრონე მიდის წყალზედა

თებრონე მიდის წყალზედა,
 კოკა უდგია მხარზედა,
 კოხტა გოგო, გენაცვალე, ხევ-ხევ თებრონეო.
 კარგო, მოგივალ წყალზედა,
 გაკოცებ ორსავ თვალზედა,
 კოხტა გოგო, გენაცვალე, ხევ-ხევ თებრონეო.
 თებრონემ კოკა გაავსო,
 თანაც შეიდგა მხარზედა,
 კოხტა გოგო, გენაცვალე, ხევ-ხევ თებრონეო.
 მიდის და თვალი შეასწრო
 ქოჩორა ბიჰსა გზაზედა,
 კოხტა გოგო, გენაცვალე, ხევ-ხევ თებრონეო.
 თებრონემ კოკა ჩამოდგა,
 მანდილს იფარებს თავზედა,
 კოხტა გოგო, გენაცვალე, ხევ-ხევ თებრონეო.
 თებრონემ კოკა გატეხა,
 ცრემლი მოადგა თვალზედა,
 კოხტა გოგო, გენაცვალე, ხევ-ხევ თებრონეო.
 ბიჰმა თებრონეს აკოცა
 იმ სოფლის შუა გზაზედა,
 კოხტა გოგო, გენაცვალე, ხევ-ხევ თებრონეო.
 თებრონე მიდის წყალზედა,
 კოკა უდგია მხარზედა,
 კოხტა გოგო, გენაცვალე, ხევ-ხევ თებრონეო.

დანიშნულს დაჰპირებოდა,
იქ ჩამოდიო წყალზედა,
კობტა გოგო, გენაცვალე, ხევ-ხევ თებრონეო.

ქალაო, შენ რო ჭმარი გჰავ

— ქალაო, შენ რო ჭმარი გჰავ,
თუნდა ხუთს გავთლი ხისასა.
დედ-მამათ წყალზე გამგზავნეს,
ველისას, არა ტყისასა,
გორი-გორ ჩამომავალმა
ნაჰაპნს თვალ მოგკარ თმისასა,
ქალ, გეძახ ბეჭის თავიდან:
თავ მაიბრუნე ხთის მადსა!
გეძახე და არ მამხედე,
მიხვალ და მიჰქსოვ წინდასა,
თან ზედ აფრქვევდი ცრემლებსა,
ნამებსა ჰგავდა ცისასა.

კოლ შენის მეტი არ მინდა,
ვფიცავ ლაშარის ჯვრისასა,
გადმამყევ, გადაგიყოლებ,
ჯავრს კი ნუ მაჰმევ მტრისასა.

— არც ვინ შენის მეტ მე მინდა,
მეც გეფიცები ძმისასა,
შაგრამ ცოლს როგორ წაართომ
ლარიბი კაცი მდიდარსა?
დადექ, დამეხსენ, კაი ყმავე,
არ მემეტები ღთის მადსა,
დაწყველად ვერ გაგიმეტებ,
პირ გიგავ დილის ცისკარსა,
ეგ რო ჩემ ჭმარმა გაიგოს,
თავსა მოგაჰკრის იმ წამსა,
სისხლს მენავ მაშინჩინებენ
მაგ შენი მხარ-ბეჭისასა.
დადექ, დამეხსენ, კაი ყმავე,
გაფიცებ სახელს ძმისასა,
ერთ წყვილ წინდებსაც დაგიქსოვ,

ჟაქას დაუღებ, შიბასა.
 — ერთ ცხენ მეცა მყავ, ქალო,
 მიმინოსა ჰგავ მთისასა,
 დავკარგავ, დავიკარგები,
 რისხვას ავიტან ხთისასა.
 ქისტეთში ვადვიკარგები,
 სახელს დავირქმევ წიქასა,
 ტანისამოსსა ჩავიცმევ
 ლეგლუგა ქისტურ ცხვრისასა,
 ქისტეთ ციხეზე მივაკრავ
 მარჯვენას შენი ქმრისასა,
 დნებოდეს, ჩამოდიოდეს,
 ლიბოს არღვევდეს ქვისასა.
 — მაგას ნუ მეტყვი, მოყმეო,
 არ მენეტები ღთის მადსა,
 შენ იქნებ ჩემ ქმარს ვერ იცნობ,
 ლერწამს ამოსულს ზღვისასა,
 წვიმას ჰგავს მჭექარ-მჭუხარსა,
 ქარბუქს მაღალი მთისასა,
 შეგიტყობს, წაგაგდებინებს
 ვადასა ფრანგულისასა.

ჰა, ქალო, მძივი

—ჰა, ქალო, მძივი, რა მძივი,
 სათმეულისა მინაო!
 — არ მინდა, შენი ჭირიმე,
 მიჯავრდებიან შინაო.

ირმის ხრო

ქალს ვუთხარ: — გულის პასუხი
 შენიმც მე მაცოდინაო.
 — ვაჟო, ხომ იცი ირმის ხრო,
 მთასა სძოვს თავისთვინაო.
 ერთხელ მძინარას ხარ-ფურთა
 ნუკრიც თან ჩაეწვინაო.

გაუგო მონადირემა,
გეზებ შაუკრა მთისაო,
ხარ მოკლა, ფური დათოფა,
ნუკრი წაიღო შინაო.
— ნეტავინ, ხარო ირემო,
ცივ მთებზემც გეძოვნინაო,
დაგკარგა მონადირეო,
კვალი ვერ გვაპოვნინაო.

ენა ჰიკჰიკ

— ენა ჰიკჰიკ-მერცხალს გიგავ
ინდოეთით გამოსულსა;
ტანი ლერწამ ჩალას გიგავ,
ზღვის პირს ნერგად ამოსულსა!
შემინახე, როგორც ძმამა,
შეგაფიცებ ფშავლის რჯულსა.
— თუ დასავით ვერ დაგინდო,
ღმერთიმც ამომართმევს სულსა!
გავხდე თოფის ანაწერი,
ხმალს შავეკრა გალესულსა!

ქალ-ვაჟის გაბაბანება

ვ ა ე ი

მე წუხელისა სიზმარში
ღობილოს ტახტზე მეძინა.
ქვეშ მეგო ლალის ორხუა,
ზედ ღირებულა მეხურა,
ლამაზი ქალი გვერდს მიწვა,
მკლავი მკლავს გადამეხვიენა,
წითელ ქურანზე ვიჯექი,
ლურჯა მალქათად მეჭირა,
ნახტომი შეელი მომეკლა,
ტახტაზე ჩამომეკიდნა.

ქ ა ლ ი.

ნუ სტყუი, ბიჭო, ნუ სტყუი,
სალორის კარზე გეძინა,
ქვეშ გედო ჩალან-ჩულანი,
ზედ ნაბდის ფიჩვი გეხურა,
ლაგაზი ძალლი გვერდს გეწვა,
ტოტი მკლავს გადაგეხევენა,
წითელ ტურაზე იჯექი,
მაჩვი მალქაფად გეჭირა,
დამდგარი კუი მოგეკლა,
ტახტაზე ჩამოგეკიდნა.

სიყვარულმა და ნდომამა

სიყვარულმა და ნდომამა —
სიკვდილ არ იციხს ქალისა,
ნეტავი ნისლად მაქცია.
გადმოვივლიდი ქართა,
იქ დავიწყებდი წვიმასა,
საცა შენა ჰხნავ ხართა.

არ გიყვარვარ მე?

არ გიყვარვარ მე?
არ მოგწონვარ მე?
არ გინდივარ
სასოებავ,
შენი ჭირიმე?
რას მემდღური მე?
რად შეგძულდი მე?
თუ მტარვალად
მიგაჩნივარ,
შენი ჭირიმე?
ჰა, შენი ვარ მე,
არ გატყუებ მე;

გულში ლალატს ნუ გაივლებ,
შენი ჭირიმე!
უშენობით მე,
დავიდაგე მე,
სულში ჯოჯობეთი არის,
შენი ჭირიმე!

ბანზე ტრიალება

ქსელთა ვქსოვ მამის ეზოთა,
ზალტეთა ვაყრიალეზა.
ქმარსა წაუოლ მაქმედსა,
ცუდასა ვაგვიანება.
ვაყასა შენისთანასა
ბანზედა ვატრიალება.

ხელსახოცსა გადმოგიგდება

ხელსახოცსა გადმოგიგდება,
ოქრომკერდით მოქარგულსა,
შიგ გაგიხვევ ჩემსა გულსა,
შენგნით დამწვარ-დადაგულსა.

ქალსა დედა ეუბნება

ქალსა დედა ეუბნება:
— ჩვენს რად დავა ბატარაო?¹
— ჩემი სწორი ვაჟაია,
ჩემო დედავ, რად არაო?!

მთას მარახული მაჰკიდა

მთას მარახული² მაჰკიდა,
მწყემსო, აჰყარე ცხვარიო,

1 ბატარა; აქ: სახელია.

2 კირხლი, თრთვილი.

არ მოგწყინდაა მთას ყოფნა,
არ მოგინდაა ბარიო,
ლამაზის ქალის მოხვევნა,
იმასთან საუბარიო?

მალლიდან გადმოვიხედე

მალლიდან გადმოვიხედე,
მოედანს დიდი ერია,
ის ჩემი მკვლელი მიჯნური
სამოც ვაჟკაცში ერია;
თავს ედგა ოქროს გვირგვინი,
შიგ იაგუნდი ერია,
შევხედე, არ შემომხედა,
თვალს ცრემლი გადმოერია.

ვაჟო, შე დედისერთაო

ვაჟო, შე დედისერთაო,
დადიხარ მინდორ-ველთაო,
დაეხსენ მონადირობას,
არ გადავარდე კლდეთაო. —
შარაევანდელო ბეჭედო,
საკეთებელო ხელთაო;
წითელო თურაშაულო,
მალლა ნაბამო ხეთაო!

ქალის ნატვრა

არ გათენდება სთვლის! ღამე,
ღამეზნელობა კი არი...
მთქმელო ვერ ამსრულებელო,
რალა შენ სიცოცხლე არი?!
ნეტაეი ვაჟად მაქცია,

1 შემოდგომის.

ქალი არა მქნა თმიანი,
მემრე შაგვეყარნა ერთადა
ორნივ ჭრელმათარახიანნი¹,
ვერც მაშინ გაიგებდია,
რაც ჩემი გულის ზნე არი!

გაძნელდა, ბესარიონო

გაძნელდა, ბესარიონო,
თან-თან სურვილი შენია,
თან-თან ჩავიდა გულშია,
გამამიცვალა ფერია.
ლიშან თუ გელიშნებოდა,
გამადიოდეს მზენია,
მოგყვანდა თამაშობითა
შენი ფეხთეთრი ცხენია.
გზაში რო დაგხვდა ძმობილი,
ბოთლა ეჭირა ჭრელია,
დალლიე სადღეგრძელოი
და გაიქნიე ხელია;
პირობა რაად გასტეხე,
კაცო, რარიგად ხქენია?

ა ბ ა ი ს ძ მ ს

„სად დახოლ, აბაისძეო,
სად აჟრიალებ ხმალსაო?
მე შენი მკლევდა სურვილი,
შენ მამიდაის ქალსაო.
ნუც შენ მაიყონ დიაცსა,
არც მე წაუოლ ქმარსაო“.
ჩამავლილს სადამ ამბობენ
აბაისძესა მთვრალსაო.
მაუა მძიმე ავდარი,
დაურევს კორკოტასაო.²

1. მძიმე თითბრის მავთულიანი. საჩხუბარი მათარახი.

2. ზორხოშა, სეტყვა.

ბ ა შ ო რ შ ო რ ე ბ ა

ქალი ორ ქოჩორყვითელი,
კობტა ვიყენებ თმასაო.
მალლა შამავეხე მთაზედა,
დაბლა ჩაეხედავ ბარსაო.
როს-რა გიამბობ, ძმობილო,
ქალების ნაუბარსაო?
მე და შენ გვაშორშორებენ,
ეხვეწებიან ჯვარსაო.
ჩვენ თუ მავსწირავთ ერთუცსა,
სადმერთოდ დახკვლენ ხარსაო.
მე კი ნაფიც მაქვ ჯვარშია,
მიმეტდებოდი ძმასაო;
თუნდ იყო უსინდისოი,
ქალს არ ინდობდა, ზალსაო.
არ შამაწუხათ, ქალებო,
არ გამაცილათ გზასაო!
ვინაძლივ, გამაწირვიოთ
ძმობილ ხევსურის ქალსაო.
რაი-ლ ვქნა? ველარ დავხკერავ
პერანგის ნაჭრელასაო,
ველარ ჩავიცომ ტანზედა
ორზე მამწაულს¹ ტყავსაო.

შენ მოხველ

შენ მოხველ — მზეც ამოვიდა,
მეც აქ მოვშავდი ქოლვილი²,
შენ წახვალ — მზეცა წავალის,
ვარდიც დაქენება, ყოილი³.

ქალის ფიცი

ჩემის ცხრათა ძმათა მზემა,
მეთისა მამისამა;

¹ ჩასაცმელი ტყავის ბოლოზე მოკერებული ხბოს ტყავისაგან გამო-
კრილი ლენტეხია.

² ჩასაქოლი.

³ ყვავილი.

აღდგომისა დიდმა ღღემა,
შაწირვამა კრავისამა,
შენს თავს არავინ მირჩვენავ,
ფიცმა რა ქნას ქალისამა?

ნეტა შენ, თეთრო ქედანო

ნეტა შენ, თეთრო ქედანო,
ხახაბოს¹ ჩაივლ განზედა;
ვაჟს, სანადიროდ გამოსულს,
აილან² ჰკიდავ მხარზედა,
უყრია შავი თვალები,
უხდება ლერწამ ტანზედა.
ორშაბათ დილამ დამაგდო,
მოყმევ, შენ სახლის კარზედა,
შენც ხომ იქ გამოხვიდოდი
პირის დაბანად წყალზედა;
კვალსაც ადვილად ვიპოვნი
ჩექმის დანალახზედა.
ცეთიმ დაჰკიდა სასწორი,
უფალიმ დასვა სკამზედა,
დაწყევლად ვერას გიმეტებ,
ნდობასამც იხდი სხვაზედა.

ჩავალ, ჩავაგებ ციხესა

ჩავალ, ჩავაგებ ციხესა
ბროლ-მარგალიტის ქვისასა,
ზეით გავხურავ ფიცარსა,
აბანოზისა ხისასა;
შიგ დავდგამ ჰიქის ჰურკლებსა,
სავსესა სურვილისასა,
ყაჭ-აბრეშუმსაც ჩავკიდებ,
საჩრდილობელსა მზისასა;

¹ ამ სახელწოდების სოფელი თუშეთშიც არის და ხევსურეთშიც.

² თოფი იყო ერთგვარი.

შიგ ჩაგსვამ, ჩემო ლამაზო,
ნიაეს არ გახლებ მთისასა.
— ვაჟაო, დედის ერთაო,
გაზრდილო მინდორ-ველთაო,
ოქროს შიბაის ნაგლეჯო,
წამოსართყმელო წელთაო;
მასკვლავო შარავანდედო,
მთვარის ნაჭერო ხელთაო,
ნურას ცბიერობ ენითა,
ყელზე ნუ მახვევ გველთაო.

თოვლი დათოვა ოხერი

თოვლი დათოვა ოხერი,
ნისლებ დაეცა მთათაო,
შორს დაშჩი, ჩემო ძმობილო,
ვერცადით გაწვდენ ხმასაო.
ნეტავი შამეყრებოდი
ზოგზოგი გუნებასაო,
აგებალ გამაცილებდივ,
დამაცილებდი ჯავრსაო,
რა მიამბ-მამიამბობდი,
გამამირჩევდი რასაო.¹
ეგ გორიმც გადმააქცივა,
შამაგავლებდი თვალსაო,
მალ-მალე გამავხენებდი
შენი ქვითკირის კარსაო;
გამადიოდა ლამფაი,
ცეცხლი იქნევდა აღსაო...
არ წამახოლა ჩვენშია,
არ მაუხოლ-ლა ზალსაო?
პირდაპირ ჩამამავალი
ჩამაიყოლებ ჩქამსაო,
თვალი არავინ შაგაგდას
ყაწიმთანთა მხართაო,
არ გაგიგიჟან ლურჯაი,

¹ ამხსნილი, გამარკვევდი, დამარიგებდი.

არ გაგიცდინან გზასაო;
წახვიდოდ, გამაგყვებოდა
თავის სალოცავ მგზავერსაო.

აავდა მაისის თვეი

აავდა მაისის თვეი,
იანვარს აუდარაო,¹
მალგლიჯა ჩვენი ადგილი
სრუ კორკოტამა², ღვარმაო,
სამრელო ჩამამირღრღივა
ჩამამდინარმა წყალმაო.
ძმობილ მყავ ამტერებული,
აღარც ვინ მამიტანაო,
პირიქითელა ვაჟაო,
შენ რაილ დაგიბარაო.
შენ რო ქალებში გეკეხხნა,
სათითე გამიცვალაო,
არაყიანი ბოთლაი
ლოგინში მამიტანაო.
რახელ სათითეს გაგიცვლი,
რა გზაჩი შეგეყარაო.
ხარ ყროლი,³ უნამუსოი,
გიცხადებ, აღარც ვმალაო.
პირდაპირ ჩამამავალი
ნეტავი ჩამაგშალაო,
ანამცა ისიც გამეგონ,
გამაიყოლა ზევემაო,
დაგლივა ჩვენის ძირულმა,
ალაღებულმა წყალმაო,
ქალაქის ბოლოს გაგიდა,
ველარც გიტირას დამაო,
წამაიყვანან დროშიაი,
ველარც მაგხელას ჯვარმაო,

¹ დაედარა.

² ხორხოშა.

³ ცუდი.

გრილნიმც დაგიგნა ლოგინნი
მიწაიმც დაგაყარაო,
მე რომ ვერცადით გნახევდი,
ზედამც რა დაგაფარაო.

მეც მაგონდები, ვაჟაო

მეც მაგონდები, ვაჟაო,
უცეცხლოდა მწოვს ალია,
მოგატყუებენ ჭორებსა,
შენც იტყვი, ეგრე არია.
ქვეყნის საუბარს ნუ მისდევ,
სუ ეგრე ხვივის ქარია.
მთიდან მოხეთქილ მდინარე,
ქალას ჩამოდის წყალია.
რად გამათხოვე, დედაო,
რაად დამხურე ცანია,
რაად გამყარე სატრფოსა,
სიცოცხლე გამიმწარია.
აღარ მორჩება ჩემ გული,
იცოდე შენგან მკვდარია.
ახლა კი მშვიდობით იყავ,
ღმერთმა დაგწეროს ჯვარია,
შენთან არ მამწყინდებოდა,
ყოფნა და საუბარია.

დ ე დ ი ს ე რ თ ა ს

ძმობილო, დედისერთაო,
სად რა-რა ღბრუნავ ბანზედა?
ნეტავი წამოგიყვანა,
შამოგავლია მთაზედა!
მოგგვარა ჩემი ამბავი,
რო ნარეობა გაბედა!
მიწაიც არ დამაცილებს
შენთა კბილთა და ბაგეთა.
მაშინ რაღა ვქნა სულეთა,

შენ თუ სამღერლად შასდეგა?
ამაშინ მამიგონილი,
თუ სადმე ჯარზე გახვედა,
შანდობა მაინც უთხრიდი
ყანწსა არაყით სავსესა!

მწუხიარე ძმოგილს

თუშია ჩემი ძმობილი,
მეწინაე! ხყავ ცხენია.
ამბობენ მწუხიარესა,
ნაქრევეებისგან ჰრელია.
არ მახკვდე, ხევსურისშვილო,
გაგილაღდების მტერია.
მახკვდები, დაიკარგები,
არვინ მძებნელი შენია.
ამბობენ სალდათობასა,
აიქ წასვლა ხო ძნელია.
წავიდას, ვინლა დარჩება
ამა ხევსურის ფერია?

ხოლიგათ თათარას

მოგნატრი, გუროს ციხეო,
ქვაო, ნადებო ქვასაო,
მემრე შენ, გუროელო,
გაზრდილო სასლის ტანსაო.
შამაქდეს მენადირენი,
ვიყურებ თოფის ხმათაო.
თეთრ-ჩოხა რაიმ გადახდა,
მასრან უცემენ თვალსაო.
უთხარით ჩემი ნათქვამი
ხოლიგათ თათარასაო:
„დაგედვა ჰორი, საძრახი,

1 დოღებში წინმავალი, წინ მიმსვლელი.

ნუ ჩამაიტან თავსაო.
 ახალ ტალავარ ჩაიცივი,
 მაირთე ჩაფრულასაო.
 არა გი, ნუ გეშინიან,
 არ გადმოვხდები მთასაო.
 არ წაგილალავ შინითა
 გამახელაის ქალსაო!
 კიდევ ვინ მისცემს ურბეთსა¹
 ჩემსა მამასა, ძმასაო,
 კიდევაც წაუვიდოდი
 შენზე უკეთეს ქმარსაო.
 ცხვარი მყავ შუაგორასა
 ემაგის მალექსარსაო;
 შევხედავ მყინვართ ბოლოსა
 დაკრიახულთა მთათაო.
 ეგ ლექსი გამოგიგზავნა
 მითხოთ პრიგაოს ქალმაო.
 სათითე გამამიგზავნე,
 მამიხდებოდა ქალსაო.
 გიკეთებ ხელისახოცსა,
 მამა დაგიწერს ჯვარსაო.

წისქვილთან ქალი მივიდა

წისქვილთან ქალი მივიდა,
 ამოსალებად წყლისაო,
 დაჯდა და ბევრი ჩასტირა,
 ცრემლით იბანდა პირსაო.
 წყალო, მიდიხარ შორსა გზას,
 შირაქს ჩაუვლი გვერდსაო,
 ჩემსა საყვარელს მითქვიდი,
 ნულარ მატირებ ბევრსაო.
 შემატყობინე, გენაცვლე,
 რა დღეს შეკაზმავს ცხენსაო!

¹ ურვადი — ქალის გამოსასყიდი ცოლად თხოვნის დროს.

ტილაღ

მე ვთქვიდი: „ქარგი ქალი ვარ,
არა ვარ საძრახიანი“,
შენგან დამეთქვა, ვაჟო,
ღღემც დაგიბნელა მზიანი!
სახლიმც დაგჩება ტივლადა
მორთული, სარათიანი!
ჯოგიმც დაგჩება ტივლადა,
ქარს გიბავ ნალ-უსმრიანი!
ცხვარიმც დაგჩება ტივლადა,
მთას გიდგა თვირთვილიანი!
ცოლიმც წავივა შინითა
მტირალი, თვალცრემლიანი!

ბედსა არ დავიქარგავო

ქალმა თქვა პირმა ნათელმა:
— ბედსა არ დავიქარგავო,
წავალ, დავჭდები წყლის პირსა,
საყელოს დავიქარგავო.

რა ბევრი მიტირებია

რა ბევრი მიტირებია,
რა ბევრი ცრემლი მდენია:
არც გული გამამიცვლია,
არც ამიღია ხელია!
როდესაც მამაგონდები,
მედება ცეცხლის გენია!
სახსოვრად დამრჩა თვალ-წარბი,
ოქროს უღვაში შენია,
შენი უღვაშის ჩრდილები
შენს სახეზედა ჰფენია!
ირმებისა ხარ სტუმარი
მესამ-მეოთხე წელია;
აღარ ერგება ტყვიავი

ძმაო, ნასროლი შენია;
 თოფი ნიშანზე მიგიდის,
 წელთა ხმალი გრტყავ მჭრელია,
 ნეტავი ჩაგაგდებინა
 შენი გუნების ცხენია!
 თუ სამართალი ვერ გიყონ,
 ამოსწყდეს ფშავის ხევიან,
 ძირითამც ამოვარდება,
 მგონია, თორმეტ თემია!
 მოგიკლავ ცოლის წამყვანი,
 შენ სხვა რა წაგიხდენია?
 დამიწერია ბარათი,
 ხედ მამიწერავ ხელია.
 გამამიგზავნე მალვითა,
 ძმაო, ბარათი ჭრელია;
 არავინ დაგილატოს,
 არვინ მოგიკიდოს ხელია...
 სახელად თამარი მქვიან,
 ეგრე თიკუნად! — ლელია;
 ოთხ წელსა გგონებ შორითა,
 სიყვარულ მეტად ძნელია!
 ტყეში ვერ ვიცინი შენ სახლნი,
 არა მაქვ მოსასვლელია.
 გამამეგზავნა პერანგი,
 შენს ტანზედ ჩასაცმელია...
 შენთანამც მამცა სიცოცხლე,
 შენთანამც მამჭრა ყელია.

ღრუბლები მიდი-მოდიან

ღრუბლები მიდი-მოდიან,
 თავთაქვე ჩადგებიანო,
 ქალებსა აქვით ცილობა,
 ჩემ თავზე წილსა ჰყრიანო.

ვისაც კი წილში ვერგები,
ქვაბში ხინკალსა ჰყრიანო.

მ ი ა ნ ე ვ ე ლ ა

ჰიანჰველა რომ მიცოცავს,
ნეტავ, გამოესხას ფრთები,
რომ ჩუმ-ჩუმად გავატანო
ჩემს სატრფოსთან ბარათები.

სიყვარული — ეს ოხერი
დანავარდობს წარამარა.
ზოგს სულ გააბედნიერებს,
მე ასე რად გამამწარა?

ჩ ე მ ი ს ა ტ რ ფ ო

ზღვის ნაპირას ნიავე ქრის
და ლაქაში ქანაობს;
ვენაცვალე, ჩემი სატრფო,
ლურჯ ტალღებში ბანაობს.
ჰა, მოწყდა და შორს გაცურდა,
ცირა — ალვისტანაო;
მისცურავს და თან მეძახის,
შენც მომყევი თანაო!

ნ ა ტ ვ რ ა

ნეტავი ჩიტად მაქცია,
მერქვას პატარა მზეწვია;
ყველა ერთბაშად ამოვთქვა,
რაც შენზე ფიქრი მეწვია.
გულს მოვიოხებ ნათქვამით,
თუ არ მიმტყუნა ენამა;
არ დაგზოგავდი, მაცდურო,
დამწვარი გულის ღხენამა.
გეტყოდნი: ბარემ დასრულდეს,

ეს უხალისო ზღაპარი!
მერე კი, ფრთებსა შემოვკრავ,
რომ გადვიქროლო მთა-ბარი.

რომ ჩამოგშორდე, არ გნახოს,
ოდესმე ჩემმა თვალებმა;
ერთხელ მორჩეს და მოთავდეს,
ჩემი ამდენი წვალება!



ბ ა ლ ე ქ ს ე ბ ე ა ნ ი

ჩ ო ნ გ უ რ ო

ჩონგურო, ჩემო ჩონგურო,
ჩონგურო ჩემო, ხისაო,
ბაბუაჩემის მოჭრილო,
ბებიაჩემის ხნისაო,
თავათ ტანი გაქვს ბეოლისა,
ტარი ვიგია მსხლისაო,
წაგიღებ დარბაისლებთან,
გაგვაწევინებ ლხინსაო.

დაუპარ, ჩემო ჩონგურო

დაუპარ, ჩემო ჩონგურო,
ამოიღე ხმაო,
გულს ნისლი შამომწოლია,
ლექსი უნდა ვთქვაო.

ქება გითხრა რისა

ქება გითხრა რისა,
ქება ლექსებისა,

ვარდო, მაისისა.
ლარო, ჩონგურისა?
დაუკარ, ჩემო ჩონგურო,
თუთა წმინდა ხისა,
ლექსით გეტყვი სიმღერას,
ხნა გაქვს ლარებისა.
საჩივარი უნდა გითხრა
ჩემი თვალებისა.
თვალები რო დამეხუჭა,
ვიყავ სამი წლისა,
ჯიელობა დამიბნელდა,
ნატრული ვარ მზისა.
გზაზე ვიდგე, თვალებს ვეტყვი:
— დაიხედე ძირსა,
გზა და კვალი გამირჩიე,
ჩემი ხარ თუ სხვისა?
— რა ვქნა, როგორ გაგირჩიო? —
თვალი ცრემლსა ღვრისა.
ნეტა იმის სიცოცხლესა,
ვისიც თვალი სჭრისა.
გავა, თვალით გაიხარებს
გაზაფხულის პირსა,
აქეთ-იქით მიიხედავს,
ყვავილი აქვს ხილსა,
თვითონ მე მაქვს მოხერხება
ლექსის გამოთქმისა.

ლექსო, ამოგთქომა

ლექსო, ამოგთქომ, ოხერო,
თორო იქნება ვკვდებოდე,
და შენ კი ჩემდა სახსოვრად
სააქაოსა რჩებოდე,
გიმღერდენ ჩემებრ სწორები,
ფანდურის ხმაზე ჰყვებოდე,
ქვეყანა მხიარულობდეს
და მე საფლავში ვლბებოდე.

ნეტავი, ჩემო სახელო,
დიღხანამც იხსენებოდე,
ჩემო ნათქვამო სიტყვაო,
შენამც კი გაჰქვეყნებოდე.
შენ, ჩემო საფლავის კარო,
შენამც კი აჰყვავდებოდე,
სახლო, არ დაიშლებოდე,
ცოლო, არ გათხოვდებოდე.
ერთ ეგეც უნდა ვიკითხო,
ჩემ სიკვდილს ვინ იტირებსა,
ვინ ჩამააბნევს ცრემლებსა,
საქმეს ვინ გაიჭირვებსა.
ამასა ვფიქრობ და გულიც
ამასვე ანამდვილებსა:
დედის მეტს ჩემი სიკვდილი
არავის აატირებსა.
თუმც ნათესავნი, და-ძმანი
ალარ აისხმენ ღილებსა,
მეზობლებიც მიტირებენ,
ძალად დაჰკრეკენ კბილებსა,
ცოლიც ძალიან მიტირებს,
ქვეყანას გააკვირვებსა,
ცოტა ხნის შემდეგ ისიცა
სხვისა ჭირს გაალხინებსა; .
სულ ყველას დავავიწყდები,
ყველას სხვა დაათირებსა.
მე დედის გულში ვიქნები,
ძილსაც ვერ დაიძინებსა,
კენაცვლე ძუძუ გამზღელსა,
გულით ეგ დამიტირებსა;
დედას უყვარვართ შვილები,
დედა არ გვახსოვს შვილებსა,
იმითა გეტანჯავს გამჩენი,
სულ მუდამ გვაცოდვილებსა.

ჯიზავს ბაიკარ ხელიო

შენი ჭირიმე, შენო,
აბრეშუმს გიგავს წვერიო!

საღეჭსოდ ნურას დაზოგავ,
ჯიბეს გაიკარ ხელიო;
ან ამიღე აბაზი,
ან უზალთუნი ჭრელიო,
შაურს კი ნუ ამიღებ,
უსუსურია, თხელიო;
მარჯვენა ხელი გაუხმეს,
ვინც მაგას დაჰკრა კვერიო!

მე რომ ღმერთმა გამაჩინა

მე რომ ღმერთმა გამაჩინა,
ჭკვა-გონება დამატანა:
ხელში მამცა ჭრელი სტვირი,
ამ სოფელში დამატარა,
საცა მივედ, ზედ დამედო —
დიდი იყო თუ პატარა.

პეტრია საზანდარი მარ

პეტრია საზანდარი ვარ,
ლექსების გამომჩარხავი,
აზნაურებში მავალი,
ბევრი თავადის მნახავი.
პურადიაფის შამქები
და პურადქვირის მძრახავი.
თქვენი მტერი და ორგული
სულ პირქვე დასამარხავი.

შაირის თქმითა

შაირის თქმითა ვერ დამლლი,
ახლოს ნუ მომეკარები,
წადი, სხვისაგან ისესხე,
ადე, მოძებნე კარები.

ბ ი ვ ო

ბიჭო, შენც ხომ კარგად იცი,
მგელი ბატკნისა მტერია;
ხურჭინი ლექსით სავსე მაქვს,
გულა პირმოსახსნელია.

აბეჩავ, ჩვენო სოფელო

აბეჩავ, ჩვენო სოფელო!
აწ ლექსობის დრო დამდგარა.
ლექსებ გიუბნავ, გიგიავ,
ზოგ ქებით ცაში შამხდარა.
ვერც-რა გიუბნავ სწორადა,
შენ საიქიო წამხდარა.
შენებ ნაქები ოქები
ნეტავი გზაში შამყარა!
ხმალს კი წელზედით შავხსნიდი,
მე თუ ძალიან შამშალა.
ერთუცთან კარგა ყოფაი
არცად შავნანდასთ თან-თანა.
მე კი გავიტან ბოლოსა,
რომელიც ჩემკეს დამდგარა.
თუნდა ხევსურეთ იკითხეთ,
როს გადაგენით სხვასთანა?
სიტყვა შასარცხენელ არ მითქომ,
სწორებო, მანდლიანთანა?
ღმერთმ გიყოსთ თავის გულისა,
თავის ქალსთანა, ზალსთანა!
მაგის მეტს აღარ ვიამბობთ,
ფანდურის ალყა გამწყდარა.
თუ რას მოლექსეს იკითხავთ,
ქვე-ქვეუბნელამ დათვალა.

ქალის წყევლა — მეზაირის

ხუთშაბათ გათენებადა
მაგრა ჩავიცვამ ჯღანსაო.

მე რო ლექსობას დავიწყებ,
არვინ მიჰერთა მხარსაო?
მეორ-მესამე წელია,
ვერ უპატრონე თავსაო.
ხევსურეთ ამბავ გასულა,
გულ უცინებავ სხვათაო.
შენ, ჩემო მეშაირეო,
რას მიგონებდი ჯავრსაო?
ქალმ მალექს—უძმოს დავაგდებ,
ძმათ მიღნატრიდას სხვათაო.
ვაქმ მალექს — ეეწ იყურე,
შენს რახელს¹ ვიტყვი კასაო!
ნანატრის გაცხადებითა,
ამინ სწერიხარ ქვასაო,
მთით გატეხილსა ნაქარსა,
იმ დიდის ფერდის ზეავსაო,
ან აიმ ალაღებულსა
ჩვენის ძირულსა წყალსაო.
გაგიტანს ზღვის ნაპირადა,
თევზებ გამახრავს ძვალსაო,
მალლით ჩამავა ყვარნები,
წინ-წინ დაგთხრიან თვალსაო.
მამას დაგიგდებ ოხერსა,
იკვირაებდან სხვანიო.
ლურჯასა შენდ ნაკურთხევსა .
მხედარს ურჩევენ სხვასაო;
შინ წაგილაღვენ დიაცსა,
უკულმ დასჯრიან კარსაო.
გადისწორებენ მამულთა,
სამანს გადუღგმენ მთათაო.
რო მახკვდებ, საიქიოსა
უნცროს მექნები ქალსაო,
მსახურად დაგიყენებდი,
დაგაზიდვინებ წყალსაო.
მე კი ციხის თავ შავნდები,
აიქით გესრევ ქვასაო.
ამაგას გამამჩებოდი
ამაგის მალექსარსაო.

შენ, ჩემო მეზაირეო

შენთვი ლექსია ნათქვამი,
მეუბნებიან სხვანიო,
რა მიქნავ საზაიროი,
გაკვირვებულ ორ ქალიო.
შენ, ჩემო მეზაირეო,
სწორთამც ხარ წინამძღვარიო,
კლდეთამცა გადმაღვარდები,
ქალას ჩახვიდე მკვდარიო.
დაგლევდას ქალაშიითა
აღალეებული წყალიო,
გიძევდან ყვარნის ხმაზედა,
მიდ-მოდოდეს ჯარიო,
შამაგაწვინა სკამზედა
წითლის ფარდაგით, მკვდარიო,
გიყუყუნებდას დედაი,
გიწკმუტუნებდან დანიო,
შენ ტყობიობას¹ იძახდან,
მე შუშპარს² ვიქამ ქალიო.
შენა სატირლად წამავლენ
ე ჩემი მამა, ძმანიო,
გერჩიყო შაირობასა
ფეხზე ჩაგეცვა ჯლანიო,
სოფელში თათით³ არ გევლა,
არ მაგეყივლა⁴ გვარიო.
ამაგის მალექსებელი
ახოური⁵ ორ ქალიო,
ფეხზე ჩავიცვი ჩუსტები,
გიგაის მანატანიო.

¹ სიკვდილის ამბავს; მ ტ ყ ბ ი ე ბ ა — სიკვდილის მაცნე-

² ტეკვას.

³ წინდით.

⁴ შეგერცხვინა.

⁵ ბარისახოდან.

სიმღერე მაუგონს არსა

სიმღერე მაუგონარსა,
ნეტარ რა უყვა თავსაო?
მამის ძმათ მალექსებელსა
ნამუს ვინ მისცა ქალსაო?!
მამის ძმათ შაირ არ უნდა,
ფარტენათ უნდა ჩასთვაო!

კაცობა და ჯაბანი²

კაცობამ უთხრა ჯაბანსა:
— მოდი, ვიყიდოთ ბაკლაო!³
— ჰო, შენმა გამარჯვებამა,
მაგის მეტ რაღა გაკლაო?!
ასეთს რად იტყვი, კაცობავ,
რაითაც ჩემს გულს დაჰკლაო?!
ფეხზეით ქალმებ დაგვივდა,
თავზედ ქუდ აღარ გაკრაო.

პეტრე-უტურს

უტურმა სახლი ააგო
ცილა-მპალაის მუხისა,
კარებზე მიდგებ-მოდგება
ყელმალაღალის წუღითა,
წელთა ჰრტყავ ოქროს ქამარი,
უხდება, კიდევ უღირსა.
მამუკა ცხვარში გაგზავნა,
ოსმალში გადაუღისა.
ქედილაც აიქ გაყიდა,
მატყლსაც აიქავ უთვლისა,
ფული ვერაში ჩაყარა,
დაღონება აქვს კურკლისა.

1-2 ფშაველი მოლექსებეი.

3 მოხარული სიმინდის მარცვლები.

უტური-პეტრეს

მა ნაგზირულის პეტრემა
სამ პირად დადვა ბინაო;
ჩარგალს ააგო სასახლე,
გაღუსვა კალა-რკინაო.
ხუთი ათასი ცხვარი ჰყავ,
შვიდი მწყემსი ჰყავ შინაო.
ათ თუმნად ქობებ¹ იყიდა,
შინ დადვა კაი ბინაო.
რაც ფშავში ქევხეებია?²
ერთი ვერ უვლის წინაო.
შუშანათ პაპა ჩიოდა,
სუ მაგან შაგვარცხვინაო:
ქალაქის მემატყლეები
სუ მაგან დაიპირაო;
ოც თუმნად თოფი იყიდა,
ვერცხლში არა ჩან რკინაო.

თავადაც ყორანაი ვარ

— თავადაც ყორანაი ვარ,
ცხენიც ყორანა მეზრდება.
— ჩვენც გვიყვარს ეგეთი სიძე,
მეტ იყოს სხვა და სხვებზედა.
არც ჩემ ცხენია ნაკლები,
ჩალა-ბზეს ცეცხლად ედება.
— ცოლიც მყავს კარგის ხელისა,
რა ჩოხა დამიძველდება,
დილით შებმული ფარტენა
სალამომდინა გძელდება,
პირით გაღიტანს ვახშამსა,
იმას არ იტყვის, თენდება.

¹ საარაყე ქვაბები.

² მდიდრები.

კ ა ზ ი ა

- I — ჩემთან გადმოხე, ბახო,
გადმომიძახე კაფია.
- II — შენთან რა მიხდა, გეჭურავ,
ლურთხუმელ კაცი ნავსია.
- I — სტუმრისა ვიციტ დახვედრა,
ჩამოვსვამთ ზემო თავშია.
- II — იმას მიპირებ, გეჭურავ,
ეხლავ გამაგლო კარშია.
- I — კალოში მაინც აგიყვან,
ვერ გასძლებ ავი დარშია.
- II — შენ იმას მელი, გეჭურავ,
გადმოგაწოდო თასია.
- I — ა შენმა გამარჯვებამა
მიშველ ქერების მკაშია.
- II — შენ ქერების მკა რათ გინდა,
სახლი გაქ ფარჩით სავსეა.
მე თქვენზე გამიგონია,
ვაჭრებსა სცარცვავთ გზაშია.
- III — ერთმანეთს სიტყვას აყვედრით,
დაეწვი აგრეთი კაფია.
- I — უყურეთ ივანეს პერანგს,
როგორ ღილებით სავსეა.
- II — მეც ბევრი შემოვიარე,
იქნება ბალახს ასხია.
- I — შენი ბახაი გიყიდის,
თუ შენ არა გაქ ფასია.
- II — კაფიობითა ვერ გამტებ,
დამეხსენ ბიძაისაო.
- I — საჩქაროდ მოგაწმენდინებ
ე მაგ. ცინგლიან ცხვირსაო.
- II — მე შენ არ გეუბნებია,
შე ჩემის ციცაისაო!
- I — ომი არ გაუკვირდება
შენი დედ-მამის შვილსაო.
- II — სულ ერთად გაგაცრევიანებ
წვრილ საფანელს და სხვილსაო.

- I — მაინც გაგტეხავ ლექსითა,
არ დავიძინებ ძილსაო.
- II — თუ მაწყევინებ ლექსითა,
თავზე დაგაყრი ხრილსაო.
- I — ეგრე გადმოვყრი ლექსებსა,
როგორც წისქვილი ფქვილსაო,
მერიდე, იქით იყავი,
ცუდ ხასიათი მჭირსაო,
ჩხუბშიაც ძან მაქებენ,
ჩემი ხანჯალი სჭრისაო.
- II — ე შენისთანა გიყები
მალე წაახლით ცხვირსაო,
წელანვე გითხარ, გენაცვლე,
ნუ გადიკიდებ ჭირსაო.

მოდო, შირაქში წავიდეთ

- I — მოდი, შირაქში წავიდეთ,
იქ გვიბარებენ შვილები.
- II — აბა შირაქში რა გვინდა,
აქაც ბევრ მოდის სვილები.
- I — მოდის და რაით მაიტან,
უნდა დაჰკაზმო ვირები.
- II — იმათ ენაცვლოს პატრონი,
დააქვის თეთრი ცხვირები.
აღმართში დარატრატდება,
ქვემოთ მე დავეხირები.
- I — იქ ყველას ურმით მოიტან,
რა გაქვის გასაჭირები!
- II — ურემს მაუკვდა ამშენი,
დამწვეტებული ჩხირები.
გადაბრუნდება ლაფშია,
დადექ და კრიჭე კბილები,
იმას ვერ ამოათრევენ,
თუნდა დახვიო გმირები.
- I — თვითონვე გამოიტანენ
შავი კამეჩის შვილები.

II — კამეჩს მაუკედეს პატრონი,
იმათ თუ ველუპინები,
არ ეყოთ სადილ-ვახშმადა
ფშავ-ხეჭსურეთის თივებო.

პრელა და პიჩოელი ლევანი

ლ ე ვ ა ნ ი:

ახლა კი შაგხვდი, ჰრელაო,
დაგამტერევე, როგორც თხილია-

ჰ რ ე ლ ა:

მანამ მე გამტეხ, ჰიელო,
მანამ არ მოგტყდეს კბილია.
ცივ წყალ დალიე მალევე,
ცხელ გული გაიგრილია.

ლ ე ვ ა ნ ი:

კახეთში რისად ჩამოხვე,
რადა ხარ გამოჰრილია?
არ გეზადება მარცვალი,
ერთხელ მოსაზელ ფქვილია.

ჰ რ ე ლ ა:

შენ სადლა გაქვის ბელელი,
შარშანის დაბეჰდილია,
მასესხე, მაგრამ არა გაქვე,
შენდაც სუ გაწყვეტილია.

ლ ე ვ ა ნ ი:

აქ კახეთია, მაიცა,
ოთხით გაგვიბამ ფთხილია.

ჰ რ ე ლ ა:

ის ხელ-ფეხს მალევე გაიხსნის,
რომელიც გამოცდილია.

ლ ე ვ ა ნ ი:

ქახეთით ბევრი დავგზავნეთ
ყოველით გახელილია.

ქ რ ე ლ ა:

გუშინაც მუქარა მთხოვე,
გულსა მაქვს შამოყრილია.
მგონია ქიჩოელი ხარ,
ჟოლმა არ მოგქრას კბილია.
ხინკალ არ მოგიხარშავთა
არაგვში გადაყრილია?¹

პ ა პ ა დ ა შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი

შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი

დაბერებულხარ, პაპილო:
ალარ მოსწონხარ ქალებსა.

პ ა პ ა

რაც უნდა ღრუბლიან იყოს,
მაინც შუქი აქვს მთვარესა.

გ ა ბ ა ე ს ე ბ ა

ც ი ს ა დ ა ჭ ვ ე ყ ნ ი ს ბ ა ა ს ი

ც ა დ ა ჭ ვ ე ყ ა ნ ა შ ე ი ბ ნ ე ნ ,
მოჰყენენ თავ-თავის ქებასა,

¹ ქიჩოელებს დასტინიან, რომ ბიძაშვილს მოუკლავს თავისივე ბიძაშვილი ჟოლიანებში, დათვი ჰგონებია. მეორე, მჩქეფარე არაგვში ხინკალი ჩაუყრიათ, დუღსო.

ერთმანეთს პირში აყრიდნენ
 თავ-თავის გულის ვნებასა.
 ცაძ უთხრა დედამიწასა:
 — ქებით არ გეტყვი ამასა,
 მე რომ ვარსკვლავებს დავისხავ,
 შენ რასა იზამ მის ფასსა?
 მიწამ უთხრა მალლა ცასა:
 — კეეხნით ნუ იტყვი მაგასა!
 გაზაფხულს ავაბიბინებ,
 ავყავავებ ია-ვარდსა;
 მე რომ მოსავალს მოვიყვან,
 შენ რას იზამ იმის ფასსა?
 — შენ რომ მოსავალს მოიყვან,
 მე გავუჩენ აღმურ ქარსა,
 ისეთ გვალვას დაგაყენებ,
 სულ გადგიწვავ მთა და ბარსა.
 — საცა მინდა, იმ ადგილას
 გამოვადენ წყაროს წყალსა,
 ქვეიდან სიგრილეს მივცემ,
 გავუკეთებ ყანას თავსა;
 დამშეულებს გამოვკვებამ,
 შევიინახავ ქვეყანასა.
 — შენს ნათესს და ნამუშევარს
 ბღღვირს ავადენ ყველას გარსა,
 ელვა-სეტყვას გამოვუშვებ,
 სულ დავიტან მთა და ბარსა.
 — სეტყვა საიდან იქნება,
 საძირკველი ჩემზე დგასა?
 სეტყვას შენ ვერ გამოგზავნი,
 ზღვიდან თუ არ მოგცემ წყალსა.
 და რომ სეტყვა მოიყვანო,
 აქ ავანთებ კელაპტარსა,
 ქრისტე-ღმერთსა შეგაპირებ,
 სულ დაგიბნევ გზა და კვალსა.
 — აბა, ერთი რად ჰკადრულობ,
 ქებით რად იტყვი მაგასა?
 ჯერ ეს მითხარ, ქრისტე-ღმერთი
 ცას არის თუ ქვეყანასა?

— აქამდინ აქ ბრძანდებოდა,
ახლა წამოვიდა ცასა,
შვიდჯერ დაჰკეცს შენს ღრუბლებსა,
ისე დაბრძანდება ტახტსა.
ცამ ველარაფერი უთხრა,
ველარ გაწვდა იმის განსა,
შვილი ჩარქვით დასჰარბა
ღედამიწამ მალლა ცასა.

ნახშირმა თჳვა

ნახშირმა თჳვა: — მე მაჩივლე,
ენახო ჩემი სამართალი;
ყველა ჩემით კეთდებოდეს
სანნისი და საკვეთელი,
კარგი თოფი, კარგი ხმალი,
კარგი იარაღი, მჭრელი.
იმას ბამბა წამოუდგა:
— მე რითი მჯობს ფერი შენი?
ჩემი მუშა არ მოსცდება,
ჩიხრიხი და საპენტელი.
პარკის ჭია წამოუდგა:
— მე რითი მჯობს ფერი თქვენი?
თავადები დავამშვენე,
ახლა გლეხებს მივყავ ხელი.
ამათ ფუტკარ აღუდგება:
— მე რითი მჯობს ფერი თქვენი?
ჩემს ბახჩაში გადმოჰხედეთ,
თაფლი გინდ თუ შაქრის წვენი,
სანთელი თუ კელაპტარი
ღმერთთან ბევრი მიღის ჩემი.
ამათ პური უპასუხებს:
— მე რითი მჯობს ფერი თქვენი?
მიყურეთ მკათათვეშია,
როცა მოვიღერო ყელი,
წამომიცივდენ ბიჭები,
ნამგალს წამოავლონ ხელი.

ამათ ცხვარი წამოუდგა,
კოჭ დაბალი, გავა სქელი;
წამოდგა და უპასუხებს:
— მე რითი მჯობს ფერი თქვენი?
ცალ ნხარეზე მატყლი მიძევს,
სამ კუთხეში კვერი ყველი,
ბაკის კარებზე ვყუდივარ,
შიგნით ბატკანს გამოველი.

მზე და მთვარე

ნათელმა მთვარემა ბრძანა:
— ბევრით მე ვჯობივარ მზესა.
დაჯდა, დასწერა წიგნები,
ზენა ქარი მიაფრენსა.
მზეს რომ კაცი მიუვიდა,
მზე ძალიან გაჯავრდესა:
— მე და ვარ და ის ძმა არის,
რად ვძულდებით ერთმანეთსა?
ავი ამინდი რომ დადგეს,
ის ხომ ვერ გააშრობს გზებსა;
მცივანა კაცს ვერ გაათბობს,
თუ არ დაანთებდა ცეცხლსა;
თუ ეს სიტყვა მართალია,
ჰკითხევით ღამის მეხრესა.
ღამის მეხრე დაიბარეს,
ულვაშებზედ ისვამს ხელსა.
— დაჯექ, ბიჭო, სწორედა თქვი,
თორემ მიგცემთ სატანჯველსა.
დასვეს და ალაპარაკეს,
მეუფე ყურს დაუგდებსა.
— მე უმზეოდა ვერ გავძლებ,
ღამით კი გავტეხავ ბნელსა;
დღისით შევზვერაგ ბალახებს,
ღამით მიერეკ საქონელსა.
ერთი მაზარა უბოძეს,
ღამით მავალია ესა.

ღვინოზე კაცი გაგზავნეს,
ორივე შეარიგესა.
ცისკარი მოჩანჩალებდა,
თავისს ტყავსა მოათრევსა;
— გათენებისას ამოდის, —
პანლური ჰკრეს, გაავდესა.
შუქურ-ვარსკვლავი მობრძანდა,
ის ძალიან დაათვრესა,
ხალათი გამოუცვალეს,
კაი ჩოხა ჩააცვესა.

თვეების გაზაპსება

იანვარი შემოგვლმუის,
როგორც რომ მშვიერი მგელი,
ლობე, საბძელი სულ დაწვეს
ალარ შეარჩინეს წნელი.
თებერვალმა დაუბერა,
როგორც კარგი საბერველი.
მარტმა თქვა: — ქორწილს ვაპირებ,
ყველამ მომიმართეთ ხელი!
ცხვარი და ძროხა გავწყვიტე,
არ გავუშვი ჰაკი ცხენი.
როგორც ჩვენმა პატარძალმა,
დღით ხუთჯერ წავისვი ფერი,
ხან თოვლის ბური ტრიალებს,
ხან მზე გამოჩნდება ცხელი;
აპრილმა შემოუთვალა:
— მარტო, ნუ ხარ ჰკუა თხელი!
შენ შენი გაგკვირვებია,
ახლა მოისმინე ჩემი:
ძველი ლორი ბევრი დამრჩა,
ახლა ახალს მივყავ ხელი,
ორ შაურად გაგიხადეთ
კამეჩების გავა სქელი.
მაისმა თქვა: -- სახლს ვაშენებ,
ჩამიყრია საძირკველი,

კაცი რომ მზეს გაუწვება,
 მაშინ გაუთბება წელი.
 ეს თიბათვე მობრძანდება:
 — თივა დავდგათ ბევრის-ბევრი,
 დამიძახეთ ვაჟკაცებსა,
 ცელებს წამოავლონ ხელი.
 ეს მკათათვე მობრძანდება,
 ყანამ მოიღერა ყელი:
 — დამიძახეთ ვაჟკაცებსა,
 ნამგლებს წამოავლონ ხელი,
 ძნა კალოზე მოიტანონ,
 ყანა იყოს, გინდა ქერი.
 მარიამობისთვე დადგა,
 სიცხე ჩამოვარდა ძნელი.
 ენკენისთვე მობრძანდება,
 მაშინ არის კალო-რთველი,
 სიმინდები მოიჭრება,
 ხილი მოაქვს მეტად ბევრი.
 ღვინობისთვე მობრძანდება,
 იწურება ყურძნის წვენი.
 — დამიძახეთ ვაჟკაცებსა,
 გამორეცხონ საწნახელი,
 მოამზადონ ღვინისათვის,
 ქვევრებს მოუღერონ ყელი.
 გიორგობისთვე დადგება
 და ქორწილი არის ბევრი.
 ქრისტესობისთვე მობრძანდა
 დღემოკლე და ღამე გრძელი.
 ტყე სულ თეთრად დაიბარდნა,
 დაეკიდა თეთრი წვერი.
 გამარჯვება იანვარსა,
 ახალ წელსაც დაესწვერი!

კური, ღვინო და მხალი

პურმა თქვა: მე ვარ ქებული,
 სუფრაზე ჩარიგებული,

უჩემოდ არვინ არ ვარგა,
არც მეფე, არც დიდებული,
ყოველგან მოხსენებული,
სადაც არიან კრებულნი,
მეტადრე მშვიერისათვის
ვარ სულით განათლებული.
ღვინომ თქვა: მეც ვარ ქებული,
სუფრაზე ჩარიგებული,
უჩემოდ კაცი არ ვარგა,
თუ არის მირონცხებული.
პირგემოვნება კარგი მაქვს,
სახით ვარ გამშვენებული,
უჩემოდ ლხინი არ ვარგა,
ქორწილი შემოკრებული.
კაცს მოვაშორებ ცოდოსა,
თუ კი ვარ შემზადებული.
მკადმა თქვა: ერთსა მეც ვიტყვი,
მეც მოსავალში ვწერივარ,
პურთან კი არ დავედრები,
და არცა დასადრელი ვარ.
მთოხნიან, ძირს მიჩიჩქნიან,
წვალებით მოსასვლელი ვარ.
ქართლელი კაცი არ მყვარობს,
რო გამომაცხოს კეცშია,
მე გურიაში მაქებენ,
გავდივარ აფხაზეთშია,
ყველგან ვარ წარჩინებული,
სრულიად იმერეთშია.
იქ თვალით არ გამიცდიან,
იმ ოხერ სათათრეთშია;
ამ ქართლს რალა დავუშავე,
მაგდებენ თონის ცეცხლშია,
ლხინ-ქორწილს არ მაჩვენებენ,
არც წამიღებენ რთველშია.
ვინაც ღარიბი კაცია,
გულით დავყევარ ტყეშია,
მშვიერი კაცი კი მნატრობს:
ნეტავი მომცა ხელშია.

თუ ახლად გამომცხვარი ვარ,
ტკბილად ჩაევილი ყელშია.

სამშობლო მხარე

ჩემი სამშობლო

მე მიყვარს ჩემი სამშობლო,
დაველექსები შორითა,
რო აივსება ხევები
შთიდან მოსული ზოვითა.
თან გამწვანდება გორები,
ვერ ვძღები იმის ცქერითა .
მას შეესხმება ცხვარ-ძროხა,
მიდის და მოდის ძოვნიტა.
გვერდიდან მწყემსი უყურებს,
გაბუდებულის წვერითა,
ხელს შეინდის ჯოხი უჭირავს.
გუდასა ზიდავს წნელიტა.
გული აქ გალაღებული
ცხვრების ნაწველი ქონითა,
გვჯობია შინაურები,
დედაკაცებთან წოლიტა,
თუ არა მიუტანეთ რა,
თოლები სწყდებათ ცქერითა.

მ ა მ უ ლ ო

მამულო, შენთვის მოგვედები,
შენთვის ჩავიცვამ შევსაო,
შენ შემოგწირავ სიცოცხლეს,
შემოგვევლები თავსაო.

ი ც ო ღ ე

იციოდე, კუტი სჯობია,
ცუდ გზაზე კაცსა მავალსო;

ქვემძრომი გველი სჯობია,
სამშობლო ქვეყნის მცარავსო.

სამშობლო მხარე

მთის წვერონო, თოვლით მორთულნო,
ქედებო ყინულიანო,
სანატრელი ხარ სულ მუდამ,
ჩვენო სამშობლოვ, ტიალო.
ზამთარში თოვლით იკვრებით,
გაზაფხულს აშრებიანო,
გულის საამოდ ოხერი
კამკამა წყალნი გდიანო.
ჩაჩქრიალებენ კლდეებზე,
მალღერენით გადადიანო,
კლდის ძირზე დულს და ამოდის,
ქათები გადმოდინანო.
ნადირნი მოვლენ, დალევენ,
თან კიდევ იბანნიანო.
მემრ თამაშობას იწყებენ,
ზვავებზე გამოდიანო.
შურთხნი კვიხკვიხით დადიან,
საამოდ წასტვენნიანო,
არწივნი შურთხებს ელიან,
კლდის თავით უმზერიანო,
უცბად წამოჰკვრენ კლანჭებსა,
კარგი ბიჭობაც ჰქვიანო,
ან ნადირთ ციკანს მოსტაცენ,
დედებ ჩხავილით დიანო.
ველებში კოხტა ყვავილნი
სანთლისებრ დაჩნდებიანო,
ტყენი ასულან ლარივით,
სახელად ფიჭვი ჰქვიანო.
სუფთა ჰაერი ტრიალებს,
საამოდ გულში ცვივანო.
ჩემთვის იქ სიკვდილ სჯობია,
თუ გინდ დამცინეთ, ჰქვიანნო.

ეს სიტყვები ვთქვი სახსოვრად,
სამზეოს დარჩებიანო,
გვარად ვარ შამშალაიძე,
სახელად ალექს მქვიანო.

ნეტა ქება როგორ ითქმის

ნეტა ქება როგორ ითქმის
ამ თბილის-ქალაქისაო.
იმისი აბანოები
ფასია ხმელეთისაო.
ოთახები ააშენეს,
ნათალი არის ქვისაო,
ფანჯარები დაატანეს,
საყურბელი მზისაო,
შიგ წყარო ამოიყვანეს,
მილი აქვს კრამიტისაო,
ქალაქის ხალხი გამოდის,
როგორც ფურცელი ხისაო,
ქალი და რძალი ლამაზი,
როგორც ვარსკვლავი ცისაო.

გენაცვალ, კავკასიონო

შთის გულს მოშორდი, წყვიდადო,
ღამით დამდგარო ბნელისა,
ნიაგო, ააბიბინე
მწვანე ბალახი მთებისა,
ჩამოსკარ, შურთხო, კიუხში,
ზარი ბუნების ღხენისა,
მზევე, ჩამოხქარგე ოქროთი
თავი მაღალი მთებისა.
აბანოსთავ მდგარ ნისლებსა
წამოუქროლე, ნიაგო,
მაშინ გამოჩნდი, ლამაზო,
შავკილდის მთანო კლდიანო,

პირ დაღბან, გაალამაზე,
ცისმარე დილავე, მზიანო,
გენაცვალ, კავკასიონო,
ლალო და ლაზათიანო!

ლიახვი

ლიახვი თქვა: ავდიდდებო,
არაგვს არ დავედარები,
მოვალ, მოვხუი თავდაღმა,
ფეხებს არ მინდა ნალევი.
ქურთაში ჩამოვიარე,
მომაქვს ოსური ტყავეები,
აქებდენ ლიახვის ხიღსა,
ზედ გადავხვიე მკლავები:
ისე მოვხადე ქვევრები,
არ მოვანდომე ჩარები,
პატრონი გორაზე მირბის,
იქ მაინც დავიმალევი!
ქალაქს მივყიდე მებალეს
ფეშანგიშვილის ღარები.
მცხეთის ხიღთან რო მივედო,
შორს მივაბიჯე თვალევი.

სოფლებზე და სოფლებზე

მეჯრუხევეში ბევრი შეშა,
კავთიხევეში ბევრი კირი,
ბიჭებო, ბანი მითხარით,
ყველამ დააღვეით პირი.

ნეტავი თევზი მაქამა
ქვემო ხანდაკის წყლისაო,
ზედ ღვინო დამალეინა
მუხრანბატონის ზვრისაო.

კეზველი კაცი მგელსა ჰგავ,
აჩაბეთელი ტურასა,
ხეიფელგბი მოდიან,
აფხაკუნებენ გუდასა.

ვარიანი — ვალიანი
უტყეო და ქარიანი,
ახალდაბა — გადადაბლდა,
არაშენდა — გადაშენდა,
თედოწმინდა — ლეკმა წმინდა.

ტილო ზედა ქსოვრისო,
კარგი სოფელი გქვიანო,
არც წყალო, არსად წისქვილო,
არც მეზობელო ღვთიანო.

ბაღდადი არის დიღომი,
რომ არ იცოდეს ქარია,
სიმიინდი ბევრი მოსულა,
ყველას დაუდგამ ძარია.

ღმერთმა დასწყევლოს ტყვიავი,
თოვლს დასდებს, აღარ აიღებს,
რაც მოსავალი მოგვივა, :
მოვა ბატონი, წაიღებს.

საწყალპუროდ კვარხითი სჯობს,
საპურღვინოდ კირბალ-ზერტი,
ბერუშეთი ყველასა სჯობს,
მაგრამ ბატონი ჰყავთ ცეტი.

არადეთს რომ გამოვედი,
ძლივს გავიგონე ქართული,
რუისელი კაცი მორბის,
მუჰა არა აქვს დაფქული.

რას ვაქნევ შევშევებს, ნაწრეტსა,
ნადარბაზევსა ქვიანსა,

მეჭუდის ძირის ჭირიმე,
ირემს ჰგავს ქორბულიანსა.

მე ხომ ბოსლელი არა ვარ

მე ხომ ბოსლელი არა ვარ,
დათვი შემიხდეს მსხალზედა;
არცა ვარ ათნოხელი,
წყალი ჩამიდის კარზედა,
ღუმაცხოელი არა ვარ,
ჩოხა გამთრევედეს გზაზედა;
არცა ვარ ჩოხელი კაცი,
ჭიანურ ვუკრა გზაზედა;
მე გამსიველი არა ვარ,
ზვავი მომიხდეს კარზედა;
არცა ვარ დიდებათაი,
ცხენი შევკამო გზაზედა;
არცა ვარ კიტოხელი,
სულ ხელი მედვას ხმალზედა;
ცუკქუნაურთი არა ვარ,
ეშმაკი მედგეს კარზედა;
მე თორელათი არა ვარ,
ვიდგე შარიან გზაზედა!

ანანურს ციხევ, მაღალო

ანანურს ციხევ, მაღალო,
საყდარო გუმბათიანო,
ქალო და რძალო ლამაზო,
ვაჟკაცო ლაზათიანო.

ახალდაბა, ვარიანი

ახალდაბა, ვარიანი,
ახლო-ახლო არიანო,

ვისაც კარგი ქალი უნდა,
კარალეთში არიანო.

მეჯრუხეო

მეჯრუხეო, შემკობილო,
წინ მინდორო, უკან ტყეო,
ბიჭებისა სახარელო,
ქალებისა სამოთხეო.

შავო მუხრანო

შავო მუხრანო, დამწვარო,
შენ ციხის ძირო, ქანდაო...
გამოგეგზავნა მოახლე,
ვერ გიახელი მანდაო.

ახლო-ახლო ხართ, სოფლებო

ახლო-ახლო ხართ, სოფლებო,
გალმა მეტეხო, წიაბო,
მე შენთან როგორ ვივლიდი,
ცხენი არა მყავს იაბო.

ოჯახი

ვაიმე, დედის ამაგსა

ვაიმე, დედის ამაგსა
ვერ გადაუხდი, რა უყო?!
ზურგს ავიკიდო, წავილო,
ველარც ვერევი, რა უყო?
დავემხო დედამიწაზე.
დაბლა ჭინჭველას ხმა უყო?!

ზღვაზე ხილსა ვერვინ გადებს

ზღვაზედ ხილსა ვერვინ გადებს,
ვერც ვინ დაუღებს ღირესა;
ვერც გადააწვდენს ბაღესა,
ვერც მაუხელავს ძირესა;
ვინა თქვა, წილი არ უძე,
სუ დედა არ ზრდის შეილებსა?!

სამგორისა მინდორზედა

სამგორისა მინდორზედა
თეთრი ცხენი მოგოგავდა,
ზედ ბიჭი იჯდა ლამაზი,
შავარდენს თუ ქორსა ჰგავდა,
უკან მისდევს კოჭლი გოგო,
შოსტიროდა და მოსთქვამდა:
— ბიჭო, უკან მოიხედე,
სიტყვას გეტყვი უმეცრადა.
სიკოჭლეზე რასა მწუნობ:
განა კურდღელს მადვენებო,
შვილებსაც კარგად დაგიზრდი,
ერთს არ დაგიზიანებო,
საფეიქროს ჩავეუჭდები,
მაქოს გაუძლიარებო,
ჩოხა-მერდინებს მოგიქსოვ,
ფულებს ჩაგიჩხრიალებო,
ახალოხს კარგს შაგიკერავ,
ლილებს დაგიწკრიალებო,
პურსაც მალე გამოგიცხობ,
ჯერს არ დაგიგვიანებო.

ფანდურზე დაკვრა

ფანდურის დაკვრა ვინ იცი?
ფანდურს ხუთთავ თითს ცვლა უნდა.

აეგრევე ჭალაფობასა¹
ფანდურებულას რთვა¹ უნდა.

ქალო და ზალო

ცხვარო, გამშვენებს ვაც-ვერძი;
ვაც-ვერძო — თავ-რქიანობა.
სახლო, გამშვენებს ჭურჭელი;
ჭურჭელო — ყანწიანობა;
ქალო და ზალო² — ჭკვა-გონი,
ძმა-ზალში გემრიელობა.

ბრძენთა ენასაც არ ძალუძს

ბრძენთა ენასაც არ ძალუძს,
შვილო, იგ შენი ქებანი;
მალირსოს შენის ცრემლითა
უფალმა დატირებანი!
როცა შენ გზედავ. გულიდგან
მშორდება მწუხარებანი!
ყელი გაქვს ბროლისა მსგავსი,
სიტყვა კრძალვისა, ნებანი;
ჭკუა გაქვს ჯერეთ ყმაწვილი,
სული იცის ჩვენი ნებანი.
ღვთის სატრფო, მოყვისისა სატრფო,
მმოწმობენ ბრძენთა კრებანი,
ნურავინ მძრახავთ ამისთვის,
შვილობითა ვთქვი ქებანი!

ტურფა ბალი და წალკოტი

ტურფა ბალი და წალკოტი
ეკლითა ვინლა შენარა?

¹ აწყობა.

² რძალო.

ნეტავი, შვილო, უბედურს
გველი მეშობნა, შენ არა,
ასკილსა შემოხვეოდი,
ჩერქეზის ქალსა შენ არა,
მუხისა ქერქი გეცვითა,
დიბა-ატლასი შენ არა.

მინანის დედა ნატრულობს

მინანის დედა ნატრულობს
მინანის გათხოვებასა,
მინან კი არა ნანულობს
ორის აკვანის რწებასა,
ექვსჯერ ბოსელში შასელასა,
თორმეტჯერ დაბადებასა.

შენი ძმობა

შენი ძმობა, სიყვარული
გუნებაში ჩამიგდია;
ჭორი ბევრი გავიგონე,
მაგრამ ყური არ მიგდია;
თუ რომ გულით არ მიყვარდე,
ჩემი რჯული დამიგდია.

ძ მ ა ო

ძმაო, რაი სჯობს ძმობასა,
ერთმანეთისა ყმობასა.
ერთმანეთი ვერ ვიცანით,
დახე ჩვენს უგონობასა.
ძმა მაშინ მოგაგონდება,
შვიდნი რომ გცემდნენ მარტოსა,
მაშველებელი არ იყოს,
ეფარებოდე ფლატოსა.

მოკეთებები

ან უნდა ძმასა ძმა ხყვანდეს,
ან კაი შვილი მამასა,
ან უნდა ბიძას ძმისწული, —
ეგეც მაუხნავს ყანასა.

გვერნი ძმანი

ძმათა დავლნატრი ბეერათა,
— შზე ცხრაკნით ამუხდებისა:
ცოლს ვერვინ უტკეცს, დედასა,
შინ ვერვინ შაუხდებისა;
ორგული, მტერი, დუშმანი,
წინ ვერვინ დაუხვდებისა.

უველა ფრინველი

უველა ფრინველი ხეზე ზის,
მწყერი მიწაზე გოგდება,
— ქალი რად გინდა უცხო მხრის,
დასნეულდება, მოკვდება.

უმა გავლილ-გამოვლილი

უმა გავლილ-გამოვლილი სჯობს,
ქვეყნიერება ნახული.
ქალ მამის კერას ნაჯდომი,
საქმარედ თავშენახული.

ლამაზი ცოლის პატრონსა

ლამაზი ცოლის პატრონსა
უნდა ჰყავდეს ძალლი ფრთხილი,

ან ძალღი უნდა ფრთხილობდეს,
ან თავისი დედამთილი.

შანავ, ქერი ხარ

ყანავ, ქერი ხარ ჩარათი,
მზეშუა თავსა დაგიხრის;
ქალავ, თავმამწონარალო,
ქმარ-ყოფნა თავსა დაგიცდის.

შანა მშრალი სჯობ

ყანა მშრალი სჯობ სამკალად
ნამიან-ჰანჰახიანსა. —
ქალი გონჯი სჯობ ლამაზსა,
ქორიანს, საძრახიანსა.

ბ ე ჩ ა ვ ი

ახალწელ დილა გათენდა,
მარტოკა ვზივარ ცეცხლთანა,
დედაკაცი მყავს ავადა,
ვტირი, გულს შემომეყარა
ვიფიქრე, კეცებს მოვხურავ,
სულ ქალებს აცხობს ქვეყანა.
ის ერთი კეცი მომქონდა,
შუაზე გადამეშალა.
ველარც ამ ქადას მოვანვევ,
არ მიდის ერთმანეთთანა.
ძალუას გადავუძახე:
— არას მიშველი ნეტარა?
რა ვქნა, თავი დავიღუპე,
კარები გამომეჭარა,
ცოცხლებში სათვლელი არ ვარ,
უნდა ჩამთვალთ მკვდრებთანა.

გ ა ლ ა

იყო და არა იყო რა,
იყო ერთი ბადა;
მას უბირი ქონი ედგა
შავი ზღვისპირადა.
არცა ხნავდა, არც თოხნიდა,
არცა მკიდა ბადა;
უცნაური კაცი იყო,
ღმერთიც არა სწამდა.
განდგომილად იყო მუდამ
უწყინარი ბადა;
ბადეს ქსოვდა, თევზაობდა;
მარტო ზღვისპირადა.

ცოლი გამიხდა ავადა

ცოლი გამიხდა ავადა,
ცოლი მზის ამომავალი,
დავჯექ და ბევრი ვიტირე,
თავში ვიცემე მრავალი.
ცოლი ქმარ-შვილის მალამო,
სახლის იაზმა გულისა,
დამტირალ-შემბრალებელი
ობლისა, დაჩაგრულისა.
ის არა ჰგავდა სხვა ცოლსა,
ცოლსა ღვთის რისხვას ქმრისასა,
ის ერთნაირად უვლიდა
თავისასა და სხვისასა.
მტერიც რო მკვდარი ენახა,
საბრალოდ ატირდებოდა,
თავს მოიკლავდა ქვითინით,
ცრემლებად დაიდვრებოდა.
ხელში ამყავდა, დამყავდა,
შორ მეზობლებთან მიმყავდა.
იქ ნუგეშს სცემდა ავადმყოფს,
ისევ შინისკენ მომყავდა;

მკითხავემა მითხრა: წამლები
 არ არგებს, მოგიკვდებაო,
 გაეაზის წმინდა გიორგი
 ალოცე, მოგიჩეხაო.
 წმინდა გიორგის მივდივართ
 ყველანი სალოცავადა,
 ცოლი ურემში მიკვნესის,
 მზე მეჩვენება შავადა;
 შევაბი კობტა მოზვრები,
 ჩემი წაბლა და ღვინია,
 ჩემი ქალ-ვაჟიც შიგ ჩავსხი,
 მამის თვალი და ჩინია.
 ალაზანს შეველ ურმითა,
 არსაით უჩანს პირია,
 გაღმით გასვლასა ვფიქრობდი,
 თუმც ცხრა გზით გასაპირია;
 ფონს დავცდი, მორევს ჩავვარდი,
 არსაით იყო შევლანი,
 ცოლ-შვილი, წაბლა, ღვინია
 წყალმა დამიხრჩო ყველანი.
 წყლის პირას თვალი გავადე,
 ვეგდე და სული მხდებოდა,
 კინალამ დაიღუპეო,
 მენავე მეუბნებოდა.
 — დაღუპვა როგორი უნდა?
 შენ ღმერთი არა გქონია,
 გამეცა, თორემ გაგკაფე
 ამ ხანჯლით როგორც მძოვრია.
 ეს ვთქვი და წყლისკენ გავბობლდი,
 დახრჩობა მენატრებოდა,
 მენავემ ხელი დამტაცა,
 ქოხისკენ მეზიდებოდა.
 დაჯდა, დამიწყო ქადაგი,
 როგორც რომ ხევისბერია:
 სიცოცხლეს ვერსად იშოვი,
 ცამდის რომ აპყო ხელია,
 ბედიც და უბედობაცა
 გულის ფიტარზე სწერია.

ვა, ცუდი ცხენის ყოლასა

ვა, ცუდი ცხენის ყოლასა,
უი, სულ უცხენობასა;
ვა, ცუდი ცოლის ყოლასა,
უი, სულ უცოლობასა.

ჩამოვიარე წილკანსა

ჩამოვიარე წილკანსა,
თხა მოეწოვა თიკანსა,
ქმარი ქალაქს წასულიყო,
ცოლი ერდოზე ტლინკავსა.

ავი ქალი

ავი ქალი და კაპასი
მოაკრაკუნებს კბილებსა,
ქმარს მოსაკლავად არ ზოგავს,
ამოსაწყვეტად — შვილებსა.

ავი და კარგი

ავი და კარგი გაცადე,
ვერ გაგაგონე, ქალაო,
თავის გუნების მიყოლა
ვაპ, თუ შაგნანდეს ხვალაო.

რა ქნას

რა ქნას, რომ არა სტიროდეს
შავი და ბნელი ქალიო:
პირდაპირ ჩამოსჯდომია
სიკვდილის ფერი ქმარიო.

რა ვქნა, რა ვუხმო

რა ვქნა, რა ვუხმო თავსაო,
ამ ჩემ პატარა ქმარსაო,
არც შეუძლიან შენახვა,
არც დამანებებს თავსაო.

ნეტავი დამიწუნებდეს

ნეტავი დამიწუნებდეს,
დამანებებდეს თავსაო;
ვივლიდი ლაშარ ლელესა,
ვაჟებს ვავლებდი თვალსაო, —
მაშინ ხომ შავეყრებოდი
ჩემის გუნების ქმარსაო.

ქართლელი ქალის ტირილი

ქალი ტიროდა ქართლელი
ქართლისა შუა გზასაო:
დავყარე წვრილი ობლები,
ვერ გამოვრეკე წყალსაო.
იმისი სული კრულია,
ვინც ქალი ენდოს ქმარსაო,
კოხტასა, ამპარტავანსა,
წვერუხვეველა ყმასაო.
მიყოლა, გადამიყოლა,
გამწირა შუა გზასაო.
მეშვიდე ღამეს მოვიდა,
თვალის არ წასვლის ხანსაო,
ერდოდან ჩამომიძახა:
— რად არ გამიღებ კარსაო?!
ავდექ, ავანთე სანთელი,
შუალამისა ხანსაო,
ოქროის სკამი მივართვი:
— დაბძანდი, ღვთისა მადლსაო.

ქალმანს სახდელად შევადექ,
მუშტი მიღერა ყბასაო:
რად არ ასდევ და იარე,
ჩაჰბარდი თავის ძმასაო?!

ავდექ და გამოვუდექი
ქართლისა შარა გზასაო,
უკან რო თავი ვიბრუნე,
მოაელეგებდა ხმალსაო:
-- ძალო, ვის ცოლად დადიხარ,
ამ საქარაენო გზასაო!
ლოყა უგავდა სინასა,
შუბლი — ქასურსა ქვასაო.
— ვაჟო, რა გინდა, რას მომდევე,
შენი რა წამილიაო?!

ცივი წყლით სახლი მომირწყავეს,
ზედ ვარდი მომიშლიაო,
დედამთილი, მამამთილი
ბოსტანში გამიშვიაო,
ცხრა მაზლი, ნამგლის მქნეველი,
ნათუქძარს გამიშვიაო.
ის ჩემი დამტირებელი
აკვანში გამიშვიაო,
უსურვაზის ხელსახოცი
კამარას მიმიგდიაო,
ჩემი ნეკისა ბეჭედი
კუტალში ჩამიგდიაო!
აილო და დამიქნია,
ხმალი მიღერა ყელსაო,
უმაღ ხელი შევაშველე:
— ნუ მომკლავ, ხოსროს მზესაო!
— მე ხოსრო-მოსრო არ ვიცი,
ეხლავ გამოგპრი ყელსაო!
— გადამავალო ყორანო,
გადამიარე თავსაო,
გადაუტანე ამბავი
ჩემსა ივანეს, ძმასაო.
„დას გიკვლენ. ძმაო ივანე,
ცხვარივით სჭრიან თავსაო,

ეგ შენი ნეკის ბეჭედი
გამოუგზავნე დასაო.
შენსა დას წაიყვანებენ
შვიდი წლის სავალ გზასაო.
შეუკვრენ ხელსა და ფეხსა,
შეაცურებენ ზღვასაო,
ზღვა დაჰკრავს, ქვიშა დაჰლეკავს
ძუძუკოკობა ქალსაო,
იმისი ქამხის სარტყელი
გარს შემოურტყამს ზღვასაო,
იმისი მოვის პერანგი
პერად მოედო ზღვასაო,
იმისი ხუჭუჭ კავები
თევზს მიაქვს საბუდარსაო,
იმისი ლილის თვალეები
ამოუსილამს შლამსაო,
იმის შავ-შავი წარბები
გადუქამია ლამსაო,
ინით ნაღები თითები
გადუქენძია ქვასაო,
ხავსი მოედო ზურმუხტად
შვიდად ნაწნავსა თმასაო.

ქალ, ჭიკიტ ბათხუეზულო

ქალ, ქებით გათხუებულო,
მამისაო და ძმისაო;
ორისავ დაწუნებულო,
მაზლისაო და ქმრისაო!

რა ვიმღერო

რა ვიმღერო. რა ვიმღერო,
ლარიბი ვარ. ლატაკია,
არც ხარი მყავ. არც ფური მყავ,
არც ცოლი მყავ. ფარსაგია;

ვერც ჩაასთხო ფარტენანი,
ვერც მოქსოვა ფარდაგია.

ეს ჩვენებური ქალები

ეს ჩვენებური ქალები
ქარივით ჩამოჰქრიანო,
დაგვისხდებიან ბატონად,
სახლსაც არ დაგვიგვიანო,
თითო ყმაწვილს გაგვიჩენენ,
ბუზღუნით გამოზრდიანო.

ძმა რომ გაეყრება ძმასა

ძმა რომ გაეყრება ძმასა,
ველარ დასდგამს დიდსა ძნასა.
რძალი ეუბნება რძალსა:
— ახლა დაგიყენებ თვალსა!

წუწკი კაცი

ზოგიერთი წუწკი კაცი
ცოლით გაეყრება ძმასა,
წავა და გომში დადგება,
გვერდზე გამოუღებს კარსა.
ძმა მაშინ მოაგონდება,
როცა წავა ყანის მკასა,
თითონ წყალზე გაიქცევა,
ხელეური მიაქვს ქარსა.

ს ი ღ ე ღ რ ო

სიღედრო, შავგვრემანობით
არ დაიწუნო სიძია,

სოფელში მოდი; იკითხე,
გრძელი ვენახი ვისია.

სიძისა შავგვრემანობა

სიძისა შავგვრემანობა
სიდედრს უმძიმდა, ნანობდა,
ის არ იცოდა, რომ სიძე
უფრო მეტადაც ნანობდა.

სიძე ბაღში მიბრძანდება

სიძე ბაღში მიბრძანდება,
მიხედ-მოხედვის ჳირიმე,
წელზე ხანჯალი უხდება,
გმირი ბიჭების ჳირიმე,
თავზე ქოჩორი გადაჳქუხს,
გაშლილი შუბლის ჳირიმე.

ბერშუელი სიძე

ბერშუელი სიძე ვიყავ,
ნიადაგ ქარი ჳქროდაო,
არცა რა მე მიუტანე,
არცა რა იმათ ჳქონდაო,
გამომისტუმრეს მშეირი,
იმათი მამა ცხონდაო.

იმერულო მოსაკიდო

იმერულო მოსაკიდო,
გოდორ-ყურო, კალათაო,
შენ რომ ცოლი მოიყვანე,
არ გიქებენ თვალათაო;

ქვაბში ნაღებს არ უშვებდა,
კილობანში — კარაქსაო,
მინდორშია — ბალახსაო,
ორლობეში — ტალახსაო.

ზოგიერთი პატარძალი

ზოგიერთი პატარძალი
ხეს ეხვევა ვერხვივითა.
დედამთილს კარგად ექცევა
და მამამთილს ღმერთივითა,
იმას ასე შაინახვენ,
— უგუნური ტრედივითა.

პარბი რძალი

დედამთილი ენაცვალს
რძალსა, დილით რომ ადგება,
ძროხებს დასწველავს ადრიან,
სანამ ნახირი დადგება,
ჯამ-ჭურჭელსაც დაალაგებს,
თაროს ნათელი ადგება.

დაუპარ, ჩემო ჩონგურო

დაუპარ, ჩემო ჩონგურო,
გაჭკა-გამოჭკა ხელია.
მშვიდობით მოგიჭამია
ჯერ კალო, მერე რთველია.
ჩემმა ძმამ რომ საქმე მიყო,
დანით გამომჭრა ყელია:
მთიულის ქალზე დამნიშნა,
ბრიყვია, გაუთლელია.
მოსაყვანად რომ წავედი,
ცხენსა მოსწყვიტა წელია,

ახლა ურემი შეუბი,
თვალი მიმტერია, სქელია.

სახრე უნდა

ზოგიერთი პატარძალი
წამოწვება ძელივითა,
დედამთილსა, მამამთილსა
პირს დაულრენს მგელივითა,
ენას ხომ არ დააყენებს
მაწყინარი გველივითა.
სალამოს ქმარი მოუვა,
წამოხტება შევლივითა,
შეხტება, შეიფუნდრუკებს
ქერ-ნაჭამი ცხენივითა,
იმას კარგი სახრე უნდა,
დაეგრიხოს წნელივითა.

ახალი პატარძალი

ახალი პატარძალი ვარ,
ჰკუა ვერ მოვიგონეო;
ჩიქილით სახლი დავგავე,
ცოცხი ვერ მოვიგონეო,
ადგილზე ცომი მოვზილე,
ვარცლი ვერ მოვიგონეო;
კედელზე პური დავაკარ,
თონე ვერ მოვიგონეო,
საცერი ცეცხლსა მივარქვი,
კეცი ვერ მოვიგონეო.

მე რომ რძალი მოვიყვანე

მე რომ რძალი მოვიყვანე,
ურცხვი იყო, თარაქამა;

მაშივე გამიხადა ჩხუბი,
მიმწიხლა და მიმამკვდარა.
მეორე დღე რომ გათენდა,
შუა კაცებ შამიყარა;
სუ დამიყო მამულეები,
შიგ მიჯნები ჩამიყარა;
ერთის დღის მიწა მარგინა,
იმასაც არა მაჰყავ-რა;
ერთ ნასამალ პური მამცა,
ისიც თაგვმა დამიკვამა;
ერთი ფური მამარგინა,
ბლუჯიც აღარ მამცა ჩალა;
ერთი ქობი მამარგინა,
ძირზე აღარ აკრავ კალა;
ერთი ჯამი მამარგინა,
კოვზი აღარ დამიტანა;
სუ წამართვა იარაღი,
აღარ მამცა ერთი დანა!

აჰი პატარძალი

აგი პატარძლის ყოლასა
სახადი სჯობს სახლშიაო,
ჯამ-ქურქელი გადაყარა
წუნწუნხსა და ლაფშიაო.
საჯერო წამოქცეულა,
ციცხვი იცემს თავშიაო,
კოვზებს ფერხისა ჩაუბამთ
გარეთ დერეფანშიაო.

პატარძალო, პატარაო

პატარძალო, პატარაო,
წყალს მოიტან, სხვას — არაო,

წამოჯდები კერასაო,
ატარტარებ ენასაო.

რ ძ ა ლ ი

სახლში რძალი მოვიყვანე,
სახელად ერქვა ლელია,
იმისა მოყვანაზედა
სამ ცხენსა მოსწყდა წელია.
სამი სარტყელი ვუყიდე,
სამივე ჭიაფერია,
სამივე ერთად გადავაბი,
ვერ დავუჭირე წელია.
ორი რძალი გამილახა,
ახლა მე მომყო ხელია;
მამაჩემი შემოესწრო:
— მაგას რას შერები, ლელიავ?
გადახტა და ხელი სტაცა,
სულ გააგლიჯა წვერია.
მიარტყა და მიაყოლა,
ზურგზე ადინა მტვერია,
სულ დამილუპა ოჯახი,
ამაღებინა ხელია.

ახმეტური პატარძალი

ახმეტელი ქალი ვიყავ,
ახ ნეტავი მეო,
ოცდახუთი წელიწადი
ოსტატს ვებარეო.
ნემსს ყუნწი საითა ჰქონდა,
ის ვერ ვისწავლეო,
საპატარძლოდ მომამზადეს,
ეს მიამა მეო;
უმარილი ბევრი ვისვი,
ფერი ვიჭარბეო,

წარბი წვრილად შევიღებე,
თვალი ვისურმეო,
ნეფიონი რო მოვიდა,
ის მიამა მეო,
დაფა-ზურნა რომ დაუკრეს,
იმას ვერ ავეყო, —
ჯოხი რომ დაარაკუნეს,
ჩამოუარეო.
ქურანი ცბენი მომგვარეს,
ზედ გადავჯექ მეო,
უზანგში რომ ფეხი ჩავდგი,
გადავალაჯეო.
საყდრის კარსა რომ მივედი,
ღვდელსა შევძახეო:
— აბა ჩქარა, შე სულძაღლო,
კარი გააღეო!
ღვდელმა კარი არ გააღო,
ის მეწყინა მეო,
ღვდელმა წიგნი ვერ იკითხა,
ხელში წავგლიჯეო:
დიაკვანსა გავუჭავრდი,
თავში ვაწყვიტეო.
მანამ მაყრიონი მოვა,
ცხენს მოვახტი მეო,
გავწიე და წინ წავედი,
არვის ვუცადეო,
მაყრიონი მომძახოდა:
— ჭალ, დაიცადეო!
მე იმათი ტლაკატლუკი
არად ჩავაგდეო,
შუა გზაში რომ მოვედი,
ვაშლი გავკებიჩეო.
დარბაზის კარს რომ მივედი,
ძირს ჩამოვხტი მეო,
წინ ტაბლა რომ მამაგებეს,
ჯამი გავტეხეო.
ჯიხვით ღვინო მამიტანეს,
ის მიამა მეო,

ხელადით გამამიტანეს,
ყელი ვისველეო;
სალვინით გამამიტანეს,
გული ვიჭერეო,
დედამთილი მომეგება,
პირი ვარიდეო,
პირში შაქარი ჩამიღო,
თითი მოვკვნიტეო.
შიგნი-შიგან რო შევედი,
სკამი შევზვერეო,
ზედ ბალიში ავიტანე,
რბილად დავჯექ მეო.
დედამთილსა წავჩურჩულე:
„პური მშიან მეო“.
ერთი მწვადი რომ შემიწვა,
ის მეწყინა მეო.
თაროებსა დაუარე,
ერბო მოვძებნეო,
ცეცხლზედა ტაფა შემოვდგი,
კვერცხი შევწვი მეო,
ზედაც თაფლი რო მოვასხი,
ის მიამა მეო,
ასი კვერცხის ერბოკვერცხი
მარტომ შევჭამეო.
დედამთილი ვჯობე, ვჯობე,
მული გავიგდეო,
იმათი თმების ნაგლეჯი
ბანზე მოვფინეო,
მამამთილსაც ხელი მივყავ,
წვერი ვაგლიჯეო,
იმისი წვერის ნაპუწკი
ლობეს მივფინეო.
ნეფეს წიხლი მოვახვედრე,
კარებს ვაწყვიტეო,
ორიოდე მუნის კეტი
მაზლსაც ვუშბივლეო,
მაზლი კარებს ეფარება,
ღმერთო, გადავრჩეო.

ორი კვირის პატარძალმა
შვილი ვშობე მეო,
მერე ქალებში წაველი,
ქალებს ვუამბეო.

ძმამ ცოლი მომგვარა

ჩემი ძმა მეხვეწებოდა —
უნდა შაირთო ცოლია.
იმან რომ ცოლი მამგვარა,
ყვითელი კომშის ფერია;
ორი სარტყელი ვუყიდე,
მესამე ჭია ფერია;
სამივ ერთურთს გადავაბი,
მძლივს დაუჭირა წელია.
იმ ხანებში მოვიყვანე,
რომ იყო ყველიერია,
ერთი ქილა ერბო მქონდა,
ყვითელი კომშის ფერია,
სამ დღეზე ისე შაქამა,
ძირზე მოუსვა ხელია!
მეზობლებში დაეკვება —
ნიგოზსაც მივაგენია.
ორი რძალი გამილაბა,
მესამე დედაჩემია,
ახლა მე დამემუქარა —
შენ დამრჩი უცემელია...
ამისა მაყურებელსა
ალარ მამეცა ფერია!

ავი დედამთილი ხარო

ნეტა რა ვქნა. როგორა ვქნა?
ავი დედამთილი ხარო,
არასა ვკვამ — უკმელი ხარ,
ვკვამ და — ასრე სვაეი ხარო.
ნელა დავალ, — ზანტს მეძახის,

გავიქცევი, — ქაჯი ხარო.
თუ ძირს ვზივარ, — კუტს მეძახის,
ზეზე ვდგავარ, — სარი ხარო,
ვაამებ და — არ მიწონებს,
— მამაძაღლის ქალი ხარო!

ახალი შანაყრაგი

ახალ შანაყართ¹ სცოდნიყო,
ერთმანეთს ჭირსა ჰპარავდენ,
მეორე კვირა გავიდა,
წაღმართს უკულმა სცარავდენ,
ნიგზურებს² ატრიალებდენ,
ერთუერთს კარშია ლალავდენ³,
ერთუერთის ჩანადინარსა
ხალხში აღარა მალავდენ.

მინდორში გავხდი ავადა

მინდორში გავხდი ავადა,
ოხერა ოხერიტა ვიარი!
ჭირი მჭირს, აღარ მეშვება,
აქვე თუ მამკლავს ტიალი.
ჩემს დებს უთხარით საწყლებსა: —
დღე დაგიბნელდათ მზიანი;
ხელისახოცი დაჯიგრონ⁴,
ჩიქილა ჰრელფესვიანი.

მოყვარე მინდა ასეთი

მოყვარე მინდა ასეთი,
ამ ზამთარს შამინახოსა,

-
- 1 დაქორწინებულთ;
 - 2 მუგუზლებს;
 - 3 ავლებდნენ;
 - 4 მუქფრად შელებონ.

ორმოცი კოდი ზორბალი
ერთ ღამეს დამინაყოსა,
სადილად ბუღა კამეჩი,
ვანშმად სხვა მამინახოსა.

ნათლია და ნათლიდედა

— ჩემო ნათლიდედაო,
ჩემთვის რასა ბედავო?
— წინდა-პაიჭს გიმზადებ,
ლეკვერთხებსაც¹ ზედაო.
— ჩემო ნათლიდედაო,
შენთვის რასა ვბედავო?
კაი ქოშებს გიყიდი,
წვივ-საცმელსაც ზედაო.
— ჩემო ნათლიდედაო,
ჩემთვის რასა ბედავო?!
— კაი პერანგს გიკერავ,
ახალუხსაც ზედაო.
— ჩემო ნათლიდედაო,
შენთვის რასა ვბედავო?
კაი კაბას მოგიტან,
კარგ სარტყელსაც ზედაო.
— ჩემო ნათლიდედაო,
ჩემთვის რასა ბედავო?
— კაი ჩოხას მოგიტან,
კაი ქამარს ზედაო.
— ჩემო ნათლიდედაო,
შენთვის რასა ვბედავო?!
კაი ლეჩაქს მოგიტან,
კაი ბაღდადს ზედაო.
— ჩემო ნათლიდედაო,
ჩემთვის რასა ბედავო?
— კაი ქუდსაც მოგიტან,
ბურსოულსაც² ზედაო.
— ჩემო ნათლიდედაო,

¹ წვივსაკრავი.

² ხელმანდილს.

შენთვის რასა ვბედავო?
კაი ჩიხტსაც მოგიტან,
კაი კოპსაც ზედაო.

წ ი ს ქ ვ ი ლ ი

წისქვილის ამბავს თუ მკითხავ,
მე მოგახსენებ, რა უნდა:
სათავე აშენებული,
ლარსა პირამდე თლა უნდა,
ქვეშ-ქვეშ ლამაზი ბორბალი,
შიგნი ლამაზი ქვა უნდა,
ხვიმირა და სარეკელა,
საკონწიალო სხვა უნდა.
ზედ რომ პური დაარიგო,
იმასაც კარგი ფქვა უნდა.

ბ უ ხ ა რ ო

გამხიარულდი, ბუხარო,
გულჩათნობილი ნუ ხარო,
ხარები ტყეში გავგზავნე,
შეშისთვის ნულარ სწუხარო,
ნათხოვარი ხარები მყავს,
კი არ გეგონო უხარო.

ს ზ უ მ ა რ - მ ა ს ა ი ნ ძ ლ ო ბ ა

პ უ რ ა დ ო ბ ა და მ ა მ ა ა ტ ო ბ ა

არა ას მამაცობაი, —
შარას გზასავით გაცვდება.
ერთის დღის ბარაქელაი,
კარგა ხქენ, ხელიმც შაგჩება!

კარგი ას პურადობაი,
უნჯია, შვილსაც დაშჩება.

ს ტ უ მ რ ე ბ ე ზ ე

სტუმარნო — სტუმრების მზემა,
არცრა უსტუმროდ ლხინია,
უსტუმროდ პური და ღვინო
მწარეა, განა ტკბილია?
მზეიმც ნუ მავა უსტუმროდ,
მავიდას, განა თბილია?

შ ე ნ ი ბ რ ო ლ ი

შენი ბროლი-მარგალიტი
ალმასივით გაითლემა,
გლეხიკაცის პურ-მარილი
ზღვაზე ხიდად გაიდება.

ც ი ს გ ა ხ ს ნ ა

დავესწარი ცის გახსნასა,
ქვეყნების დამყარებასა,
ხისა ფურცლის გამოსხმასა,
ხილნარის აყვავებასა,
შენ რომ თვალით დაგინახე,
ნეტარ ჩემს განზარებასა!

მ ი ა მ ა

გაზაფხულ ჭალაის პირსა,
პირი ამოყვა იამა.
იმ ღმერთმა დამბადებელმა
მე თქვენი მოსვლა მიამა!

თუ მეზობელნი გშურობენ

თუ მეზობელნი გშურობენ,
ხარ დილით გაუტივიდი,
სტუმართ უნდაურ დიაცი
სახჩი ნუ შაუტივიდი.

ცუდი დიაცი

სტუმართად ცუდი დიაცი,
ხახაბოს¹ წვერზემც დარჩება;
ხელთ ბალლი, ზურგთა აკვანი,
ზედ ნიაღვარიმც ასტყდება,
მიშველეობით იძახდეს,
მეშველიც არვინ დაჰხვდება;
აირთვენ მთისა ნიაენი,
სულიმც ეშმაკებს დაჰრჩება;
ხახაბოს წვერზე მგელ-ტურა
იმის ლეშითამც გაძდება.

კაცსა სტუმარი ეწვიოს

კაცსა სტუმარი ეწვიოს,
სტუმარი არ ნახულისა,
დააპოს ურმისა მორგვი
ზაფხულის შენახულისა,
დასწვას ფიწალი, ორთითი,
ცეცხლი დაანთოს გულისა,
ოთხკუთხივ ბოლი ავიდეს,
დასვას და ანადიმოსა,
ატლასის კაბა ჩააცვას
და ცხენსაც შესვას პილოსა, —
ყველა ტყუილად ჩაუვლის,
თუკი არ ასმევს ღვინოსა.

¹ მთაა ხევსურეთში.

რბ იჲოს ღბ რბ არბ

მსვლამც კნბ კარგთბ სტუმბრთბ,
შინ წბსვლბ წესიმც არ იყვბ!
ბნ ღგომბ შბვის ლუღისბ,
გბთბვებბიმც არ იყვბ!
სიცოცხლე თქვენ — კვბლისბ,
სიკვდილი წესიმც არ იყვბ!

სბსტუმბროღ ღბ სბმბსბინკლოღ

თქვენ ჩვენბღ რბმ ჩბმოგყბრნბთ,
ბრწივნო, ლბღნო მთისბნო?
სბსტუმბროღ ღგვისბრბთ მთვბრესბ,
მბსბინკლბღ შუქნო მზისბნო.

სბჲვბრბლ სტუმბრბს

ერბხელ მესტუმბრე, გივბრგი,
ბმბბვს გიბმბობ მთისბსბ,
ვეფხვების ნბწოლს გიჩვენებ,
ბღრბინღელს, ღიღის ბნისბსბ,
კობღბლბს სბქმიბბნობბს, —
წყნბრ შრბბლს ფობთლებისბსბ,
ცივ წყბრობბის წბწკბრსბ,
ნბყბრსბ ბრმებბისბსბ.
მემბრე — ბრწივის ბუღესბ,
ჩხბვილსბ ყობრნებბისბსბ,
ჰბერიც მოგეწონებბ,
რომ ნბხბვ მბღლის მთისბსბ;
მე ბქ მბრჩევნბვ სბტიტვლე,
სბმღიღრეს ქბლბქისბსბ.
ღიღ ცეცხლს ღბგბინთებ ტყეშიბ,
მწვბღებს შბგბწვბვ შვლისბსბ,
ფობთლებს გბგბიშლი სუფრბღბ,
შბმფურებს გბვთლი ხისბსბ.

ცუდს ნუ წაიღებ ამბავსა
იმ შენი მასპინძლისასა!
ჩემთან მობრძანდი, დოსტოდრივ²,
როგორც ძმა მივა ძმისასა.
ბევრს რასმე გეტყვის მთიელი
ბარისასა და მთისასა;
მე ალგეთისას გიამბობ,
შენ გკითხავ ალაზნისასა.

ეს სტუმარი არსად მიდის

— ორხოვილად² მოქსოვილო,
ჭეჭიმურად დადგიმულო²,
ეს სტუმარი არსად მიდის,
შეჭამანდი დადგი, მულო.
— იანვარი, თებერვალი,
დადგა მარტი, აშრა ველი,
განა ძალის სტუმარი ვარ,
ავდარია, დარსა ველი.

სუფრა ვარდითა

სუფრა ვარდითა სავსე არს,
ზედ მიწა ჩარიგებული,
მო, ლხინი ვნახოთ, ღვთის მადლსა,
კარგი და ვარიგებული,
თორემ წაგვივა სოფელი,
ასრე არს დარიგებული!

² შოურიდებლად.
2—3 ქსოვის სახეები.

სუფრაჰ გაშლილო

სუფრაჰ გაშლილო, ლხინი ხარ,
ჰქვავ, ჩავარდი გონებასა!
ნამუსი ყველას სჯობია, —
ასის თუმნის ქონებასა.
ერთხელ სჯობია სიკვდილი,
სულ მუდამ დაღონებასა.

სუფრაჰ, ლხინი ხარ

სუფრაჰ, ლხინი ხარ, გაშლილო,
ზედაც ღვინო ლალ-წითელი.
დედ-მამის უპატიურსა
ცეცხლში უღვეს ენის წვერი.

დალიე

დალიე, ჩემო ბატონო,
დალიე და დადგი თასი!
ღმერთმან თაფლივით შეგარგოს
ეგ და სხვაც ბევრი ათასი.
დალიე, ჩემო ბატონო,
დალიე, დამალევეინე,
წვეთი არ დარჩეს თასშია,
დასცალე, დამაცლევინე!
დალიე, ჩემო ბატონო,
უარს ნუ მეტყვი ამაში,
ჩვენს სახლში, ჩვენსა მარანში,
სულ ლხინი იყოს, თამაში.
დალიე, ჩემო ბატონო,
დალიე და შეგერგება,
ზედაშე არის ნაკურთხი,
შიგ ცის მაღლი ინახება.

ჩვენი მასპინძლის მარანში

ჩვენი მასპინძლის მარანში
აღვისხე ამოსულიყო,
ძირში მიერგოთ ვაზები,
ზედ წვერზე მოვლებულიყო.
წვერში მოესხა ნაყოფი,
ბოლომდე ჩამოზრდილიყო,
დამწიფებულა ყურძენი,
შიგ ღვინო გამოსულიყო,
მითი დამთვრალი ვაჟკაცი
ტალახში ამოსვრილიყო!

მასპინძელ კარგა გვმასპინძლობს

მასპინძელ კარგა გვმასპინძლობს,
გულითა მხიარულითა,
მწვანე ქოშები გაცვითა
მარანში სიარულითა,
წითელი ქვევრი მოხადა,
დაგვიხვდა სიყვარულითა.

ღვინოს სმენ

პურსა სჭამენ და ღვინოს სმენ,
სიმღერას არ იტყვიანო.
არ ვიცი, რასა გლოვობენ,
არ ვიცი, არ იციანო.

ნუ მოშლი

ღმერთო, ნუ მოშლი ამ სახლში
ღვინოსა და თამაშობასა,
ვაჟების ქორწინებასა,
ქალების გასტუმრებასა.

ს უ ზ რ უ ლ ი

მასპინძელო შემკობილო,
მარნის კარი გიჭრიალებს,
გამოგვიტა ყურძნის წვენი,
პირიც ჩაგვიმაჭრიანე.

თუ მასპინძელი

თუ მასპინძელი მოილხენს,
სტუმარსაც მოელხინება,
თუ მასპინძელი მოიწყენს,
სტუმარსაც მოეწყინება.

პური ვჰამე

პური ვჰამე და წყალი ვსვი,
ახლა მომეცი ხალისი.

დამალევინე ბადაგი

დამალევინე ბადაგი,
ე შენი ნაწვავ-ნადაგი!

სანახავად ლამაზია

სანახავად ლამაზია
მინდორს ერთი მრგვალი ლოდი,
ზედ ასხია მარგალიტი,
სულ არ მოვა ერთი კოდი,
დალიე და ნუ მოიწყენს,
ალავერდი ჩემთან მოდი!

გრძელი ლხინი

თქვენთან მეწადა, არწივნო.
სმა ჭამა, ლხინი გრძელია.
რა დადგას უღარობაი,
დამაფარნიდით თბენია.

შენ და ჩვენ

შასმა შენ გინდა ღვინისა,
შენ უფრო შახკრავ საგანსა.
ჩვენ პურის ჭამა რად გვინდა?
მშვილდს ვერ დაუძრავთ საბამსა.

გულისა საგრილობლად

გულისა საგრილობლად
ღვინის სმას არვინ დაგვიშლის,
ცოტა რამ მოჭარბებული
ჭკუას თავიდან შაგვიშლის,
მოყვარეს მტრად გარდაგვიქცევს,
დავიდარაბს აგვიშლის.

ორიოდ ბატი

ორიოდ ბატი გავზარდე,
ერთი პატარა ნალარა,
ორჯელ რომ მე დაგპატიყო,
ერთხელ შენ რადარ აღარა?

კახური ღვინით

კახური ღვინით დავითვერ,
სამი დღე ვეგდე ლაფშია,

ამამათრიეს იქიდან,
დამავდეს დერეფანშია.
მოვიდა ქალი ლამაზი,
ჩამცხო და ჩამცხო თავშია.

კვერნაკი დიდი მთა არი

განა არ იცი, ბატონო,
კვერნაკი დიდი მთა არი,
სამასი სული ძროხა მყავს,
იმის ხბორები სხვა არი.
ხუთი ათასი ცხვარი მყავს,
იმის ბატკანი სხვა არი.
ექვსასი სული ღორი მყავს,
იმისი გოჭი სხვა არი,
ძმა და ძმისწული ცხვარში მყავს,
მოჯამავირე სხვა არი,
სამოცი სული მწყემსი მყავს,
პარკის გოშია სხვა არი,
ას ცხვარსა მენაც გაჩუქებ,
ათი და ოცი რა არი,
ბოლოშიც კარგა მოვილხენ,
ვითომ თავს ჯდომა რა არი?!

ცხოველთა სამყარო

ც ი ც ა .

თავის პატრონი ენაცვლოს
თავის თვალყვითელ ციცასა,
დაძვრება მეზობლებშია,
დამბალს ხაჭოსა ზიდაესა,
ხსნილ-მარხვა გამაგებინა,
ეგემც დამაყრის მიწასა,

¹ ერთ მებატონეს ცხვარი დაუზარალდა. ოჩხარზე მოიწვია მდიდარი მეცხვარეები. ზოგმა ათი ცხვარი გადაულოცა, ზოგმა ოცი. ერთი საწყლურად ჩაცმული მეცხვარე წამოდგა ბოლოს და ეს ლექსი მოახსენა.

მოდინ საჩიენელადა:
„ბრიყვად ნუ ავლევ ციცასა!“
დააბამს თავის პატრონი,
დააკაწვრინებს მიწასა,
ვინც მაგას წკებლას დამიკრავს,
ეგ იყოს იმის მკვდრისადა.

დათვმა თქვა

დათვმა თქვა: გადავიყარე
მშვიდობიანი ზამთარი,
საკოტრეთ ხევში დავსახლდი,
თავს შემოვივლე ფარგალი.
მე ვთქვი, აქ ვერაეინ მოვა,
გინდა დამეცეს ლაშქარი.
გავხედე, ჩამოდიოდენ
ჩადისციხურნი ახალნი,
მაგას რა მომაფიქრებდა,
ეგ დეკანოზიც მანდ არი,
შემჯდარა ტირიფაზედა,
ხელში უჭირავს ხანჯარი,
დაუბლეთია თვალები,
გადმოფრენაზე მზად არი.

ბებერი ცხენი

შენ გინდა თივა და ქერი,
შე ბერო დიდის ხნისაო;
არ გძულდა აღმა-ჩაღმაი,
საყუვ იცოდი გზისაო.

კურდღელი

კურდღელი, ნუ სძოვ ყანასა,
პატარაა და ბრაღია,
თორემ მოგიტევ მწევრებსა,
ჩემი აღარა ბრაღია.

კურდღლის სიზმარი

კურდღელმა თქვა: ჩირგვში ვზივარ,
ვერვინ მოვა ჩემზედაო,
შევიხედე სერზედაო,
ბატონი ზის ცხენზედაო;
წინ მეძებრები მოუდის
დაგეშილი ჩემზედაო.
დამისიეს, გამომიდგნენ,
გავექეცი განზედაო;
აღმართშია მე ვაჯობე.
იმათ თავდაღმართზედაო.
ერთმა წუწკმა მეძებარმა
კბილი გამკრა გვერდზედაო,
განწიეს და გამომწიეს,
ჩამომკიდეს ცხენზედაო.
მზარეულებს მიმაბარეს:
კარგად შესწვით ცეცხლზედაო;
ცალი გვერდი ცეცხლზედ იწვის,
ცალი ერბოს ალზედაო.
უყურეთ ამ მსუნაგებსა,
რა ყოფა აქვთ ჩემზედაო?
ამარიგეს, ჩამარიგეს
წვრილ-წვრილ ლამბაქებზედაო,
ხორცი ხორცად შემიკამეს,
ძელებს იმტერევდნენ ცერზედაო.

მელია და მამალი

ორშაბათ დილა გათენდა,
რა ავი დარი დგებოა;
ის ჩვენი წუწკი მელია
საომრად ემზადებოა;
წავიდა, იქ მიცუნცულდა,
სადაც მამალი ჯდებოა:
— პატარა ხორცი მიბოძე,
მელას გზა გაეკლებოა.

— შენ ჩემს ხორცს როგორ შეირგებ,
ყელს ძვალი დაგადგებაო;
ჩემს პატრონს კარგი თოფი აქვს,
მეხივით გაეარდებაო.

— მეც კარგად ვიცნობ შენს პატრონს,
უყვარს მუცელზე გდებაო;
თოფი კაჩხას უკიდია,
ჩახმახი უქანგდებაო;
თუნდ მუგუზალი დაადოს,
მინც არ გაეარდებაო.

საწყალი მელა

'საწყალი მელა ჩიოდა:
— არ მომივიდა ძილია,
ერთსა საქათმეს მივაგენ,
გამოვუთხარე ძირია.
იხვსა, ბატსა და ქათამსა
ყველას გავკარი კბილია.
უკუ ვიხედე, მომდევდა
პატრონი — გზირის შვილია,
მხარზე გაედო კომბალი,
გათლილი შინდის ძირია,
გადმომკრა, გადმომიშხივლა,
ცამდის ავასხი ტვინია,
მაგრამ ტვინს ვილა ჩიოდა,
ცოლ-შვილი დამრჩა ქვრივია;
ცოლიც მალე გათხოვდება,
ობლები დამრჩა წვრილია,
ობლებიც დაიზრდებიან,
თავი დავკარგე გმირია.

თ ხ ა ო

თხამ მგლის სიკვდილი გაიგო,
დაიკიკინა, გაიქცა.

— თხოვ, რად გაგხარებია,
განა სამგლეთი დაიქცა?!

დაიცა, მგელო

დაიცა, მგელო, ოხერო,
ომი მეც გიყვია დაცდისა,
თოვლი ხო კიდევ მუალის,
აქ ხო დარჩები ზამთრისა.
გზაში ჩაგიგებ ხაფანგსა,
თხილებში გნახავ გაჩრილსა.
მაშინ რას მეტყვი, ტიალო,
თავში რო გცემდე თავხრილსა?!¹

სამი მგელი

სერზე მიდის სამი მგელი,
ტუჩ-მოკლე და კუდა-გძელი,
ერთმანეთს ეუბნებიან,
ჰალას არის ლურჯა ცხენი;
ერთმა თავსა დაურბინოს,
ორმა გავკრათ გავას ხელი,
პატრონს კაცი გავუგზავნოთ,
ნულარ გინდა თივა, ქერი.

მგლის სიზმარი

მგელმა თქვა: მთაზე მეცხვარეს
შემოეშალა ცხვარიო,
თიკანს რომ პირი დავავლე,
თხამ დაიძახა ვაიო,
იმ დასახრობსა მურიას
ჩემსკენ ეჭირა თვალიო,

¹ კომბალს.

მეცხვარე გადმოეშველა,
ეჭირა შინდის კავიო.
გადმომკრა, გადმომიჭირა,
ნომტეხა თედოს თავიო,
ძლივ გავასწარი რა ყოფიო.
ღლე დამაყენა შავიო.
მაცადე, შენა მეცხვარევე,
მოგსლოდეს ტკბილი ძილიო,
წაღლები შინ გაგპარვოდნენ,
მეტი რად გინდა ჭირიო,
ღია დამიხვდეს საცხვარე,
არ დაგეკეტოს კარიო;
შევსულიყავ და მეწყვიტოს
ურიდლად თხა და ცხვარიო,
დილაზე გამოსულიყავ,
გეგლიჯოს თმა და წვერიო,
კაჭკაჭები დაგჩხაოდნენ,
გედვას სიკვდილის ფერიო!

ძერა და კრუხი

ძერამ წაიღო წიწილა,
კრუხმა ვერ უყო ჩხუბია.
— თუ მე ეს შენ შეგარჩინე,
ჩემი სილაჩრე ცუდია!
თავს დაიხურა ჩაჩქანი,
ვითა ბოხოხი ქუდია,
წელს შემოირტყა ხანჯალი,
ხელში აიღო შუბია.
ზევიდან ძერა მოვიდა,
ძირს გაიმართა ჩხუბია,
კრუხმა სცა ხმალი ფრანგული,
წავიდა სისხლის გუბია.
ინმარეს შუბი და ფარი,
ლახტების ტკაცა-ტკუცია.
ძერამ თქვა: წაეხდი სილალით.
თვალი შემექნა ბრუდია;

მთას დამრჩენ წვრილი ობლები,
ინით ნალები ბუღია.
ისინი დაიზღებინან,
იმათი კანჭიც ბრუნდია.

ფრინველთა ქება

ფრინველთა ქებას მოგიყვე,
ორბია დიდის ხნისაო,
ხანდისხან გაჰაბუკლება,
გახდება სამის დღისაო,
გაზაფხულს მოვა მერცხალი,
შროშანი იმავ პირსაო,
მერმე მოჰყვება ოფოფი,
გუგული ჰკივის, ყვირსაო.

არწივ-ჯიხვებს

თვალეbs გაყოლებ, არწივო,
ჰაერის მონადირეო,
ლალო, გუნებით მძიმეო,
შაკრულო, ტანად მცირეო,
შენთა საზრდოთა ელდაო,
ცის კიდელთ მონადირეო,
დახკივლებ მთებსა, დარაჯობ,
წვერებზე მოსადილეო.
ყინვარს კალთაზე ჯიხვები
უწივეს, ვით დედას ბაღდია,
ასიამონებს ჰიუხი,
როგორც ბულბულებს ბაღია;
დროთ თვლად მნიშვნელად რქათაზე
ნაზარდი აქვ და დაღია.
ჯიხეო, ყინვარში ნაზარდო.
მუდამ უვალოდ მტრიანო,
ნიაგ გიზიდავს ამბავსა,
თავი არ დააზიანო.

არხვატის იწრო ხევებო,
 შეღებილებო სისხლითა.
 წინიდგე¹ ძალით ნაქერო
 თოფით, ხმლითა და ისრითა.
 სრუ ჩვენ რადა გვძეს უღელი,
 გარდაუტანი კისრითა?
 ჭირით ვართ ჩამობურული,
 როგორც ქვეყანა ნისლითა.

შილდის თავს

შილდის თავს ქორი ნადირობს,
 შილდის ბოლოზე არწივი,
 ქორი უბარებს: — ჩამოვალ,
 — „არ ჩამოგიშვებ!“ — არწივი.
 ერთურთს ნუ დავალენებთ,
 თავ-თავად მივცეთ ადგილი.

ალალის შიშით

ალალის შიშით ვერ წავა
 ნიბლია ჯვარობასაო,
 თუ წავა, გაიპარება,
 მალლა გაეკვრის ცასაო.

ჩ ი ტ ე ბ ს

დასხედით, ჩიტნო ქერანო,
 ნუ ეთელებით ნართაო!
 დაგეტევებათ მიმინო,
 შამოგანარცხებსთ ქვათაო.



რა კარგია

რა კარგია კაი კაცი,
კარგს ანდებედ აგებული;
სოფელი ჰყავს მადლიერი,
სწორის გული—მოგებული.

ნეტავი კარი გამელო

ნეტავი ჩემი სასახლე
მალა მთაზედა ამეგო,
გამელელ და გამომვლელისთვის
დღე ყოველ კარი გამელო,
სიტყვა არვისთვის მეწყინა,
სულ ყველას გული მომეგო,
რაც მეშოვნა და მეპოვნა,
სრულ გლახაკებზე გარდმეგო.

კარგი ვარ

კარგი ვარ, იმას ნუ იტყვი,
თავს ნუ დაუწყებ ქებასა...
კარგი ჩვენც მოგვეწონება,
ცული — არც თავის დედასა!

წუთისოფლის სტუმრები ვართ

წუთისოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება,
რაც ერთმანეთს გავახარებთ,
იმის მეტი რა შეგვრჩება!

კაცი თუ ვარგა

კაცი თუ ვარგა, ჯილაგი
ნეტა რა საძებარია?
თუ ბევრით არ ვარგა, — სუყველა
ფუჭი და საცინარია.

რეგვენ კაცს

რეგვენ კაცს ასე ჰგონია,
ჩემი სარჩო თან წამყვება,
წუთისოფელი ასეა,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება.

მარტო ვარ

მარტო ვარ, მარტო ვიმღერი,
არავინა მყავს მობანე,
მაისის წვიმავ, ჩამოდი,
გულიდან სევდა მობანე.
ნიავო, წყნარად დაჰქროლე,
ფოთოლს ტაშ დააკვრევი...
სწორის არ გამტანს, უფალო,
ცხვირი საღმ წააკვრევი.

სწორებო

სწორებო, თქვენი ნდომითა
მთას ფიფქნი გარმავექაშენა,
პირდაპირულნი ქვიშანი
სრუ ცრემლით ჩამავხარშენა.

აჩქარებითა

აჩქარებითა სოფელი
არავის მოუჭამია;
ვინცა რომ აჩქარებულა,
ბოლოს ეამს დაუნანია.

კაცი ცრუ

თავსა სევდასა ნუ მისცემ,
გულს ხავსი შეეკიდება,
კაცი ცრუ, ამპარტავანი,
სილადეს შეეკიდება,
ის უფრო ცრუი იქნება,
ვინც იმას შეეკიდება.

ჩემს თავსა

მე სოფლის თავსა ვესახლე
და არ სოფელი ჩემს თავსა,
სოფელი კარგა მთავსობდა,
თუ მე სოფელი შეთავსა:
რაც მე სოფლისად მინდოდა,
წინ-წინ მოვიდა ჩემს თავსა.

იღუმლის კოშკო

იღუმლის კოშკო, მაღალო,
სასეიროზე დგახარო,
ქვეშ ქალნი მოგისხდებიან,
შენ, ჩრდილო, სითყენ წახვალო?
— როგორ ვერ ხედავ, ყმაწვილო,
ულვაშაშლილო, ახალო,
მეც ისე ვბრუნავ, როგორც შენ:
ამ წუთისოფელს დახვალო.

უწყლოდ

უწყლოდ, უპუროდ, უღვინოდ
ჟამი არასდროს იწირვის,
მცირე მერცხლისა კლანჭითა
არწივი არ დაიჭირვის,
თუ კაცსა ღმერთი არ სწყალობს,
ცუდია, რასაც იჭირვის.

წუთისოფელი

წუთისოფელი რა არი?
აგორებული ქვა არი.
რა წამს კი დავიბადებით,
იქვე საფლავი მზა არი.
საცა სოფელში მიხვიდე,
სუყველგან ორი გზა არი,
შუაში არი ხმელეთი,
გარშემო დიდი ზღვა არი.
ყველა ადამის შვილი ვართ,
თათარიც ჩვენი ძმა არი,
ჩვენსა და სომეხებს შუა
განყოფილება რა არი?
თუ ქალი გეტყვის ღობასა,
ის უკეთესი და არი;
აგრეთი გქონდეს გუნება,
ვით მოწმენდილი ცა არი,
თუ არ იწამებ ამასა,
მუცლით ნაშობი რა არი?

ბინდის ფერია სოფელი

ბინდის ფერია სოფელი,
უფრო და უფრო ბინდდება,
რა არი ჩვენი სიცოცხლე,
ჩიტვივით გაგვიფრინდება.

წამოგეწევა სიბერე,
მგელივით წამოგვარდება,
სიკვდილი გზაში გიყვლებს,
თვალეები გაავდარდება.
მოგიგონებენ შვილები,
მზეს შეხედავენ მაღლითა:
სოფელში შემოაღამდა,
ბინდმა ძალღივით დაფლითა.
ნეტა სიცოცხლის მამგონი
ღმერთი თუ ჯოჯოხეთია?
ბევრი სიმწარე მინახავს,
ბევრიც სხვა გადამხედია.

ზღვა-ზღვა მივცურავთ

ზღვა-ზღვა მივცურავთ უაზროდ,
ნიჩბების მოუსმელადა,
არცარას ვდარდობთ, არც ეჩივით,
ბედი გვაქვს წინამძღოლადა,
გავალთ თუ დავიღუპებით,
არავინ იცის სწორადა.

განა ლალი ვარ

განა ლალი ვარ, რომ ვიმღერ?
გულისა დარდსა ვიქარავი!
ვინაც ჩემზე თქოს, ლალია,
ესეთიმც ლალი ის არი!
ძმასამც მაუკვლენ მამხდურნი,
მამასამც იმათ ისარი;
ნანდაურ სწორიმც მაუკლა,
არც ძმაზე ნაკლებ ის არი!

ჰირის პატრონი

შეწყალი, ჰირის პატრონო,
ჰირის გონობა ძნელია.
ჰირი უჰიროდ არ წავა,
თუ ჰირის დედა მთელია.

ქირსა გონობა არ უნდა,
თუ კაცი გონიერია,
ქირი ადგება, სხვაგან წავ,
სოფელ ხო ღონიერია.

არ ვარბა

არ ვარბა ქირში გატეხა,
თუ კაცი გონიერია:
წავა და ყველგან დარჩება,
სოფელი ღონიერია.

შაიკვრის შავი ღრუბელი

შაიკვრის შავი ღრუბელი,
საწვიმრად გაემართება.
გულს რო ვარამი ეხვევა,
რა კარგი დაემართება?!¹

და ვ ი თ ვ ი რ

დავითვერ, ნისლმა დამათრო,
აბანოთ! ამამღინარმა.
არცა-რა ნისლმა დამათერა, —
ჯავრმა და გულის ყინვარმა.

არცარა მარგო

არცარა მარგო ტირილმა,
არცარა ცრემლის დენამა,
აჯობა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა.

¹ აღგილია

გამხიარულდით, სწორებო,
სანამ ერთურთსა ვხედავთო,
მოკვდებით, დავიკარგებით,
შავ მიწას ამოვხედავთო.
შავის მიწისა ნაჟური
გულზედა ჩამოგვდიოდეს,
ტიროდეს ქალი და ძალი,
ჩვენ ერთიც არ მოგვდიოდეს.

ჯავრიანი გული

გულო, ჯავრისგან მოკლულო,
რა დაგაყარო წამალი?
არც მოგიდგება ექიმი,
არც მოგეტევა სამარი.
ეს ჩემი გული ორია,
ერთში სწვიმს, ერთში დარია.
ავტირდე — შეეყრი ღრუბლებსა,
რომ გავიციხო — დარია.
ეს ერთი გული მეტყოდა:
— მოკვდი, რათა ხარ მთელი!
მეორე ამას ამბობდა:
— იყავ, აჯავრე მტერია!
ეს ჩემი გული რასა ჰგავს?
ცასა ჰგავს შემოღრუბლულსა,
პირშაკრულს, დამძიმებულსა,
საწვიმრად გამზადებულსა;
ქალსა ჰგავ ქმარყოფმომშლილსა,
მამისას დაბრუნებულსა;
ხმალსა ჰგავს პატრონმომკვდარსა,
პირჟანგიანსა, ოხერსა!
ცხენსა ჰგავს პატრონმომკვდარსა,
სადავე ჩამოშვებულსა;
წისქვილს ჰგავს მიშლილ-მომშლილსა,
სათავე გადაგდებულსა.

„რა ვქნისა“ ციხე ავაგე

„რა ვქნისა“ ციხე ავაგე,
ჯავრი შევაბი კარადა,
საიჭიოდან მოიღენ
ამ ციხის სანახავადა.
ბევრი უარეს ციხესა,
კარ ვერ გატეხეს ძალადა,
მემრე თქვეს: დრო რო მოალის,
კარ გაიღების თავადა.

დარდისას გეტყვი

დარდისას გეტყვი, დარდისას,
გულში რო ნაღვლად დიოდეს:
სიხარულს ვერ მიეკარო,
სული სიმწრითა გტკიოდეს;
დილა-სალამო სხეულში
შავ სვეტად ჩამოდიოდეს;
ცას ბროლის წვიმა უწვიმდეს,
შენ ტალახადა გდიოდეს;
თვალწინ საკმელი მოგართვან,
შემშილით სული გდიოდეს;
ლუკმა გასინჯო და ზიზღით
უკანვე ამოგდიოდეს.
გარედან ლამაზად იყო,
შიგნი გულ-გვამი გტკიოდეს;
ქალსა უყვარდე ლამაზსა,
შენს უგულობას ჩიოდეს;
ტკბილი სიტყვის თქმა გინდოდეს,
პირიდან შხამი გდიოდეს.
ბარიდან მთა გიძახოდეს,
მთაში არწივი ყიოდეს,
გაიქცე სანახავადა,
ყვავი, ყორანი ჩხიოდეს.
ერთ ადგილს ვერ მოისვენო,
სული დარბოდეს, წიოდეს,

დღეის იმედი არ გქონდეს,
ხვალ მზე არ ამოგდიოდეს,
ასე მოლხენით ცხოვრობდე,
სისხლი არსადა გდიოდეს,
ყველას კაჟივით ეგონო,
შენ სანთელივით ღვიოდე.
მითხარი, ამნაირ ყოფას
რა ყოფა უნდა ჰქვიოდეს?

მ ა რ ა მ ი

გულსა მამაწვა ვარამი,
რო ნაგუბარი წყალიო.
რა მალე შავწუხებულვარ,
გუნება მიძე მყრალიო.
გამაგრდი, გულო, გუნებაე,
როგორც მყინვარი სალიო
ნუ შასწუხდები მაშინაც,
ქარზე რო გეწვას მკვდარიო!
თორ მალე მავა სიკვდილი,
ტუქსი, არ-მოცინარიო,
სუ დამაცილებს ჯავრებსა,
იმნაირი აქვს ზარიო,
უნდა მახდიოს ნიაღე¹,
რაც მისი მკიდავ ვალიო.
გავექცა? სად უნ წავიდა,
ცხენიც რომ მყვანდას ჩქარიო?
შავება? არ დააშინებს
ჩემი ფრანგული ხმალიო;
ვიტირა? არ შამიბრალებს,
არ იცის ცოდვა-ბრალიო
ვეხვეწა? არ გაიგონებს,
უნდა იხმაროს ძალიო.
არც მაინ მიშობს. არც მაინ,
ჩემთვის არ დამაშვრალიო.

¹ რა თქმა უნდა, უნდა გადამახდევინოს.

ხო ვიცი, სჯობის ვიღბინო,
სანამ ცოცხალი ვარყო.
ვისა აქვს მეტი სიცოცხლე,
უფლისგან ნაჩუქარიო?

ზოგი კაცი

ეს ზოგი კაცი რასა გავს,
ანუ სათქმელად რისათვის,
რასაც იშოვნის, ინახავს
იმ ერთი შავი დღისათვის,
არც თავს არგია, არც სხვასა,
არცა მოღვაწობს ღვთისათვის,
გადაბრუნდება, მოკვდება,
დარჩება ეშმაკისათვის.

დაეხსენ

დაეხსენ არმის ჭამასა,
დადექ ალალსა რჯულზედა,
თორემ შენც მოგაგონდება,
ხელთ რომ დაგიკვრენ გულზედა;
ეშმაკნი ანგელოზებსა
ეცილებოდენ სულზედა.

დავეხსნათ

დავეხსნათ ჭორის კრეფასა,
ძრახვასა მეზობლისასა,
ჩვენც ისე დავიხოცებით,
როგორცა ვხედავთ სხვისასა,
ცივ საფლავში ჩაგვაგდებენ,
ზედ მიგვაყრიან ქვიშასა.

სამრელოს კარში

სამრელოს¹ კარში ჩამოვჯექი,
დილა რო დაჩნდა მთა-წვერი,
ცრემლი აკრელებს მიწასა
თვალზეით ჩამონადენი.
საწყალო, ხევსურის ქალო,
დუშმან გყოლია რამდენი,
უთქვამს გიქტევენ ნათქმადა,
შენ უქნელ კიდევ — ნაქნელი.
რომელ ხარ, მეენაეი,
ცოდვა რას გიზამს მაგთვენი,
კაცი ხარ, კაცში ნუ გახოლ,
აიღე ტარი, სახრელი,
ქიჩილა გადაიხურე,
ზე მაიხურე მანდელი;
ღიაცის ენა რად გინდა,
ბევრაის ცოდვის მათქმელი,
ღიაც ხარ, ეგრემც მაგივა,
ზე დაგტიროდან მთა-კლდენი,
მაგიკვდას საიმედოი
ყუი² გეხურას მანდელი.

ვაი, შენ, წუთისოფელო

ვაი, შენ, წუთისოფელო:
დაგცადე მრავალ ფერადა,
ხორცო, გალაღე, გასუქე,
სულო, გადგიდევ მტერადა.
სული ვერც იმან მოიგო,
ვინც ოქრო დადგა კერადა,
ჯალაბსა მწარე ცხოვრება,
ტკბილად ვერ აუფერადა.

¹ ქალთა ბოსელი

² უკულმა.

ა ბედიანა მთვარეო

ა ბედიანა მთვარეო,
შენ იგებ ხმელეთისასა,
რო გკითხა, არ მიაშობა
ამბავსა ერთის მხრისასა?
ოხერო, თავის სოფელო,
გულს კი ღგლი ქალისასა,
ქალის ქალობა¹ სწორებო
ლემადესა² ღგავ მთისასა,
რა ჩქარა დაიკარგების,
თოვლსა ღგავ ზაფხულისასა.
ერთ დროს კი მია³ ვდილობდი,
ჩემ გულ ფრინავდა ცისასა,
გონუგონთ ვიარებოდი
სწორა გასავალ გზისასა,
ხამაზდად⁴ ვეჩვენებოდი
ქალ-ვაჟსა ერთის დღისასა,
არ ვეყრებოდი გზაშია
წარამარაის ჭკვისასა.
მშვიდობით, ჩემო სოფელო,
მე ნაპირს გაველ ზღვისასა,
არც რა იმოდნა მავღნატრი
მხარესა არხოტისასა.
მე თუ კი მავიწადინებ,
შუქს დავაბნელებ მზისასა,
საჩქაროდ გავაწირვიებ⁵
ლოგინსა გიჟაისასა,
ეგრე მავხფანტავ ქალებსა,
წყალ რო გაღრიყავს ქვიშასა.

1 ქალიშვილობა, ახალგაზრდობა.

2 ქარს:

3 მეც.

4 სურდო.

5 დავატოვებინებ.

არავინ იცის

არავინ იცის ცის ქვეშა,
ვისი შვილი სჯობს, ვისი — ძე,
ვისი მამული მუშაობს,
ოხერ-ტიალად ვისი ძე?

სოფელი

სოფელი მიეტ-მოეტო,
საბრუნავისა მახეო-
ზოგსა ცათამდის აიყვან,
ზოგსა უკულმა დაჰხეო.

წუთია

წუთია წუთის ქვეყანა,
წუთის წებოთი¹ იწვება,
ზოგი ლხინსაა, თამაშას,
ზოგი უცეცხლოთ იწვება.

ჩამოსხდებიან ყორნები

ჩამოსხდებიან ყორნები,
არ გაირევენ ძერასა,
კაცი ვერ დაემალება
ბედსა და ბედისწერასა!

ცეცხლსა და წყალს შუა

ცეცხლსა და წყლისა შუა ვარ,
ორისასვე ვარ ნებასა;
ცეცხლი მიპირებს დაწვასა,
წყალი — თან ჩაყოლებასა!

¹ შეხებით.

წუთისოფელმა ჩემი დღე

წუთისოფელმა ჩემი დღე
ძირმწარა დამალევენა,
მატირა ცხარის; ცრემლითა,
ზღვისთვინაც შამარევენა,
არც მომკლა, არც დამარჩინა,
არც სული დამალევენა.

კველი მთიულის მოთჳმა

ეს ჩვენი წუთისოფელი
ათასნაირად ჳრელია,
მზისა და მთვარის ყურება
აღარა სანატრელია.
აღარც მზესა აქვს სიცოცხლე,
მთვარის ნათელიც ბნელია;
აღარ სჩანს კაცი ვინ არის,
მართლისა სიტყვის მთქმელია.
გმირულად, ძველად, ვერ ნახავთ,
კაცუა ხელში მშვილდს და ისარსა,
აღარ მწადიან, ვიუბნო,
რალაც მღრღნის გულის ფეცარსა,
მთას მთობა აღარ სწადიან,
აღარც თუ ბარსა ბარობა.
სიმართლეს მივყვეთ, ძმობილნო,
მასში ვეძიოთ წყალობა.

კაცს რომ კაცი ეჯავრება

მჳედლო, განა რკინასა
სპილენძი არ გაერევა?
კაცსა რომ კაცი ეჯავრის,
მიზეზი არ დაეღევა.

პურსა რომ სჳამდეს თავისთვის,
ჳაპ-ჳუჳად მოეჩვენება,
თავისთვის ლაპარაკობდეს,
რახ-რუხად მოეჩვენება.

არის ერთი რიგი ჳაცი

არის ერთი რიგი ჳაცი,
სოფელს ტყვილად ემადლება,
ათასი რომ ბევრი ჳჳონდეს,
კიდევ სხვისა ეხარბება,
წავა, მალვით ყურს დაუგდებს,
მეზობელი რასა შერება.
ორი მტკაველი მიწისთვის
ძმას მოჳკლავს, ან შეაკვდება;
ეს არ იცის უგუნურმა,
ჳაცი კვდება, მიწა რჩება.
ჳაი ჳაცის პურ-მარილი
გზაზე ხილად გაიღება.
ნეტავი იმის სოფელსა,
ვისაც ჳჳუა გამოჳყვება, —
მშიერს ვაჳმევთ, მწყურვალს ვასმევთ,
შიშველს შემწეობა ხვდება.
გზა დაჳარგულს გზას ვასწავლით,
ისიც მადლად წაგვადგება.
ას წელიწადს რომ ვიცოცხლოთ,
სულ ერთ წუთზე გათავდება,
მოგვივლენ ზედისმწერლები,
სასთუმალზე დაგვიჯდება,
ცოდვა ვჳენით თუ რომ მადლი,
ყველა მაშინ გადაგვხდება.

ძნელი ყოფილა

სიბერე ძნელი ყოფილა,
ცივი ჳვა აეწონება!
დამჳდარი ველარ აღგება,
არგანსა დაეღონება!

ბერი კაცი ვარ

ბერი კაცი ვარ, ნუ მზაგრავე,
ყველა დაგიწყებს გმობასა,
გაგწირავს მთელი ქვეყანა,
არავინ გიზამს ძმობასა.
ბერი კაცი ვარ, ნუ მომკლავ,
ერი დაგიწყებს გმობასა,
საღაც კი შემოგეყრები,
გეტყვი შვილსა და ძმობასა.

ბერი კაცი

ბერო, ბერობას ნუ სჩივი,
მაკლებას თვალეებისასა,
ეცადე ჰკვა-გონებასა,
რიგებას სოფლებებისასა.
აიჭუფებების სწორებო.
ნუ მაუწონებ ხვთის მადლსა!
გაუჯავრდიდი სწორადა
თავისასა და სხვისასა.
ჯერ ბოლოს გაიკეთებდი,
მემრ — გზასა სულეთისასა.

და ვ ბ ე რ დ ი

დავბერდი, დავჩაჩანაკდი,
წვერი შემექნა ჰალარა,
შინ ჯალაფს მოვძულებივარ, —
გარეთ უნდივარ აღარა.

სოფელს რა მხარეც უნახე

სოფელს რა მხარეც უნახე,
სუყველა მხარე ჰრელია,

ძმაცა ვცანი და ძმობილიც,
ფეხებქვეშ მიწის მთხრელია,
სადაც მოკეთე მეგონა,
სულ ყველა ჩემი მტერია;
ეს ამისთანა სიცოცხლე
აბა, რა სანატრელია,
ნუ დაენდობი სიკვლესა,
სოფელი ჰრელი გველია.

ნ ი ს ლ ი

— რას ფიქრობ, ნისლო, ტიალო.
შემგდარო გორის ფხაზედა,
განა შენც რამე გაწუხებს
ამ ოხერ ქვეყანაზედა?!
იქნება მტერი დაგეცა,
რისხვცა გაწვიმა თავზედა,
ან იქნებ შენი მიჯნური
შენს რაყიფს უწევს მკლავზედა.
განა შენც იცი ჯავრობა,
რისხვით ანთება წამზედა,
შენაც თუ იცი ტირილი,
ცრემლის დაგუბვა თვალზედა,
ან თუ შეგიძლი ალერსი,
ან დამწუხრება ძალზედა,
ანდა თუ გყავის ნანდობი,
უტურფეს ქვეყანაზედა,
ან თუ კი ჰგრძნობ რას ამ ქვეყნად,
ჰფიქრობ აესა და კარგზედა?
— ჰაი, ჰაი, რომ მეც ფიქრობ,
შესხმა მეც ვიცი ფრთებისა,
თავად ფიქრი ვარ, ნაფიქრი
დიდის ზაღალის მთებისა.
გული მეც გამიხარდების.
რისხვითაც ამენთებისა,
მეაც შემძლი ჯავრობა,

თვალზედაც ცრემლი მწვეთებისა.
ჩემი ცრემლია, დილით რო
ბალასზე ნამი დგებისა;
მეც შემძლია ალერსი
ჩემის ძმების და დებისა,
თუმც კი მალლა ვარ მთაზედა,
დარდი მე აქაც მწვედებისა,
მეცა მყავ ჩემი ნანდობი,
მწვანე კალთები მთებისა,
იმათ ენაცვლოს ჩემ თავი,
ეს გული მათთვის ჰკვდებისა.

არ მეგონა

არ მეგონა, შავი წყალი
აგრე ამიდიდებოდა,
ჩემი სწორი, ჩემზე ყროლი¹
აგრე გამიდიდებოდა.

თოვლი თოვს

თოვლი თოვს ბოროლაშია,
მზევ, რად არ ამოჰშუქდები?
შავო, რას დამყფუ, ყორანო,
განა შენთვისა ესუქდები?!
შინვე მიუვალ დედასა,
თუ ღმერთსაც არ მოვძულდები.

მ თ ვ ა რ ე ვ

მთვარევ, გამცილდი, ტიალო,
გამშორდი, გამეცალეო,

¹ ცული.

რას დამცქერ გახარებული,
სიკვდილი დამაცალეო.
შენც მალე გნახავ დაბურვილს
ნისლით, დღეს ანუ ხვალეო.

ცნობას არ გვაცლის

წუთია წუთისოფელი,
ცნობას არ გვაცლის ძმისასა.
გადავბრუნდებით, მოვკვდებით,
ქვეშ მოვექცევით ქვიშასა!

ტიალი წუთისოფელი

ტიალი წუთისოფელი
ხილვას არ გვაცლის მზისასა,
უღროოდ გადაგვაქცევს კე¹
მგზავრსა შავეთის გზისასა.
ბევრს ჩააჰკნობს კე კაი ყმას,
ბევრს — ქალს, ვარსკვლავსა ცისასა,
როგორც მზე, მოჰრილს უღროოდ
ნორჩსა აყრილსა ხისასა.
კაცნი ვართ, მაინც ვილხინოთ,
გულს ნუ ვახარებთ მტრისასა,
ჩვენც ისე დავიხოცებით,
როგორცა ხედავთ სხვისასა.

უმართლო წუთისოფელი

ნეტავი შენა, მასკვლავო,
გაჩერებულხარ ცაზედა,
სუყველას თვალით უყურებ,
რაც ხდება ქვეყანაზედა.

¹ ხოლმე.

ბევრია დაღონებული,
წყლული აწუხებს ტანზედა,
ბევრსაც ძმის კუბო წინ უდევს,
სტირის, თავს იკლავს მასზედა,
ბევრს სტანჯავს სხვისა მწყემსობა,
დღე-ღამ ბეჩავობს ცხვარზედა.
შინ ცოლ-შვილს პური არა აქვს,
პყენან ქათვან ხალზედა,
სხვათ წიწვდილ თექის ნაგლეჯით
იკონკვენ შიშველ ტანზედა;
ბევრსაც თავს იკლავს, საწყალი,
თავის უბედურ ცდაზედა,
ბევრს უსამართლოდ უქრება,
სიცოცხლე ქვეყანაზედა.
უმართლო წუთისოფელო,
მინდა დაიქცე წამზედა,
თუ კიდევ ხელს ვის შეუშლი
ცხოვრების სწორე გზაზედა.

მოიცა, მიწაო

აჲ, მოიცა, მიწაო,
ჯერ მე არ ჩაგებარები,
არ მემეტება შენთვისა
ეს ჩემი ნორჩი ძვალები,
ხორცით გავსილი გულ-მკერდი
და უმიზეზაე თვალები.
რალა თქმა უნდა, ჩემს სიკვდილს
დაინანებენ ქალები,
უკაცისხელოდ ციხეო,
დაგეკეტება კარები.

ვაი, ჩემს ამ ღრეთ მოყრასა

ვაი, ჩემს ამ ღრეთ მოყრასა,
ჩემს ამის მოხილებასა.

ენას ჩამედვა ბორკილი,
თვალთ მიშლის ახილებასა,
ველარც ვის სიტყვას წაქცევ,
ველარც ვის — შაგინებასა.

დამძიმებულა მუხლები

დამძიმებულა მუხლები,
სამაწი გახშირდა ქალარა,
დუშმანიმც დაბერებულა,
გაჯჯვილდები აღარა.
ვერ გამიგია, რა მოხდა,
გუშენ ბაღლ ვიყავ პატარა.
წასულა წუთისოფელი,
რეგვენო, მიხვდი რად არა,
დღეს თუ ხვალ დაიძახებენ:
— იყო და არი აღარა!
იმათ ზიცხეს მივემატები
ვინაც შავ მიწამ დაჟარა,
სამარის კარზე მითირებს,
სამგლოვიარო ნალარა...
წესი ასეა — ცხოვრება
მოძრაობს როგორც მანქანა.
იმას არც მიწა ღებულობს.
ვინც მრუდე გზაზე დამდგარა.

ნეტავი შემატყობინა

ნეტავი, შემატყობინა,
შამა-პაპანი რა ქნილან,
ან მოყვარული ცოლ-ქმარნი
უდროთ რისთვის გაყრილან;
დაცლილან ნასახლარები,
ზოგნი სულ წმინდად აყრილან,
ამ სოფელს აღარ დამდგარან,
იმ სოფლის მკვიდრი შაქმნილან.

ქმანი სულეთში

მე რო ქმანი მყვან სულეთა
სამზეოს დასაფიცარნი.
ნეტავინ, ჩემო დედაო,
ბეჟნ მანახვინა ქმისანი!
ქვე დაიქერდა ქვიშია?
ქვე დაშლიდესა მიწანი?
დავხვიენ მანდელთ პირშია
თმანი უმცროსის ქმისანი.
გზანი მასწავლენ, დედაო,
გზანი ი სულეთისანი.
ნეტავინ დამალებინა
ქარნი სულეთის მხრისანი!
ნეტავინ კიდევ მენახნეს
თვალნი უფროსის ქმისანი!

ქალმა თქვა

ქალმა თქვა: ვნახე სიზმარი
დამდევს ენკენისთვისასა,
ცა წითლად-ყვითლად ელავდა,
სეტყვას ისროდა ქვისასა,
ბაღში მიმტვრევდა ხეხილსა,
დარგულსა ალვის ხისასა,
ხელში მიქრობდა სანთელსა,
ჩამოქნილს კელაპტრისასა,
თავზე მაქცევდა ჩარდახსა,
დანურულს ყავარისასა,
ვნახე და კიდევ შავესწარ
სიკვდილსა თავის ქმრისასა.

სულეთის ლექსი

სამზეოს დაკლებულები
სულეთსა გროვდებიანო,
სულეთში ახალგაზრდანი
ერთ ალაგს იყრებიანო,

სანთლებს ანთებენ, კელაპტრებს,
წინ სუფრას გაიშლიანო.
სულეთში ბერი-მოხუცი
სუფრის თავს დასხდებიანო,
ახალგაზრდანი, ჯეილნი,
სუ ფეხზე გალობდიანო,
ლამაზ-ლამაზი ქალ-რძალნი,
სანთლის შუქს დასხდებიანო,
ახლად გაყრილნი ცოლ-ქმარნი,
სულეთში გაჩვენდნიანო,
არცა აქეთ თვალთა სინათლე,
არც ბაგედ იშლებიანო,
მათ მხილველ ბერნი-მოხუცი
მათ ცოდვით იწვებიანო.
სულეთში წვრილი ბალები
დედებსა ეძებდიანო,
მოატანს საღამოს ხანი,
აქა-იქ ღონდებიანო,
ძუძუ რომ მოაგონდებათ,
თითებსა იწოვიანო,
ჩაეხვევიან სხვათა მუხლთ:
— დედაო, პური გვშიანო!
ხელსა ჰკვრენ, გადაადებენ:
— ჩვენ განა დედებ გვქვიანო?!
სამზეოს დედის ტირილი
შვილს წვიმად გაჩენდნიანო,
დადიან დასველებულეებ,
სამოს ვერ გაიშრიანო,
ვისაც ჰყავს ბერი დედ-მამა,
კალთას ქვეშ იფარნიანო,
ვისაც დედ-მამა არა ჰყავს,
ჩუმ-ჩუმად ცრემლებ სდიანო,
ნეტისმეტ ტირილისაგან
სულს ვეღარ იბრუნნიანო,
მათ მხილველ ბერნი-მოხუცი
მათ ცოდვით იწვებიანო.
სულეთში ბერნი-მოხუცი
ყავარჯნებს ეძებდნიანო,

ყოველ ბედნიერ დღეშია
საკლავებს მოელიანო;
ვისაც მომხსენი არა ჰყავთ
პირუკულმ დასხდებიანო,
ვინც იმათ მოიხსენიებს,
სულითამც ცხონდებიანო.
მე მაგის მოშაირესა,
ჩაკოანთ კობე მქვიანო.

სიზმრათა ვნახე

სიზმრათა ვნახე ედემი,
აღმოსავლეთის თავშია,
არის მზე, არის მთოვარე,
მრავალ ვარსკვლავი ცაშია,
მივდივარ სანუკვარადა
წმინდა ედემის ბაღშია,
მიველ და ხეხილთ გადვხედე,
ჩარიგებულა კვალშია,
ზოგი მწიფს, ზოგი ყვავილობს,
ზოგსა მკუხენი ასხია.
ერთი რამ კუპრის ტბა არის,
აქედან მისავალშია,
ზედ წვრილი ბეწვის ხიდი ძევს.
ვინ გადაზომავს თვალშია,
მართალნი მარდათ გადიან
და მკვიდრდებიან ბაღშია,
ცოდვილნი ძირსა ცვივიან,
ილუპებიან ტბაშია.

ს ი ზ მ ა რ ი

— წუხელი სიზმარი ვნახე,
ნეტავ, დედავ, რაო?
ალვის ხე რომ წამოიქცა,
ნეტავ, დედავ, რაო?

— შეილო, შენი ტანი არის,
 ვაპ, შენ დედასაო!
 — იმას ტოტები ემტვრევა,
 ნეტავ, დედავ, რაო?
 — შეილო, შენი მკლავებია,
 ვაპ, შენ დედასაო!
 — ვაზს რო ფურცლები სცვიოდა,
 ნეტავ, დედავ, რაო?
 — შეილო, შენი ქოჩორია,
 ვაპ, შენ დედასაო!
 — ლურჯი წყალი მოდიოდა,
 ნეტავ, დედავ, რაო?
 — ის ხომ შენი ცრემლი არი,
 ვაპ, შენ დედასაო!
 — თან კიღობანი მოჰქონდა,
 ნეტავ, დედავ, რაო?
 — შეილო, შენი კუბო არის,
 ვაპ, შენ დედასაო!
 — შიგ რო ვერცხლის თასი იყო,
 ნეტავ, დედავ, რაო?
 — შეილო, შენი სახე არის,
 ვაპ, შენ დედასაო!
 — ზედ რო მარგალიტი ჰყრია,
 ნეტავ, დედავ, რაო?
 — შეილო, შენი კბილებია,
 ვაპ, შენ დედასაო!
 — ეზოში რო ძროხა ბლავის,
 ნეტავ, დედავ, რაო?
 — შეილო, დედაშენი არის,
 ვაპ, შენ დედასაო!
 — ტყეში ირემი ჰყვიროდა,
 ნეტავ, დედავ, რაო?
 — შეილო, მამაშენი არი,
 ვაპ, შენ დედასაო!
 — თონე ხურს და ალი ბრუნავს,
 ნეტავ, დედავ, რაო?
 — შეილო, შენი გვამი არი,
 ვაპ, შენ დედასაო!

— ზღვასა სარტყელი მოჰქონდა,
 ნეტავ, დედავ, რაო?
 — შვილო, შენი სული არი,
 ვაპ, შენ დედასაო!
 — ერთი ფლატე ჩანგრეულა,
 ნეტავ, დედავ, რაო?
 — შვილო, შენი სამარეა,
 ვაპ, შენ დედასაო!
 — კაცები რო მეხვევიან,
 ნეტავ, დედავ, რაო?
 — შვილო, მაყრები მგონია,
 ვაპ, შენ დედასაო!
 — წინ რომ ღვდელი მიმიძღვება,
 ნეტავ, დედავ, რაო?
 — შვილო, მეჭვარე მგონია,
 ვაპ, შენ დედასაო!
 — ყელზე გველი მომეხვია,
 ნეტავ დედავ რაო?
 — შვილო, ის შენი ცოლია,
 ვაპ, შენ დედასაო!
 — ქიანქველა დამეხვია,
 ნეტავ, დედავ, რაო?
 — შვილო, შენი შვილებია,
 ვაპ, შენ დედასაო!
 — თავით რო ქვები დამიწყეს.
 ნეტავ, დედავ, რაო?
 — შვილო, კალმუხის ქუდია,
 ვაპ, შენ დედასაო!
 — ფეხით რო ქვები დამიწყეს,
 ნეტავ, დედავ, რაო?
 — შვილო, ჩექმები მგონია,
 ვაპ, შენ დედასაო!

სიკვდილმა ჩამოიარა

სიკვდილმა ჩამოიარა,
 არავინ დახვდა წინაო,

ობოლი გამოეგება,
ხონჩა მართვა წინაო.
— მე წამიყვანე, სიკვდილო,
ობლობა მომეწყინაო.
— შენ რად მინდისარ, ობოლო,
არავინა გყავს შინაო,
ერთი შორი მამიდა გყავს,
ისიც არ არის შინაო.
არა გყავს დამტირებელი,
არც სუდარა გაქვს შინაო.
მე კახეთისკენ მივდივარ,
კაცი მიმიძღვის წინაო,
ცხრა ძმანი გამდიდრებულან,
უნდა ჩავუხდე შინაო,
ისინი უნდა გავყარო,
თავ-თავად მივცე ბინაო.

მარჯვენა მხარი ამტკივდა

მარჯვენა მხარი ამტკივდა
შუა მარხვისა დღესაო,
თან-თან დამიწყო ტკივილი,
გულმა დაიწყო კვნესაო,
გვერდით დედ-მამან მისხედან,
მაყრიან ხოროშნებსაო¹,
სოფელში კაცი გაგზავნეს,
წამალს იკითბვენ ბევრსაო.
თვალში ჩინ გამამეცალა,
ბუნდადა ვხედავ დღესაო;
მე წამლებ ველარას მარგებს
საბრალო მიწის ტყვესაო.
მოკვედები, დამტირებენ,
სუდარს ჩამაცმენ ჭრელსაო;
ნახანის სუდარს მაცომდენ,
დებს დაუჭერენ ხელსაო.

¹ ცემლს.

მამა იძახის მუხლებსა,
დედა იძახის წელსაო.
საკაცეს გამიკეთებენ
თეთრის ტირიფის ხესაო,
წინ კაცებს გამიმძღვარებენ,
დიაკონსა და ღვდელსაო;
სამარის პირზე დამდებენ,
წიგნს წამიკითხვენ ჭრელსაო.
მოდგება გუნდი ქალ-რძლისა,
ცრემლს ჩამოჰღვრიან ბევრსაო;
ჩამდებენ სამარეშია,
მიწას მაყრიან ბევრსაო.
მოვალის გველი წითელი
და მოიღერებს ყელსაო,
ჯერ ხომ გადამძოვს ულვაშსა,
მემრ ქოჩორს მიჰყოფს ხელსაო,
მემრ დამერჭობა გულშია,
გულ დაიკვნესებს ძნელსაო.

ობლების დამყრელს

დედა, ობლების დამყრელი,
კაცის მკვლელს ეფარებოდა;
უბეში ესხდა გველები,
ძუძუებს ეტანებოდა.

შავეთს რა გვიჭირს

შავეთს რა გვიჭირს უკლოთა¹,
წინ შუქი გვიდგა სანთლისა;
თეთრის ტირიფის სახლ გვიდგა,
შიგ კვამლი ბრუნავს საკმლისა;
სკამ გვიდგა სასვენებელი,

¹ ძველი წარმოდგენით მიცვალებულის სული.

კარ გვიბავ ცოდვა-მადლისა.
წინ გვიდგა ოქროს ტაბაკი,
სალაღებელით ბაღისა;
ზედა დგა ჭიქის ჭურჭლები,
საესე ნაკურთხის სასმლითა.
გვერდით რო წყარო ჩამოდის,
პირის საბანი ქალ-რძლისა;
• გვერდით გვიბავის ცხენები,
დაყაჭრულები, ლაგმითა,
თუ სად ხმა გატყდეს, იძახონ,
იქ წავალთ ცხენით, საგზლითა;
როდესაც დაგვიქროლებენ,
იახსარ უდგა ლახტითა.

რად უნდა მოშავეთეთა

რად უნდა მოშავეთეთა
სამკლავე, საფუხარია?
მეც ჩამყვა სამარეშია,
მაგრამ ვერ მოვიხმარია!
დანგრეულიყო საფლავი,
ჩამოდოდა წყალია.
ზევრს ვაყსა ჩამაუშალნა
წვერ-ულვაში და თმანია!..
ამბობენ ბეწვის ხიდასა
რა ძნელი გასავლელია?!
მტრედვიით გადაფრინდება,
ვინც რომ მადლისა მქნელია;
ვარდება კუპრის ალშია,
ვინაც ცოდვისა მქნელია;
ძმა ძმისა მოლაღატი,
ნათლიის შემგმანელია.
დედას, ობლების დამყრელსა
ყელზე ჰხვევია გველია.

ნეტავ რა ზნე სპირს

ნეტავ რა ზნე სპირს სიკვდილსა,
ვერ მიხვდა ჩვენი გონება!
შიგ ამოარჩევს ვაჟაკსა,
რომელიც მოეწონება!

მთელი ჟონება

მდიდარი ბევრი მინახავს,
ოხრად რჩენია ქონება,
აგერა გააქვთ ცხედარი,
ნეტა რა მიექონება?
სამი ადლი ტილო მიაქვს,
ის არის იმის ქონება.

სიკვდილსა ქრთამი ვაძლიე

სიკვდილსა ქრთამი ვაძლიე,
თვალ-მარგალიტი, ლალიო,
არ დაიშალა, მე მომკლა,
დაიდვა ჩემი ბრალიო.

ს ი კ ვ დ ი ლ ო

შენ, სატილო სიკვდილო,
როდის მოგეცი პირობა?
ცხენფრენით ჩამოირბინე,
სულ დამიკარგე ზრდილობა;
... შენზე ქრთამი ვერ გავყიდე,
ვერც დიდკაცის შვილობა.

შავად მორთულო

ვაი, შენ წუთისოფელო,
შავად მორთულო ღილითა,
რად მეჩვენება ლურჯადა
სახლი ნალესი კირითა?

უთუოდ ვკვდები ჭეელი,
მიწავ, გექცევი ძირითა,
დასუქდენ მიწის ჭიანი
ჩემის ზორცით და ტვინითა.

ბაბალემ დაივაგლახა


ბაბალემ დაივაგლახა,
ნურც ღავრჩენივარ დედასა,
თუ ღმერთი სიცოცხლისასა,
მეტს არ მომცემდა ნებასა.
შავეთის კარი გამიღეს,
ზარი დარეკეს ზეცასა.

სიკვდილმა თქვა

სიკვდილმ თქვა: ზღვა-ზღვა წამოველ,
ზღვა ჩქეფით შამოვიარე;
შეეკაზმე ჩემი ლურჯაი,
ხმელეთ სულ შამოვიარე.
გადმაუხედენ ფშაველთა, —
ყოოდეს როგორც იანი;
ჩავეღირე და ვერ ჩაველ,
ხატი ჰყოლიყო ძრიალი;
შორს გზაზე ამამეგება,
შავარდენივით მზრიანი.
გადმაუხედენ ხევსურთა, —
შავნ იყვნეს, როგორც ჭიანი,
ჩაველ და ისე ჩავთიბენ,
როგორც ნალევმა¹ თივანი.
ბევრს კარი გამაუჭარე,
ბევრისა ისრიე მღე არი;
ბევრისა დედა ვატირე,
ბევრისა ცოლი. თმიანი;

¹ გალეული ცელი.

ბევრისა თოფი შავკიდე,
სიათა, პირ-კომლიანი;
ბევრისა ხმალი დავაგდე,
ფრანგული, ფხასისხლიანი;
ბევრისა ქალი გავწირე
კალათა ჩხირ-წინდიანი.



ახალი პროგრამა

გაუმარჯოს იმ პროგრამას,
 ვინც ეს საქმე მოიგონა:
 მემამულეს მამულს ართმევს,
 მშრომელს მიწა მოუზომა.
 მე ვმუშაობ, ბარ-ნიჩაბი
 მიჭერია მუდამ ხელში.
 ახლა ჰკითხე მემამულეს,
 ბრაზი რატომ მოსდის ყელში!
 სულ სხევანიარ ხმაზე გალობს
 დასაქცევი ჩვენი მღვდელი,
 ახლა წვერი შეუშოკლდა,
 ნიკალას დროს ჰქონდა გრძელი.

ღღეს შვიდი ნოემბერია

ოქტომბრის რევოლუციას
 შეჭხარის ყველა ერია,
 თავისუფლების მომცემი
 ღღეს შვიდი ნოემბერია!
 წითელი დროშა ფრიალებს,
 ბუნებაც მშვენნიერია,

შრომის შვილებო, გაიგეთ,
დღეს შვიდი ნოემბერია!
ფაშისტთა ყველა ჯაშუშსა
ცუდად ეცვალათ ფერია,
შავად გათენდა იმათთვის,
დღეს შვიდი ნოემბერია!
შრომის შვილებო, ავიღოთ
ხელში ნამგალი, კვერია,
რომ გაბედულად შევძახოთ,
დღეს შვიდი ნოემბერია!
წინათ ხმასაც ვერ იღებდით,
აწ თავისუფლად მღერია;
ამხანაგებო, გილოცავთ,
დღეს შვიდი ნოემბერია!

წერილი მუშას

რომ მაგონდება წარსული
კრული იყო და წყეული,
როგორ გვითრთოდა, გვტკიოდა
მისგან დაღლილი სხეული.
უმეცრება და სიბნელე
კარს გვადგა შემოჩვეული,
წარსულ ცხოვრების უღლისგან
ტანჯულნი ვიყავით, ეულნი.
რა დაგვაფიწყებს მე და შენ,
როგორც ვიყავით წინათა,
ტანჯულნი, ცეცხლში ნაწრთობნი,
გადაქცეული რკინადა.
სხვა რა დარდი მაქვს სათქმელი,
ცოტა დამიგდე ყურიო,
ნამგალი ხელში გვიჭირავს,
რომ მოვიყვანოთ პურიო.
შენ ხელთ გეჭიროს ჩაქუჩი
ცეცხლიდან განახურიო,
დავუახლოვდეთ ერთმანეთს,
მოვსპოთ მტრის ვნება-შურიო.

ჩემო სამშობლოვ

ჩემო სამშობლოვ, მთა-გორო,
მიდამოვ ველებიანო,
ქვევით ხევებო, გარშემო
სულ მუდმივ თოვლო წყლიანო;
გალმა-გამოდმა კლდეებო
და იქვე ჭიხვნო რქიანნო,
მაღალ გორაზე სამებავ,
ირგელივ ველებო ტყიანო.
მაღლა ასულო მყინვარევ,
სულ მუდმივ ყინულიანო,
ქვევით სოფლებო ხევისაჲ,
ველებო მუდმივ ცხერიანო.
იქვე ჩვენებურ მეცხვარევ,
სულ მუდმის ქვეყნად მტრიანო,
სალი კლდით გამოზრდილი ხარ,
ორბო, შე მძლეო, მხრიანო,
მტრის დასახვედრად მზადა ხარ,
სიმაგრევ სპილოს ძვლიანო.

ა ლ გ ე თ ს

შენ გეუბნები, ალგეთო,
წყაროვ არხოტის მთისაო,
ატირებული ყინულის
ცრემლებო კლდეკარისაო.
ხან მორაკრაკევ ქვიშნარზე
დინჯი მოხუცის ჭკვისაო,
ხან დედავ ნიაღვრებისაჲ,
გულშემზარავი ხმისაო.
იდინე, დიდხანს იდინე,
სანამ შუქი ჰფენს მზისაო,
ჩარეცხე ჭუჭყი და ხავსი,
წარსულის სიძველისაო.
ნუ შეგაშინებს ნაძვნარი,
ნურც რიყე ლოდებისაო;
ჩაითამაშე ხეობა,

კვალი გაკაფე გზისაო.
გზაზე დაგხვდება ველებო,
ნათესი სიმინდისაო,
დიდი ოჯახი კპატრონობს
ათასი ძმის და რძლისაო.
გადაეც მთიდან სალამი
ხოპისის კოლექტივსაო,
შემდეგ ვენახებს ესტუმრე
ასურეთ-მარაბდისაო.

იორო, უენი ჰირიმე

უენი ჰირიმე, იორო,
ანკარა წყაროვ ფშიანო,
გაღმა-გამოღმა წყარონი
გზის პირზე გადმოდიანო,
ელდენი მთა-ბარს ანათებს,
ღამე ღლესა ჰგავს მზიანსა,
ხალხისთვის ზრუნავს პარტია,
ვინ მოგვაყენებს ზიანსა.
იორო, მთების ნაყურო,
ჰალა გახადე შარადა,
მაგრამ რას იზამ, გიჟმაჟო,
წინ დაგიდგებით ძალადა,
ძველ გზაზე აღარ გაგიშვებთ,
სადაც გივლია მგზავრადა,
იმ საქმეს გაკეთებინებთ,
რაც არ მოგსვლია აზრადა.

ამაღლდი, გლეხის კერაო

ამაღლდი, გლეხის კერაო,
ლარიბთა ბედის წერაო,
თვით მოგენიჭა უფლება,
მზემ შენთვის იწყო მზერაო;
დამსხვილდა შენი ფანჯრები

და შუქმა გარდაგფერაო,
 ერბოს ქადებზე გასცვალე
 შენი დამწვარი კვერაო.
 გლეხი გამოდის ქოხიდან,
 ოდაზე შაიმღერაო,
 ოცნებობს, თანაც ღლინებს,
 მტერს მუშტი დაუღერაო.
 კეთილი საქმის გულითვინ
 ორდენიც დამეკერაო,
 ახლა ველარას დამაკლებს
 მოქიშპე, გაიძვერაო.
 შაეაბით რკინის ხარები,
 ორთქლით რომ გაიბერაო,
 დაბლა ტრაქტორი გუგუნებს
 და ცაში რკინის ძერაო.
 ავანთეთ ელექტრონები,
 რადიომ დაიმღერაო,
 ჰაერში სიტყვას ვიქერავთ,
 მტერს პირი გაეკერაო.

ტ რ ა ქ ტ ო რ ო

ტრაქტორო, შენი ჳირიმე
 რომ ძლიერი ხარ ღონითა,
 არც თივა-ქერი გჳირღება
 და არც ბალახი ძოვნითა.
 ტრაქტორო, რკინის ღაბა ხარ,
 დაულალავი შრომითა,
 არ დამდგომიხარ სახნავში,
 არც ჳარმაც გამოყოლითა.
 მიდიხარ, როგორც დევგმირი,
 წინ დაგიხვდები ვერაო,
 შენი ჳირიმე, შენია,
 ფეხზე დამიდგი კერაო.
 ნიკოლოზის დროს შენს თავსა
 ვინ გვალირსებდა ჩვენაო!
 მათ მხოლოდ ცემა შეეძლოთ,

არსაით გვექონდა შევლაო.
ახლა კი სოფლად შეიჭერ
კოლექტივებში შენაო,
და ღარიბ-ტანჯულ გლეხებსა.
შენით მოგვეცა შევლაო...

ტყეებს ნუ სჩეხავ

ტყეებს ნუ სჩეხავ, ძმობილო,
მთა გატიტვლდება, ბრალია,
ია და ვარდი დაძრება,
ფესვებს მოუთხრის ქარია.
ტყეს გაუფრთხილდი, ძმობილო,
ტყე მუდამ შენი ფარია,
მას ნუ ექცევი მტრულადა,
მოყვრულად მოიხმარია.
თორემ ჩამორეცხს ავდარი,
კლდება დარჩება სალია.
მთის ცივი წყარო დაშრება,
ყანას მოგიჭამს კალია,
დაგლუპავს, დაგანიავებს,
ძლიერი ზენა ქარია.

ს ა ს ი მ ლ ე რ ო

ჩვენს დროშაზე ახატია
ჩაქუჩი და ურო, —
საბჭოთა ხელისუფლებავ,
უნდა გემსახურო.
ჩვენს დროშაზე ახატია
ჩაქუჩი და ნამგალი, —
საბჭოთა ხელისუფლებავ,
უნდა იყო მაგარი!

გაბაასეზა ქალ-ვაჟისა:

- ქალო, შენმა სილამაზემ,
დამწუვა კაცი, დამანელა.
- ბიჭო, მოდი დამეხსენი,
შემოგევლოს თავზე ყველა.
- ქალო, მითხარ რაზე მწუნობ,
რად მიკიდებ თავზე ჩალას.
- იმიტომ, რომ ზარმაცი ხარ,
კოლექტივში მაჩანჩალა.
- ქალო, ცილისწამებაა,
შენ არ იცი ჩემი ძალა.
- გიცნობ, გიცნობ, რა შეილიც ხარ,
შარიანი-ხათაბალა.
- ქალო, სტახანოველი ვარ,
ნუთუ ესეც არა გჯერა?
- სამას დღეზე გამოხვედი,
არა მჯერა, არა მჯერა!
- ქალო, ვანოს ხომ ვჯობივარ,
შენ რომ მისკენ თვალი გრჩება.
- იმის თითო ხელეუროთ
თითო-თითო ძნა იკვრება!
- ქალო, თვალბტეცხლიანო,
ლამე მინდორს მითევია.
- ხუთასამდე შრომადღე მაქვს,
იგი ჩემი მზითევია.
- ქალო, ქალო, ჩემო მწველო.
ჩამაკონე ერთხელ ტუჩსა.
- ჩემ ტუჩებთან რა ხელი გაქვს
ქარაფშუტა, შრომის ურჩსა.
- ქალო, ჩემო დამტანჯველო,
ვეჯიბრები იმ შენ გმირსა.
- თქვენში ერთმა ვინც აჯობოს.
ჩემი თავი ალალ მისა.
- ქალო, შენი თეთრი კაბა
წყალს მიჰქონდა მდინარესა.
- ბიჭო, შორით მოგეპარე,
ჩაგეკონე მძინარესა.

მომვიდა გოგო ლამაზი

სამკალად მომწიფებულო,
ფხაშევერცხლილო ყანაო,
მზისა და მიწის ასულო,
ლამაზი გოგოს ტანაო.
ხელში მიჭირავ ნამგალი,
ბასრია როგორც დანაო,
მეც კოლმეურნე ბიჭი ვარ,
შენი ერთგული თანაო.
კლდეზე მოფრინავს მთის წყარო,
ტყიდან მოგესმის ნანაო,
გოგოც მოვიდა, შავთვალა
ნამგალი მოიტანაო.
ნეტა მეც ყანად მაქცია
ნამგლად მაქცია ანაო.
რა ბედნიერი რამა ხარ,
თავთავო, თითის ტოლაო,
გადმოგეხვია ლამაზი,
გულმკერდზე მიგიტოლაო.
დაგრიხა გიშრის დალალი,
ჩაგმუხლა, შემოგკონაო,
აგთვალა ათეულებად,
მიგაწყო კონა-კონაო,
გეხვევა ქარვისმძივება,
როგორც ყმა, როგორც მონაო,
სატრფო ჰყავს გადაკარგული,
გული მან დაუღონაო.
რა ეყოლება ლამაზსა
მისი ფასი და წონაო,
ნეტავ ამ ანგელოზისა
სიმღერა გამაგონაო.

გულო, მამარო ჭვავიდა

როცა ქვა-რკინის რახუნი
მზეს მისდიოდა ცაზედა,
სისხლსაც რო სწვიმდენ ღრუბელნი
თერგის, მოზდოკის თავზედა,

როცა ქართველი მშობელი
შვილს უყურებდა მკლავზედა,
ეტყოდა: „დედაშვილობას,
ნაკლებ არ დარჩე სხვაზედა.
მამაც კარგ გყვანდა, პაპაცა,
მტერთან ხმლის ხმარებაზედა!“
გულო, არ გასტყდი ძაშინა,
გულო, მაგარო ქვაზედა.

დედისერთას ლექსი

ლექსი თქვი, დედისერთათო,
ახლანდელ თაობაზედა;
რათა ჰგვიანობ, მთვარეო,
გამოდი გორის ფხაზედა,
შენ უფრო გეცოდინება,
რა ხდება ქვეყანაზედა,
გემებში ჩაგვსვენს ბიჭები,
გზა სავალი გვაქვს ზღვაზედა.
სამ-სამი კვირა გავიდა,
გავედით „გრანიცაზედა“.
უპირისპირეთ ერთმანეთს
ხუთშაბათს თენებაზედა.
ომში წასული ვაჟკაცის
გულ მაგარ გახდა ქვაზედა.
— დედო, ხევსურის ქალო!
გვარ არ აყვილო გვარზედა.
ვიცი რომ მოგაგონდები,
კრემლ არ მიუშვა თვალზედა,
ის დღე გათენდეს, როდესაც
თავის შინ ვიჯდე სკამზედა,
გვერდითა მყვანდენ სწორები,
ქება ვთქვით კაი ყმაზედა.
პავლე ვარ მაისურაძე,
მიკითხეთ მამის გვარზედა,
ჩემ სადღეგრძელო დალიეთ,
რომ იყოთ ღვინის სმაზედა.

უნდა იხაროს სამშობლომ

დაუკარ, ჩემო ჩონგურო,
გათლილო იფნის ხისაო,
ამა ლექსისა მამგონი
საბრძოლო გემზე ზისაო,
გემია რკინის ასხმული,
საბჭოთა კავშირისაო.
მიდის და მიეჭანება,
გამჭრელი არის ზღვისაო,
ზედ ზარბაზნები მოდგმული
წინამდევია მტრისაო.
დაუკარ, ჩემო ჩონგურო,
მოჭრილო იფნის ხისაო,
უნდა იხაროს სამშობლომ,
შუქი აფინოს მზისაო.

ფშაველი ომში

რუსეთის ველზე ფშაველი
დაცვის ხაზზედა ვზივარო,
ისე ვარ შეხამებული,
შორიდან არა ვჩინვარო.
ძილი არ მოდის თვალზედა,
მტერო, მოგელი, ტიალო,
როდის მოვიდეს ის წუთი,
შაშხანავ, აგახმიანო,
მტერს ვეცე გალომებული,
ხიშტო, შენ დაგატრიალო,
ჩემს სამშობლოზე დამცემი
ვაკვნესო, ავალრიალო.
დაგიცავ ჩემის მკერდითა,
დედაო, ძუძუ-რძიანო!

ომი რომ ნახოთ

ომი რომ ნახოთ კრემლისა,
დარჩებით გაკვირვებული,

იდგა ზარბაზნის გრიალი,
როგორც ცა დაქუხებული.
ბევრი ვაჟკაცი დარჩება
მწვანეზე დაძინებული,
წითლისა არყით დამთვრალი,
თითქოს წყალ-მოწყურებული,
ველარ მოუვა დედასა
კარებზე გაცინებული.

მტრისთვის ხელმოუწვდომელი

ჩვენმა დიადმა ქვეყანამ
ბრძოლა გადიღო მძვინვარე,
დავლენეთ მტერი ვერაგი,
დღე და ღამ დაუძინარე,
გმირული მკერდით გავსტოპეთ
სისხლის ზღვა, სისხლის მდინარე,
მტერს არ დავუთმეთ სამშობლო,
ლამაზი, პირად მცინარე.
დავლენეთ შავი ურჩხული,
მსოფლიო წარღვნის მკვესავი,
ყველგან სიცოცხლის მცელავი,
ყველგან სიკვდილის მთესავი.
ვერ გენახა მტერმა ვერაგმა
დაცემული და მკენესავი,
მსოფლიო ცაზე გავშალეთ
წითელი დროშა მზესავით.
აღვავეთ მიწის პირიდან
ჩვენი მოსპობის მდომელი,
ჩვენი სოფლის და ქალაქის
დამნგრევი, დაუნდობელი.
ჩვენ რომ სამშობლო წაგვართოს,
ან კი ვინაა, რომელი?
მტკიცედ დგას საბჭოთა ქვეყანა,
მტრისთვის ხელმოუწვდომელი.

რა კარგი დილა გათენდა

ოთხი თვე იყო გასული
ორმოცდახუთი წლისაო,
რა კარგი დილა გათენდა
ტურფა ცხრა მაისისაო.
მოსული იყო მიჯნებზე
ჯარები ფაშიზმისაო,
მაგრამ ვერ გადმოგვილახეს
საზღვრები სალი კლდისაო...
ჩვენ დავამარცხეთ მტრის ჯარი,
უკან გაბრუნდა გზაზედა,
კვლავ ვერ გაბედავს თავდასხმას
ჩვენ ტურფა ქვეყანაზედა.

ს ა კ ო ბ ი ა ნ ო

საკობიანო გაითქვა
პანკისის ხეობაზედა,
დანთეს ელექტრონები,
შუქ მოდის ალაზანზედა.
ნარჩევ-ნარჩევი ბიჭები
დასეირნობენ მთაზედა,
ბილიკებ არ აგვილაფდეს,
ქვიშას აყრიან გზაზედა.
მზეთუნახავებ ქალებსა
ქოლგები ხურავთ თავზედა!

დავჯექ, ავიღე ჩონგური

დავჯექ, ავიღე ჩონგური,
ხელი ამოვკარ ლარებსა,
მაღალ სერიდან გავხედე
გარეკახეთის მხარესა.
აქუხებული იორი
აწყდება კლდიან მხარესა,

მალე სამგორის ველ-მინდვრებს
ცივი წყლით გაახარებსა.
როგორ არ უნდა ვუმღერო
რუსთავს სიმღერა ქებული,
მისი მჭითა და დოვლათით
ვიქნებით გახარებული.
მზიან ქუთაისს დიდება!
იქაც აშენდეს ქარხანა,
რომ მანაც გამოგვიგზავნოს
საბარგო ავტო-მანქანა.

სიმღერა სამგორზე

მოგესალმები, სამგორო, —
მომაქვს სალამი გვიანი,
გილოცავ გამარჯვებასა
მოხუცი ჭალართმიანი.
დიდი ხნის დაგვალული ხარ —
გაწუხებს სიცხე ტიალი,
მალე მოგივა სამუდმოდ
იორი ბარაქწყლიანი.
შემოგეხვევა ტყეები,
დაგატკბობს ფოთლის შრიალი,
მიწას დახატავ ლამაზად, —
ბალიან-ვენახიანი,
ყანებ დაიწყებ ღელვასა —
ღალიან-ბარაქიანი.

ს ა მ გ ო რ ი

სამგორო, გვინდა შენს მკერდსა
გადავატაროთ კვალია,
საუკუნობით მწყურვალსა
დაგალევეინოთ წყალია.
შენს მკერდსა — ყამირ მიწასა
ღრმად უნდა დავკრათ ბარია,
სიცხით გადამწვარ შენს უბეს
დავასხათ ივრის წყალია!

სამგორში ნათქვამი

სამგორშიც ითქმის ლექსები,
კაც თუა სავარგულია,
მამწყინდა ძველი სიმღერა,
ახლის ამოთქმა მგულაია.
მინდორში მივდგებ-მოვდგები,
ხარების ყარაულია,
ფეხზე რუსულეხ ჩექმები,
ნაბადი წამასხმულია.
თავმჯდომარეებ მაქებენ:
საქონელს კარგად უვლია;
მეუბნებოდა თედოი:
— არ გაიტეხა გულია,
ბევრი გაქვ შრომადღეები,
იმასთან კიდევ ფულია.
— გულს არ გავიტეხ, თედოო,
მუდამ მწყემსობა მგულია,
ხარებს თავს არ მივანებებ,
სანამდი მიდგა სულია.
გავხედავ მარტყოფის თავსა,
თოვლია ჩამასულია,
თავის ხევესურეთ მამგონდა,
ამამიტირდა გულია.
სადა ორ სიბერის დროსა,
ან სად ორ დაბადულია.
ჩვენი სამგორიც კარგია,
არაფრით დასაწუნია,
წყალი არხებით მოგვიდის,
მინდვრები გადარწყულია,
სასმელ წყალ კარზე მაგვიდის,
წყაროებ ამასულია.
სახლ მიდგას გარაყის გვერდზე,
გარს ღობე შამარტყმულია,
შიგითაც მაწყობილია,
შპალიერ გამაკრულია,
პატეფონ, გარმონ, ჩონგური,
სრუ ლხინი გამართულია,

ძირში საგებად ლეიბ მაქვ,
ზე ატლას გადაკრულია,
თავითი თეთრი ბალიში,
ზე საბან დასახურია,
წამავწევებ, წამავიძინებ,
ხან მთვრალ, ხან გატანჯულია.
რადიოიცი ხო სახლში მაქვ,
უნდა დავუგდა ყურია.
ახლუაში გვაქვს ქალაქი,
ათ კილომეტრი სრულია,
წადინზე წასასვლელია,
თუმან თუ გექნებ ფულია.
აქ კაც იოლა იცხოვრებს,
თუ არა დაბაჯულია:
უსწავლთად თოხი და ბარი,
ნასწავლთად სამსახურია.
ვინატრი სიჯეილესა,
ეებლადამც მქნა ახალი.
მაგის მეტს აღარ ვიამბობ,
იანვარია, ავ ხანი,
ეხლა წელწადიც მაგვიდის,
კარგა ლხინობენ თავკანი.
საწყენად არა მიუბნავ,
ლექსი სიმართლით ნათქვამი.

კაი რამეა ზაფხული

კაი რამეა ზაფხული,
კაცის გულს გაახარებსა,
მთანი ცას ბოძა მიდგმული
სამოსს ჩაიცმენ მწვანესა,
მწყემსი სიმღერით გახყვება
მთებზე გაშლილებს ფარებსა.
დაგყურებ, ჩემო სოფელო,
ფიქრი გულს ამიჩქარებსა,
გაღმით გამავცქერ ქურდ ნისლებს,
ზედ იხვევს ცეცხლის რკალებსა,

მარჯენიე ჭიუხებს გავხედავ
 ყინულით მოეღვარესა.
 კავკასიონის მწვერვალებს
 ჯინვების საბუღარესა,
 ამ მთებში დანაცრებულსა
 მუხლს ვუყრი გმირთა ძვლებსა,
 ვინაც კაცთ სახელ-ნამუსი
 წყალში არ გადაყარესა;
 ხმლის ვადაზე რო ეძინათ
 ვაყებს მტრის მლოდინარესა,
 მამ-პაპის ფუძეს იცევედეს,
 ძველს ასწორებდეს ვალებსა,
 სახელ სამზეოს გაწირეს,
 ძვლებ მიწას მიაბარესა.
 ახალ ცხოვრებას გავხედავთ,
 ახალს ქალებს და ვაყებსა,
 ვფიქრობ, ხევსურეთს დავტოვებ,
 საყვარელ მშობელ მხარესა,
 გავცვლი აქაურს თბილისზე
 სიტურფეს, სინარნარესა;
 აქ გტოვებ, ჩემო ლურჯაო,
 ვინდა დაგაკრავს ნალებსა?!

ტყიბულის მთისადმი

მთაო, რარიგად მიყვარხარ,
 ტყიბულის მთაო, მაღალო!
 მე შენს წიაღში ვგუგუნებ,
 შენს მკერდში გამყავს მაღარო.
 ვგუგუნებ, ნახშირს ვახვავებ, —
 მინდა მამული ვახარო,
 შენს სიყვარულში ვერასდროს
 წლებმა ვერ გამაჭადაროს.
 სამოცდაათის ვიყავი,
 სამიცი დავფურცლე მაისი,
 სამოცდაცამეტს გადავსციდი,
 გულში კვლავ ბუდობს ხალისი.

რა დამაბერებს, ჩემს სულში
ჰყვავის უჰკნობი მაისი, —
რადგან კრემლიდან დიადი
სიცოცხლის ჰანგი გაისმის.
მინდა მხურვალედ გიმღერო,
ზვიადო მთაო, მაღალო,
სამშობლოს მივცეთ ნახშირი,
გმირულმა შრომამ დაგვღალოს.
ვერ დაგშორდები ვერასდროს,
ძველო და მუდამ ახალო,
ყრმაც შენთან ვიყავ, მოხუციც
შენმა მალარომ მახაროს!

ცას მოსწყდა ერთი ვარსკვლავი

ცას მოსწყდა ერთი ვარსკვლავი,
მნათობი მთელი ქვეყნისა,
ვისგანაც მშრომელ მუშა-გლეხს
შეება და ლხენა ელირსა.
ნუ გაიხარებს მტარვალი,
შემნატრი ჩვენი შავ-დღისა,
იციოდეს, წყვიდიად სიბნელეს
სინათლე დასძლევს — დღე მზისა.
თანასწორია სიკვდილი,
ვით ტყვია რბილი გრდემლისა,
დღე, იტიროს მგოსანმაც,
გუბე წინ ედგას ცრემლისა.
ჩემებრივ მუშა-გლეხებიც
ცრემლებს აფრქვევენ ცხარესა,
კვლავ შევებას სთხოვენ მნათობ ცას,
ვარსკვლავებს, მზეს და მთვარესა.
აკმარეთ ტანჯვა-წამება,
ჩვენ კერას, მაშვრალთ მხარესა,
ნულარ გვარგუნებ უდროოთ
ჩვენ ამგვარ სიმწუხარესა.
კვლავ მაინც მოგვე ნუგეში,
აწ თუ ცრემლსა ვღვრით მდღულარსა,
ერთგული ამხანაგისთვის
ფიალასა ვსვამთ მწუხარსა.

ლენინის გარდაცვალებაზე

მოულოდნელად დაგვიდგა
სამგლოვიარო ხანაო,
დაბნელდა მთელი ქვეყანა,
შავი ჩაიცვა ცამაო.
კიდევ იელა ქვეყანათა, —
ცეცხლები გადმოყარაო...
რუსეთით ცნობა მოსულა, —
ლენინი გარდიცვალაო,
იქნებ მოტყუვდა რადიო,
სიტყვა ვერ მოიტანაო?
სწორი პასუხი მოვიდა —
ლენინი გარდიცვალაო!
რომელმაც ახალ ცხოვრებას
დუღაბი ჩაუყარაო,
წყალზე გადადო ხიდები
და გაღმა გაგვიყვანაო,
კედლები ამააშენა,
თავი შიგ შეგვიყარაო...
რომელმა დედამ გაზარდა,
რომელმა უთხრა ნანაო!
დედამ რო შვილი გაზარდოს,
ეგრე, ლენინისთანაო.
რაც ჩვენ მოგვიკვდა ლენინი,
ბუნებაც შაიცვალაო:
მალლა მთაშია ხეებმა
ტოტები ჩამოხარაო,
ფრინველთ შაწყვიტეს გალობა,
იმათაც იგრძნეს განაო!
შუალამისას მალვიძებს
სამგლოვიარო ნანაო,
თავში რალაცა დამეცა,
ქრუანტელმ დამიარაო.
ხელიდან გამოგვეცალა
შრომის მოღვაწე მამაო.

ორი მზე

მზეო, ნუ სტირი, ილიჩი
შეგვიმოსევი სხივებით,
შენი მეგობრის ცხედარი
მოფინე მარგალიტებით.
კრემლები დაღვრილიც კმარა.
ვერ იტევს ოკეანები,
შენ მაინც შემოგვცინევი,
ტირილით ნუ გვებანები.
ვით გკადრო, მაგრამ თქვენ შუა
დიდია განსხვავებაი,
შენ მარტო დღისით გვინათებ,
ეს კი ღამითაც მზე არი.
კარგია შენი სხივები,
მაგრამ ის გულსა ვერ წვდება,
გარეგან სახეს გვიბრწყინებს
და ისევ უკან ბრუნდება.
ლენინის სხივნი კი გულის
და სულის სიღრმეს სწვდებიან,
მოყვარეს განსაკურნავად,
მტერს ლახვარივით ხვდებიან.
ლენინის მოვლინებამდე
მარტო შენ გვყავდი ნუგეში;
ყველასგან მოძულებულნი
ვთბებოდით შენსა უბეში.
მაგრამ თბებოდა სხეული,
სული კი იყინებოდა,
ვინ ჩამოთვალოს, რამდენი
მუშა უმწეოდ კვდებოდა.
ირგვლივ წყვილიადის გაქრობა,
მზევ, ორსავ ერთგვარ გჩვევიათ,
თქვენგან გაბრწყინდენ ყოველნი,
გარშემო, ვინც გახვევიათ.
როცა, მზევ, სახეს გვარიდებ,
— მზე ჩავიდაო, გოდებენ,
დღეს კი ლენინის შესახებ,
ვითომ მოკვდაო, ამბობენ.

ვერ დავიჯერებ, თქვენ ორში
ლენინი უწინ მოკვდესა, —
ის კაცი, ვინც მსოფლიოში
თავისუფლება დათესა.
გააქრო ძალმომრეობა,
მტარვალთა გული აკვნესა,
პირველად თანასწორობა
ამ ქვეყნად ვინც დააწესა.
ორივე მზე ხართ ბრწყინვალე
სიცოცხლის ამყვანებელი,
არ არის ქვეყნად ძალაი,
თქვენთა სხივთ ჩამაქრობელი.
ორივე მზე ხართ ცხოველი,
მსოფლიოს მანათობელი.
ვერ დაგაშორებთ ერთმანეთს.
არც ერთის სიკვდილს არ ველი.

ლ ე ნ ი ნ ზ ე

რას მიდ-მოდინან ღრუბლები,
ჩამოდგნენ ალაზანზეო,
ნეტარ რა ამბავ იქნება,
წვიმა რომა წვიმს დარზეო,
თურმე ლენინი მომკვდარა,
ცა დახურვია თავზეო.
მთელი ქვეყანა დასტირის
სამგლოვიარო ხმაზეო,
თავისუფლების მომგონი
ველარ დაჯდება სკამზეო,
ველარას გაარიგონის
ახალ სიმართლის კვალზეო.
ქვეყნის ნუგეშო, ლენინო,
დარდ ნუ გაგყვება დარღზეო,
მზეზედა დაგრჩენ ვაჟკაცნი,
მტრის ჯავრს არ სჭამენ ჯავრზეო.
ე მაგის მალექსებელი
ვზივარ ახუნის მთაზეო,

თოფი მაქვს ხელთა გაშლილი,
ქახრაკს ვუკეთებ წამზეო.
გულ-ლალი არვის გეგონოთ,
მენაც ნამ მეკვრის თვალზეო.

თამულაბა ლენინზე

ბუხრის პირს ჩამოჯდებოდა
შვილი, ჰკითხავდა დედასა:
მთიდან რომ ზვავი მოქანავს,
არა გლეჯავსა დეკასა?
ან ცივ მთაზედა დამრჩალსა
არ სცივა იმა ბეჩავსა?
— შვილო, წინათა სციოდა,
არვინა ჰყავდა პატრონი,
მხოლოდ სტანკავდა, ეგ იყო,
ერთი წყეული ბატონი.
ახლა კი ახალ დრო არის,
იანიც აყვავდებიან,
ია, ვარდი და დეკანი,
ერთმანეთს დაუტყებებიან.
-- ახალ დრომ მოგვცა, დედაო,
ჩვენ ესე ტკბილი ქონება,
მუშურ-გლეხურმა მთავრობამ
ყველას გაუხსნა გონება
და დაგვაშორა ძველი დრო,
ძველი ტყვეობა. მონება.
— გულს ჩაინერგე ეს სიტყვა,
შვილო, გაზრდილო დედისა,
უკვდავი ლენინი არის
გამხსნელი ხალხის ბედისა;
დაუღალავი მებრძოლი
მტრის წინა სისხლის მჩქეფისა.
— მენაც მაგასა ვფიქრობდი,
დედავ. გამზრდელო შვილისა.
ლენინი არის, დედაო,
გამხსნელი ხალხის ბედისა.
მან გაიმარჯვა ხმელეთზე,

დალეწა ძველი ძალები,
და ამოწყვიტა მთლიანად
ნიკოლოზისა ჯარები.
ვიხსოვნოთ, არ დავივიწყოთ
მისი გმირული თვალები.
ვინც დაივიწყებს, დავტანჯოთ,
არ არის შესაბრალები.

მსგავსად მზისა და მთვარისა

დაქრილ დავჯექი გორის თავს,
გულს ტყვია მამხვდა მტრებისა,
თან ფიქრი შამამეხვია,
როგორც ღრუბელი მთებისა.
ვნანობდი ჯეილ-ბიჭობას,
ვაეკაცობასა ქებულსა,
ველარ ვნახავდი ცოლ-შვილსა
სატირლად გამზადებულსა.
ველარც მამასა ვნახავდი —
მოხუცსა გამწარებულსა,
ველარც დედასა, შვილმკვდარსა,
თვალში ცრემლდაგუბებულსა.
უცებ მოფრინდა სიკვდილი,
შავი, ყორანის ფერისა,
დავლონდი, გულში ვიფიქრე,
ალბათ სიკვდილი მელისა.
ვუთხარი: ნუთუ, სიკვდილო,
დარდი არ იცი გულისა!
რატომ არა ხარ შემებრალე,
უდროთ დაკარგულისა.
ან შვილი არა გყოლია,
იმედი სიყვარულისა,
არ გიწოებავ ძუძუი —
მამგვრელი სიხარულისა?
მიიღე მხოლოდ საწინდრად
ეს სული გადასულისა,
მენაც გეყოფი, სიკვდილო,

მამკვლელი კაცის გულისა.
ჩემსკენ მობრუნდა პირშავეი,
ცრემლი უჩანდა თვალებდა,
გავკვირდი, ნუთუ სიკვდილსაც
გული უწუხის სხვაზედა!
მითხრა: ცოდვაი ბევრი მაქვს,
მით ველარა ვარ ჭკვაზედა!
ერთი მოვკალი ისეთი,
არ გაიცვლების სხვაზედა.
ლენინი ერქვა სახელად,
შვილი რუსეთის მხარისა.
ჩემგან მოკლული, უკვდავი
მსგავსად მზისა და მთვარისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

მ ო ნ ა დ ი რ უ ლ ი

ლ ე ქ ს ი ვ ე ფ ხ ვ ი ს ა და მ ო ყ მ ი ს ა (გვ. 15). ფშავში ჩაწერილი. ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961 წ.

ა ვ თ ა ნ დ ი ლ გ ა დ ი ნ ა დ ი რ ა (გვ. 17) ქართლში ჩაწერილი. ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961 წ.

თ ო ე ლ ი თ ო ვ ს კ ი უ ხ ი ს თ ა ე ს ა (გვ. 19) დ. ხიზანაშვილი, ფშაური ლექსები, 1887 წ.

ა რ ე შ ო ბ ი ა ნ ღ რ უ ბ ე ლ ნ ი (გვ. 19) დ. ცისკარაულის ჩაწერილი ხევსურეთში. აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931 წ.

ჯ ა რ ჯ ო (გვ. 20) თამარ მაკუჯარაიანის ჩაწერილი ხევსურეთში. ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961 წ.

ღ ა ბ ე რ დ ი ს ე ხ ი (გვ. 21) აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931 წ.

შ ვ ი დ თ ძ მ ა თ ა, მ ე რ ვ ე ბ ი ძ ა ს ა (გვ. 22) დ. ხიზანაშვილი, ფშაური ლექსები, 1887 წ.

ქ ა ლ ს ა ვ ი ს მ ე ს (გვ. 22) ელენე აგლაძის ჩაწერილი რაქაში. ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია. 1961 წ.

ი ა მ თ ა ზ ე და (გვ. 23) ქართლში ჩაწერილი. ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961 წ.

ს ა დ შ ი ხ ვ ა ლ, ხ ა რ ო ი რ ე მ ო (გვ. 23) რ. პატატიშვილის ჩაწერილი, ს. ებრაღიძე, შ. დლონტი, ქიზიყის პოეტური ფოლკლორი, 1940 წ.

მ ო ნ ა დ ი რ ე ხ ა რ ი რ ე მ შ ე (გვ. 24) ივ. ხორნაული, ფშაური მილექსები, 1939 წ.

ი რ ე მ ი (გვ. 24) დ. ხიზანაშვილი, ფშაური ლექსები, 1887 წ.

ღ ი ლ ა ზ ე დ ი ლ ა ო ბ ი თ ა (გვ. 25) საუნჯე, 1, 1936 წ.

ი რ ე მ ო, რ ქ ე ბ ი თ მ შ ვ ე ნ ა რ ო (გვ. 25) დ. ხიზანაშვილი, ფშაური ლექსები, 1887 წ.

ბ ე რ დ ი ა (გვ. 25) აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931 წ.

მ ო ნ ა დ ი რ ე (გვ. 25) თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი ფშავში, ხალხური სიტყვიერება, III, მის. ჩიქოვანის რედაქციით, 1953 წ.

ი რ ე მ შ ა ი რ ე მ ს ა ხ ა რ ა (გვ. 26) ი. მკედლიშვილის ჩაწერილი, საუნჯე, I, 1936 წ.

მ ა მ ა ს ა შ ე ნ ს ა ხ ყ ვ ა ნ დ ი ა ნ (გვ. 26) ზისერმანის ჩაწერილი ხევსურეთში, აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931 წ.

ჭიხვს (გვ. 26) ერ. ბალიაურის ჩაწერილი ხეცურეთში, აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931 წ.

თოვლი თოვს (გვ. 27) ფშავში ჩაწერილი. გ. ნათაძე, ხალხური ლექსები და ზღაპრები, 1950 წ.

ქარგის ყმის დედას დავენატარი (გვ. 27) ივ. შადურის ჩაწერილი 1884 წ. ხევეში. პეტრე უშიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 1937 წ.

ვაპ, დედას თქვენსა, ჭიხვებო (გვ. 27) ფშავში ჩაწერილი, გ. ნათაძე, ხალხური ლექსები და ზღაპრები, 1950 წ.

ცეცხლო, რა ლამაზინთები (გვ. 28) კ. კრელაშვილი, თუშურა პოეზია, 1962 წ.

ფანდურო (გვ. 28) ვაჟა ფშაველას ჩაწერილი ფშავში. ე. თაყაიშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, 1918 წ.

ჭიხვო, საჭიხვეს გორზედა (გვ. 28) მთქმელი თამარ ოჩიაური, ქს. სიხარულიძის ჩაწერილი, 1944 წ. ხეცურეთში, სოფ. ახილში.

მონადირე და არწივი (გვ. 31) ალ. კინჭარაული, ხეცურული თავისებურებანი, 1960 წ.

თავის სოფელთ (გვ. 32) ალ. კინჭარაული, ხეცურულის თავისებურებანი, 1960 წ.

ჭიხვებმა გადმოაგდეს (გვ. 33) თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი, 1883 წ. ფშავში, ხალხური სიტყვიერება, III, 1953 წ.

კლდეში ჭიხვს თოფი მიართყა (გვ. 33) ხალხური სიტყვიერება, III, 1953 წ.

მეგრელათ ფუნჩია (გვ. 34) ხალხური სიტყვიერება, III, 1953 წ.

მებრალვი, მენადირეო (გვ. 34) ე. ვირსალაძე, ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება (მთიულეთ-გუდამაყარი), 1958 წ.

გიგო (გვ. 35) ე. ვირსალაძე, ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება (მთიულეთ-გუდამაყარი), 1958 წ.

მემჭობიენი (გვ. 35) ერ. ბალიაურის ჩაწერილი ხეცურეთში. აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931 წ.

მონადირის ხიფათი (გვ. 36) აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931 წ.

მონადირე (გვ. 38) ვინმე მესხის (ივანე გვარამაძის) ჩაწერილი მესხეთში. ე. თაყაიშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, 1918 წ.

დათემა თქვა (გვ. 38) დ. ხიზანაშვილი. ფშაური ლექსები, 1887 წ.

დათვის სიზმარი (გვ. 39) მ. აივაზიშვილის ჩაწერილი დიღომში. ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961 წ.

მელიას ჩივილი (გვ. 39) თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი ქართლში. ე. თაყაიშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, 1918 წ.

თოფმა თქვა (გვ. 40) თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი ქართლში. ე. თაყაიშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, 1918 წ.

მოყმეთ (გვ. 40) აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931 წ.

მონადირის თოფი (გვ. 40) ბეს. გაბუერის ჩაწერილი, აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931 წ.

ხირიმოსანს (გვ. 41) აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931 წ.

პატრონი და თოფი (გვ. 41) თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი ქართლში, ე. თაყაიშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, 1918 წ.

ნადირი, მენადირეო (გვ. 41) ხევესურეთში ჩაწერილი, გ. ნათაძე, ხალხური ლექსები და ზღაპრები, 1950 წ.

რას დასდევ ნადირობასა (გვ. 42) ზაქ. ბილანიშვილის ჩაწერილი. კახეთში. ე. თაყაიშვილი, ხალხური სიტყვიერება I, 1918 წ.

ქალო, რას გამოგადგება (გვ. 42), იგივე.

ლექსობა უნდა დაევიწყა (გვ. 42) მთქ. შარო ოჩიაური. ქს. სიხარულიძის ჩაწერილი ხევესურეთში, 1944 წ.

შ რ ო მ ი ს ს ი მ ლ ე რ ა ბ ი

გ უ თ ა ნ ი

გუთანო (გვ. 45) თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი ქართლში, ე. თაყაიშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, 1918 წ.

შენი კირიმე გუთანო (გვ. 45) თ. ოქროშიძე, შრომის სიმღერები, 1962 წ.

შენი მიყოლა (გვ. 45) თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი ქართლში, ე. თაყაიშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, 1918 წ.

შენ აკმევე პურსა (გვ. 46) ზ. ბილანიშვილის ჩაწერილი კახეთში, ე. თაყაიშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, 1918 წ.

დილა ადრიაან გამოველ (გვ. 46) თ. ოქროშიძე, შრომის სიმღერები, 1962 წ.

მადლიანია გუთანი (გვ. 46), იგივე.

ჩვენ ხელთ არი (გვ. 47), იგივე.

სალამიო გუთან მიყვარს (გვ. 47), იგივე.

სახნისმა თქვა (გვ. 47) ქართლში ჩაწერილი, მთქმ. თედო გულბათაშვილი, ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961 წ.

თრხელა და გუთანი (გვ. 48) იგივე.

ასე ჰგონია დუშმანსა (გვ. 48) ზ. ბილანიშვილის ჩაწერილი კახეთში, ე. თაყაიშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, 1918 წ.

ხარმა იცვალა მხარია (გვ. 49) თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი ქართლში. იგივე.

ხედაობითა, გუთანო (გვ. 49) ქართლში ჩაწერილი, ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961 წ.

გამარჯვებულმა გუთანმა (გვ. 49) თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი. ქართლში, ე. თაყაიშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, 1918 წ.

მე რომ ჩემს ამბავს მოგიყვე (გვ. 49), იგივე.

ადრე და ნელად (გვ. 50) თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი ხევესურეთში, აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931 წ.

უნდა შევაბა ხარები (გვ. 50) ქართლში ჩაწერილი, ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961 წ.

გუთნისდედას რა აცხონებს (გვ. 50), იგივე.

გუთნისდედა და მოდგამი (გვ. 51), „მომომხიველი“, II, 1951 წ.

ახალსა გუთნისდედასა (გვ. 51) „ივერია“, 1890, № 257.

მეხრეო (გვ. 51) თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი ქართლში, ე. თაყაიშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, 1918 წ.

ლამის მეხრე ვარ (გვ. 51) „საუნჯე“, I, 1936 წ.

მეხრევე, ნუ დაგეძინება (გვ. 52), თ. ოქროშიძე, შრომის სიმღერები, 1962 წ.

ტოროლას მაინც არ მოეკლავ (გვ. 52). იგივე.

ხარმა თქვა (გვ. 52), ქართლში ჩაწერილი, ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1962 წ.

ხარო ხარი ვინ დაგარქო (გვ. 53), ზ. ბილანიშვილის ჩაწერილი კახეთში, ე. თაყაიშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, 1918 წ.

ხარო, დადგა მაისი (გვ. 53) იგივე.

ნიკორამ უთხრა ლალასა (გვ. 53) დ. ხიზანაშვილი, ფშაური ლექსები, 1887 წ.

პირნათელი (გვ. 53) ქართლში ჩაწერილი, ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961 წ.

ლომა (გვ. 54) თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი ქართლში, ე. თაყაიშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, 1918 წ.

ომამო, ხარო (გვ. 54) თ. ოქროშიძე, შრომის სიმღერები, 1962 წ.

ორშაბათობით აშენდა (გვ. 54) მესხეთში ჩაწერილი, ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961 წ.

თოხნური

ვთოხნოთ და ვთოხნოთ (გვ. 56) ქართლში ჩაწერილი, ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961 წ.

დამწკრივეებულან ქალები (გვ. 56) იგივე.

დავთოხნოთ, ძმებო, ვენახი (გვ. 56) ალ. ლლონტი, ხალხური ლექსები, 1962 წ.

ალალსა, ალალ მუშასა (გვ. 56) თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი. ქართლში. ე. თაყაიშვილი, ხალხური სიტყვიერება I, 1918 წ.

პატივი მუშას (გვ. 56) ბეს. გაბუერის ჩაწერილი ხევსურეთში, ავ. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931 წ.

ნამგალი

გლესავ და გლესავ ნამგალო (გვ. 57) ქს. სიხარულიძის ჩაწერილი 1936 წ. ქართლში, ქართული ხალხური სიტყვიერების ქრესტომათია, I, 1956 წ.

გამიძეხ, ლეგა ნამგალო (გვ. 57) თ. ოქროშიძე, შრომის სიმღერები, 1962 წ.

ჩემი ნამგალი (გვ. 57) იმერეთში ჩაწერილი, ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური სიტყვიერების ქრესტომათია, I, 1956 წ.

ნამგალას (გვ. 57) თ. ოქროშიძე, შრომის სიმღერები, 1962 წ.

მაშინ დამძახე (გვ. 58) თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი ქართლში, ე. თაყაიშვილის ხალხური სიტყვიერება, I, 1918 წ.

ყანაო, ფათალიანო (გვ. 58) ქართლში ჩაწერილი, ვ. კოტეტიშვილი, ზალხური პოეზია, 1961 წ.

ყანას უნდა (გვ. 58) თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი ფშავში, ზალხური სიტყვიერება, III, 1953 წ.

აგერ მოდის (გვ. 58) თ. ოქროშიძე, შრომის სიმღერები, 1962 წ.

მესვეური გაგვეპარა (გვ. 59), იგივე.

კარგად კრის (გვ. 59) ანა ოჩიაურის ჩაწერილი ხევსურეთში. ქს. სიხარულიძე, ქართული ზალხური სიტყვიერების ქრესტომათია, I, 1956 წ.

ყანაო, ბარდალიანო (გვ. 59) თ. ოქროშიძე, შრომის სიმღერები, 1962 წ.

მომცდარი ყანა (გვ. 59) ბეს. გაბუურის ჩაწერილი ხევსურეთში, აკ. შანიძე, ზალხური პოეზია, 1931 წ.

ბიჭებო, გარეჯელებო (გვ. 59) თ. ოქროშიძე, შრომის სიმღერები, 1962 წ.

ძირში მოუსვი (გვ. 60) ქართლში ჩაწერილი, ვ. კოტეტიშვილი, ზალხური პოეზია, 1961 წ.

სამკალშია შევიწიე (გვ. 60) თ. ოქროშიძე, შრომის სიმღერები, 1962 წ.

მომკალნი ქალნი (გვ. 60) ბეს. გაბუურის ჩაწერილი ხევსურეთში, აკ. შანიძე, ზალხური პოეზია, 1931 წ.

აზამბარელი მომკალი (გვ. 61) თ. ოქროშიძე, შრომის სიმღერები, 1962 წ.

სოფლის ბოლოს (გვ. 61) თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი ქართლში, ე. თაყაიშვილი, ზალხური სიტყვიერება, I, 1918 წ.

ვენახსა განაპირასა (გვ. 61) ქართლში ჩაწერილი, ვ. კოტეტიშვილი, ზალხური პოეზია, 1961 წ.

ჯეჯილო (გვ. 61) თ. ოქროშიძე, შრომის სიმღერები, 1962 წ.

ასლი (გვ. 62) თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი ფშავში, ზალხური სიტყვიერება, III, 1953 წ.

კ ა ლ ო უ რ ი

შენ, დილის მზეო (გვ. 62) თ. მამალაძე, შრომის სიმღერები კახეთში, ნოტები, 1963 წ.

ზენა ქარო (გვ. 62) თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი ქართლში, ე. თაყაიშვილი, ზალხური სიტყვიერება, I, 1918 წ.

ორთითი და ფიწალიო (გვ. 63) თ. ოქროშიძე, შრომის სიმღერები, 1962 წ.

უღელი ხარი ვიყიდე (გვ. 63), იგივე.

ს ა ვ ე ნ ა ხ ო

დიდვენახში (გვ. 63) თ. ოქროშიძე, შრომის სიმღერები, 1962 წ.

სიმღერა ბარვის დროს (გვ. 64) ქართლში ჩაწერილი, ვ. კოტეტიშვილი, ზალხური პოეზია, 1961 წ.

შენ, ჩემო კარის ვენახო (გვ. 64) ზ. ბილანიშვილის ჩაწერილი; კახეთში, ე. თაყაიშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, 1918 წ.

ნარიმან, შენსა ვენახსა (გვ. 65) თ. ოქროშიძე, შრომის სიმღერები, 1962 წ.

დამდეგ ენკენისთვისასა (გვ. 65) თ. ოქროშიძე, შრომის სიმღერები, 1962 წ.

ხის წვეროში (გვ. 65) თ. ოქროშიძე, შრომის სიმღერები, 1962 წ.

შენ, დვინოვ (გვ. 65) ელ. ვირსალაძის ჩაწერილი რაქაში, ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური სიტყვიერების ქრესტომათია, I, 1956 წ.

მთიბლური

თიბვის ლექსი (გვ. 66) ელ. ვირსალაძე, ქართველ მთიელთა ზეპირ-სიტყვიერება, 1958 წ.

ცელო, მოუსვი (გვ. 66) თ. ოქროშიძე, შრომის სიმღერები, 1962 წ.

ცელო, გამიქერ (გვ. 66) ელ. ვირსალაძე, ქართველ მთიელთა ზეპირ-სიტყვიერება, 1958 წ.

ცელო (გვ. 66) თ. ოქროშიძე, შრომის სიმღერები, 1962 წ.

ჩემო ცელო (გვ. 67) ელ. ვირსალაძე, ქართველ მთიელთა ზეპირ-სიტყვიერება, 1958 წ.

ცელი და ცოლი (გვ. 67) აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931 წ.

ცელამაზო (გვ. 67) თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი ხევსურეთში, აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931 წ.

დათვია (გვ. 67) იგივე.

შარვანელი (გვ. 67) აკ. შანიძის ჩაწერილი გუდამაყარში, აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, 1931 წ.

ხეეწნა (გვ. 68) თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი ხევსურეთში. იგივე.

მთიბელსა დედა ტიროდაო (გვ. 68) ელ. ვირსალაძის ჩაწერილი რაქაში. ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური სიტყვიერების ქრესტომათია, I, 1956 წ.

დედავ, ნუ მიმცემ ბასალასა (გვ. 68) ვაჟა ფშაველას ჩაწერილი, ვაჟა ფშაველა, თხზულებანი, V, 1961 წ.

ურბული

ურემო, ფერსო მალალო (გვ. 68) თ. ოქროშიძე, შრომის სიმღერები, 1962 წ.

ურემო (გვ. 69) ზ. ბილანიშვილის ჩაწერილი კახეთში, ე. თაყაიშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, 1918 წ.

კამეჩი ლონიერია (გვ. 69) თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი ქართლში. იგივე.

შავო კამეჩო (გვ. 69) თ. ოქროშიძე, შრომის სიმღერები, 1962 წ.

ჩემი მარლზე წასვლაი (გვ. 69) ქართლში ჩაწერილი, ვ. კობც-ტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961 წ.

აღზევანს წაველ (გვ. 70) ნ. ანდრონიკაშვილის ჩაწერილი 1868 წ. კახეთში. პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 1937 წ.

შენ. ჩემო შავო კამეჩო (გვ. 71) თ. ოქროშიძე, შრომის სიმღერები, 1962 წ.

კამეჩმა თქვა (გვ. 71) თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი ქართლში. ე. თაყაიშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, 1918 წ.

მოკვდა კამეჩი (გვ. 71) ზ. ბილანიშვილის ჩაწერილი კახეთში. იგივე.

ფეიქრული

საჩეჩელო (გვ. 72) თ. ოქროშიძე, შრომის სიმღერები, 1962 წ.

ძილის გასაფრთხოები (გვ. 72) ქართლში ჩაწერილი. ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961 წ.

ერთვი, ერთვი, ფარტენაო (გვ. 73) ფშავში ჩაწერილი, ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური სიტყვიერების ქრესტომათია, I, 1956 წ.

მასრა-ამაქო (გვ. 73) ს. მერკვილაძის ჩაწერილი, „თეატრი“, 1886 წ. № 27.

ჯარავ (გვ. 74) ქართლში ჩაწერილი. ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961 წ.

ჩარირამა (გვ. 74) იგივე.

არარუ დარეჯანასა (გვ. 74) ქართლში ჩაწერილი, ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961 წ.

პერანგი (გვ. 74) ანა ოჩიაურის ჩაწერილი, 1955 წ. ხევსურეთში. ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური სიტყვიერების ქრესტომათია, I, 1956 წ.

სახის შუქზე (გვ. 74). იგივე.

მეტური

